

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

4 აგვისტო 2006 №16



ესპანური ნოველა
ნოდარ დუმბაძის დეტექტივი
ვუყურებ სენატს და ვლოცულობ ხალხისათვის
ხელოვნების კვდომა თუ ახალი მეცნიერება
აჩრდილები ჭილაშვილთა სასახლეში
სიზმრიდან სიზმარში



შინაარსი

რედაქტორის გვირგვინი	2	ანრდინილი ჭილაშვილთა სასახლეში
ჩვენი ყოფა, წუთისწოდებით	5	შოთა ახლოური დემოკრატია – ხალხის მმართველობა
ქვეყანა-ინტერვიუ	8	პოეტური კონტაქტი დროსთან (საუბარი დათო ჩიხლაძესთან)
პროზა	10	ვანო ჩხიკვაძე ლიზი და იულიუსი
	15	გელა ჩქვანავა წინასწარმეტყველი
პირველი შთაბეჭდილება	20	გიორგი ლობჯანიძე (პედის) წერა იაპარქმინილი ქალაქის აღსადგენად
პოეტის ერთი ლექსი	21	გივი ალხაიშვილი N-ს
პოეზია	22	თემურ ჩხეტიანი უწყინარი სიტყვების მიღმა
პირველი შთაბეჭდილება	23	ლუკა ავალიშვილი როდის იშლება ფოთლების პასიანსი...
პოეზია	24	ლელა სამნიაშვილი ლოდინის სწავლა
პირველი შთაბეჭდილება	26	მაია ჯალიაშვილი სარკის მიღმა
ასეისტიკა	27	უოლკერ პერსი რომანის მდგომარეობა: მომავლადვი ხელოვნება თუ ახალი მცენიერება
მოგონებათა სქივარი	33	გრიგოლ აბაშიძე ანი, ბანი, ბანი...
ღიალოგი	37	უცნაური დინება, მთავარი გეზი და... გაცურე, საითაც გინდა
კრიტიკა	40	დალილა ბედიანიძე სიზმრიდან სიზმარში
	42	მარიამ ქსოვრელი-ხართიშვილი ზოგი რამ დღევანდელი ლიტერატურის შესახებ
ფიქრები	46	ლევან ბრეგაძე უბის წიგნაკიდან
მოულოდნელი რაქსები	48	საბა სულხანიშვილი „შედეგადული სისხლის“ პაროდული ეფექტი
რეპორტაჟი	51	ვუყურებ სენატს და ვლოცულობ ხალხისათვის („ათი ამერიკელის“ განხილვა)
პოეზიის მერიდიანები	55	ვოლგ ბირმანი ბალადა მარჩენალზე და სხვა ლექსები
უხელოვანი ნოველა	58	მარიო ბენედეტი მჭვირვალეობა
ნაქვესები	61	მასვილსიტყვაობის ნიშნები
მოზაიკა	63	პარიმანს მილიონები გადავურჩინეთ

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო "ომეგა ტეგი" საბეჭდო სახლით, თბილისი, სარაქვიშვილის 17
საბეჭდო: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ჭილაშვილების სასახლე მილანში

თამარ მინაშვილი, გელა ჩქვანავას ნოველის ილუსტრაცია

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 18 აგვისტოს

აჩრდილები ჭილაშვილთა სასახლეში

თავისებურ სიმბოლოდ ესეც შემორჩებოდა ჩვენს კალმასობათა მატრიანეს:

ქვიშხეთი და მილახვრიანთკარი.

ერთდროულად, ერთ ხილვაში და ერთიერთმანეთსაც გადაბმულნი ჩვენი პილიგრიმობის გზაზე.

სხვადასხვა მხარეს იტოტება მცხეთიდან სავალი?

რა აუცილებლობა გახლდათ, ერთჯერობაზე მოგვევლო ორივე მხარე. მთავარია, რომ იდუმალი ხიდი ისედაც გადებულებოდა მათ შორის და ახლა ამ გაფერმკრთალებული და ისტორიის ქვედა დინებებში ჩაძირული ხიდის აღდგენას ვესწრაფოდით – დადასტურებას მისი არსებობისა.

მხოლოდ ის გვევალებოდა, რომ თვალი შეგვევლო, უფრო ღრმადაც ჩავკვირვებოდით და ამ მხარეთა შემაკავშირებლის სახეც თვალნათლივ გვეხილა – დიმიტრი ყიფიანის.

ქვიშხეთი მისი მამული გახლდათ.

მილახვრიანთკარი – მის ცოლოურთა.

იქ დიმიტრის სასახლე გადაჰყურებდა მთელს არე-მიდამოს.

აქ – მისი ცოლოურების სასახლე და კოშკი, იმათაც შემალღებული რომ შეერჩიათ საცხოვრისად და ხელის-გულზე ედოთ დუშეთიც და უშორესი სივრცეც, მილახვრიანთკარი ხომ ედოთ და ედოთ.

იყო დრო, როდესაც მეფე ერეკლე ჭილაშვილებს მიაბარებდა აღსაზრდელად ვახტანგ ბატონიშვილს, ძალიან ენდობოდა და იმ არემარეს შემდგომ სწორედ ვახტანგს რომ ჩააბარებდა საგამგებლოდ, დარწმუნებული გახლდათ, ეს ოჯახი თავს დასდებს იმისათვის და მტკიცე ბურჯადაც შეექმნება.

ამჟამადაცაა შემონახული სასახლეში ის ოთახი, სადაც ვახტანგ ბატონიშვილი იზრდებოდა.

ის ბუხარიც.

ცალკე გაბრიელ ყაზბეგსაც მიანდობდა უფლისწულის ბედს ერეკლე მეორე, იმისი ერთგულება ბევრს წყვეტდა იმ მხარეში და გაბრიელი ერეკლესაც ალუთქვამდა ბატონიშვილისათვის თავდადებულ სამსახურს და თვითონ ვახტანგსაც ერთგულებას შეჰფიცავდა. ვინც გიმტყუნოს, ტყვიამც მოხვედრია გულშიო, – იქნებ ეს ან რაღაც ამგვარიც ეთქვა განთქმული მეფის ძისათვის, და ისევე გულწრფელი გახლდათ ფიცის წარმოთქმისას, როგორი სინრფელითაც მიენდობოდა თვითონ ბატონიშვილი სიტყვას იმ პიროვნებისა, ვისიც არავის ექვევებოდა არც ხევში, არც ხევსურეთში, არც ფშავეში... ყველა არავის ხეობა აღიარებდა გაბრიელ ყაზბეგის დიდ გავლენას და კავკასიონის ქედს გადაღმაც არანაკლები სახელი მოეხვეჭა. ყველა ისე კარგად მორიგებულებოდა – ბატონიშვილიც, მისი აღმზრდელებიც, გაბრიელიც... და რას წარმოიდგენდნენ, მათ თავზეც როგორ დატრიალდებოდა ნუთისოფელი!..

რომანის ფურცლებზე გადაინაცვლებდა გაბრიელ ყაზბეგი თავისი გაორებული ბუნებითა და გულისჭიდულით.

საისტორიო ქრონიკების ძუნწ სტრიქონებში ჩაინურებოდა ვახტანგ ბატონიშვილისა და ჭილაშვილთა ოჯახის ხვედრი.

განაპირასაა ჭილაშვილთა ეს სასახლე, ამჟამინდელი სამხედრო გზიდან ჯერ დუშეთს უნდა ააღწიო და მერე იმასაც გასცდე, რათა ზედ განაპირას მიადგე ამ დიდებულ ნაგებობას – ჯერ გარედანვე მოიხილო და მერე, ოთახ-დარბაზებსა და შთაბეჭდილებებში ჩაკარგულს, გამოსვლა აღარც გინდოდეს, მითუმეტეს, თუ ისეთი მასპინძლები დაგხვდებიან, როგორც რამინ რამიშვილი და მისი არქეოლოგიური გუნდის წევრები არიან.

მაშინ რა განაპირა, რომელი განაპირა, ზედ გადაჰყურებდა ჭილაშვილთა სასახლე სამხედრო გზას.

აქ აივლიდნენ და ჩაივლიდნენ ათასი ჯურისანი, მათ შორის ალაფის საშოვნელად დაძრული რუსი ჩინოვიკებიც და ქვეყნის უბედობით შეძრული ქართველი მოღვაწენიც, რომელთაც სულიერ თავშესაფრად ეს სასახლე და ოჯახიც ეგულებოდათ და მაინცდამაინც დარიალის ხეობის გავლა არ უნდა განეზრახათ, აქაურობას რომ სტუმრებოდნენ. შორეულ გზაზე შემდგარნი ხომ თავისთავად.

ამ დარბაზში მალიმალ გაიშლებოდა ხოლმე სუფრა და გრიგორ ორბელიანი ითავებდა ხშირად თამადაობას, და იაგორ ჭილაშვილის სადღეგრძელოც რომ შეისმოდა, დიმიტრი ყიფიანს გადაულაპარაკებდა ხოლმე: გახსოვს, შენს სიმამრს შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრობას რომ ვუპირებდით, თუკი აჯანყების ის სამზადისი ამოდ არ ჩავგივლიდა და დამოუკიდებელ რესპუბლიკას შევექმნიდითო?!

საპარლამენტო მონარქიას გულისხმობდა.

გაუბრდნენ იმ ფარული ორგანიზაციის ხსენებას, მაგრამ ხან ისე მოეჭდობოდათ გულზე ის დღეები და ის ხანა, რომ არ ამოეთქვათ დაიხრჩობოდნენ!

სხვათა შორის:

დიმიტრი ყიფიანის ჩვენებაში ის ეპიზოდიც გაივლებოდა, თუ როგორ შეკრებილიყვნენ შეთქმულნი თეკლა ბატონიშვილის ბაღში და იქ დიმიტრი ერისთავს თავისი განზრახვა გაუმჟღავნებია მისთვის, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებისა, ზაალ ავთანდილაშვილისა და თავის ძმის – ელიზბარისათვის: აუცილებელია სტატსკი სოვეტნიკ ჭილაშვილის მოსპობაო. იქ სხვასაც დაასახელებდა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იაგორ ჭილაშვილს უყურებდა ეჭვის თვალით, თანაც ისეთი ეჭვით, გაფრთხილება და დამუქრება რომ არც გაჭრიდა.

იუარებდა დიმიტრი ერისთავი გამომძიებლებთან, ასეთი არაფერი მახსოვსო. მენსიერებას გადააბრალებს, თორემ: ამას როგორ ვიტყვოდიო, – არ დაიყინებს.

არც ვახტანგ ორბელიანი დადასტურებს ასეთი განზრახვის არსებობას.

შეთხზულს არა ჰგავს.

დიმიტრი ყიფიანი ტყუილუბრალოდ არავის დააბრალებდა მკვლელობის წადილს.

ჰგონია, რომ ეს შემთხვევა ისედაც გაცემულია და აღარ გადაფიცავს.

გამოძიებას შეუქმულთა სასტიკად დასჯის სურვილი რომ ჰქონდეს, ამ ჩვენებას ხელიდან როგორ გაუშვებდნენ; მაგრამ რაკილა იმპერატორის ჩანაფიქრი სხვაა – არა დასჯა, არამედ შეწყალება და შემორიგება, მთელი ცხოვრება რომ ატარებინოს მონანიების ტვირთი მუამბოხეებს – ამ ხელსაყრელ ცნობასაც ისევე მიაყრუებენ, როგორც სხვა მტკიცებულებებს.

თვითონ ის სურათია დამაფიქრებელი.

დიმიტრი ყიფიანი ისმენს დიმიტრი ერისთავის აღშფოთებას იმ კაცის მიმართ, რომელიც ბედისწერის გადაწყვეტილებით მისი სიმამრი უნდა შეიქნას. და ეს მაშინ, როდესაც იაგორ ჭილაშვილი ცოცხალი აღარ იქნება.

თეკლა ბატონიშვილის ბაღში იმ დღის შეკრებისას დიმიტრი ყიფიანის მომავალი მეუღლე ოთხი-ხუთი წლისაა.

ვის შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრად ესახებოდა იაგორ ჭილაშვილი, ვინ მის მოსპობას მოითხოვდა.

ვახტანგ ბატონიშვილი ჭილაშვილებს თუ აღეზარდათ, თვითონ იგი იაგორის გამზრდელად ითვლებოდა. გაბრიელ ყაზბეგი კი ძალიან მონდომებულიყო მის დანიშვნას დუდარუკ ახმედის შვილიშვილზე, თუმც შემდგომ ჩაიშლებოდა ეს პოლიტიკური მოტივით შეგულებული ქორწინება.

ცნობილი პიროვნება შეიქნებოდა იაგორი, საქართველოს უმაღლეს მთავრობაში მმართველობის გავლენიან წევრობას მოიხვეჭდა, მაგრამ შეუქმულთა შორის გამოირევა ვინ აპატიებდა, ლენქორანში მიუსჯიდნენ გადასახლებას და იქვეც აღესრულებოდა.

წერით მხოლოდ რუსულად წერდა, ვთქვათ: „მთიელი ხალხები საქართველოს სამხედრო გზაზე“, „ვაჭრობა სამხედრო გზაზე მთებში“... განსაკუთრებით გამოარჩევენ ნაშრომს „ბუნებითი სამართლის მოხაზულობა“. ფრანგული ენიდანაც რუსულად თარგმნიდა.

დრო ავად დააჩნევდა თავის ტორს ჭილაშვილთა საცხოვრისს, რომელიც აღარც მათ შთამომავლობას დარჩებოდა და აღარც სასახლე იქნებოდა – ერთიერთმანეთზე აიჩონჩხებოდა ათასგვარი დაწესებულება და კარიც სხვა მხრიდან მოებმოდა. თავისუფლების სული გამოიდევენებოდა იქაურობიდან და დიდებულ სტუმარ-მასპინძელთა ხსოვნაც აღარაფერს შერჩებოდა.

აღარც ის დიდებული ბიბლიოთეკა მოჩანდა აღარსად – ნაშთადაც არა, დაღავებულიყო, განადგურებულიყო, თითო-ოროლა წიგნს იქნებ სადმეც შეეფარებინა თავი, მაგრამ როგორ გინდა მიგვეგნო...



დიმიტრი ყიფიანის ცოლოურთა სამკვიდრო

ექვთიმე თაყაიშვილს ისევ ისეთივე ეგონა ეს სასახლეც და მისი უნიკალური ბიბლიოთეკაც, ახალგაზრდობისას იქიდან გამოსვლა რომ აღარ უნდოდა ათასგვარ გამოცემასა და ფოლიანტებში ჩაფლულს. და უკვე ოთახში გამოკეტილი, ამხელა ცხოვრებაგამოვლილი კიდეც რომ არ ეშვებოდა კვლევა-ძიებას, გიორგი ლომთათიძეს სთხოვდა, არქეოლოგსა და ჩინებული ჩანაწერების ავტორს მინისქვეშა სამყაროზე: იქნებ აირბინო ჭილაშვილების სასახლეში, ეს ხელნაწერი მხოლოდ იქ ინახებოდა.

და სათაურსაც დაუსახელებდა.

და იდგა გამტკნარებული გიორგი ლომთათიძე...

არა, იქ ნასვლა-ნამოსვლა კი არ იყო საძნელო!..

– მარტო იქ არის, თორემ ასე არ შეგანუხებდით, – უბოდიშებდა მისი დიდი მასწავლებელი, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ეს ერთი მხარე აერჩია გასაგრძელებლად გიორგი ლომთათიძეს – არქეოლოგია.

ზოგადი მოხაზულობა თუ იერი მიანიშნებდა ადამიანს იმ გარემოში რალაც გამორჩეულის არსებობას და ეს არსებობა ადრე თუ გვიან მაინც დაუბრუნდებოდა თავის ძირსა და ფესვს.

და ეს მას შემდეგ, რაც იქ რამინ რამიშვილი

მოიკიდებდა ფეხს და იქიდან გაშლიდა თავის უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ ექსპედიციებს.

უძვირფასეს არქეოლოგიურ მონაპოვართა საცავად და საქართველოს ისტორიის თავისებურ მუზეუმადაც გადააქცევა ჭილაშვილთა საცხოვრისს და თანდათან იმ ერთიერთმანეთზე აიჩონჩხილ დაწესებულებებს რომ გამოისტუმრებდა იქიდან (ჯერ მარტო ტრაქტორის ნაწილების გამოზიდვა შეიკლავდათ ხელში!), ყველაფერს ისე აღადგენდა, თავდაპირველად როგორც უნდა ყოფილიყო – წერილმანებსაც კი არ დატოვებდა უყურადღებოდ, ვითომდა ეს რალა ანგარიშში ჩასაგდებიაო.

ყველაფერს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და, იმ დარბაზში საგანგებო სუფრა რომ გაიშლებოდა, თითქოს ის მიმოფანტული აჩრდილებიც ხელახლა შემოიკრიბებოდნენ და გრიგოლ ორბელიანის ლანდიც ისე მკაფიოდ, ისე ყველას გასაგონად გადაუწერჩულებდა დიმიტრი ყიფიანის ლანდს: აფსუს, რა განათლების მინისტრი გვეყოლებოდა, საერთოდაც საუკეთესო მინისტრთა კაბინეტი შეიქმნებოდაო, – თითქოს დრო არც გასულიყო და ის უკუღმართობანი, ამ საცხოვრისის თავზეც ასეთი რისხვით დატრიალებული, კომმარული, მაგრამ მსწრაფლწარმავალი სიზმარი ყოფილიყო.

თავისუფლების სული დაუბრუნდებოდა აქაურობას და სიცოცხლის ნიშატიც იმგვარი ძალით ამოხეთქავდა, თითქოს ეზოში სამარეთა მუზეუმი არ გამოკვეთილიყო

თანდათანობით. რაც კი ძველი აკლდამები მოიპოვებოდა ჟინვალსა და იმ არემარეზე, ჭილაშვილთა მამულში გადმოსახლდებოდა და განსასვენებელთა ხილვა ჭმუნვით კი არ აგავსებდა, სწორედ სიცოცხლის მარადიულობას გინერგავდა, სკეპსისს არ განებებდა და თავისებურ ხიდად მოჩანდა იმ ათასგვარ ექსპონატთან მისახლებლად, რითაც სასახლის ოთახები გადავსებულიყო და ქართული კულტურის უძველესობას, თვითმყოფადობასა და დიდებულებას კიდევ ერთხელ ადასტურებდა, ასე თვალნათლივ და ხელშესახებდა.

ქრისტეს დაბადებამდე IV თუ V ათასწლეულის ნივთები ისე აწყვია, თითქოს აგერ ახლა შექმნილაო – ჭურჭელი თუ ქვის საბრძოლო და სამეურნეო იარაღები.

ეს რაღა?

ღვთაების გამოსახულებაც უპოვნიათ.

ვინ იცის, რა სიძველისაა.

მაგრამ ექსპედიციის ხელმძღვანელი:

– არა, არც ისე, სხვა ექსპონატებზე ბევრად ახალია – ძველი წელთაღრიცხვის XVII საუკუნეა.

და როგორ არ გაგახსენდეს პავლე ინგოროყვას „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვის“ ის პასაჟი, ქრისტიანობის განმტკიცების ჟამის ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს ახალი პერიოდის მწერლობად რომ მოიხსენიებდა.

ისეთი უშორესი ხანიდან შემოჰყოლოდა ჩვენი კულტურის ფესვებს, ისეთი დაბეჯითებით ალაგებდა ანტიკური ეპოქის ლიტერატურის სურათს, ქრისტეს აქეთ მეოთხე საუკუნე მართლა ახალი პერიოდი გახლდათ, სხვა რა უნდა ყოფილიყო.

ოთახებს რომ ჩამოივლი ისეთი მეგზურის გვერდით, ამ ექსპედიციების თავმჯინირული ხელმძღვანელი რომ ბრძანდება, მერამდენედ გაგიღვებ ფიქრი, რომ არქეოლოგიური რომანი ჩვენს მიწა-წყალზეც შეიძლება შეიქმნას. შეიძლება? აუცილებლად უნდა შეიქმნას.

ვერ გაუთვლიდა კერამის იმ თვალსაჩინო ქმნილებას – „ღმერთები, აკლდამები, მეციერები“ – ვერც შინაგანი სივრცით და ვერც სულიერ ძიებათა ინტენსივობით, უძველეს ცივილიზაციათა აღმოჩენები რომ მოიყოლეს თან და თვითონ ამ ავტორის სტილური მომხიბლაობა და სისადავეც არ არის ადვილი მისაღწევი. რა აუცილებელია, მთელს მსოფლიო მონაპოვარს შეუთანაბრდეს ქართული კულტურა, სავსებით კმარა, მის ერთ მშვენიერ ფერად რომ ვიგულისხმოთ, რომლის გამოკლებითაც გაღარბდება მსოფლიო ცივილიზაციათა სურათი; და ქართველ არქეოლოგთა ძიებანიც თავისთავად გიბიძგებს, სიუჟეტური ქარგა გამოუძებნო მინისქვეშეთისაკენ მათ დაუმცხრალ სწრაფვას და მზის გულზე გადახსნილ უძვირფასეს მონაპოვარს, რომლის ერთი ნაწილიც ჭილაშვილთა სასახლეში მომყუდროვებულა და მეგზურის წყალობით იმდენსა და ისეთებს მოგიტხრობს თვითეული ექსპონატი საკუთარ თავზე, ჩანერალა უნდა და არქეოლოგიური რომანის ერთი თავიც უკვე მზადაა.

იღუმალი ხიდი ქვიშხეთსა და დუშეთს შორის.

იმ ერთკვირიან დრო-ჟამში ხელშესახებდაც გამოკვეთილა ხიდის ორივე ბოლო, რაკილა ჯერ ქვიშხეთში აგვიკითხავს და მერე დუშეთში; და დავით მჭედლური ყიფიანთა სასახლეში წამდაუნწმ რომ ახსენებდა ჭილაშვილთა

სამკვიდროს, აქ სულ ყიფიანები და ქვიშხეთი აკერია პირზე. მაშინ ხაშურში გვქონდა შეხვედრა მკითხველთან და სულ არ გაგვეკვირვებია ახალგაზრდების საკმაო განათლება და ლიტერატურული სიახლეებისაკენ სწრაფვის ნყურვილი – ისეთი აღმზრდელები ადგანან და ისეთი კერძო ბიბლიოთეკებისათვის მოუყრიათ თავი, სხვაგვარად წარმოდგენელიც იქნებოდა, აღმზრდელები, რომელთა ესთეტიზმი ყველგან იგრძნობა, რასაც ხელს მოჰკიდებენ, და ამიტომაცაა, ვთქვათ, მურად მთვარელიძის პატარა ბაღს რომ მიმოვივლი, თითქოს ხელოვნების ნიმუშია და პოემასავით გადაიკითხავ იმასაც.

ქვიშხეთში იქიდან ავირბენდით, თორემ წლებია ვერაფრით ვერ ვპოულობდით დროს ბორჯომისა თუ ახალციხისაკენ მიმავალი, ერთი-ორი წუთით აქაც მომეთქვა სული, სულ სახვალოდ ვდებდი და ვერა და ვერ შემეველო თვალი ხელახლა ჩემი ბავშვობის შთაბეჭდილებებისათვის.

ჭილაშვილთა სასახლეში მიხა ხელაშვილის ხსოვნის საღამოს გავმართავთ, მერე ფოთოლათ მერცხალას პოეტური კრებული გაგვიხდება მიზეზი ამ თავის დროზე განთქმული ფშაველი მელექისათვის პატივის მისაგებად. ამ მხრივაც უნდა გამოცოცხლდეს და გახალისდეს ეს გარემო, ყმანვილებმა – წვიმასა და გამთოშავ სიცივეში რომ ამოსულან ამ მალღობზე – აქ ბევრი რამ უნდა შეიტყონ იმ დრამატულსა თუ ტრაგიკულ ხანაზეც, მეოცე საუკუნის დასაწყისი რომ დარქმევია და იმ თავგანწირული ბრძოლითაც აღბეჭდილა, დიდი კულტურის გადარჩენას რომ შეჰფერის – ბრძოლას იარაღითაც და სულიერი გაუტეხლობითაც, ერთ-ერთ სიმბოლოდ მიხა ხელაშვილიც რომ შემორჩენია პირუთვნელ მატთანეს და ბედისწერით ანტიკურ გმირებს შეეტოლებოდა – მისი ტრაგიკული აღსასრული და ცხედრის თავგადასავალი იქნებ ამიტომაც გვაგონებს სოფოკლეს „ანტიგონეს“ სიუჟეტს.

დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსაო, – ხალხური ლექსის მდინარეებსა შეერწყმოდა მისი ის ტკივილიც, ქაქუცა ჩოლოყაშვილიც რომ დაესევდინებინა და მიხას ჰპირდებოდა, თუ მშვიდობა იქნა, უნივერსიტეტში უნდა გასწავლო.

ჯერ ხევზუვებს და ტყეებს შეფარებოდა ორივე და მათი უნივერსიტეტიც ეს გახლდათ. ჩარგლის ზემო ტყემდე ლევან რაზიკაშვილი მიაცილებდა ქაქუცას, იქ მიხა ხელაშვილი დახვდებოდათ და ახლა ის გაუძღვებოდა თუშეთისაკენ. – უნივერსიტეტი ჩემზე იყოსო, – კვლავ თავისას უმეორებდა უკვე ლეგენდაში გადასული გმირი.

ამ ამბებს ტრისტან მახაური გაიხსენებს, მემუარული ჩანანერები თუ სხვა დოკუმენტური წყაროები უპყრია ხელთ, გადმოცემებსაც იშველიებს და ისე ნაბიჯ-ნაბიჯ აღადგენს მიხას ცხოვრების ქრონიკას, წლები და დღეები კი არა, ალაგ-ალაგ საათებსა და წუთებსაც გამოურევს – ზუსტად ამ დროს მოხდა, შვიდს რომ თხუთმეტი წუთი აკლდაო, ლამის სამის ნახევარზეო... და გამოცემებს კი სულ გვერდ-გვერდობით იმონმებს.

ეთერ თათარაიძის გამოსვლა მცირე პოეტურ ზეიმს დაემსგავსება, მცირეს იმიტომ, ხსოვნის საღამოა და თავის შეხვედრად ვერ გადააქცევს პოეზიის მოყვარულებთან. არადა, ძალიან სთხოვენ – ერთიც, ერთიცო... და გა-

რედაქტორის გვირდი

მოსავალს იმით იპოვნის, რომ ამ ლირიკულ ციკლს მისას მიუძღვნის, მის სახელობაზე წაიკითხავს და დამსწრეთ კი აღუთქვამს, ისე როგორ იქნება, საგანგებოდაც არ გესტუმროთო.

ამირან არაბულის, დავით მჭედლოურის, ჩემი სიტყვები თავისთავად, დუშელი პედაგოგებიც მონდომებით ჩაერთვიან – ეს მისას ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდით, ეს მისი ლექსებით; და ამ ყოველივეს ბაბუა აღუდაური წარმართავს საკმაო ოსტატობით, თან ფოტოსურათების გადაღებასაც რომ ასწრებს – ჩვენს კალმასობათა ფოტომატიანის ციკლის კიდევ ერთ მომხიბლავ რგოლს ჰქმნის და ავსებს მურმან ჩაჩუასა და ირაკლი ბლუიშვილის ფოტომატიანეთა ამ რკალს.

რამინ რამიშვილმა უნდა მოათავოს ლიტერატურული თავყრილობა და ჯერ ისტორიის სანახებსა თუ კულისებში რომ შეგვახედებს და ათასწლეულებს გადაგვიშლის თვალწინ, მერე იმ დარბაზშიც შეგვიპატიჟებს, გრიგოლ ორბელიანს რომ უყვარდა თამაძობა და დიმიტრი ყიფიანს შესჩიოდა: ავსუს, რა განათლების მინისტრი გვეყოლებოდა და იაკობ გოგებაშვილი მის გზას გააგრძელებდა

და გააღრმავებდა, თვითონ კი აღარ მოუხდებოდა ყველაფრის შექმნაო.

– რა უცნაურად აენყო ჩემი ბიოგრაფია, მაინცდამაინც პატიმრობით შემოვდგი ფეხი ცხოვრებაში, კიდევ კარგი, ასეთი რამ აღარასოდეს მემუქრებაო, – გაჰკრავდა გულში ქვიშხეთელ მებატონესა და ახალი რეჟიმისაგან უკვე საკმაოდ დაფასებულ მოხელეს, – ისე კი ყოველ ათ წელიწადში ვინმემ თავი მსხვერპლად თუ არ განირა, ქვეყანას ძალიან გაუძნელდება არსებობა და, ვინ იცის, რა მოელოდეს ჩვენს თვითმყოფადობას გადაგვარებულ ჩინოვნიკთა ხელშიო.

– გელაპარაკები და შენ კი სულ სხვა რაღაცას ფიქრობო, – ხუმრობით შეუნყრებოდა გრიგოლ ორბელიანი.

... მათი აშლის შემდეგ თითქოს ხელუხლებლად დარჩენილიყოს ყველაფერი დიდ მოლოდინში.

ბოლოსდაბოლოს, დიდი მოლოდინის მოტივი განა გრიგოლ ორბელიანს არ შემოეტანა ჩვენს მწერლობაში? მესიანისტური სწრაფვისათვის პოეტური გარსი მიენიჭებინა და ახალთაობისათვის გადაეუბარებინა: თქვენი ნდობა როგორ შეიძლება, მაგრამ უთქვენოდაც რომ არაფერი გამოვაო?!

ჩვენი ყოფა, წუთისყოფა

შოთა ახლოური

დემოკრატია – ხალხის მმართველობა

რა არის და რას მოიცავს, რას გვაძლევს, რას მოითხოვს და რას წარმოადგენს ის დემოკრატია, დღეს რომ გვთავაზობენ.

დიდი სიამოვნებით დავინყებდი ამ საკითხის განხილვას, ზემოთმოყვანილი ბოლო დებულებიდან, იმიტომ, რომ ხშირად ნაწარმოების ბოლო ფურცლებზე ჩანს ის, რისი თქმაც ავტორს სურს. მაგრამ მივყვეთ თანამიმდევრულად, პირველ რიგში შევეცდები არ გამოვიყენო ტექნიკურ-აკადემიური ტერმინები და ამით მკითხველი ზედმეტად არ დავტვირთო. ვაზროვნებ, ესე იგი ვცოცხლობ (დეკარტი). ეს ფრაზა და მისი შინაარსის განხორციელება არის უტყუარი ნიშანი და წინაპირობა ადამიანის ჭეშმარიტებამდე მისვლისათვის. რადგანაც ადამიანი, რომელიც აზროვნებს და აზროვნებით ათვისებინებებს თავის მდგომარეობას, აღნიშნულ დროში, ეკონომიკურ-პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის ავკარგიანობით, ახლოსაა რეალობის აღქმის წერტილთან. ვინ ვართ ჩვენ? ვფიქრობ, ეს კითხვა და შემდეგიც, რა ვაკეთოთ? იარსებებს კაცობრიობის ბოლო წერტილამდე. საინტერესოა მხოლოდ ერთი, ამ კითხვის ავტორები, ჩვენს შემთხვევაში ვართ რუსთაველის და არა მხოლოდ

მისი შთამომავლები. აქ არ დავინყებთ პოემის გარჩევას, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის მოვიხმობ ერთ სტროფს:

**მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა რგულია,
უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია;
სმა-ჭამა, – დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?
რასაცა გასცემ – შენია, რაც არა – დაკარგულია!**

ძირითადი, რისი თქმაც მსურს და რაზეც მინდა შეგაჩერო თქვენი ძვირფასი დრო და ყურადღება, ეს არის სულ სამი მინიმუმ წინადადება და მაქსიმუმ მცნება. სანამ განვიხილავ ამ წინადადებებს, მინდა გითხრა, რომ ადამიანი ნებით თუ უნებლიედ მოწყვეტილი თავის ისტორიულ წარსულს ანმყოში მომაგონებს იმ ხის კენწეროებს, ოდნავი სიოც რომ ხრის და აკრთობს და რომ არა ხის მძლავრი ტოტები და ძარღვიანი ფესვი, უმალ მიწაზე აღმოჩნდებოდა, და რამდენადაც დამყოლია ნიავეზე ან ქარიშხალზე ნორჩი ყლორტი, იმდენად მყარია მისი ფესვი და სწორედ მაშინ ნადგურდება ხე, როდესაც ქარიშხალი მთლიანად მოგლეჯს მას. ადამიანი ისტორიული წარსულის გარეშე, თავიდანვე შევთანხმდეთ, არის სიცარიელესა და გაურკვეველობაში და ისეთი მახასიათებელი გრძნობა, როგორც პატრიოტიზმი, თითქმის მინიმუმამდეა შემცირებული. ეს უკეთეს შემთხვევაში, და საერთოდ არ ჩანს – ეს უარეს შემთხვევაში. რამდენადაც გონიერება ნაკლოვანია პატრიოტიზმის გარეშე, იმდენად განწირულია პატრიოტიზმი აზროვნების გარეშე. და ეს იმიტომ, რომ პატრიოტიზმი – ეს გრძნობაა. ეს არის გრძნობა ლტოლვისა სიყვარულისაკენ, ისეთი სიმბოლოებისადმი, როგორცაა სამშობლო, დედაენა, სარწმუნოება, ერის ისტორია და მრავალი სხვა. გრძნობები, რომლებიც აუცილებელ გონებრივ წვდომას და რიგ შემთხვევა-

ში ანალიზს მოითხოვენ. ცნობილია, დემოკრატიის აკვანის საბერძნეთში დაირწა და იდეალური ქალაქი სწორედ აქ ვიხილეთ, პლატონის უტოპიაში. როდესაც მას ჰკითხეს, გვიჩვენე შენი იდეალური ქალაქი, მან უპასუხა, ის ახლა ჩემშია და მაშინ, როდესაც მე ამაზე ვსაუბრობ. აქ ძნელია არ გაგაოცოს აზრის სიმაღლემ. ამავე აკვანში აისახა პატრიოტიზმი არისტოტელესთან. ძვირფასო მკითხველო! თავს არ შეგანყენო, უბრალოდ შეეცადე თქვენთვის ისედაც ცნობილი კიდევ ერთხელ გამემოთხრობინა, რამეთუ ნათქვამია, გამეორება ცოდნის დედაა. XIX საუკუნის ერთ-ერთი მოაზროვნე, ჩაადაევი, ასე მიგვანიშნებს: სულ სხვაა სახე სამხრეთელისა და სხვაა – ჩვენი თანამემამულისა. მან სამხრეთელის სახეში დაინახა მეტი გრძნობა და მეტი მეტყველება და აქედან სიცოცხლის სიყვარულის ნიშნები. რა ნიშნით მოვიდა დემოკრატია ჩვენთან, განვმარტოთ: დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი გრძნობადი ურთიერთობებია, კერძოდ, სიყვარული, სიძულელი, სიხარული და მრავალი სხვა და საზოგადოების მიზანი ადამიანის ზნეობრივი და მორალური ამაღლება. მამარდაშვილი, და არა მარტო ის, აღნიშნავდა, რომ ქრისტე ყოველდღე უნდა იშვას ჩვენში. იგივე მოაზროვნე სხვა ადგილას გვთავაზობს: სადაც ჩერდება მორწმუნე, იქ აგრძელებს ფილოსოფოსი, არა იმიტომ, რომ ფილოსოფოსი მორწმუნე არ არის, არამედ იმიტომ, რომ ფილოსოფოსი – ფილოსოფოსია. ეს იგივეობა (ტავტოლოგია) ხშირად გვხვდება აღნიშნული მოაზროვნის გამონათქვამებში. თქვენი მონა-მორჩილი, გაგვადნიერდები და გეტყვით შემდეგს: ქრისტეს შობა უდიდესი მადლია, მაგრამ მისია მისი, ქრისტესი, არის ჯვარცმა, ბრწყინვალე აღდგომა და ამაღლება და შედეგი ჩვენი სულის გადარჩენის იმედი. იმედი, რომლის მიცემითაც ხშირად ექიმი საიქიოსკენ გადადებულ ავადმყოფს, სააქაოსკენ აბრუნებს. აქ მახსენდება „ვიხილე ღვთის ყოველი საქმე, რომ ვერ მიხვდება ადამიანი ვერაფერ საქმეს, რაც მზის ქვეშ ხდება; რაც უნდა დაშვრეს და იძიოს, ვერას მიხვდება, თუნდაც ბრძენ-კაცმა თქვას: მიხვდით, ვერას მიხვდება“ (ეკლესიასტე, თავი 8, პარაგრაფი 17). ერთადერთი პოეტური და ღრმა ამქვეყნად ეკლესიაა. ღმერთო, რა უაზრობა იყო, რომ 11 წელი ყოველ ღონეს ვხმარობდი, რათა იგი დამენგრია და რა კარგია, რომ არაფერი გამომივიდა. რა იქნებოდა დედამინა ეკლესიის გარეშე? ის უცებ დაკარგავდა აზრს და გაცივდებოდა. ამ სიტყვების ავტორი არის არა რიგითი, არამედ ერთ-ერთი აღიარებული რუსი მოაზროვნე, რომელიც ყოველდღე ემსახურებდა, პირველი ნაწარმოებიდან დაწყებული, ყოველ წამს ლანძღავდა და ლაფს ასხამდა ეკლესიას. შემდეგ: „რაოდენ ფუჭია „ჩემი ამბოხი ქრისტის წინააღმდეგ“ მე სწორად უნდა მეცხოვრა და ამისთვის შესანიშნავი პირობები გამაჩნდა. (20 წელი). მაგრამ მე ყველაფერი წავახდინე ჩემი „თხზულებებით“. უბადრუკი მთხზველი, არსებითად არავის რომ არ სჭირდება და ახიცა რომ არავის სჭირდება“.

ვასილი როზანოვი, თავის ყოფის ბოლო წერტილში აღსარებით და ნაზიარები გავიდა ამ სოფლიდან და მათ, ვისაც განზრახული აქვთ გმობა ქრისტესი, ფარული თუ ღია, შევთავაზებდი წაეკითხა ამ ავტორის თხზულებანი და დაინახავენ, პირველ რიგში, თავისი მკრეხელური აზ-

რების უსუსურობას, იმ საშინელ მკრეხელობასთან, რასაც აღნიშნული მოაზროვნე ქადაგებდა, და შემდეგ ზემოთ მოყვანილი ფრაზების გააზრებას. ღმერთო კიდევ რამდენჯერ უნდა დამარცხდეს ქრისტესთან და მის ეკლესიასთან მებრძოლი, რომ შეჩერდეს. ალბათ იმდენჯერ, რამდენი თაობაც შობილა და დაიბადება მომავალში. სადაც კი ითქვა სახელი ქრისტესი, ის თავისთავად იზიდავს ადამიანებს, რა საქმესაც არ უნდა მისდევდეს და რა ნოდებასაც არ უნდა ფლობდნენ საზოგადოებაში ისინი. და ამ რელიგიის ჭეშმარიტებაზე არაფერი ისე არ მეტყველებს, როგორც მისი ერთ-ერთი მახასიათებელი, აბსოლუტური საყოველთაობა. და აქედან გამომდინარე, იგი მრავალი საშუალებით მკვიდრდება ჩვენს გულებში, შეუცნობლად იპყრობს ჩვენს გონებას, და მაშინაც კი, როცა ჩვენ უკიდურესად ვენიანაღმდეგებით მას, ჩვენზე მეუფებს და შთაგვაგონებს იმ გრძნობებს, რა გრძნობებიც ჩვენ შეუცნობლად გვიბიძგებს დავიკავოთ ჩვენი ადგილი საერთო მწყობრში და არა საერთო ქაოსში. აი, ამით განსაზღვრავს იგი ყოველივე ინდივიდუალურს და მოგვმართავს ჩვენ საერთო მიზნისაკენ. არ არის გამორიცხული, რომ გამოჩნდნენ ადამიანები და გვიქადაგონ მისწრაფება არა ჭეშმარიტებისაკენ, არამედ ინტერესებისაკენ და მალა დავაყენოთ არა ღვთიური, არამედ ადამიანური. „რალაცის“ სანაცვლოდ შემოგვთავაზონ ჩვენი მატერიალური კეთილდღეობისა და ჩვენი ბედნიერების განხორციელება. მაგრამ როგორც კი ინტერესებს დავაყენებთ ჭეშმარიტებაზე მალა და ადამიანურს ღვთაებრივზე მალა, კიდევ კარგა ხანს მოგვინევს უდაბნოში ბოდილი. თუ ჩვენ ქრისტიანობას ისე შევხედავთ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მაშინ აღმოვჩინებთ, რომ ქრისტეს თითოეული გამონათქვამი, ჭეშმარიტებაა. და აი აქ დავინახავთ სწორედ მის ყოველდღიურებას, ძალას მისი ყოველისშემძლე მარჯვენისას, მომართულს ჩვენს შემოსაბრუნებლად ჩვენი დანიშნულებისაკენ და ეს ხდება ისე, რომ ხელუხლებელი რჩება ჩვენი თავისუფლება, და პირველ რიგში, თავისუფალი ნება, თავისუფალი არჩევანისა. აი აქ არის თვალში საცემი, რომ არცერთი ზნეობრივი ელემენტი არ რჩება უმოქმედო და თითოეული ჩვენთაგანი, ვპოულობთ აქ ადგილს და ჩვენს დანიშნულებას. თუ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ქრისტიანობას შეუძლია ადამიანთა ინტერესები თავისად წარმოაჩინოს და მატერიალური მოთხოვნილებანი ზნეობრივით ჩაანაცვლოს. რა თქმა უნდა, მხოლოდ მას შეუძლია განახორციელოს უდიდესი გონებრივი ძვრები. და გამოინვიოს მძლავრი ბრძოლები ჩვენს რწმენაში. უდავოა, რომ ქრისტიანობაში და მხოლოდ მასში აისახება ყოველივე, ოჯახი და სამშობლო, წარმოსახვა და გონება, ჩვენი პირადი და საზოგადო ყოფიერება, ტკივილი და სიხარული, წარსული და მომავალი. და ეს არის უდიდესი ძვრები. მაგრამ ამ ქმედებათა ორომტრიალში ყველა არაა გულწრფელი. გავაგრძელოთ. „რადგანაც მონობის სული როდი მიგიღიათ, რომ კვლავინდებურად გეშინოდეთ, არამედ მიიღეთ ძეობის სული, რომლითაც ვლადებთ, აბბა, მამაო!

იგივე სული უმონმებს ჩვენს სულს, რომ ღმერთის შვილი ვართ, ხოლო თუ შვილი ვართ, მემკვიდრენიცა ვართ, ღმერთის მემკვიდრენი და ქრისტეს თანამემკვიდ-

რენი, თუკი მასთან ერთად ვეწვებით, რათა მასთან ერთად ვიდიდოთ“ (პავლე. რომაელთა მიმართ, თავი 8, აბზაცი 15). აი ვინ არის ადამიანი ქრისტესთან ერთად. ის საზოგადოება, როდესაც საქართველოში სიკვდილით დასჯა გაუქმებული იყო და საერთოდ ყოველგვარი სხეულებრივი წამება ადამიანისა სასტიკად იყო აკრძალული, ამასთან ის მატერიალური კეთილდღეობა, როდესაც აზნაურნი და უაზნონი, ანუ უბრალო მოქალაქენი თავიანთი მატერიალური კეთილდღეობიდან გამომდინარე, გარეგნულად ჩაცმულობით და ზნე-ჩვეულებებით ერთმანეთისგან არ განირჩეოდნენ, ჩვენ გავლილი და მივიწყებული გვაქვს, მაგრამ არა დავიწყებული. ეს იყო საზოგადოება, დაფუძნებული იმ სამ მცნებაზე, თავიდან რომ მოგახსენებო, რომელთაც სულ მალე განვიხილავთ. გავაგრძელოთ. „რაც ყოფილა იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება; არაფერია მზისქვეშეთში ახალი. ნახავენ რამეს და იტყვიან: აჰა ახალი. ესეც ყოფილა ჩვენს წინარე საუკუნეში“ (ეკლესიასტე, თავი 1, პ. 9-10). სოლომონ ბრძენი – ადამიანი, რომელმაც მიიღო ისეთი სიბრძნე, როგორც არც მანამდე ჰქონია ვინმეს და ვერც მის შემდეგ მიიღებს ვინმე. ვფიქრობ, არ უნდა ცდებოდეს, ვინაიდან ამ სიტყვების და ყველა სხვა სტროფთა წარმოთქმის მომენტში იმყოფებოდა იმ მდგომარეობაში, რასაც სამყაროს ღვთაებრივი შეცნობა შეიძლება დაერქვას. ვფიქრობ, თითოეულმა ჩვენთაგანმა ვიცით ჭეშმარიტი სიყვარულის ძალა, ვიცით სიყვარული ზნეობით მომართული, უკეთილშობილესი გრძნობა და ვიცით, ამ გრძნობით ამაღლებულ ადამიანს რამდენი სიქველე ჩაუდენია. მაგრამ მხოლოდ ერთი იყო, არის და იქნება, რომელიც ჩვენთვის, ჩვენი ცოდვების გამო, ჩვენი უკვდავი, მაგრამ ცოდვილი სულის სახსენლად, უცოდველი ჯვარს ეცვა, მოკვდა სხეულით, შემუსრა ბჭენი ჯოჯოხეთისანი, უქადაგა და მოიხზო მართალთა სულები სამოთხეში, მესამე დღეს აღდგა ხორციელად, ამაღლდა და ჩვენ მოგვცა უდიდესი იმედი სულის გადარჩენისა. ჩვენ ცოდვილნი ვართ, მაგრამ იმედი გვაქვს ქრისტეს მონყალებისა. უფალო შეგვიწყალებ!

გავიხსენოთ სახარების ის მომენტი, როდესაც რჯულის მოძღვარმა საცდუნებლად ჰკითხა იესოს, თუ როგორ მოეპოვებინა საუკუნო სიცოცხლე. იესომ კითხვით მიმართა: „და უთხრა მას: რა სწერია რჯულში? როგორ ამოიკითხავ? ხოლო მან პასუხად თქვა: გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, და მთელი შენი სულით, და მთელი შენი გონებით; და მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (ლუკა. თავი 10). „და უთხრა მას: სწორად მიპასუხე, ეგრე მოიქეცი და იცოცხლებ. ხოლო მან თავის გასამართლებლად ჰკითხა იესოს: კი მაგრამ, ვინ არის ჩემი მოყვასი?“ (ლუკა. თავი 10). აქ ვიკითხავ, რატომ თავის გასამართლებლად, იმიტომ ხომ არა, რომ გამოაშკარავდა იმისი საცდუნებელი, იმიტომ, რომ მან რჯულის მოძღვარმა იცოდა პასუხი, მაგრამ მაინც დასვა კითხვა. და აი აქ ქრისტეს იგავი კეთილ სამარიელზე. როდესაც კაცი იერუსალიმიდან იერიხონს მიდიოდა და ყაჩაღებს ჩაუფარდა ხელში, რომლებმაც გაძარცვეს, დაჭრეს და გაიქცნენ და ცოცხალმკვდარი დააგდეს. მისი სიკვდილის პირას ყოფნა დაინახეს ჯერ მღვდელმა და მერე ლევიტელმა. მაგრამ მათ გვერდი აუქციეს, და მხოლოდ ებ-

რელთაგან მოძულეებულმა სამარიელმა ჩამოიარა და შეიბრალა უპატრონო, სასტუმროში დატოვა, ორი დინარი სასტუმროს მეპატრონეს გადასცა და უთხრა, მიმიხედე და თუ რამე დასჭირდება, ჩამოვივლი და გადაგიხდით. და აი აქ დაისვა კითხვა იესოსაგან, რომელია მოყვასი ამ დაჭრილი და გადარჩენილი კაცისა. პასუხი: ის, ვინც მონყალება გამოიჩინა. აქ მოგახსენებთ მეორე მცნებას. გიყვარდეს მტერი შენი და დალოცვიდე მანყევართა შინთა. თითოეულ ჩვენთაგანში ძნელად თუ მოიპოვება ისეთი სიყვარული, რაზეც ზევით გვქონდა საუბარი. ამ იგავის შინაარსი ისიც არის, რომ ბუნებრივად, სანამ აღნიშნული ფაქტი მოხდებოდა, მოყვასი უნდა ყოფილიყო ან რჯულის მოღვარი ან ლევიტელი და არა სამარიელი. მაშინ რა ხდება, რას გვეუბნება ქრისტე. იმას ხომ არა, რომ ხშირად, მოყვასისადმი სიყვარულის არქონის გამო ჩვენ თვითონ ვართ რჯულის მოძღვრის ან ლევიტელის მდგომარეობაში და ამას ვერ ვაცნობიერებთ. ან ჩვენ ხომ არ ვართ ნომერი პირველი მტრები საკუთარი თავისათვის. მაგრამ რითი დავიწყოთ, ვიცით, რომ სიყვარული მოყვასისა და სიყვარული მტრისა ერთად აღებული, ეს არის თითქმის აბსოლუტური სიყვარული, მაგრამ ეს გრძნობა არ გავაჩნია, მეტიც, ხშირად შური და სიძულვილი იკავებს მის ადგილს, თუმცა ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ შური, სიძულვილი, ამპარტავნობა და ამგვარი გრძნობები დამლუპველია. ნუთუ ვერ ვგრძნობთ სიყვარულს, სასონარკვეთილებაში უნდა ჩავეარდეთ, მაგრამ არა, არის გამოსავალი! აი ესაა შემდეგი: მოექეცი სხვას ისე, როგორც შენ გინდა რომ მოგექცნენ. საოცარია უფალო შენი საქმენი, განუსაზღვრელია შენი მონყალება ჩვენს მიმართ. ამ სამი მცნებით და მრავალი წინააღმდეგობრივი საფეხურის გავლით მიიღწევა ჭეშმარიტება. ამ სამი მცნების ერთობით და არა ცალ-ცალკე. ერთობით იმიტომ, რომ უკანასკნელი მცნება მარტო აღებული მაზონისტისთვის ან ათასი რჯულის მწვალელებისთვის იქნებოდა საზოგადოებაში ბოროტების განხორციელების საბაბი. რა თქმა უნდა, ლტოლვა მატერიალური კეთილდღეობისაკენ ნორმალური მოთხოვნაა, თუკი დადგე ფიქრი შვილების მომავალზე, მაგრამ ჩვენი ყოფიერება მხოლოდ მატერიალური მხრიდან რომ განვიხილოთ, მაშინ უამრავი სახელმწიფოა დღეს არაქრისტიანული და ამასთან ეკონომიკურად ძლიერი. რად გვინდა დედამინის სიმდიდრეც კი თუ სულს დავიღუპავთ.

ძვირფასო მკითხველო, ამ წერილში შევეცადე თქვენთან ერთად მეაზროვნა რიგ საკითხებზე. ასე იმიტომ გავკადნიერდი, რომ დღევანდელი რეაქტიულად აჩქარებული მსოფლიო, თითქოს რალაციის მოლოდინში, ბევრ რამეს მაფიქრებინებს. უბრალოდ ვიცი, რომ ანმყოფი გადადგმული სწორი ნაბიჯი ციხე-სიმაგრეა მომავლისათვის. რეალურად მიმანია, ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ მორალზე დაყრდნობით, ჩვენი ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებითა და ჭეშმარიტი დემოკრატიული პრინციპებით სრულყოფილებისაკენ მიმართული საზოგადოების ჩამოყალიბება. იმ შემთხვევაში თუ ჩვენ გავერკვევით მტერ-მოყვასში, მოვიხმობთ სიყვარულს და ჩვენს პირობით მონინააღმდეგეზე ერთით მეტ სვლას გავითვალისწინებთ და აუცილებლად, აუცილებლად, აუცილებლად მივუტევებთ.

ჰოეტური კონტაქტი დროსთან

*

საუბარი დათო ჩხლაქიასთან

- რას საქმიანობს დღეს დათო ჩხლაქი ამერიკაში?
- ვაკეთებ ფილმებს თეატრისთვის.
- როგორია შენი ჩვეულებრივი დღილა. მინდა წარმოვიდგინო.

- არაჩვეულებრივია დღილა, ისეთივე, როგორც ყველა ანუ არანორმალური ადამიანის.

- შენი პირველი ლექსები 80-იანი წლების დასაწყისში დაიბეჭდა. ალბათ, პირადი ფასეულობანიც თანდათან გამოიკვეთა. თუმცა შენს სახელს 90-იანელთა გვერდით ხშირად ახსენებენ. თვითონ როგორ მოიაზრებ საკუთარ თავს?

- მე ვეკუთვნი ბადრი გუგუშვილის, თამაზ ბაძაღუას, ნინო დარბაისელის (პოეტთა მხრივ) და მამუკა ცეცხლაძის, ნიკო ლომაშვილის, შალვა ფანცულაიას (არტიტთა მხრივ) თაობას, რომელიც 80-იანი წლების მეორე ნახევარში დადგინდა. ყველაზე მნიშვნელოვანი საგამოფენო პრეზენტაციები, როგორც პოეტს, ამ პერიოდში მქონდა, რომლის დაბოლოებაც იყო 1992 წელს „მეტროს“ პრეზენტაცია უკვე 90-იანელ პოეტებთან ერთად – ზურაბ რთველიაშვილთან, შოთა იათაშვილთან და გიორგი ბუნდოვანთან. ამის შემდეგ მხოლოდ ლექსებს ვაქვეყნებდი პერიოდიკაში. ალბათ, ორივეს ვეკუთვნი – 80-90.

- პერიოდიზაცია ხელოვნებაში, ეპოქალური დაყოფა, ვთქვათ, 80-იანელები, 90-იანელები და ა.შ. ლიტერატურაში ძალიან პირობითი ხომ არ არის, რამაც შეიძლება დროს ვერ გაუძღოს?

- თვითონ ნაწარმოებისთვის ამას შეიძლება დღესვე არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნდეს. მაგრამ ხელოვნების ისტორიისთვის ეს აუცილებელი იქნება. ისტორია, ალბათ, ვერც იარსებებს პერიოდიზაციის გარეშე. იმას მაინც ხომ იტყვიან, რომელ საუკუნეში ცხოვრობდა ესა თუ ის ხელოვანი.

- არსებობს მდიდარი ეთნოგრაფიული ლიტერატურა უცხოელის თვალთ დანახულ საქართველოზე – სტრაბონი, კასტელი, დიუმა... ბოლო ხანებში ნეი სმიტი. საინტერესოა, უცხოეთში მცხოვრები ქართველების მიერ თუ ტარდება მსგავსი კვლევა უცხოეთში: უცხო თვალის მომენტი, ანუ რას ხედავ ამერიკის კულტურულ გარემოში?

- სიმულაკრა არის ყველგან, ნებისმიერ დასავლელ ადამიანში, რაზეც ჩვენი მენტალიტეტი ვერასოდეს გადაერთვება. ამერიკაში კი მწვერვალია. აქ არ არის ისეთი ემოციები და უშუალობა, აქ ადამიანი გაუცხოებულია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ნაწილობრივ, ეს შეიძლება უკვე ჩემშიც არსებობს.

- შენი კრებული „კნიგა რეალნოსტი“ წარმოადგენს გარკვეულ ექსპერიმენტს ლექსის სტრუქტურულ აღნაგობაში. ესაა მცდელობა სიტყვის პირველადი მნიშვნელობის მიღმა პოეზიის დანახვისა, რეალური დიალოგი ადამიანებთან, ბუნებასთან. წარმოადგენს თუ არა ფანტაზია ია-

რალს, რითაც ებრძვი ცხოვრების რეალობას?

- „კნიგა რეალნოსტი“ მანქანური ფანტაზიის ნაყოფია. ის თითქმის მთლიანად სალექსიკონო მექანიკური ოპერაციებით არის შედგენილი, გარდა ლექსების სათაურებისა. შეიძლება მოთავსდეს წარმოსახვითი ჰაიკუს კატეგორიაში, რომელსაც სათავე ბუსონმა დაუდო, ბასიოს რეალისტური ტრადიციისგან განსხვავებით.

- „საკმარისია რაღაც პროცენტით თავისუფლება იგრძნონ შენში, მაშინვე გამოგაცხადებენ ან კომუნისტად, ან გიჟად, ან პოლიტიკურად სხვა პლატფორმაზე მყოფად, თითქოს ესენი თავისთავად დისკრედიტაცია იყოს. თან პირდაპირ არ გამოგაცხადებენ, რადგან თვითონაც წინასწარ გრძნობენ დისკუსიაში საკუთარ წარუმატებლობას, არამედ ახალი მეთოდებით, ნართაულით, ორაზროვნებით“ – ეს ხდება დღევანდელ საქართველოში. მაგრამ არის კი სადმე სხვაგვარად, სადაც ინდივიდი იგრძნობს თავისუფლებას?

- ვიღჰქვამ რაიხის უხემ პერიფრაზს გამოვიყენებ: თავისუფლება იქ მეტია, სადაც ეროტიკული თავისუფლება მაღალია.

- ეროტიკული თავისუფლების მაღალი ხარისხი რამდენად განაპირობებს ლიტერატურული ქმნილების ღირებულებას? თუ შეგიძლია, დამისახელე ამგვარი თავისუფლებით აღბეჭდილი მაღალმხატვრული ნაწარმოებები.

- ის, რაც განაპირობებს, აუცილებელი არ არის, ჩანდეს. ამიტომაც საილუსტრაციო მაგალითების მოყვანა აქ შეიძლება მთლად საინტერესო არ იყოს. მაინც, ქართულ პოეზიას გააჩნია ხილული ტრადიცია ასეთი ღირისის, ვთქვათ, ბესიკის მაგალითზე. მეორე მხრივ, ცხადია, არსებობს ეროტიკული ნაწარმოებები, არა მარტო ბულვარული, არამედ ცნობილი პოეტებისა და მწერლების, როგორც არის ალენ გინზბერგის „მოდო, ჯეკ“, ან ჰენრი მილერის პროზის უმეტესი ნაწილი. მაგალითების მოყვანა, ვიმეორებ, მრავლად შეიძლება, მაგრამ ეს მაინც თემის მხოლოდ ნაწილობრივ გახსნად დარჩება, რადგან ის, რაც აქ მთავარია, ხშირად სწორხაზოვნად არ გამოჩნდება.

- აქვე საინტერესოა შენი აზრი „ენობრივი პოეზიის“ შესახებ, მაგალითად, უახლესი კულტურული პროცესების გაანალიზება გახსნილი სივრცის და არსებული სოციალური რეალობის ფონზე. რა აზრის ხარ თანამედროვე ქართულ ხელოვნებაზე?

- თანამედროვე ქართულ ხელოვნებას აკლია კონკრეტულ რეალობასთან, დროსთან პოეტური კონტაქტი. მისი ფილმები აღსავსეა იდეალისტური და ფილოსოფიურ-სიმბოლური სიმბიოზებით. „ენობრივი პოეზია“ საქართველოში ძალიან ცოტაა – დათო ბარბაქაძე, ნინო დარბაისელი.

- უმბერტო ეკოს ეკუთვნის აზრი: “ზიზლიოთეკებს ღმერთის ვაკანსია შეუძლიათ დაიკავონ”. თუმცა საეჭვოა ნიგნის მომავალი – გააუქმებს თუ არა ჰიპერტექსტუალური დისკეტები, ინტერნეტი, მულტიმედიაისტემები ნიგნებს, ესე იგი, გაქრება თუ არა ნიგნები როგორც ფიზიკუ-



რი ობიექტები, და გაქრება თუ არა წიგნები როგორც ვირტუალური ობიექტები?

– ინტერნეტი არასოდეს გააუქმებს წიგნს, ფილმს, თეატრს, მუსიკას – თუმცა მათი რეპროდუქციები შეიძლება წარმოადგინოს. ტელევიზიაც „ემტერებოდა“ კინოს, ფოტოგრაფია – ნახატს, ახლა ინტერნეტი – წიგნს. ეს არარეალური პრობლემაა. ამერიკაში წიგნის უზარმაზარი სუპერმარკეტები არსებობს ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

– **ამავე მექანიზმით შესაძლებელია ახალი ტექსტების გამოგონება, უკვე არსებული ტექსტების ინტერპრეტაცია. გავიხსენოთ იტალიური „კომედია დელ არტე“ – ყოველი სპექტაკლის დროს ამბის ძირითადი ქარგა იცვლებოდა მსახიობთა განწყობილებისა და ფანტაზიის შესაბამისად. ისე, რომ ერთადერთი ნაწარმოების ერთადერთი ავტორის მითითება ძნელი იყო. ანდა ჯაზური იმპროვიზაციების მაგალითზე – ყოველი ახალი კოლექტივი ქმნის საწყისი თემის ახლებურ ვარიანტს. ჩვენ უკვე შევევეუთ იდეას არასავტორო ხალხური შემოქმედების შესახებ. შესაძლებელია თუ არა საავტორო ლიტერატურისა და ხელოვნების გაუქმება?**

– ვიდრე იარსებებს ობიექტი, ანუ ნაწარმოები, იარსებებს სუბიექტიც, ანუ მისი ავტორი. იმპროვიზაცია მრავალი სახისა არსებობს და ყველას საკუთარი რეგულაციები აქვს. მოსკოვური კონცერტულიზმის მეტრმა ვსევოლოდ ნეკრასოვმა თქვა: „თუ ავტორი არ არსებობს, მაშინ ჩემზე რას იტყოდით?“

– **წინა შეკითხვას უკავშირდება: „მოდერნიზებული და უფრო ძველი პოეზია და პროზა დღეისთვის მკვდარია, გარდა პოსტმოდერნიზებული ლიტერატურისა“, თუმცა ძნელი სათქმელია...**

– მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ვიზუალური ან არქივული აღქმების კონტექსტში ლიტერატურული ფსიქოლოგია ძალიან ძნელად ინარჩუნებდა აქტუალურ ადგილს. სწორედ აქ შეიძლება ის მიმართავდეს ან ჰიპერტექსტს ან ლიტერატურის მიღმიერ ან სხვა პოსტმოდერნიზებულ პრაქტიკებს. მე მგონი, ეს შეიცვლება.

– **ცნობილი სიბრძნეა: შემოქმედად გახდომა იმას ძალუძს, ვისაც აქვს საკუთარი რელიგია და ვინც უსასრულობას ორიგინალურად ჭვრეტს. რელიგია მარტოოდენ განათლებისა და კაცობრიობის ნაწილი არ არის. შემოქმედი ადამიანისთვის, ალბათ, თანდაყოლილ უნართან ერთად, მნიშვნელოვანია ის სულიერი გზები, ეტაპები, რასაც ცხოვრების მანძილზე გადის და რაც მის, როგორც შემოქმედის, სახეს განაპირობებს. შენთვის დღემდე როგორი იყო ეს გზა?**

– ვერაფერს გეტყვი, ზეპირად არ მახსოვს.

– **ბრუკლინში შენი ამჟამინდელი სამუშაოს – თეატრის, სახელწოდებით „ქურდების თეატრი“, სპექტაკლის კადრებმა შესუსტა მაგიური თეატრი გამახსენა, სადაც „ყველას არ შეესვლება“. მაყურებელი მზად უნდა იყოს სპექტაკლის „ნასაკითხად“, ანუ უნდა შედგეს დიალოგი. „ადამიანი აზროვნებს დიალოგის ფორმით და მას სხვა მოდელის ალტერნატივა არ გააჩნია“. რონალ ბარტის თვალსაზრისით კი, რაც მრავალგზის გაიმეორეს, მკითხველი, ანუ ყოველი ცალკეული წაკითხვა აფორმებს ტექსტს. ანუ არსებობს სპექტაკლის თუ ნაწარმოების იმდენი ვარიანტი, რამდენი წამკითხველიც ჰყავს. ეს, ალბათ, დიალოგთან ასოცირდება. ორი სიტყვით ამ სინთეზზე...**

– მაინცდამაინც არ ვეთანხმები ამ პოსტმოდერნიზებულ თეზისებს. ანბანში ყველა ასო ყველასთვის ერთნაირად იკითხება და ერთი შესატყვისი ბგერა აქვს. „კ“ ყველასთვის არის „კ“, „ლ“ ყველასთვის არის „ლ“. ასევე სიტყვებიც: ვაშლი ყველასთვის ვაშლია და არანაირი სხვადასხვა ნაკითხვა არც ამ დონეზე არსებობს. ვთქვათ, „ვაშლი დამნიფდა“, აქაც ერთადერთი ნაკითხვაა და შინაარსი. „ელენმა დამნიფებული ვაშლი გადაადგო“, აქ შეიძლება გაჩნდეს სხვადასხვა აღქმა, რომ ელენი გაბრაზებული იყო, ან თამაშობდა, ან რალაც მიზანი ჰქონდა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოები კონტექსტს არ დააკონკრეტებს, რაც უმეტეს შემთხვევაში ხდება კიდეც, გარდა აბსტრაქტული ნაწარმოებებისა. მაინც, თვით აბსტრაქტულ ნაწარმოებებშიც აღქმა შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგრამ ნაკითხვა უცვლელი იქნება, რადგან ყველაფერი კონკრეტულ ანბანს ეფუძნება. აქედან გამომდინარე, ჩემთვის პირადად ეს თეორია არ მუშაობს. ყველა სხვადასხვანაირად რომ კითხულობდეს, ეს დიდი პრობლემა იქნებოდა ურთიერთობაში. მაშინ დიალოგსაც აზრი დაეკარგებოდა. მე უფრო მიხილბახტინის დიალოგიზმის მიმდევარი ვარ. მჯერა, რომ დიალოგი ნარმომქმნის და ატარებს ბუნებრივ, მაგრამ კონკრეტულ შინაარსებს.

რაც შეეხება „ქურდების თეატრს“, მე მათთან ერთ სპექტაკლში ვითანამშრომლე, როგორც დრამატურგმა. ჩვენი, დრამატურგების, მსახიობებისა და რეჟისორის, სახელები ანონიმური იყო საზოგადოებისთვის. ამჯერად კი, რადგან ჩემს თავს შენთან უნებლიეთ ვამჟღავნებ, სანაცვლოდ არ დავასახელებ სპექტაკლის სახელწოდებას, რათა შეთანხმება ამით მაინც დავიცვა. პარადოქსია, მაგრამ ეს სპექტაკლი სწორედ შენ მიერ ნახსენები ბარტისეული კონცეფციით გაკეთდა, როდესაც რეჟისორმა რამდენიმე დრამატურგის ტექსტი საკუთარი სურვილის მიხედვით დაამონტაჟა და მერე მსახიობებმაც, საკუთარი სურვილით ამორჩეული ფრაგმენტებით, ახალი შინაარსი მიანიჭეს. იქ მყოფი ვიზუალური არტისტები ასევე დაკავშირებული იყვნენ სწორედ შინაარსის შექმნის პროცესთან. ეს ნაწარმოები აბსტრაქტული გამოვიდა და აქ შეიძლება ბარტის თეორია მართლდებოდეს. ოღონდ ეს ყველაფერი ფილადელფიაში მოხდა და არა საფრანგეთში.

– **შენ მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწევი. რას აკეთებ ამჟამად?**

– დიდი ხანია არაფერს ვთარგმნი. ვაპირებ ჰაკიმ ბეის წიგნის „დროებითი ავტონომიური ზონა“ თარგმნას. 4 წლის წინათ შევუთანხმდი პირადად მას გამომცემლის საშუალებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვიცალე. ალბათ, მოვამზადებ ამ თარგმანს როდისმე...

– **საქართველო – რასთან ასოცირდება შენთვის. როდის დაბრუნდები?**

– სიყვარულთან. დიდ სიყვარულთან, როგორც არსად არ არის. და სამოთხესთან. მე ამაზე ასეთი პასუხი მაქვს მაიაკოვსკის: „თუ სამოთხე დედამიწაზე სადმე არსებობს, მაშინ ეს საქართველოა, სიხარულით აღსავსე მხარე“ – ასე აწერია მისი მუზეუმის შესასვლელს მოსკოვში დიდი შრიფტით. რაც ბოლო დროს ხდება, ეს ყველაფერი მხოლოდ ერთგვარი გამოცდაა, მსხვერპლის გამოკლებით, რაც გამოუსწორებელია და ძალიან დასანანი. ბევრი ადამიანის აზროვნება შეიცვალა დრამატულად, მაგრამ მე მჯერა ქართული მენტალიტეტის განუმეორებლობისა და სიძლიერის. ალბათ, მალე დავბრუნდები, რამდენიმე წლით. ვინც გიყვარს, სულ იმასთან ყოფნა არ შეიძლება.

ესაუბრა
დარეჟან სუმბაძე

ვანო ჩხიკვაძე

ლიზი და იულიუსი

სანაგვესთან შეხვდნენ ერთმანეთს.

ქვაფენილიანი ყრუ ჩიხი, გაუქმებულ აბანოს გვერდით მიშენებულ, რუხი ბაზალტის აცვივებულ საფეხურებიან კიბესთან მთავრდებოდა.

იქვე, ტირიფითა და დეკორატიული ბუჩქებით დამშვენებულ სკვერს უკან, ახლად წამომართულ ხუთსართულიანს და ძველი უბნის მაცხოვრებლებს, კედლის გაყოლებაზე ჩადგმული, ორი ვებერთელა სანაგვე ყუთი ემსახურებოდა.

ყუთებს ყოველდღიური სტუმარი არ აკლდა, – ოთხფეხა მანანალებთან ერთად, მომრავლდნენ ადამიანებიც, კაუჭიანი ჯოხებით შეიარაღებულები სანაგვეს რომ ქექავდნენ, საჭირო ნივთებს და საკვებს ეძებდნენ.

მოკლედ, ერთნი ყრიდნენ, მეორენი – ეძებდნენ, პოულობდნენ, თუმცა ეს პროცესი ხშირად ჩხუბით მთავრდებოდა, განსაკუთრებით ადრეულ, გაჭირვების წლებში.

ხუთსართულიანის აშენებამდე გაღარიბდა სანაგვის ასორტიმენტი – სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, პურის ნატეხიც კი ძნელად მოსაძებნი გახდა, არსებობისათვის ბრძოლაშიც უფრო სისხლიანი, დაუნდობელი ხასიათი მიიღო.

ახალი კორპუსი შეძლებულმა მობინადრეებმა რომ შეავსეს, სანაგვესაც დაეტყო და ჭრელა – ჭრულა ცელოფანის პარკებში ჩატენილ, მსუყე, გემრიელი ნასუფრალით დატკობის მსურველთა რაოდენობასაც.

ირგვლივ მოხეტიალე, დაუპატიჟებელი სტუმრები, უკვე სცნობდნენ ეზოებიდან, სადარბაზოებიდან გამოსულ დიასახლისებს თუ სპორტულ პიჟამოიან, ლიპიან მამაკაცებს, იცოდნენ, ვის რა მოჰქონდა, ვინ რითი შეენეოდა სანაგვის მენიუს.

პატრონებისაგან მოძულეებული, ხროვებად აგორებული მანანალები თუ მხოლოდ საჭმელს ეძებდნენ, ადამიანები არც ნაჭრის ნაკუნებზე, ცალ-ცალ წინდაზე და ლანჩახეულ, მაგრამ გაჭირვებაში მაინც გამოსადეგ ფეხსაცმელზე ამბობდნენ უარს...

ისინი ერთდროულად აქ მაშინ მოვიდნენ, როცა ისინი იყო ლამაზხალათიანმა ქალმა სავსე, მოზრდილი პარკი სანაგვის ძირში მიდგა და სადარბაზოსკენ გაბრუნდა.

„ცუდი დრო კი დაგვიდგა, ქალბატონო, მაგრამ ძველ ინტელიგენციას ზრდილობა მაინც არ დაგვიკარგავს!“ – ერთ-ერთმა დამორცხვებულივით განზე გაი-

ნია და მეორეს გზა დაუთმო.

იმასაც თავპატიჟი არ დაუნყია, მეტოქის პაუზით ისარგებლა, ასაკთან შეუფერებელი სიმარდით დაეპატრონა პარკს, ხელისგულისოდენა სკვერის ლურჯად გადაღებულ ძელსკამთან მიიტანა და სანაგვესთან დარჩენილს გამოხედა, რომელიც მაინც გადაეკიდა სანაგვეში და, რაკი ვერაფერი მოხელთა, იმედგაცრუებულმა წასვლა დააპირა.

პარკის პატრონმა ანიშნა, მოდიო.

მიუახლოვდა.

– გახსენით! – ანიშნა ცელოფანზე, თან დაჟინებულ მზერას არ აცილებს.

– როგორ გეკადრებათ, თქვენ მოიპოვეთ და პრიორიტეტიც თქვენ გეკუთვნით.

– „პრიორიტეტი“... „თქვენ გეკუთვნით“, – გამოაჯავრა, – ჩვენს ყოფას და აქაურობას, მგონი, მაინცდამაინც არ უნდება გატყლარჭული სიტყვები.

– შეიძლება, მაგრამ სიტყვები ხომ მხოლოდ აზრს არ გამოხატავენ, ისინი ჩვენი კეთილშობილების და ღირსების დონესაც ამჟღავნებენ.

– მერე შეგვარჩინეს ან ერთი ან მეორე?

– თქვენი არ ვიცი, მე კი ვცდილობ რაც არ უნდა მოხდეს, არცერთი არ დაგვარგო...

– კეთილშობილებისა და ღირსების მოფრთხილებაში, ვატყობ სხვა ყველაფერი დაგიკარგავთ!

– სამწუხაროდ, ნაწილობრივ უნდა დაგეთანხმოთ, – ამოიხრა პირველმა და თავი ჩაქინდრა – ბედისწერა ის ჯადოსნური პალოა, რომელიც იხვევს და ამოკლებს ჩვენს ყელზე შემზულ თოქს...


„როგორი ნაცნობი ხმაა... ნაცნობი კი არა, ძალიან ახლობელი... თანაც ეს მარცხენა, ნახევრად გათეთრებული წარბი... ნუთუ... რა თქმა უნდა, ის არის“... მონყლიანებული თვალები მოარიდა, ხმა გაეზარდა:

– დარწმუნებული ვარ, თუკი დანაყრდებით, ეგ თქვენი თოქი ცოტათი მაინც დაგრძელდება... მოიქეცით ისე, როგორც ჯენტლმენს ეკადრება, გახსენით პარკი და მომთავაზეთ...

– რა გაენყობა, თქვენი მომსახურება მხოლოდ სიამოვნებას მომანიჭებს...

“თვითონ ვერ მიცნო... რა საშინელებაა, ნუთუ ასე შევიცვალე?“

– არ შემცდარხართ, ქალბატონო, ასე რომ იყოჩაღეთ და პარკი ცხვირწინიდან ამაცალეთ... როგორ დამათრობელ სურნელებას აფრქვევს... მართალია, მაინცდამაინც არ მშია, მაგრამ ცოტაზე მაინც დაგენვევით! – თვალებმინაბულმა ჰაერი მოყნოსა და აშკარად დაეტყო, რომ იმას არ ამბობდა რასაც ფიქრობდა.



„მაშინაც გამოუსწორებელი ამაყი იყავი... შენს გაკრულ ფერდებს სიმაძღრისა რა ეტყობა... იქნებ ამიტომ უფრო მომწონდი?“

– ეტყობა ახლახანს აალაგეს სუფრიდან... ნახეთ, რა გინდა სულო და გულო... შემწვარი თევზის კუდი... პირდაუკარებელი ბარკალი... რაო?... ქათმის?... რამხელაა, მე ინდაურის მეგონა!.. ესეც პიურე კატლეტით... ვინ ჰყავთ, ამ საცოდავებს, ასეთი უჭმელი?

“მომწონდა კი არა, მიყვარდა... ამასაც, რა თქმა უნდა... საერთო აივანზე სულ ერთად ვიყავით... ზოგჯერ შევსხდებოდით პატარა მაგიდის ქვეშ, რომელზეც გამუდმებით რადიოლა ხრიალებდა და, ორ მოხუცებულს, დომინოს ან კარტს რომ თამაშობდნენ, ფეხზე წამოცმულ ჩუსტებს შევეუცვლიდით ხოლმე და, მთელ დღეს, ხშირად ცალცალკეობით დადიოდნენ...”

– მართლაც, სულ თბილ-თბილია, – დაყნოსა თევზის კუდი პირველმა და ნახევარი მისთავაზა, – პირიც არ დაუდიათ, ბავშვი დატოვებდა... გამხდარი, უჭმელი შვილი ჰყავთ, მესამე სართულზე ცხოვრობენ ...

– ყოჩაღ, ბიჭუნი, – ყელი ჩაიკოკლოზინა მეორემ, – თუ ხვალაც არ მიირთმევ, ძალიან გამახარებ... უფრო ძალიან გვასიამოვნებ, კუდის ნაცვლად, თევზის თავს თუკი დატოვებ... მიყვარს... მიყვარს კი არა, ვგიჟდები.

„რა თქმა უნდა, ის არის, თევზისთვის სულს ლაფავდა. ერთხელ ფხა გაეჩხირა და რაც მამინ შიში ვჭამე...“

– რა თქვი, ბიჭუნაო, იქნებ გოგოა? – ჰკითხა პირველმა, – თქვენ ხომ აქეთ პირველად ხართ!

– ასეა, მაგრამ გუმანით ვხვდები – როგორც წესი, გოგონები, უფრო აბეზრები და ფეთხუმები არიან... აი, ამ თევზის კუდს, უკვე ჩვენს კუჭში რომ მოვათავსეთ, ან ჩანგლით დაჯიჯგნიდნენ, ან მწარე სანებელში ამოავლებდნენ.

– ნუ დაგავინწყდებათ, რომ თქვენს წინ ქალია...

– ყოფილი გოგონა...

– თუნდაც! – წყენა დაეტყო ხმაში.

– მაპატიეთ, მაპატიეთ... თავის დროზე მეც ვიცნობდი ერთ გოგონას...

“სულელო, აბა კარგად შემომხედე, ის გოგონა ხომ მე ვარ!... თუმცა, არა, რომ მიცნო გულიც გამისკდება... არ მიცნო, გეხვენები, სჯობს იმ პატარა გოგოდ გახსოვდე...”

კატლეტის ორ პატარა ნაჭერს პიურე მიაყოლეს, რამდენიმე თეფშიდან ერთად მოგროვილი, მოზრდილი ბელტივით ცალკე რომ ჩაეზვინათ გამჭვირვალე პარკში.

პურის ნახორხალში კარაქნასმული, ნითელი წერტილებით დანინკლული, ბავშვის ნაკბილარებიანი ნაჭერიც აღმოჩნდა.

– რამდენი ხანია ხიზილალასთვის თვალიც აღარ დამიკრავს, ეტყობა კარგად იკვებებიან.

– კვება შეძლებაზე ჰკიდიან... ზოგს ისეთი ნასუფრალი გამოაქვს, ცოდვით ძვლები დაგენვება.

– ეს ოჯახი დასაკარგი ნამდვილად არ არის... რა თქვი, რომელ სართულზე ცხოვრობენო?

– მესამეზე... აგერ, კუთხის, გისოსებიანი ფანჯარა რომ მოჩანს.

– ჰმ, ნახდა ცხოვრება, მესამე სართული და გისოსები... ჩემს ახალგაზრდობაში, სადაც ვცხოვრობდი, კარსაც კი არ კეტავდნენ... ესეც ასე, კუჭის პრობლემა თუ მოგვარებული გაქვს, ცხოვრება არც ისე ცუდად გეჩვენება...

– რაკი თქვენ ხასიათზე მოხვედით...

– არ დაგიმაღავთ, აღარც მასსოვს ჩემს გულში სიხარულის სხივმა ბოლოს როდის შემოიხედა.

– ახლა კი წარმოვიდგინე, რამდენი წელიწადია გასული, რაც წესიერად არ დანაყრებულხართ.

– გგონიათ, სიმაძღრის გამო?

– მაშ სხვას რას დავაბრალო, – აუძგერდა გული.

– ეჰ, ცუდად გიცვნივართ, ქალბატონო... თუმცა, რა საკვირველია, ჩვენ ხომ ერთმანეთის სახელებიც არ ვიცით – იულიუს! – წელში გაიჭიმა და მედიდურად დაუკრა თავი.

„როგორ ჩამობერებულხარ და არ იმჩნევ... მაინც რიხიანობ... ასე გადაღრძობებული ბერბიჭები ან ახალი კავშირის მაძებარი ქვრივი მამაკაცები იქცევიან“.

– იულიუსი – მეთქი, თქვენი სახელი?

– აჯობებს უცნობებად დავრჩეთ... სახელი რომ გითხრათ, მერე მისამართს მომთხოვთ, მერე პაემანს დამინიშნავთ...

– ჩვენს ასაკში რალადროს ეგეთებია! – დაიმორცხვა იულიუსმა.

– თუ შეიძლება, თქვენს ასაკზე ილაპარაკეთ!

– მაპატიეთ!

– მიპატიებია... ისე, თუ ძალიან ჩამაცვივდებით, შეიძლება გამომტეხოთ კიდეც... – პარკიდან, კრემგადაღლესილ ხელსაწმენდ ქალაღში, ჩაის კოვზით ჩამოკბენილი ტორტის ნაჭერი გამოაძვრინა, – გადამრევს ეს ბავშვი, ნამცხვარიც ცოტა მოუციცქნია, ნეტავ ავად ხომ არ არის? – შეწუხებულმა მესამე სართულის აივანს მიაპყრო თვალი და მერე ნამცხვარი გასინჯა.

– ბავშვს რომ ტკბილი არ უყვარს... – იულიუსი ნერწყვს ყლაპავდა.

მეორემ შეხედა და შეიცხადა.

– ვაიმე, ბოდიში, იულიუს, ლამის სულ შემომეჭამა!

– მიირთვით, მიირთვით, ტკბილზე მაინცდამაინც სულს არ ვლაფავ...

„რამდენი ტყუილი უნდა თქვა, შე ბებერო ტარტაროზო...“

– თქვენი ბრალია, საუბარში გავერთე და... მითხარით, ძალიან ხომ არ მიბრაზდებოთ?..

– სახელს თუ არ მეტყვით, მართლა გავბრაზდები, – იულიუსმა ქალაღზე შერჩენილი ვარდისფერი კრემი უცებ გატლიკა.

– სახელის ცოდნა ნუთუ აუცილებელია?

– აუცილებელი რომ არ იყოს, ხომ არ დაგვარქმევდნენ!

„მაშინაც ენამოსწრებული და ლამაზი იყავი... ახლა მხოლოდ ენამოსწრებულობაღა შეგარჩენია, თუმცა,

სიმპატიური მაინც გეთქმის... მე? მეც ხომ არა მიშავდა, ნუთუ ჩემს თავს არაფერი გახსენებს, შემომხედე...“

– ესეც დესერტი! – ამოიხვნეშა კმაყოფილმა იულიუსმა, – მართალია დიდი მოთმინება მაქვს, მაგრამ ამით ნუ ისარგებლებთ, გელოდებით, მითხარით სახელი.

– რა გაეწყობა, ოლონდ პირობა უნდა მომცეთ, რომ ჩემისთანა უსასაკო ქორფას არ გაეარშიყებით, – პაუზის შემდეგ დააყოლა, – ლიზი... ჰო, ლიზი მქვია.

– ლიზი? – უნდობლად ახედა იულიუსმა.

– არ შეიძლება, ლიზი მერქვას?

– როგორ არ შეიძლება, მაგრამ... ჰმ, უცნაური დამთხვევაა, იმ გოგონასაც, ზემოთ რომ ვახსენე, ლიზი ერქვა.

– ლიზი!.. ნუთუ ასეთებიც ხდება? – ჰკითხა გულდანყვებილმა.

– ეტყობა, ხდება... აი, მაგალითად, ჩემი მოსახელე იულიუს კეისარი...“

„ნუთუ შეეცდი, ანდა იქნებ სხვა უყვარდა... ასე რომ არ ყოფილიყო, ჩემზე ხომ რალაცას იტყობდა?... მე კი სულელი, როგორ ავფორიაქდი!.. ისე, იულიუსი არც თვითონ ჰქვია, დაბერდა, გადაყრუვდა და აღარც ახსოვს, სინამდვილეში რას ვეძახდით?... რას და... ღმერთო ჩემო, ნუთუ მეც დამავინყდა?... ყოველ შემთხვევაში, იულიუსი არა... ნამდვილად არა!“

იულიუსი გატაცებით საუბრობდა თავის მოსახელეზე.

– ხომ არ სჯობია, იმ თქვენი ლიზის შესახებ მიამბოთ? – შეანყვებინა გაბრაზებულმა, – ახლა სად არის, რომელ სანაგვესთან ესაუბრება შემთხვევით ნაცნობს?

– კარგა ხანია, აღარაფერი არ ვიცი... ჩვენს საერთო, ეზოიან სახლს ბომბი დაეცა, ცეცხლში გაეხვია და ვისაც საით მოგვიხერხდა, იქით გავასწარით... დავკარგე, როგორც ეტყობა სამუდამოდ, – ისე ამოიხრა, რომ ლიზის შერცხვა.

– მაპატიეთ!

ცივმა ქარმა დაუბერა, კორპუსის სადარბაზოსთან, მყუდროში მიდგნენ.

ჩისში ქვემოდან მომავალი ხელჯოხიანი დედაბერი გამოჩნდა, გათოშილ, ცარიელ ცელოფანის პარკს მოაფხაკუნებდა. ჯოხის კაუჭი, თითებმორღვეული ხელთათმანიდან გამომძვრალ, კლანჭებით თითებში ჩაებლუჯა.

ნაგვის ყუთთან შედგა, მიიხედ-მოიხედა და ცერებზე ანეულმა ჩახედა, შიგნით ჯოხის წვერი მოატარა.

„დაგავციანდა, დეიდა,“ – გაეცინა იულიუსს.

– ეს ქალბატონი, თავის დროზე, მამალ ბუზს არ ისვამდა, – ჩაილაპარაკა ლიზიმ.

მეც ვიცნობდიო, ლამის ნამოსცდა იულიუსს.

– ერთხელ, ნახალწლევს, ეზოდან გინების ხმა შემოგვესმა, – განაგრძო ლიზიმ, – გადავიხედეთ. მენაგვეს, ბუნკერიდან გამოთრეული, შემწვარი გოჭი ეჭირა და ხმამალლა იგინებოდა, გაჭირვებული არავინ გყავდათ, როგორ გადაგადეთო.

– ჩვენთანაც სულ ყუთებით მოჰქონდათ ნაირ-ნაირი სანოვავე, იმდენს ვინ მოერეოდა... მოხვევდნენ ხელს და გადაუძახებდნენ ხოლმე.

– ზოგი ახლაც გადაუძახონ... – ვილაცეებს ნიშნი მოუგო ლიზიმ, – მაშინ, ეს ქალბატონი, განსაკუთრებით განიშმატდა, მენაგვეს ლამის თვალები გამოთხარა, რა შენი საქმეა, ვინ რას გადაგადებთო.

– ცოდვამ უნია.

– ახლა ვინ იცის, ის გოჭი, რამდენჯერ ახსენდება...

– ცოდვამ უნია – მეთქი.

– ჰო, – დაეთანხმა ლიზი და სევდა მოერია,

ჩვენ რალა ცოდვამ გვინია, ერთმანეთს რომ დაგვაშორაო.

დედაბერმა ბუნკერში აღმოჩენილი, დალაქავებული ქვედაბოლო და ორი ცალი „ბორჯომის“ იარლიყიანი ბოთლი პარკში ჩაყარა, ნასვლა რომ დააპირა, ძელსკამთან, გაფაშულ ცელოფანზე დაყრილი, ნახორხმალი შენიშნა.

– ხედავ, ჩვენი პურის ნარჩენები მიაქვს!

– ამას იფიქრებდა?

– კიდევ კარგი, არ შევჭამეთ, – შეებრალა იულიუსს.

– რატომ, გვანყენდა?

– ნაილოს, ცოდვაა...

– იცით, რას გეტყვით, თქვენ რასაც იპოვით, სხვებს ის დაუთმეთ, – მოულოდნელად განიშმატდა ლიზი.

– რა მოხდა, ორი ლუკმა სხვასაც რომ ერგოს, – გაუკვირდა იულიუსს.

– არ ვიცი, რა მემართება, ნერვები სულ გამიფუჭდა, – საწყლად შეხედა ლიზიმ, – ახლა რომ მიყურებთ, ალბათ ფიქრობთ, ამას ვინ შეიყვარებდაო.

– არა, ასე ნამდვილად არ ვფიქრობ!

– არ მჯერა, რომ მართალს მეუბნებით, მაგრამ მაინც დიდი მადლობა.



მხატვარი მზია დედანაშვილი

– გეფიცებით, – შენუხდა იულიუსი.
 – თქვენ არ იცით და, ჩემი გულისთვის თავსაც იკლავდნენ... ერთი ყმანვილი აივნიდან გადმოხტა!
 – სად არის, ცოცხალია?
 – მეორედ რომ მომიტაცეს, მას შემდეგ აღარ მინახავს... ცოცხალი იქნება, ალბათ! – დაამატა ყოყმანით.
 – განა თქვენ მოგიტაცეს კიდევ?
 – გასაგებად ვთქვი, ორჯერ – მეთქი! – ხმა გაიმკაცრა ლიზიმ.
 – უკან რატომ აღარ დაბრუნდით?
 – დავბრუნდი, მაგრამ ის აღარ დამხვდა...
 კიბის გაყოლებზე, კორპუსის კუთხემდე, ნალესაცვინილ, ცალპირად ამოშენებულ, წითელი აგურის კედელზე ბალახს ამოხეთქა, ნაბზარებში გამომძვრალიყო, ვეტერანი ოფიცრის საპარადო ფორმაზე დაკონწილებული ჯინჯილებივით აჩონჩხილიყო.
 ლიზის ახსოვდა – კედლის შუაში კალათბურთის ფარი ეკიდა. მოთამაშეები ბურთს რომ დასდევდნენ, აივანზე გადმოკიდებული მეზობლები ყვირილით, ღრინაცვლით გულშემატკივრობდნენ.
 ის ხმაური ახლაც ყურში უდგას და ლამამობით აღვიძებს... კიდევ საერთო სამზარეულოდან გამოსული კერძის სუნი ახსოვს, მთელ ეზოს რომ მოეფინებოდა ხოლმე... ერთ-ერთი მოხუცებული რომ გარდაიცვალა (მას შემდეგ მაგიდაზე გამოდგმული რადიოლას ჩართვა აღარავის გახსენებია), დიდძალი ხალხი აირია, განსაკუთრებით დაკრძალვის დღეს მოვიდნენ ბევრნი, ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ იყო, ეგონა, აივანი ჩაინგრეოდა.
 ორივენი შეშინდნენ, შეძვრნენ მაგიდის ქვეშ და, ვიდრე მიცვალებული არ გაასვენეს, არ გამოსულან.
 ეჰ, ნეტავი იმ დროს...
 იულიუს, თქვენობით აღარ მომართო, კარგი?
 კარგი, ლიზი! – სიხარულის ჟრუანტელმა იულიუსს ხმა აუკანკალა.
 კიბეზე ახლა ორმა ქოფაკმა ჩამოიბინა. სანაგვეს გულგრილად ვერ ჩაუარეს, ჩაყირავდნენ, რალაც ააკნატუნეს, მერე ლიზის და იულიუსს შეჭლრინეს, ბურჭებთან მიდგნენ, ფეხაშვერილმა მამალმა მანანნალამ ჯერ ფიზიოლოგიური მოთხოვნილება დაიკმაყოფილა მერე დედალს გაეხახუნა, გაეგლისა, უკნიდან მოექცა და ზედ შეაცოცდა.
 დედალი არ გაძალიანებია, კისერმოღრეცილმა, ალერსიანი ხმით, ვნებიანად შესწკმუტუნა.
 იულიუსმა შენიშნა, რომ ლიზის ცხვირი შეუწითლდა – ქოფაკებს აეფარა და მაღალი, ანონილი, გამხდარი, მავთულებით შეკრულ სამუზეუმო ჩონჩხს დაემგვანა.
 ქოფაკები წავიდნენ. ახლა მთელი ხროვა მოცივდა. ესენიც ჩაეკიდნენ სანაგვეებში, გადაქექეს იჭურობა, დაგლიჯეს, გაფხრინ-გამოფხრინეს თუ რაიმეს კბილი მოსდეს.
 ბოლოს ამოცივდნენ, ამოიტანეს მტვრის კორიანტელი, დაერივნენ ერთმანეთს, დაგორგოლავდნენ, რის

ვაი-ვაგლახით დაშველებულები, საიდანაც მოვიდნენ, ისევ იქითკენ დაქანდნენ.
 გარაჟებს შორის, მტვრიან ბურჭებზე, ერთადერთი, ბოლომდე გაუშლელი ვარდის კოკორი წითლად ანათებდა.
 – დახუჭე თვალები!
 – რატომ?
 – დახუჭე და, ვიდრე არ გეტყვი, არ გაახილო. ლიზი დამორჩილდა. არათუ დახუჭა, საერთოდ კედლისკენ შებრუნდა.
 „რა ჩაიფიქრა? ნუთუ გამეპარება და ახლა უკვე სამუდამოდ დაგკარგავ?..“ – თვალები ლამის გაახილა, რომ ნაზი შეხებაც იგრძნო – იულიუსს ვარდის კოკორი ეჭირა.
 – მე მომართვი? – ცრემლი მოერიდა.
 – განა აქ სხვა ვინმეც არის?
 ისე ახლო-ახლო იდგნენ, რომ მათი ცხვირის წვერებიც კი ერთმანეთს ეხებოდნენ.
 – ტირილზე მეტად სიცილი გიხდება... – ამოილულულა იულიუსმა.
 – ეგ, ოდესღაც, უკვე მითხრეს!
 – მართლა? – აღელვებული იულიუსი მიწას ჩააჩერდა.
 „ხომ არ გაიხსენებ, ვინ მითხრა?.. გაიხსენე, რა, გეხვეწები“...
 ბინდაცემული ქალაქის ყრუ, მომაბეზრებელი გუგუნი ქუჩებში მიგორავდა.
 – ხვალ ისევ ამ დროს, არა, იულიუს?
 – ჰო, ისევ ამ დროს.
 ლიზიმ აინია და ლოყა ლოყაზე გაუხახუნა.
 – ხვალამდე, იულიუს!
 – ხვალამდე, ლიზი!
 ორივე განზე იყურებოდა, რომ არ დაენახათ, თვალებიდან როგორ დასცივდებოდათ ცრემლის ბრჭყვი-ალა ბურთულები.
 უცებ, მათ სიახლოვეს, საახალწლო შუშუნა მჭახედ გასკდა. შეშინებულები ერთმანეთს შუბლებით მიეხალნენ.
 მესამე სართულის აივანზე გადმოყუდებული, ყურებზე თბილ ქუდჩამოფხატული ბიჭუნა იცინოდა.
 – ერთი ამას უყურე, რაც გვასიამოვნა, ერთბაშად არ ჩაგვაშხამა?
 – სულ ამ შუშუნებს არ ისვრიან?.. ჩვენს სახლს ბომბი რომ დაეცა, მას შემდეგ ხმაურს ველარ ვიტან... დიდი ხმაური, აფეთქება, მხოლოდ სახლებს კი არა, ყველას ცხოვრებას ანგრევს...
 დაშორდნენ. ლიზი უყურებდა, როგორ დაეშვა იულიუსი დაღმართზე.
 კიბის თავში მთვრალი კაცები გამოჩნდნენ, ბორძიკით ჩამოჰყვნენ საფეხურებს და ლიზის დანახვაზე თვალში დაქაჩეს.
 – ხედავ, რა საინტერესო დროში ვცხოვრობთ, ოთხფეხებიც კი ვარდებით დარბიან.
 – ძაღლების დასაჭერ მანქანაზე ვმუშაობდი... მიგყავდა და ვხოცავდით, რა... ბოზიშვილი ვიყო, ასეთი

რამ თუ მენახოს, ან გამეგონოს... იცი, რატომ დამითხოვეს? ზედმეტად სასტიკი ხარო.

– მანანალებთანო?

– ჰო, მანანალებთანო!... მოიცა, ცუგრი, მაგ ვარდს ვერ გაგატან, უნდა დამითმო, – ნინ დაცუცქული ნასართმევად მიეტანა, მაგრამ ლიზიმ შელრინა და უკან დაინია.

– აბა, აბა ეგეთები არ იყოს... ვარდი დადე და შენი გზით წადი...

– მოეშვი, თუ ძმა ხარ.

– რას ამბობ, ამან თავისი უნდა გაიტანოს?.. ნახე, როგორ ზიზლით მიყურებს... ამისთანა ნაბოზრებს დანის წვერით ჯერ ერთ თვალს ამოვაცლიდი ხოლმე, მერე-მეორეს... იცი, რა ხობმა იყო, უაზროდ რომ აწყდებოდნენ აქეთ-იქით... გამიგეს და გამომაგდეს.

– არა, მაგას არ იზამდი, – ზიზლიანად გადააფურთხა მეორემ.

– რატომ, რა დამიშლიდა... ნახე, ამას რა ვუყო! – გადაყრილ სამშენებლო ნარჩენებში ხელი მოაფათურა და მოზრდილი არმატურის ნაჭერი მოიმარჯვა.

ლიზი უკან-უკან იწედა. ბოლოს, უკან დასახვევიც აღარ დარჩა, კედელსა და კიბეს შორის, კუთხეში აღმოჩნდა მიმწყვედელი.

მიხვდა, მისი ღრენა ვერავის შეაშინებდა. აცახცახდა, მუხლი მოეკვეთა, მაგრამ ყვავილს კბილი მაინც არ გაუშვა.

ლოთობით და სიბრაზით სახეარეული კაცის არმატურიან ხელს ათრთოლებული მიაჩერდა – საქმე დასწრებაზე იყო, ძალა უნდა მოეკრიბა, მაჯაში სცემოდა.

კაცმა დაასწრო, მეორე ხელით ყელში წასწვდა, თითები ღონივრად ჩაავლო, ცოტაც და აკონწიალებულს არმატურას შუბლზე დაანაყავდა, ჭახანით შეუნგრევედა შუბლს დაკუთხული ბეტონის ნაჭერი და ლიზი უსულოდ დაენარცხებოდა, როგორც შემთხვევით იდაყვგაკრული, მაგიდიდან გადმოვარდნილი ფუთა.

ყვავილის ღერს უფრო გამეტებით მოუჭირა კბილები, თან, იმედგადაწურულმა, თვალები დახუჭა, რომ, მოულოდნელად, ჯერ მოხალვათდნენ ყელზე შემოჭერილი თითები, მერე საერთოდ მოეშვენ და დაბრონიანლებული კაცის ღრიალმა მთელი უბანი გარეთ გამოახედა.

ლიზიმ თვალები გაახილა – უკან მობრუნებული იულიუსი, ყოფილ, გალოთებულ მეძალეს, გაავებული ღრენით ლაჯებშორის შევარდნოდა და უბეს აბდღვნიდა...

* * *

მეორე დღით, ავტოსადგომის საყარაულოსთან, გადახურულში იწვნენ.

საყარაულოდან გამოსულმა შუახნის კაცმა პურის ნატეხი გამოიტანა და ძაღლებთან დაცუცქდა.

– აა, მარტო აღარ ხარ? – ქეჩო მოუქექა იულიუსს, – ასე არ სჯობია, კენტად როდემდე უნდა გეველო,

მშვენიერი გოგო გიშოვნია, – ახლა ლიზის გადაუსვა ჩალისფერ ბალანზე ხელი და ღეროში გადატეხილი ვარდის კოკორი შენიშნა, – თქვენ, ეტყობა, ჯვარიც გიფსკვნიათ... გილოცავთ, გილოცავთ!.. აბა, ჯერჯერობით ეს ნატეხი იკმარეთ და ღმერთი კიდევ მოგცემთ... მე, აგერ, ჯიხურში მივალ... ყურადღებით იყავით.

ლიზის ესიამოვნა, კაცმა გოგო რომ უწოდა.

იულიუსსაც, რა თქმა უნდა.

– დაგინახე თუ არა, მაშინვე გიცანი, – გააგრძელა შეწყვეტილი საუბარი ლიზიმ.

– მეც... როცა დავშორდით, რატომ არაფერი გითხარი, ვინანე და, ვაითუ ისევ დავკარგო-მეთქი, უკან გამოვიქეცი, – გამოუტყდა იულიუსი.

– რომ არ მოგესწრო, ალბათ...

უფრო ახლოს მიინიეს და ერთმანეთს თბილი ფერდებით მიეხუტნენ...

აქედან შორს, აბანოს ყრუ ჩასახვევში, დაფშხალული აგურის კედელთან, სანაგვეში, ადრიანად ჩაყრილი ხროვა მატლივით ფუთფუთებდა.

მიუხედავად იმისა, რომ მსუყე და გემრიელი სასუსნავი ეგულებოდათ, ლიზი და იულიუსი, ჩიხში არასოდეს აღარ მივიდოდნენ.

ჩვენი ზოსტა

ამას წინათ რედაქციაში სტივენ შნეკის დეპეშა მოგვივიდა ვაშინგტონიდან:

„ძვირფასო ბატონებო,

მაპატიეთ ინგლისურად რომ გწერთ, თქვენს ერთ-ერთ ბოლო ნომერში დაიბეჭდა ჩემი სტატიის თარგმანი. გთხოვთ გამოიჩინეთ სიკეთე და მომანოდოთ წერილის ქართული სათაური, თარიღი და გამოცემის ნომერი — ტრანსლიტერაციით! დიდი მადლობა“.

გწერდა ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის პოლიტიკური კათედრის გამგე და სიცოცხლის ციკლის ინსტიტუტის დირექტორი.

გულისხმობდა პოლიტიკურ ესეის „ქალაქი და სოფელი (არისტოტელური კონცეფციები)“, რომელიც „ჩვენი მწერლობის“ მე-9 ნომერში გამოქვეყნდა და ისეთივე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ მკითხველზე, როგორც ამერიკელ პოლიტოლოგთა სხვა ესეისტურმა ქმნილებებმა, ზედიზედ რომ დაიბეჭდა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე და ხელშესახებად აირეკლა თანამედროვე ამერიკელი მეცნიერული და პოლიტიკური აზროვნების შინაგანი სივრცე და ექსპრესია.

სტივენ შნეკის შემოხმიაწება ჩავთვალეთ საბაბად, რათა მისი მეოხებითაც გაღრმავდეს ქართულ-ამერიკული ურთიერთობანი, მითუმეტეს, რომ არაერთი თვალსაზრისი თუ დაკვირვება გაგვიჩნდა პირადად მისთვის გასაზიარებლადაც.

როგორც ჩანს, ვერჯილ ნემოიანუს შემომატებამ ჩვენს უშუალო ადრესატთა წრეში კეთილი ზეგავლენა იქონია მის თანამოაზრებზეც.

ღმერთმა ინებოს, კვლავაც ზურგის ქარი ეწოდეს ყველა კეთილ საქმესა და ურთიერთობას.

გელა ჩქვანავა

წინასწარმეტყველი

1

ლორას ცისფერი თვალები ჰქონდა, ჯინსის შარვლებს, თეთრ საყელოსა და სახელოებზე მაქმანებზე მოვლებულ პერანგებს იცვამდა და ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდომა სჩვეოდა, გულზე ხელებს დაიკრეფდა ხოლმე და რატომღაც მკაცრ და თანაც დაძაბულ გამომეტყველებას იღებდა. როცა ილიმებოდა, თვალები უბრწყინავდა და გივის ერჩენებოდა, რომ აპრეხილი ცხვირის ნესტოებიც ეჭიმებოდა.

– აქეთკენ ვიყავი და ვიფიქრე, მოდი, ლორას გავუვლი-მეთქი, – თქვა გივიმ, შემოთავაზებულ სკამზე მძიმედ დაეშვა და დაღლილი კაცივით ამოიხვნეშა.

– დენია გამორთული, რალაცას არემონტებენ, ათწუთში გამოვუშვებთ ისევო, და ყავას მოგიდუღებ, – უთხრა ლორამ მასთან სამსახურში სტუმრად მოსულ გივის, ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა, ხელები გულზე დაიკრიფა და სტუმარს მალლიდან დააცქერდა. – შენ არ იცი, როგორ გამახარე!

„შენ არ იცი, როგორ გამახარე“ ლორას საყვარელი ფრაზა იყო, ზოგჯერ გულწრფელი სიხარულით წარმოთქვამდა, ზოგჯერ ისე, გულგარეთ, მექანიკურად. ამჯერად, გივის დაკვირვებით, ლორამ ფრაზა გულწრფელად წარმოთქვა.

– საუკუნეა არ მინახხართ შენ და ნინელი. რას გაჩუმდი, მოყვე, როგორ ხარ სახლში. ნინელი რას შვრება, ბავშვები ხომ კარგად არიან?.. როგორ ხარ საერთოდ?

– შენგან დავინწყებულები... – ლორას შინდისფერ თმებს ზემოთ ფანჯარაში გამოჩენილ ცას გაუშტერა მზერა გივიმ და რალაცაზე ჩაფიქრდა, ერთი წამით თითქოს გამოერკვა და თვითმფრინავის მიერ დატოვებულ თეთრ ზოლს გაადევნა თვალი.

გივი ორმოცდახუთს მიღწეული, მაღალი მამაკაცი იყო, ძველმოდურ ბაკენბარდებს ატარებდა და თითქოს ხვდებოდა, რომ ქვეცნობიერად ადრეულ ასაკში გარდაცვლილ, ასევე ბაკენბარდებიან მამას ბაძავდა და ძალიან უნდოდა მას მგვანებოდა.

– რატომ შემოგიარე, თუ იცი? – თქვა გივიმ, ჯერ ამოიოხრა და მერე ამოიქმინა კიდეც, სუფთად გაპარსული ლოყები დაებერა, ხოლო თხელი ტუჩები აუთრთოლდა. – ჩემი უფროსი რევიზიას ელის, სალაროში კი ჩვიდმეტი ათას სჩემტას დანაკლისი აქვს. ფულის სასესხებლად დარბის, რევიზიას რომ უჩვენოს, აქაოდა ყველაფერი რიგზეაო. მეც მთხოვა შინაურულად, ვინმესგან მისესხე, რამდენიც შეგიძლიაო. ჩამისვა დილიდან მანქანაში, ათას სამას მანეთამდე ავუკრიფე, მერე აქეთკენ მოვხვდით, უცებ შენ გამახსენდი და მოვატ-

ყუე, ამ დანესებულებაში ერთი ჩემი ძმაკაცი მუშაობს და იმასაც ვეტყვი, ერთ საათში გამომიარე-მეთქი... მოკლედ, ძლივს მოვიშორე. ცოტას დავისვენებ-მეთქი, ვიფიქრე. ახლა ის უნდა ვიდარდო, მე არ გამიხდეს ის ათას სამასი მანეთი გასასტუმრებელი, ჩემი დირექტორისთვის რომ ვისესხე. ჩემი ბედის ამბავი რომ ვიცი, შეიძლება დაიჭირონ!



– შენ ხომ არაფერში ხარ გარეული? – შეშფოთდა ლორა.

– არა, კაცო! – დაამშვიდა გივიმ. – არადა, მეცოდება ეგ უტვინო. წინა დირექტორს, ვისგანაც სამსახური ჩაიბარა, უთხოვია, დანაკლისს ნუ გამომიჩენ და პატიოსან სიტყვას გაძღვე, დავფარავო. წინანდელი დირექტორი ქალაქიდან აორთქლებულა, ეს კი ენაგადმოგდებული დარბის. აორთქლებულიც რომ არ იყოს, მაინც ვერაფერს უზამს, იმ წინას ბიჭი მეექვსე განყოფილებაში მუშაობს, ახლანდელი დირექტორისნაირი მევალები ბევრი ყავს თურმე, მაგრამ ვერავინ ვერაფერი უქნა. სწორედ ამისთვის მოაწყო ბიჭი მილიციაშიო. ძალიან ბევრი გადაადგო თურმე, მერე ადგა და გადაგდებით ნაშოვი ფულის ნაწილით ბიჭი მეექვსე განყოფილებაში მოაწყო, დანარჩენი ჯიბეში ჩაუდო და აბა შენი იცი, დამიცავიო, უთხრა ბიჭს. იცავს ისიც. აი, ასე ჩახლართულადა და ჩათლახურადაა საქმე!.. ისე კი, სიმართლე რომ ითქვას, ბოლო დროს ისე მიყურებდა ახალი დირექტორი, ნაღდად მოხსნას მიპირებდა, ახლა კი დამიტკბა. თან ეშინია არ ჩავუშვა. პირდაპირ ვუთხარი, შპიონი არ გეგონო-მეთქი. მეცოდება, მაგრამ რა ვქნა...

– ეს რა სისულელე ჩაუდენია! – თქვა ლორამ.

– უტაქტო კაცია. ერთი წელია მუშაობს და ერთი კაცი ვერ გამოძებნა სამსახურში ისეთი – ძველებს თავი რომ დავანებოთ, მის მიერ მოყვანილ ახალ კადრებს შიც კი, ვისაც ბოლომდე ენდობა. ეჭვის თვალთ მიყურებს, არადა, ჩემს იქით გზა არა აქვს...

– არადა ნინელი მმარებლობდა...

– ვისთან, კაცო? – გაოცდა გივი.

– ვისთან და შენს ახალ დირექტორთან. რა ქვია?

– ბონდო.

– შენი დაბადების დღეზე გამაცნო, მაგრამ არ მომეწონა. ძალიან დიდი წარმოდგენისაა საკუთარ თავზე და თანაც ბანჯგვლიანი ყურები აქვს!

– არა, ვაჟის დაჭერა კი იცის ზოგჯერ... მოიცა, ესე იგი, იცის მაგან, შენ აქ რომ მუშაობ?

– ეცოდინება, – დაემოწმა ლორა. – პირველ რიგში ის მკითხა, სად მუშაობო. მახსოვს, გავიფიქრე, ეს რა

ზედმეტად პრაქტიკული კაცი ყოფილა-მეთქი. ქალს პირველ რიგში იმას რომ კითხავ, სად მუშაობო, იქ ყველაფერი ნათელია, – ფანჯრის რაფიდან ჩამოძვრა, შუქის გამომრთველთან მივიდა და დაანკაპუნა. – რას შვრებიან ამდენ ხანს, რატომ არ უშვებენ დენს!

– ესე იგი, მიხვდებოდა, რომ მოვატყუე! – გაბრაზდა უცებ გივი. – კი მიყურებდა ეჭვის თვლით, როცა ვუთხარი, აქ ერთი ძმაკაცი მუშაობს-მეთქი. ხომ უნდა მცოდნოდა, თუ ასეთი ამბავი იყო!

– არაფერი ამბავი არ ყოფილა, – ცოტა არ იყოს ლორაც გაბრაზდა.

– მაინც უნდა მცოდნოდა, უნდა ეთქვა ნინელის! – გაჯიუტდა გივი და ამ დროს კიდევ ერთმა თვითმფრინავმა დატოვა ცაზე კვალი, რამაც გივიზე რატომღაც დამამშვიდებლად იმოქმედა. – ისე დავიღალე, რომ ჩემთვის, თუ დამიჯერებ, უკვე სულ ერთია, მე მექნება ის ვალები გადასახდელი თუ არა. სხვები სად არიან? სხვა დროს აქ უამრავი ხალხი ირეოდა ხოლმე.

– მკითხავი მოიყვანეს ერთი, ნათელმხილველია. ზევით აიყვანეს, ლიპირიდის კაბინეტში. ლიპირიდი მოლარეა ჩვენი, ავადაა და კაბინეტი თავისუფალია. მეც ვიყავი, პირველი მე შემიყვანეს გოგოებმა, გაუთხოვარი ხარ და გეკუთვნის, მანამ უნდა ამკითხავები-ნო, სანამ დაიღლებო. როგორც კი მოვრჩი, აქეთ გამომიშვებს, უფროსი რომ მოვიდეს, ცარიელი არ დახვდეს ოთახიო. ცოტა ძვირად მკითხაობს, ათი მანეთიო, მაგრამ ისეთი რალაცეები მითხრა წარსულზე, არც რომ მახსოვდა. სახტად დამტოვა. ნინელისთან ვაპირებდი დარეკვას, თუ ცალია, გამოვიდეს-მეთქი და შენც მოხვედი ამ დროს.

– როგორ გიყვართ შენ და ნინელის აფერისტებისთვის ფულის ჩუქება! – თქვა გივიმ.

– ნუ ამბობ მასე. სულაც არ არის აფერისტი. ხომ გეუბნები, ისეთი რალაცეები მითხრა, არც იმან, ვინც მოიყვანა, და არც სხვა გოგოებმა რომ არ იცოდნენ, ის კი არადა, მეც არ მახსოვდა, გეფიცები დისშვილებს! – მიუგო ლორამ. – გაფიცებ ბავშვებს, შენც წამოდი... არა, აუცილებლად უნდა წამოხვიდე. ნუ გეშინია, ისე მოვანყობ ყველაფერს, რომ ქალებმა არ გნახონ, თუ ამის გერიდება. აუცილებლად უნდა წამოხვიდე. ფულს მე გასესხებ, თუ არა გაქვს. ოჯახზე ამკითხავები-ნე, იმ ვალებზეც გეტყვის ყველაფერს და სამსახურის ჩახლართულ ამბავსაც.

– სწავლებები აქვთ ალბათ, – დაასკვნა გივიმ, მესამე თვითმფრინავმაც რომ გაიშხულია ცაზე, ამ ჯერზე პირველ ორზე გაცილებით დაბლა. – ჯარში რომ ვიყავი, რადარს ვემსახურებოდი, რადარი კიდევ ასეთ თვითმფრინავებს აფიქსირებდა, – მოგონებებში გადავარდა გივი. – რა დრო იყო მაინც!.. მას მერე გახარებული არც ვყოფილვარ. ჯარში ყოფნის სულ ბოლო თვეს მამაჩემი გარდაიცვალა და მას მერე არ დამისვენია, სულ ვმუშაობდი. მერე ცოლი, შვილები. ახლა კიდევ ეს პრობლემები.

– ჰოდა, აუცილებლად უნდა ამკითხავები-ნო. აუცილებლად! – ბრძანებასავით წამოისროლა უეცრად გახალისებულმა ლორამ, კიდევ ერთხელ გაანკაპუნა გამომრთველი და ფანჯრის რაფაზე შემოსკუპდა. – საწუნუნო არაფერი გაქვს. ნვალება და შრომა დაგიფასდა – ოქრო ბავშვები გყავს, ოქრო ცოლი, უკეთესს ვერც ინატრებს კაცი. დარწმუნებული ვარ, შენი სამსახურის პრობლემებიც მოგვარდება. გადამრია ქალი. იცი, იმ ნათელმხილველმა რა მითხრა?

– უახლოეს მომავალში თუ არ გათხოვდი, მე არ ვყოფილვარ ნათელმხილველი!

– არა, შენ ისეთი ცინიკოსი ხარ, შენთან არაფერზე საუბარი არ ღირს!

– ნეტავი თქვენ, ქალებს! – ამოიოხრა გივიმ.

– შენს ძველ თაყვანისმცემელზე გაიგებ რალაცას, პორტფელიანზეო, მითხრა. დისშვილებს გეფიცები, მამის საფლავს გეფიცები!.. სულ არ ელი, ისეო!

– პორტფელიანი რას ნიშნავს, ფულიანს?

– არა, თანამდებობიანს!

– აჰა, გავიგე. ესე იგი, ჩემს დირექტორზეა ლაპარაკი. მეც რა მიმხვედრიანი ვარ ზოგჯერ, არა? მეტი რაო, იმ შენმა ადგილობრივმა ვანგამ?

– იმაზე გათხოვდებიო, კი არ უთქვამს. უახლოეს მომავალში ნახავ და მეტი არაფერიო. სხვაზე უნდა გათხოვდეო. მეტს არაფერს გეტყვი!

– ესე იგი, სერიოზული ურთიერთობები გქონიათ შენ და კოკიევიჩს... ბონდოზე ვამბობ.

– ნუ გაუტიე! – განყრა ლორა. – იმ დღის მერე, შენი დაბადების დღეს ვგულისხმობ, არც მინახავს შენი ბონდო. შინ რომ მაცილებდა მანქანით, პაემანს კი მინიშნავდა ვითომ, თავისი ჭკუით, მაგრამ ვაგრძნობინე, რომ არ მაინტერესებდა.

– ესე იგი...

– გეყოფა-მეთქი! – ისევ განყრა ლორა.

– ესე იგი, იმ მკითხავმა, ბონდოზე დაგაქორწინა, არა? – მაინც გააგრძელა გივიმ. – კარგი კი იქნება, თუ მართლა ასე მოხდა. ის მაინც მეცოდინება, სამსახურს რომ არ დაუკარგავ. ვიცი, რომ ჩემს თავს არ მოახსენებ. აქ მოწვევა შეიძლება? არადა, ისეთი სიზმარი მქონდა ამასწინებზე... მჭედელი ვიყავი თითქოს, კუზნეცი.

– რას ამბობ? – გაოცდა ლორა.

– კარგია თუ ცუდი? – იკითხა გივიმ.

– ჯერ სიზმარი მომიყვივი, – უთხრა ლორამ.

– მოსაყოლი ბევრი არც არაფერია. ვურტყამდი ჩაქუჩს უშველებელ გრდემლს მთელი ძალით. ჰოდა, გრდემლზე არც არაფერი იდო. მიკვირდა, რატომ ვურტყამ ჩაქუჩს ასე ძალიან ხალასტოიზე-მეთქი და მაინც ვურტყამდი. ეგ იყო და ეგ. რას უნდა ნიშნავდეს ვითომ?

– ამაო გარჯაა, – თავდაჯერებულად წარმოთქვა ლორამ. – მე მგონი ასეა. არა, აუცილებლად უნდა მიიყვანო იმ ნათელმხილველთან. არ იკბინება, ნუ გეში-

ნია. თან ისეთი მკერდი აქვს, ქალი ვარ და მეც კი შევუთვალაიერე გემოზე.

გივიმ ფეხზე შემოდებული ფეხი ჩამოიღო და ცას გახედა.

– კიდევ კარგი იმ გრდემლზე, მე რომ ვურახუნებდი, ვინმეს ხელი არ ჰქონდა დადებული. ბაბუაჩემი იყო მჭედელი და ერთხელ შემთხვევით შევირდს ორი თითი მოაგლიჯა ჩაქუჩით, – თქვა გივიმ და სიგარეტი ამოიღო.

– ხუმრობ? – ჩაეკითხა ლორა და, როცა დარწმუნდა, რომ სტუმარი არ ხუმრობდა, ისე ძალიან დასერიოზულდა, გაბრაზებულს დაემსგავსა. – გაფიცებ ბავშვებს, იმ შენი კარგი მამის სულს გაფიცებ, არაფერი უთხრა ნინელის, რატომ არ მითხარი, თუ ლორას მარებლობდიო, არ უსაყვედურო. არ იმსახურებს ნინელი საყვედურებს. ქალები ვართ, ავმჩატდით ზოგჯერ. დამპირდი, რომ არ უსაყვედურებ!

გივიმ პასუხად ხელი ჩაიქნია და სიგარეტს მოუკიდა.

2

გივიმ, ფანჯრის რაფაზე ჩამწკრივებულ ოთახის ლამაზი მცენარეების თვალაირებას რომ მორჩა, ლორას შეხედა, „იმიტომ ცმუკავს, რომ ფანჯრის რაფაზე ვერ ჯდებაო“, გაიფიქრა და გაიღიმა, ცოტა ხნის შემდეგ კი მაგიდაზე, შუშის ქვეშ პატარა ბავშვის ფოტოსურათი აღმოაჩინა. ბავშვს ხუჭუჭა თმები ჰქონდა და მსუქანი იყო.

– თუ იცი, ამ ბავშვზე რა თქვა ნორამ? – ჰკითხა ლორამ გივის.

– ვანგაზე ამბობ? – კითხვა შეუბრუნა გივიმ.

– ნუ იცინი. არც იცოდა, რომ ეს ბავშვი ახლა უკვე სტუდენტია. გამოსაცდელად მიუტანეს გოგოებმა ეს სურათი და ასე თქვა, ამისგან აუცილებლად მათემატიკოსი დადგებაო, არადა, მართლა მათემატიკურზე სწავლობს. ვეკუაზე ნაკლები არ გამოვა, არაორდინარული ბედის ბავშვი იქნებაო. გაფიცებ ყველაფერს, რომ შემოვა, სერიოზული იყავი!

– არაორდინარულიო? ესე იგი, ლაპარაკი სცოდნია იმ კუდიანს. სად ჯანდაბაში წავიდა, ფისი-ფისი მოუნდა?

– ხომ გითხარი, მოლარის კაბინეტშია-მეთქი. მოველაპარაკე-მეთქი და ახლავე შემოვა. ეს მზიას კაბინეტი, განყოფილების უფროსის. გეხვეწები, ამ ერთხელ მაინც იყავი სერიოზული!

– შენ პირველი ხარ, არასერიოზულიაო, რომ ამბობ ჩემზე. არ დაიჯერებ და მსიამოვნებს. განყოფილების უფროსი სად არის, შევებულებაშია თუ მივლინებაში?

– საამქროში დაიბარეს, იქიდან შინ წავა პირდაპირ, აქ არ დაბრუნდება. ყოველთვის შინ გარბის ხოლმე, როცა საამქროში დაიბარებენ. ეს ნათელმხილველიც სახლში დაიბარა ხვალისთვის, ფულიანი ქმარი ყავს.

– ასეა, – ამოიხრა გივიმ. – კარგია ფულიანი ქმარი რომ გყავს, მკითხავები პირდაპირ შინ მოგაკითხავენ. ზოგის ქმარი კიდევ ცოლის მაგივრად მიდის მკითხავთან, ჩემი არ იყოს. ჩემზე რამე ინფორმაცია ხომ არ მიგიცია წინასწარ?

– გეკადრება? – აიმრიზა ლორა. – მართლა ასეთი მიამიტი გგონივარ? ასე ამბობს, ნათელმხილველობის ნიჭი დროებით მომეცაო.

– ეს იმიტომ, რომ ხალხი მიანყდეს. აბა, ჰე, მე უკვე მზად ვარ. შემოვიდეს! – გაიხუმრა გივიმ და მკაცრი დირექტორის გამომეტყველება მიიღო, მაგრამ ლორამ იუმორი არ დაუფასა.

– თუ შეგატყო, რომ არასერიოზულად უდგები საქმეს, ეწყინება და წავა, – თქვა ლორამ.

– ჯობია შენით მითხრა, როდის თხოვდები ჩემს დირექტორზე, თორემ კაცი არ ვიყო, მე თვითონ თუ არ ვკითხო წინასწარმეტყველს.

– სხვის საქმეში ნუ ერევი, თუ შეიძლება! – ჯერ სახეზე ღიმილი მოირგო და მერე დატუქსა ლორამ დაქალის ქმარი. – ხომ გითხარი, ისე, უბრალოდ აღნიშნა, ნახავო, თორემ იმაზე გათხოვდებო, არ უთქვამს.

ლორას წასვლის შემდეგ გივი მაგიდას უფრო ახლოს მიუჩოჩდა და ბავშვის ფოტოსურათი უკეთ შეათვალა, რატომღაც ის გაახსენდა, რა უნდო თვალებით შემოხედა თავისმა დირექტორმა ამ შენობაში შემოსვლის წინ, როცა მოატყუა, აქ ჩემი ძმაცაქი მუშაობსო. კიდევ ერთხელ დარწმუნებული, რომ დირექტორი ტყუილს მიუხვდა, უხერხულად შეიშმუნა და, კედელზე დაკიდებულ სურათზე ლენინის დამცინავ თვალებს რომ წაანყდა, უარესად აილანძა. იმისიც შერცხვა, ორმოცდაოთხი წლის მამაცაქი ასეთი მონდობით რომ ელოდა მკითხავს და წასვლა დააპირა. მაგიდაზე დადებული სიგარეტის კოლოფი პერანგის ჯიბეში ჩაიღო და ის-ის იყო სკამიდან წამოდგა, რომ ოთახის კარი გაიღო და ლორა გამოჩნდა.

ლორას სახეზე მონივნება გამოსახვოდა და გივი მაშინვე მიხვდა, რომ მკითხავი მოყავდა.



მხატვარი თამარ მინაშვილი

მკითხავი სასიამოვნო, მართლაც და დიდმკერდა და მოდურად ჩაცმული ორმოციოდე წლის ქალი გამოდგა, თავდაჯერებული და ისეთი მიმტევებელი ღიმილით, ექიმებს რომ აქვთ.

– ეს გვია, – თქვა ლორამ და მკითხავს თვალეში შესცივინა.

მკითხავმა მისალმების ნიშნად თავი ოდნავ დააქიცინა, მერე მარცხნივ გადახარა, მაშინვე სანერ მაგიდას მიუჯდა გვიის პირდაპირ და, სანამ ფეხს ფეხზე გადაიდებდა, ფანჯრის რაფაზე ჩამწკრივებული მცენარეები შეათვალიერა.

– მიყვარს ყვავილები, – თქვა ქალმა და გვიც დაჯდა. – ოთახში ყვავილები თუ არის, თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ. კაქტუსებიც მიყვარს, მაგრამ აქ არ არის. თუმცა ესენი მცენარეები უფროა, ვიდრე ყვავილები. ასე არ არის?

– მგონი ასეა, – ლორას მაგივრად უპასუხა გვიმ. სიამოვნებდა ქალის ხავერდოვანი ხმა, სწორედ ისეთი, ლოგინში მიპატიჟებად რომ აღიქვამენ მამაკაცები. – აქეთ გადმობრძანდით, ქალბატონო, ადგილები გავცვალოთ. დირექტორივით ვარ აქ წამოჭიმული...

– მოდუნდით. დაძაბული როცა ხართ, ვერაფერს ვხედავ, – თქვა ქალმა.

ლორამ გვიის თვალით ანიშნა მოდუნებულიყო.

– ნურაფერზე ნუ ფიქრობთ, – თქვა ისევ ქალმა.

ლორამ გვიის თვალით ანიშნა არაფერზე ეფიქრა – კარგად გამოსდიოდა.

– დადებითი ენერჯია მოდის... კეთილი კაცი ბრძანდებით, – თქვა ქალმა.

– გმადლობთ, – თქვა გვიმ და ოდნავ მოდუნდა.

– გარეთ დაგელოდებით, – თქვა ლორამ. ქალმა არაფერი უპასუხა, თითქოს ლორა არც ახსოვდა.

ლორა შეეცადა უყურადღებობა არ სწყენოდა და ოთახიდან გავიდა.

– თავიდანვე აქ მოვეყვანეთ, – თქვა ქალმა მცირე პაუზის შემდეგ. – მყუდრო ოთახია, ეტყობა ამ ოთახის პატრონი დადებითემოციანია. ის კაბინეტი, მე რომ ვიყავი, არ ვარგოდა, ცუდი აურაა იქ, რკინის კარი აქვს. პატრონს გამუდმებით რალაცის ეშინია, თან ხმაური შემოდის. აქ დერმანტინიანი კარია, ხმაური არ შემოდის, მერე კიდევ ეს მცენარეები, სულს გითბობს როგორღაც... თქვენ დღეისთვის ბოლო ხართ. დავიდალე, მეტი არ შემიძლია. სულ დაძაბული ხალხი იყო. თქვენც დაძაბული ხართ, მაგრამ ისე ავად არა... მოდუნდით, თორემ ასე არაფერი გამოვა.

– არ მინდა მკითხაობა, – თქვა უცებ გვიმ.

ქალმა არაფერი უპასუხა – არც სწყენია და არც გახარებია გვიის ნათქვამი და კატეგორიული ტონი. თვალე დახუჭა და გვიც მაშინვე სახეზე დააცქერდა. სასიამოვნო სახის კანი ჰქონდა ქალს.

– მამაკაცებს საერთოდ უარს ვუბნები, მაგრამ თქვენზე ძალიან მთხოვეს. იმდენი პრობლემები აქვსო... არადა ბევრი არაფერი, – ხავერდოვანი ხმა მო-

ნოტონური გაუხდა ქალს, ხელები კი, აქამდე კალთაში რომ ეწყო, მაგიდაზე დაალაგა და გვიც მიხვდა, რომ მან მკითხაობა დაიწყო.

ახლა, კინოებში ნანახი შამანებივით, ტრანსში გადავარდნილებს რომ თამაშობენ, ხმა მთრთოლვარე თუ გაუხდა, ნაღდადა შარლატანიას, გაიფიქრა გვიმ.

– თირკმელებს მიხედეთ, იმკურნალეთ, – თქვა ქალმა მთრთოლვარე ხმით.

გვიის ქალის ხელზე ნიშნობის ბეჭდის ნახვაზე ხასიათი ნაუხდა და იმასაც მიხვდა, რომ ეს ქალი ძალიან მოსწონდა.

– თირკმელებს მიხედეთ, – გაიმეორა ქალმა და თვალეები გაახილა. – მამაკაცებისაგან ყოველთვის ისეთი ენერჯია მოდის... არასწორი!

გვიც მიხვდა, რომ ქალმა „არასწორში“ „ავხორცული“ იგულისხმა, ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს შიშველი ყოფილიყო და თავი უმწეოდ იგრძნო.

– სახლის სახურავი რომ გაქვთ გამოსაცვლელი და ძალიან ნერვიულობთ, ნუ ინერვიულებთ. ძალიან მოულოდნელად გამოგიჩნდებათ სახურავის გამოსაცვლელი ფული, ეს კი თქვენი ცხოვრების უკეთესობისაკენ შემობრუნების ნიშანი იქნება. ნახმარი შიფერის ყიდვას რომ აპირებდით იაფად, ნუ იჩქარებთ.

– ღმერთო ჩემო! – თქვა გვიმ და ჯიბიდან სიგარეტის კოლოფის ამოღებისას ხელი აუკანკალდა. – თქვენ მართლა გულთმისანი ბრძანებულხართ, ქალბატონო!

– სულ გეჩვენებათ, ჩემი ცოლი იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ მე მჯობიაო, მაგრამ ასე არ არის. უბრალოდ ძალიან ლამაზი ქალია, პრანჭიაობა უყვარს და არც არავის ეპრანჭება კონკრეტულად. უბრალოდ პრანჭიაობს... ერთი გარეშე ქალის ენერჯიაც უნდა მოიშოროთ.

– რომელი ქალის? – იკითხა გვიმ, ქალს პაუზა ძალიან რომ გაუგრძელდა.

– სტუდენტობისას თქვენს ცოლთან ერთად რომ ცხოვრობდა ნაქირავებ ოთახში, კერძო აგურის სახლში. იმ ოთახის ფანჯარასთან დიდ ლეღვის ხეს ვხედავ და თქვენ იმ ხეზე ასულს, ძალიან ნასვამი ხართ... ღმერთს სანთელი დაუნთეთ, რომ არ ჩამოვარდით. ლეღვიდან ჩამოვარდნილები ილუპებიან როგორც წესი. ხომ გახსოვთ, როგორ დაილუპა ჰამლეტ გონაშვილი?... იქიდან მოყოლებული უყვარხართ და ვერ გვიწყებთ. ლეღვის ხეზე ასვლაზე კი არ გეუბნებით, საერთოდ, იმ დროზე გეუბნებით... ლალი ქვია ან ლარისა, – თქვა ქალმა. – თქვენი ოჯახის მეგობარია ახლა ის ქალი. თქვენი შვილის ნათლიობასაც იმიტომ გაექცა... მოკლედ, ცოლს ნუ უღალატებთ... აქ უნდა შევწყვიტო, სანამ თქვენგან დადებითი ენერჯითა ვარ დამუხტული, თორემ სხვა ყველანი უარყოფითები არიან და მერე თავის ტკივილი მენწყება, ღამე არ მძინავს... ნუ გეშინიათ, ენერგოვამპირი არ გეგონოთ.

– არ მგონიხართ, – გადაჭრით განაცხადა გვიმ, თუმცა ხერიანად არც იცოდა, რას ნიშნავდა ენერგოვამპირი.

– სახურავის გამოსაცვლელად რომ დამჭირდა თანხა, მანქანა გავყიდე, მაგრამ შემომეჭამა ის ფული, – თქვა გივიმ. – ძველი შიფერის ყიდვა რომ მინდოდა, არც მითქვამს ვინმესთვის... გულში მქონდა ჩემთვის.

– ყველაფერს მოვევლება! – თქვა ქალმა. – აქ რომ ქალმა მომიყვანა, იმას რა ქვია?

– ლორა, – ძლივს ამოღერდა გივიმ. – ოჯახის მეგობარი, აი, თქვენ რომ ამბობდით...

– რას ვამბობდი? – იკითხა ქალმა.

– აი იმას, როგორ გითხრათ... გარეშე ქალის ენერგიაო, უნდა მოიშოროო...

– სეანსის დამთავრების შემდეგ მე არაფერი მახსოვს. – წყალი გადაუნურა ქალმა. – რომ მახსოვდეს, ხომ გავაფრენი!.. ადამიანი, საერთოდ, დიდად პრეტენზიული არსებაა და ყველა ერთმანეთს გავს, შეიძლება იმიტომაც ვერ ვიმახსოვრებ, არ ვიცი... სიგარეტი მომანევიანეთ, თუ შეიძლება, და ლორას უთხარით, კარინეს უთხრას, იმას, ვინც მე აქ მომიყვანა, ხელჩანთა მომიტანოს. შინ მივდივარ. ხვალ მოვალ თუ უნდათ.

– ისა, ლორა... – დაიწყო და არ დაამთავრა გივიმ და ქალს სიგარეტი გაუნოდა. – მე გავალ, თქვენ მშვიდად მოსწიეთ... გავალ მე, – თითქოს მოსწავლე მასწავლებელს სთხოვს კლასიდან გაშვებასო, ისეთი ტონით წარმოთქვა გივიმ.

– ბოდიში გადაეცით-თქო გოგოებს. ანდა მე თვითონ ვეტყვი, – თქვა ქალმა. – სანთებელაც მომეცით, თუ შეიძლება, ჩემი ხელჩანთაში დამრჩა.

– აი, ეს, ფული... – სანთებელასთან ერთად ფულიც მიანოდა ქალს გივიმ. – უკაცრავად, თქვენი სახელი თუ შეიძლება.

– მანანა, – მშვიდად აიღო ფული ქალმა. – გმადლობთ, – დააყოლა მას შემდეგ, რაც გივის მოწოდებული ცეცხლით სიგარეტს მოუკიდა, თითქოს მადლობის ორჯერ თქმა დაეზარა და იმას ელოდა, როდის მიუმარჯვებდა გივი ცეცხლს რომ საერთო მადლობა ეთქვაო.

3

– აგვიანებს ჩემი დირექტორი, – თქვა გივიმ და მანანას მორცხვად გაუღიმა. ზედ მათ ცხვირწინ ტროლეიბუსს სადენიდან ცალი ბიგელი ამოსძვრა და ჰაერში აფართხალდა. ტროლეიბუსიდან გამხდარი შოფერი გადმოვიდა და მანანა გამჭოლი მზერით შეათვალიერა. გივი გაბრაზდა, თვალში ხომ არ ვეპატარავები, ჩემს გვერდით მდგომ ქალს ასე რომ უყურებსო.

– ბენზინი გაგითავდა არა, უფროსო! – საკმაოდ ირონიულად მიმართა გივიმ შოფერს. იმან კრიჭა შეკრა, ბრეზენტის ხელთათმანები მოირგო და უტიფარი მზერა არც შეცვლია, ისე გაემართა ტროლეიბუსის ბოლოსკენ. გივი ტროლეიბუსის მგზავრებში შორეულ

ლი მეზობლის ცნობისმოყვარე მზერას ნაანყდა და კიდევ უფრო აეშალა ნერვები.

– ეს რა ნაგლი პასაჟირია! – თქვა შოფერზე ძალიან მაღალ ქუსლებზე წამოსკუპებულმა კარინემ, ცოტათი ნაწყენმა იმით, რომ მას იმდენი ყურადღება არ მიაქციეს, რამდენიც მის გვერდით მდგომ წინასწარმეტყველს.

– თავი გაანებეთ, ერთი საწყალი კაცია, – თქვა მანანამ. – თავისი ეყოფა.

– იცნობ? – ჰკითხა კარინემ.

– არა, საიდან უნდა ვიცნობდე.

კარინემ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა გივის – თავისი მესამე თვალი აუშუშავდა მანანასო, ანიშნა. გივი ვერ მიხვდა, მანანამ მესამე თვალის გახსნა გაითამაშა თუ მართლა მოახერხა ტროლეიბუსის მძღოლზე რამე ინფორმაციის მიღება.

ტროლეიბუსი რომ წავიდა, გივიმ გზის გადაღმა შენობაზე ლორას სამსახურბრივი ოთახის ფანჯარა მოიხიდა თვალთ. ლორა ფანჯარასთან იდგა გულზეხლებდაკრეფილი და მათ უყურებდა.

– ტაქსს გავაჩერებ, – თქვა გივიმ.

– შენც ხომ მოდიხარ? – ჰკითხა მანანამ კარინეს.

– მე ვერა, სამსახურში უნდა დავბრუნდე. გაცილებ.

– შენც მოდიოდი მეგონა, – თქვა მანანამ და გივის გადახედა, აქაოდა, წინასწარ რომ მცოდნოდა, კარინე რომ არ მოდიოდა, უცხო მამაკაცს არ დავეთანხმებოდი მისი კიდევ უფრო უცხო დირექტორის მანქანით მგზავრობაზეო.

გივიმ ტაქსი გააჩერა და მანანას მიუბრუნდა.

– მიბრძანდით, ქალბატონო მანანა, – თქვა გივიმ. – თქვენთვის გავაჩერე. მე დირექტორს უნდა დაველოდო, დათქმული გვაქვს!

– აბა, მაშინ მე წავედი, – თქვა მანანამ და ტაქსისკენ გვერდულად გაიქცა, როცა კარს ალებდა, უკან მოიხედა და კარინეს შინაურულად გაუღიმა.

– აბა, მეც წავედი, – თქვა კარინემ.

გივიმაც მექანიკურად ისე შინაურულად გაუღიმა კარინეს, როგორც წელან წინასწარმეტყველმა, ალბათ იმიტომ, რომ მანანაზე ფიქრობდა. კარინე დაიბნა, მაგრამ ისტიბარი მაინც არ გაიტეხა.

– თქვენ არ იცით, როგორ ეწამება... – ალაპარაკდა უცებ კარინე, აქამდე გამართულად რომ მეტყველებდა, აღელვებისაგან ბგერების ყლაპვა დაიწყო ბოლოსში. – საღამოობით ხილვები რომ მოაწვება, თვალისჩინი ეკარგება და სახე უზბერდება, ისე ილლება, შეიძლება ორი დღე და ღამე იძინოს გადაბმულად. ერთი სული აქვს, როდის დატოვებენ ეს ძალები.

– რომელი ძალები?

– არ ვიცი, არ ამბობს.

– აი, თქვენ რომ თქვით, ორი დღე და ღამე შეიძლება იძინოს, მაშინ არ ხედავს წინასწარმეტყველურ სიზმრებს? – იკითხა გივიმ და კარინემ ეჭვის თვალთ შეხედა, ხომ არ დამცინისო.

– არ ვიცი, – თქვა კარინემ. – ხომ გითხრათ ისეთი რაღაცეები, თქვენს მეტმა კაციშვილმა რომ არ იცოდა.

– მითხრა, – ცოტა არ იყოს უხალისოდ აღიარა გივიმ და წამახვილებული ყურის ბიბილოები შეუთვალისერა მოსაუბრეს. გამოცდილი თვალი მაშინვე შეამჩნევდა, რომ მამაკაცს დანატრებული ქალი იყო და ამას მზერით, ხმის ტონითა და გულახდილი საუბრის მანერით ავლენდა თავისდაუნებურად, მაგრამ მალევე ერეოდა თავს და საკუთარ თავში იკეტებოდა. – კიდევ კარგი, თქვენს დირექტორს რომ არ უმკითხავა, თორემ ხომ ეტყოდა, თანამშრომლები ვინ რას ფიქრობს მასზე... ასე მითხრა, არც მახსოვს, რას ვმკითხაო და რას ვლაპარაკობო.

– არც ახსოვს, მხოლოდ საღამოს ხილვები ახსოვს, – ისევ გაიხსნა კარინე. გივის ნათქვამზე კარგად რომ დაფიქრდა, შეცბა.

– გამოდის, რომ ცოლ-ქმარს არ უნდა უმკითხავოს ერთმანეთის თანდასწრებით, – გაიხუმრა გივიმ. კარინემ პატივისცემით შეხედა, ისე, როგორც უეცრად ჭკუააჭრილ კაცს შეხედავენ, მანამდე სულელი რომ ეგონათ.

– ისე, კაცს თუ ქალი უყვარს და პირდაპირ ვერ ბედავს ამის თქმას, შეუძლია ჩერებ ამ ქალბატონი ნათელმხილველით იმოქმედოს... – კიდევ ერთხელ გაიხუმრა გივიმ და ისევ სერიოზული გახდა: ისეთი სახე მიიღო, თითქოს ინტერესი დაკარგვოდა კარინეს მიმართ. მექანიკურად იმოქმედა ასე, ქალების მოხიბ-

ვლის გამოცდილებამ იმუშავა ქვეშეცნეულად. კარინეც თითქოს წამოეგო ანკესს, გივის ყურადღების მისაპყრობად საკუთარ საყურეებს გაეთამაშა საჩვენებელი თითით, მაგრამ ფანჯრიდან მათი მოთვალთვალე ლორა რომ დაინახა, გონს მოეგო.

კარინეს წასვლის შემდეგ ლორა კიდევ ცოტა ხანს უყურებდა გივის ფანჯრიდან, მერე გაქრა. გივი მთელი ათი წუთი ელოდა დირექტორს, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს ლორამ დაუძახა და ხელით რაღაცა ანიშნა. გივიმ ვერაფერი გაიგო, ქუჩა გადაჭრა და ლორას ფანჯრის ქვეშ დადგა.

– ამოდი, დენი მოვიდა. ყავას დაგალევიწებ! – დაუძახა ლორამ. – დირექტორი რომ მოგაკითხავს, მერე ჩადი!

გივიმ მხრები აიჩეჩა და ქუჩას გახედა. მოეჩვენა, რომ გადატანილი მღელვარების შემდეგ ყავა ესიამოვნებოდა.

– ამოდი. ყავა უკვე მზადაა! – ჩამოსძახა ლორამ.

– ჩემი ბედის რომ ვიცი, ავალ თუ არა, სწორედ მაშინ გამოჩნდება ის ჩემი ცოდვით სავსე! – ასძახა გივიმ და შენობის უზარმაზარი შესასვლელი კარებისკენ გაემართა.

მართლა სიყვარულში ხომ არ გამომიტყდა იმ დამთხვეული წინასწარმეტყველის საშუალებით ეგ ჩემი ცოდვით სავსეო, გაიფიქრა ლორაზე, სანამ მარმარილოს კიბეებს აუყვებოდა, საფეხურებზე ხალიჩის დასამაგრებელი სპილენძის წკირები ალაგ-ალაგ რომ შერჩენოდა მხოლოდ.

პირველი შთაბეჭდილება

(ბედის)წერა
იავარქმნილი
ქალაქის აღსადგენად

გელა ჩქვანავას 2000 წელს უკვე გამოექვეყნებინა თავის მოთხრობები ჟურნალ „კლდეკარში“, მაგრამ მე მისი სახელი ჩემი მეგობრის მალხაზ ხარბედიასაგან გავიგე. გელას მოთხრობები „არილშიც“ მიეტანა, მახოს ნაეკითხა და ისე მოსწონებოდა, რომ ავტორს შინ მისდგომოდა. დამსხდარიყვნენ, დიდხანს ესაუბრათ. იქიდან მობრუნებული მახო კი გადამდები ალტაცებით მიყვებოდა გელა ჩქვანავასა და მის მოთხრობებზე.

სხვა ყველაფერში პოეტური ბუნების მახოს ლიტერატურასთან მიმართებით ცივი პრაგმატიზმი გამოარჩევს და უბრალო საბაბით ალტაცებანი არ სჩვევია, ამიტომაც დამაინტერესა გელა ჩქვანავას პირველმა ცდებმა, რომელიც, საბედნიეროდ, დებიუტანტთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, რამდენიმე კინკილა მოთხრობის ავტორი კი

არა, როგორც შემდგომ გამოირკვა, საკმაოდ ხელხვაიანი და სერიოზული მწერალი აღმოჩნდა.

„არილის“ პუბლიკაციიდან მოკლე ხანში კი გელა ჩქვანავას მოთხრობები გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზეც გამოჩნდა და უკვე საბოლოოდ დადასტურდა, რომ ქართულ ლიტერატურას საინტერესო კაცი მოევიწიება.

თუმცა ცალკეული მოთხრობები ისეთ სრულ შთაბეჭდილებას მაინც ვერ შეგვიქმნიდა, რაც გამომცემლობა „დიოგენეს“ მიერ დასტამბულმა გელა ჩქვანავას — დებიუტისათვის უჩვეულოდ სქელტანიანმა — კრებულმა მოახდინა.

„კოლორიტები“, რომლის სათაურიც — როსტომ ჩხეიძისა არ იყოს — დიდად არც მე მომწონს, ისევ როსტომს რომ დავესესხო, უფრო რომანად აღიქმება, ვიდრე ცალკეულ მოთხრობებად

(აქვე არ შემიძლია, როსტომ ჩხეიძეს, ვისთანაც „ჩვენ მწერლობაში“ დაბეჭდილ ამა თუ იმ მასალაზე მუდმივად ვკამათობ და ბოლო ხანს ჩვენმა კამათმა ლამის „სერიოზული დაპირისპირების“ ხასიათიც კი მიიღო, გულწრფელი კომპლიმენტი არ ვუთხრა საჯაროდ: ძალზე ცოტა მეგულება ადამიანი, ვინც მის მსგავსად ორ წინადადებას იტყვის და ამ ორ წინადადებაში ყოველმხრივ შეაფასებს ამა თუ იმ მწერალსა თუ ლიტერატურულ მოვლენას. ხოლო იმაში, ეს კომპლიმენტი მეგობრის ან, მითუმეტეს, რედაქტორის მისამარ-

პირველი შთაბეჭდილება

თით „გატყორცნილი“ ქათინაური რომ არაა, შეგიძლიათ იოლად დარწმუნდეთ, თუ ნიმუშად, ვთქვათ, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მე-11 ნომერს გადაშლით და იქ როსტომ ჩხეიძის „უეკრანო გამოსვლების ციკლში“ გელა ჩქვანავას ნიგნისადმი მიძღვნილ მცირე რეცენზიას ჩაიკითხავთ!

ნიგნის სათაური არ მომწონს იმიტომ, რომ გელა ჩქვანავას რომანის პერსონაჟები პიროვნებანი არიან და არა — კოლორიტები (ამ სიტყვის ბანალურ-ქართული გაგებით!). მათ პიროვნებებად ის ტრაგიკული ბედისწერა აყალიბებთ, რომელსაც ამ ადამიანთათვის სოხუმი ჰქვია და საინდინაც უსამართლოდ დევნილებმა თავი კიდევ უფრო არეულ სინამდვილეს შეაფარეს.

თუმცა გელა ჩქვანავას ნიგნი იმის დასტურია, რომ ადამიანს ვერ განდევნი, ვერ გააძევებ იმ ადგილებიდან, რომელიც მას კანონიერად ეკუთვნის. ეს კანონიერება კი მშობლიურ სანახთა მიმართ ამ ადამიანის მემკვიდრეობით სიყვარულს ეფუძნება. ამიტომაც დარჩა მწერალი გელა ჩქვანავა მშობლიურ სოხუმში და თავის ნიგნში ფაქიზად ალაღვინა სინამდვილის მიერ იავარქმნილი დიდებული ქალაქი, სადაც გვერდიგვერდ, შეიძლება არცთუ დაღვინილად, მაგრამ საინტერესოდ ცხოვრობდნენ ქართველი და აფხაზი (გნებავთ: აფხაზი და ქართველი!), რუსი თუ სომეხი, ბერძენი თუ უკრაინელი „მზის პრემიის ლაურეატები.“

ალბათ აქვე უნდა ვეძიოთ გელა ჩქვანავას მწერლური ხელხვაიანობის მიზეზიც. დღეს, როცა (თქვენთან რა დასამალია!) მისი თაობის ბევრ კალმოსანს თითქოს წერა ეზარება, გელა ჩქვანავა თავგანწირვით წერს, წერს იავარქმნილი ქალაქის ალსადგენად და ეს განწირულის სულისკვეთება ცუდად ალბათ ნამდვილად არ ჩაივლის... იმიტომ, რომ: ასე წერა, უკვე მხოლოდ წერა კი არა, ბედისწერაა...

ხოლო ვისაც გელა ჩქვანავას ნიგნი ჯერ არ ნაუკითხავს, შეუძლია, დღევანდელი მოთხრობითაც ისიამოვნოს, რომე-

ლიც თითქოს აგრძელებს „კოლორიტების“ მხატვრულ-სიუჟეტურ ხაზს, მაგრამ წინა მოთხრობებისაგან მაინც რალაციით არსებითად განსხვავდება.

რატომღაც მომეჩვენა, რომ ნიგნში შესული მოთხრობები უკეთესია, მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ დასტამბულ ნოველაში ადრინდელზე უფრო განაფული ავტორი იგრძნობა.

მაინც იმედს ვიტოვებ, რომ ჩემი შთაბეჭდილება მოჩვენებითია, რადგან გელა ჩქვანავას მოთხრობათა ანალიზი სრულყოფილად მაშინ მოხერხდება, როცა ისინი თავს ერთ ახალ კრებულში მოიყრის.

მკითხველს ვთხოვ, ნუ დააბნევს ასეთი შეფასება. ეს, ასე ვთქვათ, პროფესიული წვრილმანებია, თორემ გელა ჩქვანავას ნიჭიერება პირადად ჩემთვის უეჭველი ფაქტია და მისი თითოეული მოთხრობა ამ ნიჭიერების დასტურად გვევლინება.

სხვათა შორის, როცა მისი პირველი ნიგნი გამოდიოდა, გამომცემლობა „დიოგენეს“ გემოვნებიანმა და უმკაცრესმა რედაქტორმა ანა ჭაბაშვილმა მითხრა: „ვერ გეტყვი, როგორ ახერხებს, მაგრამ ერთი-ორი ფრაზითაც გაგრძნობინებს, რომ ნაღდი მწერალია“...

ასეა: ნიჭის უბედურება ისაა, რომ თავის თავს მუდამ გასცემს და ამჟღავნებს...

ერთმა ლიბანელმა მწერალმა, ვისი ქვეყანაც, ჩვენი სამშობლოს „სიკეთისა“ არ იყოს, გამუდმებით ინგრევა, უმცროს კოლეგებს ასეთი რამ უთხრა:

„ალადგინეთ თქვენს ნაწერებში თუნდაც ერთი დანგრეული სახლი და მაშინ მხოლოდ იმას კი არ დაგიჯერებთ, რომ მწერალი ხართ, არამედ იმასაც, რომ მწერლობას, საერთოდ, რალაც ხეირის მოტანა შეუძლია.“

გელა ჩქვანავამ თავის ნაწერებში ერთი სახლი კი არა, მთელი იავარქმნილი ქალაქი ალაღვინა...

გიორგი ლოპხანიძე

კოჩის ერთი ლექსი

N-ს

ისინი, საკუთარ მღვიმეში ვინც სხედან,
ამ მღვიმის სქესია, მგონი, მდებრობითი,
თავისივე სხეულს აღწერენ, ვით ცხედარს —
გახრწნაში ჩარჩენილს. მანამდე დრო მიდის,

რომელიც ოდესღაც დაიწყო ბრეტონით,
გვიან გადმოიღო ნიგნი დამტვერილი,
საკუთარ წყვილიადმი ბრწყინავს მეტონიმი
კედელს მინარცხებულ ჭიქის ნამტვერევივით.

ხელოვნურ პეპელას არქმევს მეტაფორას,
სიტყვა ქინძისთავით მეც ხომ მიმიკრია,
ისევ გვეცინება დღეს მე და ბორიას,
ამხელს მსახიობსაც უნიჭო მიმიკრია.

ლექსით თუ გწყურია მღვიმის განათება
და ცივ ოფლს გამოყოფს შუბლი — მაცივარი,

გაერთე, ამისთვის არ გელის ანათემა,
იგემე ნაყოფი სუბლიმაციური.

ხომ ჯობდა გადაგვედნო მე და შენ ის ღამე
სისხლით ნაკარნახევ რიტმის გაჯობრებით,
როდესაც წუთები ჟრუანტელს ისხამენ
და ქრება რეალობის თვალები — ქაჯი ბრები.

რადგან ამაოა შენთვის შეგონება,
ანებე, ანებე უაზრო ნაკუნები,
შენივე ხელები სხვისი გვეგონება
და თავს მეტრფესავით ნაელაქუცები.

ბრონეულის სისხლით დაცვარულ ხერხემალს
დავხედავ სიბრალულით, განა შურით,
შენ სიმულაციაც აღარ გეხერხება,
რალას გაანათებ ჩამქრალ ბააჟურით?!

გივი ალსაჯიშვილი



თემურ ჩხეტიანი

არა მხოლოდ ასაკის გამო

„– მდინარეებს ერიდეთ“, – ასე მითხარი,
და ორივეს გაგვეცინა.

არადა, ჩვენი საუბარი შეეხებოდა
პოეტს, რომელიც იმ ასაკში, ახლა რომ მე ვარ,
ტრაგიკულად დაიღუპა –
ასე ოცდათხუთმეტი წლის წინ
პარიზში, სენის ნაპირზე ნახეს
მისი ცხედარი მდინარიდან გამორიყული...

კრიზისული ასაკი მიდგას,
შეჭირვებული ვარ და არა მხოლოდ ასაკის გამო,
თუმცა საშიში, ალბათ, მაინც არაფერია:
მე იმ დონის პოეტი არ ვარ,
უახლოესი მდინარე კი ჩემი სახლიდან
საკმაოდ შორს არის.

დიახ, შორს არის.
თან, ისეთი პატარაა და უმნიშვნელო,
რუკაზე კი ჩანს,
მაგრამ მისი სახელი ქვეყნად
ბევრს არც სმენია,
და ცოდნითაც ცოტამ თუ იცის.

* * *

Nach sind wir, Herr*
Paul Celan.

ვიცი, ახლოს ხარ.
ახლოს ხარ და არც მეშორები –
ჰაერივით გარს მავლია შენი სახელი.
შენი სახელი,

* „ჩვენ აქ ვართ, ღმერთო“, პაულ ცელანი

რომელიც ზოგჯერ
ხმამალლაც კი დამცდება ხოლმე.
დამცდება, მაკრობს. შეირხევა უცებ ჰაერი.

ვიცი, ახლოს ხარ,
მაგრამ შენთვის რას ნიშნავს ჩემი
სუნთქვა და ფიქრი? ჩემი შეკრთომა?
ვიცი, ახლოს ხარ,
მაგრამ გახსოვს ჩემი სახელი?..
შენ, ვინც ყოველთვის ნატვრა იყავ
და არა პასუხი.

უნყინარი სიტყვების მიღმა

უნყინარი სიტყვების მიღმა
რალაც სხვა ხმა სხვა რამეს ამბობს
და ამ ნათქვამს
უმალ იჭერს სხვაგვარი სმენა
და ეკლებად გულისკენ გზავნის.

შენ, რა თქმა უნდა, მამჩნევ ცვლილებას.
ჩერდები და მეკითხები:

„– რა გემართება?“
„– არაფერი“, – არის პასუხი.
და ვცდილობ, რომ გაგრძელება ჰქონდეს საუბარს.

ჩვენს საუბარს –
ჩვეულებრივს, ასე უბრალოს;
ვცდილობ, რადგან ვერ აგისხნი, რა მემართება,
და რატომაა ჩემთვის ახლა ცხადი ტკივილი,
უფრო ცხადი, ვიდრე ეს ბალი,
ვიდრე შენი სახე, ხელები...

მე ვერ აგისხნი,
ის სხვა სმენა
რატომ მაქვს ასე გამძაფრებული;
და რატომ მიჭირს,
მიხაროდეს თუნდაც ერთი დღე
დღე, რომელიც ღმერთმა მარგუნა.

* * *

რა ახასიათებს გაზაფხულს?
ცხადია, სითბო და ყვავილი.

როცა დღეც ყვავილივით იშლება
და ყვავილივით იხუჭება
სალამოობით...

ჰოეზია

გული კი ვერა და ვერ იქცა ყვავილად,
ის მხოლოდ ჭკნება.

ციკლიდან: „ტაიმ-აუტი“

* * *

ნუ ერიდები გამეორებას –
ოთხივე მახარებელიც
ერთ ამბავს ჰყვება.

* * *

დაასრულა და განზე გადავა.
მერე ერთი ალმაცერად
გადახედა გარჯისა და წვალეების შედეგს
და გულგრილად იბრუნა პირი.

* * *

ყოველდღიურად
მილიონობით უჯრედი გვიკვდება
და ახალი გვებადება
საკუთარ სხეულში.

* * *

– საით, სიყვარულო, საით?
გული რომ არ გვეტკინოს,
ვისკენ?

ჰოეზია

ყველაზე დაბლა ვდგავარ,
მაგრამ ჩემს ზემოთ
მხოლოდ ღმერთია.

პირველი შთაბეჭდილება

როდის იშლება ფოთლების პასიანსი...

მომავალი ლიტერატურის ისტორიკოსი ოდესმე ალბათ უეჭველად აღნიშნავს, რომ კახეთის ერთ პატარა სოფელ ვაჩნაძიანში XX საუკუნეში სამი გამორჩეული პოეტი დაიბადა. ერთი — სრულიად განსაკუთრებული ელა გოჩიაშვილი, მეორე — არაჩვეულებრივი თემურ ჩხეტიანი და მესამეც — ბელა ჩეკურიშვილი, რომლის ბოლოდროინდელი პუბლიკაციები საფუძვლიან იმედს გვაძლევს, რომ ახლო მომავალში თავის უნიჭიერეს თანამემამულეებს ტოლს აღარც ის დაუდებს.

სხვათა შორის, ამ სოფლიდანვეა წარმოშობით ჩვენი დიდებული პროზაიკოსი თამაზ ბიბილურიც, მაგრამ ამჯერად პოეტებით ვისაზღვრები.

სამივე პოეტს — ნიჭისა და გაქანების შესაბამისად — საკუთარი ადგილი აქვს და შესაძლოა, საერთო მხოლოდ ის ჰქონდეთ, რომ ერთი სოფლის შვილები არიან, მაგრამ ამ ფაქტის აღნიშვნა დღეს მაინც საგანგებოდ მოვიწოდებთ, თუნდაც იმის გამო, რომ ყველაფერი სალი ჩვენში მაინც სოფლიდან იწყება და პროვინციალიზმი გეოგრაფიული კი არა, სულიერი მდგომარეობაა.

ამ აღიარებული აზრის სიმართლეს კი ყველაზე უკეთ ეგებ თემურ ჩხეტიანის მაგალითი გვიდასტურებდეს, რომელიც ობიექტური მიზეზების გამო თავის ვაჩნაძიანს თითქმის არასოდეს გასცილებია, მაგრამ მისი სული ყველგან, სამყაროს კიდით კიდემდე მიმოიქცევა და ამ მეტაფიზიკური ყარბობის გამოცდილებებს თავის თავიდან ძალზე თანამედროვე, შეიძლება ითქვას, ურბანისტული ლექსების სახით ამოზიდავს.

თემურის ლექსი პირადად ჩემთვის იმითაა მნიშვნელოვანი, რომ კაცმა, ვინც — პირდაპირ ვთქვათ — თითქოსდა, უბიოგრაფიობისათვის იყო განწირული, სწორედ პოეზიის მეშვეობით შეძლო შეექმნა საკუთარი ბიოგრაფია, შეძლო ლექსში ეცხოვრა ისე მძაფრად, რისი საშუალებაც სინამდვილემ მისთვის ამკარად უსამართლოდ დაინანა.

ოღონდ თემურის შემთხვევა ზუსტად იმითაა უნიკალური, რომ მისი პოეზია, ბევრი სხვა პოეტისაგან განსხვავებით, სინამდვილიდან გაქცევა და ბროლის კოშკში ჩაკეტვა კი არა, პირიქით, სინამდვილის ახალ, თვისობრივად გაუმჯობესებულ და მისაღებ რეალობად გარდაქმნა. ამიტომაც, იმავე სხვა პოეტთაგან განსხვავებით, თემურ ჩხეტიანის საფიქრალი ჩვეულებრივ წუწუნად კი არა, ბედისწერასთან შეჭიდებული კაცის გმინვად აღიქმება. ეს გმინვა თემურის განწყობილებებს ბაირონთან ან ჩვენივე ნიკოლოზ ბარათაშვილთან ანათესავებს.

იმათ გასაგონად, ვისაც „ჩვენი მწერლობის“ პოეტურ პუბლიკაციათა მინანურები ზედმეტად ახლოს მიაქვს გულთან, დავაზუსტებ, რომ „ანათესავებს“ არ ნიშნავს იმას, რომ ჩხეტიანი ან ბარათაშვილი ან ლორდი ბაირონი. ეს გულისხმობს შემდეგს: ყველა ნამდვილი პოეტი საბოლოოდ განწყობათა, თემათა, საფიქრალთა, ტკივილთა ერთიან რკალშია ჩაბმული. ხოლო ამ რკალსა თუ მარყუჟს, სხვათა შორის, მეშურნეთა გაავებული ღავლავიც ავინროვებს...

კეთილის სიტყვის თქმას კი, მოდით, ნუ დავინანებთ 50 წლის ნამდვილი პოეტისათვის, ვინც გივი ალხაზიშვილის უშურველი თანადგომა რომ არა, წლების მანძილზე „მერანში“ დასტამბული სამიოდე თხელი წიგნის გამოცემასაც ვერ მოახერხებდა და ვისაც საბოლოოდ 50 წლის თავზე დაუსტამბა გამოცემლობა „დიოგენემ“ შედარებით სრული კრებული — „ფოთლების პასიანსი“.

თუნდაც ამის გამო უზომოდ მაღლიერი ვიქნებოდი გამოცემლობა „დიოგენის“ ხელმძღვანელის ქალბატონ თამარ ლებანიძისა, ვისაც „ჩვენი მწერლობის“ მინანურთაგან

პირველი შთაბეჭდილება

გალიზიანებული კალმოსნებისაგან განსხვავებით, რეკლამის ფსიქოლოგიის ფაქტიზი ნიუანსები ნამდვილად არ ესწავლება იმიტომ, რომ წლევანდელ წიგნის ფესტივალზე, თემურ ჩხეტიანის წიგნის წარდგინებისას ასეთი შინაარსის პატარა ბარათები დაარიგა: „აღმოაჩინე ნამდვილი პოეტი!“

ეს ნაბიჯი არ ემსახურებოდა არც თემურ ჩხეტიანის განვლილი გზისა და არც სხვა გამომცემლობაში დასტამბული მისი ადრინდელი წიგნების დაკნინებას. პირიქით, ნამდვილი პოეტი ყოველ წამს, ყოველი ახალი პუბლიკაციისას უნდა ხელახლა აღმოაჩინო, რადგან იგი შენ წინაშე მუდამ ახალ-ახალი, განსხვავებული რაკურსით წარმოგდება. მით უმეტეს სჭირდება აღმოჩენა კაცს, ვინც ვაჩნაძიანში, სრულ სიმარტოვეში ზის, სოფელში, სადაც მომავალი ლიტერატურის მემატინის თქმისა არ იყოს, XX საუკუნეში სამი შესანიშნავი პოეტი დაიბადა.

დღევანდელი მემატინე კი ამბობს, რომ არა აქვს მნიშვნელობა, სად დაიბადები: ვინ ვაჩნაძიანში ჩნდება, ვინ — ჭყვიშში და ვინ კიდეც — ტეზერში. მთავარი ისაა, რომ სხვათა შეფასებისას ტეზერის ორლობეებიდან არა ვლადებდეთ.

თუმცა რას ვერჩი ამ პატარა ტეზერს?! ქართლის ულამაზესი სოფელია და, სხვათა შორის, ძალიან ახლოა ქვიშხეთთან, საიდანაც, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, XIX საუკუნეში ერს მოძღვრავდა დიმიტრი ყიფიანი...

თემურ ჩხეტიანის შეფასებისას კი შეიძლება „ფოთლების პასიანის“ გადაშლა ნამდვილად დავგჭირდეს, მაგრამ მარჩიელობა სულაც არაა საჭირო იმის გასარკვევად, რომ ჩვენ წინაშე ნამდვილი პოეტია.

ლუკა ავალიშვილი

პოეზია



ლელა სამნიაშვილი

თოფიანი თეთრი კაცების სილუეტებში ვერჩატეულნი, მშვიერი ძვლებით – მზის მენჯებში რჩებიან მარად.

ზედ აკვირან ბავშვები ქალებს, რომ რძის გაშრობის შემდეგ პურად ლოლნონ მათი დამდნარი მკერდი, მაშინ როცა ძილისპირულს ამღერებენ ძიძა მანქანებს –

ოკეანისმიღმა დედები. ბავშვები – ძიძა მანქანებისგან – შენი ქვეყნის სიმღერებსაც ისმენენ ზოგჯერ და ჰგონიათ, რომ ლამაზი ზღაპარია – სიშავემდე ოქროსფერია.

კეროლანი. დედა აზრიკა

ჩემი უგანდელი მეგობრის, კეროლან ლამუოკას ხსოვნას

მოძრაობიდან გამოძრომას სჭირდება ძალა ხორცის ძვლებამდე დასვლის, ფილტვების შეშუპების, ციებ-ცხელების, ან თვალწასული წყაროს სინმინდის.

აბრეშუმიდან ამოცლილი ძაფია სუნთქვა. შავ აბრეშუმს არც დაემჩნევა. გადავიხვიოთ თითზე, დავნყვიტოთ. გამადიდებლად მზე დავადოთ, რომ დანახშირდეს.

ასეც – მუქია, ისეც – მუქია. არაფერი არ დაემჩნევა: კონტინენტი – დედა ფუტკარი, რომლის საშოშიც იღო ჩვენი პირველი ჩონჩხი. სიშავემდე ოქროსფერია.

ის მნიფდება ყველაზე ადრე. ის იზრდება, ის ბერდება ყველაზე ადრე. და ყველაზე ადრე ვივინყებთ. ხის ნიღაბს ვადებთ მუქ სახეზე თვალდაუხუჭავს.

კეროლანი, შენი ქვეყნის თოფიანი შავი კაცები – ახმახები,

შენგან სიტყვაც კი აღარ ისმის. როცა ისმის, ეს არ არის შენი სიტყვა – თბილი და სადა, გულალალი, როგორც აფრიკა, სადაც სიცხე დროს და ჰაერს დღემდე ადედებს, რომ სულები დარჩეს ხილული.

კრისტალიდან

სიცხეში – გამთბარი – რა დასალევია – წყალი, თუ ყინულის კვნიტი არ წკრიალებს გრძნობაში, რომელიც გადასარეგია. სამშობლოს ობშივარს ვისუნთქავ კი არა – უკვე სასულეში გადამცდა. აფყრიდი – გრძნობიდან – ქვაფენილს. ვიცო, რომ გამიგებ. და აეროპორტში ბოლო წუთს ნაყიდი ქართული ღვინო რომ გაფრენის განრიგებს და ცას გადავასხი და რკინის ფასკუნჯებს – ამაზე გიამბობ მშობლიურ კაფეში. და მიკვირს, ეს გრძნობა რატომ არ მამუნჯებს და ვიცო, ფიქრობ, რომ არ უნდა გაგეშვი – სხვა მონატრებისკენ. რა დასალევია – სიცხეში – გამთბარი წყალი. და ამიტომ – ამ გრძნობას, რომელიც გადასარეგია, მე ისეც ყინულის კრისტალში ჩაგიტოვ.

* * *

აქ სულ ადვილად შეიძლება დაკარგვა ჩრდილის –
უმზეობაში ხეს და ქუჩას შორის ჩაჩურთავ,
სკამზე დატოვებ, ან შეგიჭამს ფიფქების ჩრჩილი,
ან სამხრეთელი მეგობრისთვის ნახად – საჩუქრად
გაიმეტებ და დაივიწყებ, მერე კი ჩივილს
დაინწყებ, როცა დაგჭირდება ზღაპრის ავ-კარგად.
აქ სულ ადვილად შეიძლება დაკარგვა ჩრდილის.
მე სამშობლოში დამრჩა უკვე. ველარ დაკარგავ.

თვალთმაქცი

არ ვიცი, უნდა გიცნო თუ არა,
ექვსის ვარსკვლავით შუბლში მოვედი,
მოვუახლოვდი მზეს – სატყუარას.
შენ – თვალთმაქცი ხარ, მე კი – პოეტი –
ორგზის თვალთმაქცი. ოდნავ კეხიან
პროფილს ჩახვბატავ ფაქიზად თვალში;
თუ გსურდა მკლავზე გადაგეხვია
ნანნავი, როგორც ბანარი, – ნავში
ამ ნანნავს, ანდაც დანით გადავჭრი, –
თუ არ უშველა სიტყვით თამაშმა;
და ამ სიყვარულს რომ გადავრჩები,
ახალ სიმშვიდეს რწმენით დავლაშქრავ,
თმასაც გავიზრდი უწინდებურად,
ლექსებსაც ვიტყვი მშვიდად, დამარცვლით.

ჯერ კი ვჩურჩულებ ასე, ურწმუნოდ:
მე – პოეტი ვარ და შენც – თვალთმაქცი (?)

ახალი მიზღაპრი

შეხედე ამ ყვავს, შავ ფრაკზე თეთრი გულისპირით –
ყოველ დილით მე რომ მალვიძებს
და გასული ზაფხულის თავზე
მოგუგუნე შავგულა მერცხლებს
და ატამს, ატამს – გულის სურნელს –
კანის ხაოს გავლით – ტუჩზე რომ
აგაცოცებს ჭიანჭველებად.

იასამნის ორკაპს შეხედე,
მშვიდობისთვის დანყებულ ომებს,
მოგონებების ბუმერანგებს –
რომ გრიალებს გაფუჭებულ გილიოტინად,
ბოთლში ჩასპირტულ სამოთხეს და ნემსის ბრმა
და სიყვარულს – ადამიანებს ლამაზ ბავშვებს სხივებს,
რომ აჩენინებს და ერთმანეთს აქრობინებს.

ფქვილიც – აქა და ქატოც – აქა.

დიდი ხანია დემონები და ანგელოზები
ღმერთის ჩუმად ქორწინდებიან.

* * *

ამ სიყვარულის გამარტივებით
ბევრი რამ იქნებ უბრალოდ, გაქრეს.
ცხოვრება – ჩემი დალმატინელი –
სულ სათითაოდ დაკარგავს ლაქებს,
ჩრდილოეთის ძალს დაემსგავსება –
მარხილსაც განევს, თუ დავუყვავებ.
მე კი თეთრსა და ერთგულ არსებას
შევხედავ, როგორც პოლარულ ღამეს.

ლოდინის სწავლა

ნუ სწავლობ ლოდინს, ნურც მასწავლი.
ლოდინის სწავლა
თანდათან ალბათ გადაგვარევეს გარეთ ხეტიალს.
ყველგან სიმშვიდეს გავიყოლებთ, საითაც წავალთ
და შევეჩვენებთ, სარკმელში რომ თითო ხეღია.

ლოდინის ნაცვლად მე ვისწავლი ტრაექტორიას
ბავშვის თვალების, თოლიების, ჭრელი ფრანების;
თოვლსა და წვიმას – წყლის სხვადასხვა ალეგორიად,
დაბადებიდან რომლის გამოც ჭერს ვიფარებდით
ცის ქვემოთ, ჩვენი სურვილების თავზე. და მაინც –
ამინდს, რომელმაც ჩემს სარკმლებში ხედი არია –
ლოდინი ჰქვია. შენ მასწავლი ნელა, დამარცვლით
და გზით, რომელიც ცისქვეშეთში ხეტიალია.

წყლის ლექსი

დამდეგს წყალი ოკეანედ,
თოვლად დამდეგს;
გინდ ტბის სახედ მოკრიალდეს,
გინდაც დადნეს –
ნამცეც-ნამცეც – ხელისგულზე;
გინდაც ონკანს –
წყლად მოჰქონდეს –
წყურვილისთვის; გინდაც მოკლე
ყლუში იყოს სიტკბოების;
გინდაც მლაშე,
უნებლიე ცრემლი იყოს...
ნურსად დაშრეს!

ორი ბარათი

თოვლი შენკენ და თოვლი ჩემკენ:
ბარათს – ბარათი,
დაუშაქრავი ფიფქების ფიჭა –
სიტყვით რომ ტკებუა, და მანძილით და მისამართით

თვალებს გვიბრწყინებს და თითებს გვიჭამს.
როცა გადნება, ჯერ ფერები დავეთვალოთ კარგად –
გაყურებული – სითეთრის უკან.
მერე დროს სივრცე მივყაყოლოთ:
ერთად დავეკარგოთ:
მაჯის საათი და ჯიბის რუკა.

სარკე-სამშობლო

თეთრისა და შავის ნაჯვარი მზეთუნახავი
მულატივით კი არა, უფრო – ბავშვობაში დახატული
ჰიბრიდივით – ცალი თვალი დაუვიწროვდა
ჩემს სამშობლოს და ცალი დარჩა ფართო,

კრიალა; და ასე დგას – მომავალი სიყვარულის წინ.
ვარდის ღერი, თუნდაც მტევანი – თვალის ჭრილზე
აფარებული, სარკეში, თავის დასამშვიდებლად –
მივარდება – თვითონ – ხელიდან. დათვის ტორი,
არნივის კლანჭი – ხორცზე, ხორცზე დაგვიძლი
და არა თვალის სილამაზეზე – რას დაგიდევს
სიმეტრიას.

სარკის მიღმა მოცახცახე წყალს რომ ტუჩებს
შეუშვერ და ვერ მოსვამ, ასე ვერ ვსვამ –
მომავალს. თუ მწყურია, ნაკადულებს უნდა გავხედო,
მოვმორდე სარკეს, შვილს ჩავხედო ჩემი ბავშვობის
ფართო, კრიალა, სამშობლოსგან გამოყოფილ თვალის
ჭრილებში.

პირველი შთაბეჭდილება

სარკის მიღმა

შავისა და თეთრის, დილისა და ღამის, სიკვდილისა და
სიცოცხლის, სიხარულისა და ტკივილის შეჯვარებიდან, რო-
გორც ლელა სამნიშვილი იტყოდა ამავეს ლაკონურად, პო-
ეტურად და შთამბეჭდავად, „დემონებისა და ანგელოზების“
ქორწინებიდან იბადებიან სიტყვები, რომლებსაც ლექსის
შემოსაზღვრულ დრო-სივრცეში მარადისობის მოხელთება
შეუძლიათ, ე.ი. წარმავლობისთვის გამოტაცება ნამებისა,
ნუთებისა – ფერში, სურნელსა და ხმებში რომ შეყუყუღან
და მხოლოდ პოეზიაში თავისუფლდებიან. ლელა თავისი
ლექსებით ცდილობს, გაარღვიოს გაცვეთილობის, მობეზ-
რებულობის სამანები, როდესაც სიტყვის თქმაც აღარ გინ-
და, რადგან ველარ გამოთქვამ იმას, რასაც განიცდი. უფრო
სწორედ, აღარ გამოითქმება და რჩება მხოლოდ, როგორც
ჰამლეტი იტყოდა, სიტყვები, სიტყვები... აქ მხოლოდ გა-
მოთქმის ტრადიციულ სიძნელეს არ ვგულისხმობ. ლელას
კი სურს, „აყაროს გრძნობაზე დაფენილი ქვაფენილი“ და
„თბილ წყალში ყინული გაურიოს“, რათა როგორმე გამოთ-
ქვას მშობლიურის მონატრება. „და მიკვირს ეს გრძნობა რა-
ტომ არ მამუნჯებს“. ალბათ, იმიტომ, რომ პოეტია და სარ-
კის მიღმიდანაც უნდა გამოიხმოს შიგ ჩარჩენილი ლანდები.

ლელა კარგად ხედავს, როგორც პოეტი და ამიტომაც
ასეთი ფერადოვანი მისი ლექსები. აფრიკელ მეგობარს იხ-
სენებს და ხატავს „სიშავემდე ოქროსფერ“ ეგზოტიკურ სა-
ნახებს, სადაც სუნთქვა შავი აბრეშუმიდან ამოცლილ ძაფს
ჰგავს, სადაც „სიტხე დროს და ჰაერს დღემდე ადევებს,
რომ სულელი დარჩეს ხილული“. მეტაფორულობა ლელას
ლექსებს სილამაზეზე მეტად ფილოსოფიურ სიღრმეს მა-
ტებს. ეს არის ინტელექტუალური მეტაფორები, თუ შეიძ-
ლება ასე ითქვას, რადგან ისინი კულტურის ზოგად კონ-
ტექსტში მოიაზრებიან. „ბავშვები – ძიძა მანქანებისგან –
შენი ქვეყნის სიმღერებსაც ისმენენ ზოგჯერ და ჰგონიან,
რომ ლამაზი ზღაპარია“. ეს აფრიკაზეა ნათქვამი, მაგრამ
განა ასეთივე ზღაპარივით არ დახეტილობს კოსმოსში
გაშვებული ჩვენი „ჩაკრულოც“?!

ლელა ცდილობს და ახერხებს, შეგვაგრძნობინოს იასამ-
ნის სურნელი, თუ იასამანზე წერს, მაგრამ როგორ უნდა გა-

მოთქვას იმ ერთი რამის სიყვარული, რომელსაც, როგორც
გურამ დოჩანაშვილი იტყოდა, დაფარვა სჭირდება. და პოე-
ტი პოულობს გამოსავალს: „აქ სულ იოლად შეიძლება და-
კარგვა ჩრდილის“, ეს იმას ნიშნავს, რომ პოეტი ნუხს სულის
დაკარგვის ხიფათზე, ლიტერატურაში ეს ცნობილი სიმბო-
ლოა, მაგრამ ლელა მას ახალ პოეტურ კონტექსტში აცოც-
ხლებს და ძალიან სადად, მოკვეთილად ამბობს: „მე სამშობ-
ლოში დამრჩა უკვე, ველარ დავეკარგავ“. მოულოდნელობის
საოცარი ეფექტი იქმნება. ეს სტრიქონი შეიძლება გაიშა-
ლოს უსაზღვროდ, შექმნას ასოციაციათა ნაკადები, მაგრამ
მთავარია, რომ ითქვას ასე მოკლედ, არსებითად და პოეტუ-
რად. საერთოდ, იმიტომ მომწონს ლელას პოეზია და ეს ახა-
ლი ლექსებიც, რომ ისინი რაღაც ლამაზს, უფრო ზუსტად
მშვენიერს (რადგან ეს სილამაზე უფრო სულთანაა დაკავ-
შირებული) მაზიარებენ. მომწონს თითქმის აფორიზმად ჩა-
მოქნილი სტრიქონები: „თუ მწყურია, ნაკადულებს უნდა
გავხედო“, „ლოდინის სწავლა თანდათან ალბათ გადაგვაჩ-
ვევს გარეთ ხეციალს“ და სხვა. აქ არის „წყლის ლექსი“, რო-
მელიც ერთგვარი ვედრებაა ღვთისადმი წყალობის სიუხვი-
სათვის. „ღმერთო, ნუ მოგვაკლებ წყალობას“ – მე ეს
გრძნობა გამიჩინა, თუმცა ლექსში მსგავსი არაფერია ნახ-
სენები. „გინდაც მოკლე ყლოში იყოს სიტყვობები; გინდაც
მლაშე, უნებლიე ცრემლი იყოს... წურსად დაშრეს“. კალამი
გამიზნის, რომ ვისაუბრო წყლის სიმბოლურ მრავალმნიშ-
ვნელოვნებაზე (განა ცოტაა სალაპარაკო?) მთავარია, რომ
ლელამ იცის სიტყვის ფასი, ამიტომაც უფროთხილდება. ეს
სიფრთხილე გამოარჩევს მას სხვათაგან და ქმნის პოეტურ
სახეებს უბრალო, გაცვეთილი სიტყვებისაგან: „სარკის
მიღმა მოცახცახე წყალს რომ ტუჩებს შეუშვერ და ვერ მოს-
ვამ, ასე ვერ ვსვამ – მომავალს“. საოცარი სისადავით იქმნე-
ბა ელიოტისეული, „ინტელექტუალური“ მეტაფორა, რო-
მელმაც გამახსენა რობაქიძის „რაღაც სუნი ასდის მომა-
ვალს“ („გველის პერანგი“).

ლელა პოეტია და ამიტომ „ორგზის თვალთმაქცი“, თუნ-
დაც სამგზის იყოს, ოღონდაც ასეთი ლამაზი ნიღბებით გა-
მოგვეცხადოს ხოლმე ცხოვრების კარნავალზე.

მაია ჯალიაშვილი

უოლკერ პერსი (1916-1990) ჩვენთვის დღემდის, უცნობი მწერალი იყო. ამერიკელებისათვის კი, ეგებ ფოლკნერის ხელა არა, მაგრამ დიდი და საამაყო სახელია. იგი ათი წიგნის ავტორია, რომანებისა და დოკუმენტური პროზისა. მათ შორის არის ბესტსელერები, მაგალითად, „კინოშიმოსიარულე“ და „თანატოსის სინდრომი“. თავის სიცოცხლეში მრავალი პრემია აქვს მიღებული, მათ შორის „ნეშენალ ბუკის“ ჯილდო და თავისი დროის ერთ-ერთ უდიდეს ამერიკელ მწერლად ითვლება. სამხრეთელი მწერალია და მის შემოქმედებაში ამერიკის სამხრეთის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სამხრეთში ცხოვრობდა, ლუიზიანას შტატში, ქოვინგტონში, სადაც გარდაიცვალა. წინამდებარე ესეი აღებულია ესეების კრებულიდან „საგ ზაო ნიშნები უცხო მიწაზე“.


უოლკერ პერსი

რომანის მდგომარეობა: მომავლად ხელოვნება თუ ახალი მეცნიერება

რომანის სიკვდილზე გამუდმებით ლაპარაკობენ – და ახლა უფრო დამაჯერებლად ამტკიცებენ, მოკვდაო, ვიდრე ოდესმე. ნამდვილად გაძნელდა საუბარი რომანზე – როგორც ხელოვნების გარკვეულ ფორმაზე. თუ საზომად ტრადიციული რომანისათვის ჩვეულ ნიშნებს მოვიმარჯვებთ – სიუჟეტს, კონფლიქტს, ხასიათს, მოქმედებას, კვანძის გახსნას, ხასიათის განვითარებას – ძნელი იქნება ამ უძველესი ხელოვნებისათვის შესაფერისი ნიმუშის დაძებნა. დღეს რომანად ყველაფერი შეიძლება გაასაღო. სულ რომანია, რასაც ამ სახელს დაარქმევ, როცა ლექსად ან ნოველად გაყიდვას ვერ ახერხებ. ავტობიოგრაფია რომანია. ისტორია რომანია. სოციოლოგია რომანია. ტირადა რომანია. არა ვნუწუნებ, მაგრამ უდავოა, რომ რომანად გასაღებული არარომანები უკეთეს პირობებში არიან დღეს, ვიდრე რომანის მსგავსი თხზულებანი. „ამბავი სიყვარულისა“ და „ოლივერის ამბავი“, რომანებს რომ ჰგვანან – ხასიათებით, კეთილი ადამიანებით, ბოროტი ადამიანებით, სიყვარულით, მოქმედებითა და ასე შემდეგ – არც თუ ისე კარგი თხზულებებია. მართლაც, რაც ნაკლებს ვიტყვით მათზე, მით უკეთესი. სელინის რომანი „ციხესიმაგრე ციხესიმაგრეზე“, სადაც კეთილ ხალხს ვერ შეხვდები და რომანს უფრო ნაკლებად გაგონებს, ვიდრე კობრას განმეორებულ თავდასხმებს, ერთ შხამიან შეტევას მეორე რომ ენაცვლება, რალაცნაირად ჩახლართული და დასამახსოვრებელია. ნაკითხვის შემდეგ თითქოს ამბოხებულად გრძნობ თავს, მაგრამ ამავე დროს დაცლილადაც. „ამბავი სიყვარულისას“ ნაკითხვის შემდეგ, ისეთი დასამახსოვრებელი სტრიქონებისა, როგორიცაა: „სიყვარული ნიშნავს, არასოდეს აღიარო, რომ სწუხხარ“, მკითხველს ესაჭიროება დაცლა, რა თქმა უნდა, არა პირღებინებით. შესაძლოა ეს ის შემთხვევაა, როცა პატიოსანი მტრობა უკეთ შეგვემელება, ვიდრე სენტიმენტალობით, მოჩვენე-

ბითობით, სენტენციებითა და გონებამახვილობით შერყვნილი სიყვარული. ბეკეტის რომანები, სადაც ბევრი არაფერი ხდება, ცოტას ლაპარაკობენ და, რასაც ამბობენ, ყოველთვის მცდარადაა გაგებული, უფრო პატიოსანია, გამომაფხიზლებელი და ნაკლებ დამთრგუნველი, ვიდრე მოვლენებით აღსავსე კარგამბებიანი რომანები ჰაროლდ რობინსისა. ჯოზეფ ჰელერის „რალაც მოხდაში“ არაფერი ხდება, და მაინც, უფრო აღსავსეა მოვლენებით, ვიდრე ჟაკლინ სიუზენის რომანი, სადაც ყველაფერი ხდება. კონვენციურ რომანთაგან უდიდესი შესაძლოა „ომი და მშვიდობა“ იყო და ალბათ „შუა მარტი“. „ქარნაღებულნი“ თითქოსდა გვაგონებს დიად რომანს, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ ჩინებული საპნის ოპერაა.

ამ ესეიში ორიოდე ვარაუდის გამოთქმას ვაპირებ, რომელთა დასაცავადაც თავს არ შევიწუხებ, რადგან თავისთავად ცხადი მგონია. პირველი ის გახლავთ, რომ თუკი სერიოზულად მივუდგებით, აღმოჩნდება, რომ რომანი ისევეა ხელოვნების ფორმა, როგორც ლექსი, ნახატი ან სიმფონია. და თუ ეს ასეა, ისიც სიმართლეა, აქედან გამომდინარე, რომ რომანში მოქმედება უნდა იყოს; სრულეებითაც არ იქნება საკმარისი, რომ რომანი „კარგი ამბავს“ გადმოსცემდეს. ესე იგი, კარგი საქმეა კარგი ამბის მოთხრობა ან გაგონება, მაგრამ სრულეებითაც არ არის აუცილებელი, რომ კარგი ამბავი კარგი ხელოვნება გამოდგეს. კარგი ხელოვნება მოგვითხრობს რალაც შინაურულ სიმართლეს, თუ რა ხდება, რანი ვართ, სიმართლეს ადამიანური გულის მოძრაობისა თუ ამ მოძრაობის ნაკლის შესახებ. ძველ დროში, როდესაც ადამიანებს ერთმანეთისა ესმოდათ და ჰქონდათ საერთო რწმენა, დიადი ამბები, როგორიცაა „ილიადა“ ან „ომი და მშვიდობა“, დიადი ხელოვნებაც იყო, რადგანაც აფუძნებდა გამოუთქმელ ღირებულებებს, რაც საერთო იყო ადამიანთათვის, შეაძლებინებდა ეცნოთ საკუთარი თავი და სცოდნოდათ ვინ არიან. მაგრამ არის სხვა დროც, როცა ადამიანებმა არ იციან, ვინ არიან და საით მიდიან. ასეთ დროს ამბის თხრობა შესაძლოა ყურადღების გადატანის ფორმად იქცეს, ეგებ დროის ფლანგვადაც – როცა სასჯელის მომლოდინე პატიმრებს იმაზე ესაუბრები, თუ როგორ ატარებენ დროს ზარის გორებაში, იმის ნაცვლად, რათა გაარკვიო, თუ როგორ მოხვდნენ აქ და რა მოელოთ..



ამრიგად, ჩემი მთავარი ვარაუდი ის გახლავთ, რომ ხელოვნება შემეცნებითია, ანუ იკვლევს, იცნობიერებს და მოუთხრობს, მკითხველს მოუთხრობს, თუ რა ხდება, რანი ვართ, რათა მკითხველიც ისევე დარწმუნდეს, როგორც მეცნიერი ნანამძღვრის კითხვისას.

ამ განცხადების მიხედვით, რომ ხელოვნება საერთოდ და რომანი კერძოდ შემეცნებითია, გამოდის, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს რომანის მდგომარეობაც სადიაგნოზოა. ნიშნები გვაუწყებს, საქმე ცუდად არისო (და მართლაც ასეა), და ჩვეულებრივი ექსპერტები ვერ გაიგებენ, თუ რატომ არის ცუდადო და შესაძლოა თვითონ ისინიც პრობლემის ნაწილი არიანო.

როგორც ჩანს, საქმე ცუდად მიდის დასავლურ სამყაროში და გაცილებით უარესად, ვიდრე, ვთქვათ, ინდუსტრიულ ინგლისში, რაც დიკენსის სანუხარი იყო. დიაგნოსტიკოსს არ გაუჭირდებოდა მეცხრამეტე საუკუნის შუაგულ ინგლისის ინდუსტრიის წყლულების მიგნება, მაგრამ დღეისათვის, როგორც ჩანს, რაც კი ცუდი რამ ხდება, პირდაპირ გულისა და გულისგულისავენ მიემართება და ზედ ეხლება ადამიანთა მიერ საკუთარი თავის აღქმასა და გააზრებას. ის, რაც ახლა რომანებშია საკითხავი, თვით ადამიანური ცხოვრების წარმართვაა. იმის ნაცვლად, რომ შევთანხმდეთ და რომელიმე სოციალურ ბოროტებაზე ვწეროთ, ერთსულოვნად მივიჩნიოთ აღმასწავლებლად, ახლა თვით შეთანხმება და პოზიცია ხდება საკითხავი. ამგვარი ვითარება წარმოშობს რომანისტიკის პრობლემას. რადგანაც ლიტერატურის შესაქმნელად, ხოტბის შესხმა იქნება თუ განსხვავებული აზრი, საჭიროა ერთგვარი საერთო სამყარო – დისკურსისათვის. საერთო ვარაუდები დღეისათვის საკითხავი ხდება. ორმოცი წლის წინათ სტაინბეკს იოლი ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი, როცა ოუკიებსა და მტვრიან ქარაშოტზე წერდა. ამჟამად სხვა ვითარებაა; რომანისტიკის წინაშეა ოუკიების მესამე თაობა, კალიფორნიაში, თითქოსდა ყველაფერი რომ მოიპოვეს, რაც სურდათ, და მაინც მზად არიან სხელით თუ სულიერად გადაცვივდნენ წყნარ ოკეანეში.

ამრიგად, რომანისტი დღეს ნაკლებ ჰგავს ტოლსტოის ან ფილდინგს, ან ჯეინ ოსტინს, ვინც ხატავდა და სახელს უთქვამდა ჯერ კიდევ გაუზარავ საზოგადოებას; რომანისტი უფრო თავგაბანულსა და პაციენტს მიჩერებულ ფსიქიატრსა ჰგავს, პაციენტს, ვინც ერთი შეხედვით ყოველმხრივ საუკეთესო მსოფლიოში ცხოვრობს და მაინც იტანჯება დეპრესიისა და მღელვარებისაგან, რის არსსაც ვერ ჩანვლობია.

ჩემი აზრით, ხელოვნებისა და მეცნიერების ეს ორი შტო – რომანების წერა და ფსიქიატრია – ერთმანეთსა ჰგავს. ამავე დროს, ინტრიგის აღმძვრელი განსხვავებაცაა ამ ორი პროფესიის თვალსაზრისთა შორის. მეცნიერებისა და ხელოვნების ურთიერთობა მუდამ მაინტერესებდა, რადგან კოლეჯში მეცნიერებას, მედიცინას ვსწავლობდი და ფსიქიატრობას ვაპირებდი და რომანების მწერალი კი გავხდი; ამგვარად, ვიმედოვნებ, საერთოდაც საგულისხმო უნდა იყოს კულტურათა გადაკვეთისათვის შუქის მოსაფენად, თუ რა საერთო აქვს ამ ორ კულტურას – ხელოვნებისა და მეცნიერებისა.

და უფრო მეტი ინტრიგაც აღიძვრის ამ საქმეში, რადგან ერთი შეხედვითაც გამოჩნდება, რომ ეს ორი თვალსაზრისი ურთიერთსაპირისპიროა. თუ რომანისტი მართალია, ფსიქიატრი თავს იტყუებს. თუ ფსიქიატრია მართალია, მაშინ რომანისტი შეშლილია.

და თუ ეს ასეა, მაშინ რომანისტს ფსიქიატრი სჭირდება – სინამდვილეში ხომ ხშირად სჭირდებათ. მაგრამ შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ ფსიქიატრსა და სხვა არარომანისტებს რომანისტი დასჭირდეთ და მხოლოდ რომანისტს აქვს განსაკუთრებული უნარი მოიხელთოს მოუხელთებელი ფენომენი და უპასუხოს ასეთ ახირებულ კითხვებს: რა არის პათოლოგიური და რაა „ნორმალური“ მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედში?

რაც უნდა იყოს, შეხვედრისას რომანისტი და ფსიქიატრი საერთო მიზნებზე საუბრობენ ან ერთმანეთის დაჩრდილვას ცდილობენ უკეთესად შემზადებული პოზიციებიდან. ზოგი ფსიქოლოგი და ფსიქიატრი აცხადებს, ვიცი თუ რა არის შემოქმედებაო, – რისაც მე არაფერი გამეგება. მეორე მხრივ, რომანისტები ხშირად გამოაჭენებენ ხოლმე ფსიქიატრებს თავიანთ რომანებში. ფსიქოლოგთა მიერ ნამოჭრილი შორეული მიზნები, ისეთი გრძელი აბსტრაქციები, როგორცაა ემოციური სიმნიფე, უაზრო ინტერსუბიექტური ურთიერთობანი და ასე შემდეგ, ინვეს ერთგვარ სატირულ გამოხმაურებას.

ეს ყველაფერი სასერიოდ, მაგრამ ისიც აუცილებლად აღსანიშნავია, რომ თანამედროვე რომანის გმირი თუ ანტიგმირი ძნელად თუ აკმაყოფილებს რომელიმეს გონებრივი ჯანმრთელობის კონვენციური კანონებიდან – ემოციური სიმნიფე, ავტონომია და ასე შემდეგ. მართლაც, კაცი და ამ ბოლო დროს უფრო მეტად ქალი – სულ უფრო და უფრო ხშირად აღარ არის მარტოსული, იმედგაცრუებული პიროვნება, მკვეთრად გაუცხოებული საზოგადოებისაგან, ვინც უარჰყოფს თავისი ოჯახისა და ახლობელთა მიზნებს და ვის შეხვედრებსაც ხალხთან, მეგობრებსა თუ საყვარელ არსებებსთან გაუდმებით თან ახლავს გაუგებრობანი, მიუხვედრელობანი, კავშირის განწყვეტა, აგრესია, გაყრა და ყველაფერი აზრისაგან დაცლილ გარემოში ხდება. რომანებში ადამიანები ხედებიან ერთმანეთს, საუბრობენ, უყვართ და თავთავის გზაზე მიდიან ისე, რომ ვერც სიხარულს შეატყობ და ვერც მწუხარებას. მართლაც, მთავარი ემოცია, რასაც თანამედროვე პროზაში შეხვედრით, არის გრძობა არარეალობისა, რუხი და ბანალური გარემო, მნიშვნელობის გაქრობის განცდა. ადამიანთა შორის ურთიერთობა მდუმარების, მიუხვედრელობის, უპიროვნო სქესობრივი შეხვედრების ფორმას იღებს.

თუ თანამედროვე პროზის გმირს ვინმე შესთავაზებს ფსიქოთერაპიას მიმართოს, რათა ცხოვრებას აზრი შესძინოს და ინტერპიროვნული ურთიერთობანი გაიუმჯობესოს, ადვილი წარმოსადგენია მისი პასუხი.

რა თქმა უნდა, პრობლემა შეიძლება სწრაფად მოგვარდეს ფსიქოლოგის სასარგებლოდ, თუკი ჩარევის შედეგად გამოვასპარავებთ, რომ თანამედროვე რომანის გმირი ასეთი იმიტომაც არის, რომ რომანისტიც ასეთი – რთული, უბედური, გარიყული პიროვნება. განა არ შეიძლება, რომ რომანისტი მართლაც სწორედ იმიტომ წერდეს პირქუმ რომანებს, საკუთარი მსოფლალქმისა და სირთულეების

ჩვენება სურდეს ხალხისათვის? პოეტ ალენ ტეიტის განსაზღვრებისა არ იყოს, განა მერყევი არ არის კაცი, ვინც თავს შემოქმედებითი პროცესით იმაგრებს და იმტკიცებს?

ეს დიაგნოზი მართებულია – გარკვეული ზომით. საქმე გვაქვს რამდენიმე ნახევარსიმართლესთან. რომანისტთა უმრავლესობა და ის პოეტები, ვისაც ჯერ თავი არ მოუკლავს, ალბათ დამეთანხმებიან, ოღონდ რაიმე მნიშვნელოვანს დაუმატებენ. პოეტი შეიძლება მივიჩნიოთ დაჭრილ კაცად, და მაინც, უნდა აღვნიშნოთ, რომ დაჭრილი ხშირად ყველაზე უკეთ ხედავს ბრძოლის ველს. რომანისტი ან პოეტი შესაძლოა მივიჩნიოთ თანამედროვე ახირებულ ნაირსახეობად ძველი აღთქმის წინასწარმეტყველისა, ვისაც – მსგავსად ჰოსიასი – ეგებ შინ გაუსაძლისი ყოფა დასდგომა, მაგრამ მაინც არაფრად აგდებს საკუთარ თავს და კიდევ უფრო მეტად უსიამოვნო მოვალეობას კისრულობს, აცნობოს თავის მოქალაქეებს, საქმე ცუდად არის, ცუდ გზაზე დგახართო.

იმის თქმა მსურს, რომ ხელოვნებასა და მეცნიერებას – ამ შემთხვევაში რომანსა და ფსიქოლოგიას – სხვადასხვა გზები აქვთ სიმართლესთან მისახლებლად და სხვადასხვა სიმართლე აქვთ სათქმელი. დაპირისპირება მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა ერთი დარგი მეორის ტერიტორიაზე შეიჭრება.

მაგრამ სჯობს საკითხს დავუბრუნდე. ალბათ ერთი ნიმუში თანამედროვე პროზიდან საკმარისი იქნება იმ განსაკუთრებული სურნელების გადმოსაცემად, რაც თანამედროვე ამერიკული ცხოვრების პროზაულ თვალსაზრისს ზოგადად ახასიათებს.

რომანში „რალაც მოხდა“ ჯოზეფ ჰელერი, ბობ სლოკუმისა და მისი ოჯახის შესახებ მოგვითხრობს. სლოკუმი საშუალო ფენის წარმატებული მოსამსახურეა, ნიუ იორკში მუშაობს და კონკრეტულად ცხოვრობს. იგი თანამედროვე სახეა ერთი თაობის წინათ მცხოვრები ჯონ მარკუანდის პერსონაჟისა, ვინც ერთგვარი, მსუბუქი იმედგაცრუება იწვნია ცხოვრებაში. მაგრამ მას შემდეგ ვითარება გაუარესდა. არცერთი სლოკუმთაგანი არ არის აშკარად ნევროზული. პირიქით, ისინი ნიჭიერნი, მიმზიდველნი და საკმაოდ განათლებულნი არიან; საუკეთესონი შეძლებულ, მაღლა და მაღლა მსწრაფ, ზესაშუალო კლასის ჩრდილო-აღმოსავლურ ქალაქგარეთ საზოგადოებაში. მაგრამ ბობ სლოკუმი უბედურია, მისი ცოლიც უბედური, მისი ვაჟიც უბედური და ქალიშვილიც. თვითუფლებს ემშინა თუნდაც ერთი ვინმესი მაინც. წარსული ცივილიზაციის ღირსშესანიშნავი ტრადიციული ჩვეულება, ოჯახის სადილად შეკრება, ცის რისხვად იქცევა ხოლმე, გაუგებრობით, სარკაზმით, დათრგუნვითა და ღრიალით სავსე მოვლენად. „არ შეგვიძლია, რომ ერთხელ მშვიდობიანად ვისადილოთ?“ იკითხავს ვილაცა. არა, არ შეუძლიათ.

ბობის ცოლი სვამს. ბობი უსურვილოდ ეტორღილება სამსახურის გოგოებსა და მეძავეებს. და მაინც, საქმეში წარმატებას აღწევს. მარკუანდის გმირივით მასაც დაანინაურებენ, ახალ სახლს იყიდის კონკრეტულად. აი, რას გრძნობს ახალი სახლისადმი:

„ახლა ყველანი კარგად ვცხოვრობთ, ფუფუნებაში. . . დიდებულ, ორსართულიან, ხის, კოლონიურ, თეთრდარა-

ბებიან სახლში, კონკრეტული საუკეთესო ქალაქგარეთა ნაწილში, პიპოდ ლეინად ნოდებულ კობტა გზატკეცილს რომ გადაჰყურებს, და მე მძულს ეს სახლი. ირგვლივ ვარდებისა და ქრიზანთემების ბუჩქები და ესეც მძულს. ჩემს კარმიდამოზე ჭადრები და ნაბლები ხარობს, გარაჟში ნე-ბოთი სავსე ქილები მიწყვია. თექვსმეტწერიანი ელექტრობურლი მაქვს, რასაც არასდროს გამოვიყენებ. ჩემს ფეხქვეშ, წინ და უკან ბალახი იზრდება, ყვავილები გაიფურჩქნებიან თავის დროზე... მეზობლებს ცხენები ჰყავთ და ისინიც მძულს, ოჯახებიცა და ცხენებიც... მძულს ჩემი მეზობელი და მასაც ვძულვარ.“

ჰელერის რომანის სათაურია „რალაც მოხდა“. მართლაც რალაც მოხდა. რომანში, სინამდვილეში, არაფერი ხდება, მაგრამ მანამდე მოხდა რალაც, რალაც საშინელება, მაგრამ რა იყო ეს? როგორ მოხვდა ეს კეთილი ხალხი ამ გაუგებრობაში? რა მოხდა? დარწმუნებული არა ვართ, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, ეს არ იყო ერთეული შემთხვევა იმ ჩვეულებრივ შემთხვევებს შორის, ტრადიციულ რომანებში რომ გვხვდება, ვთქვათ, საბედისწერო დაჭრა თავად ანდრეისა „ომსა და მშვიდობაში“ ან ტრაგიკული ისტორიული ამბავი აფრიკიდან ამერიკაში მონების შემოყვანისა. ეს უფრო რალაც ადგილობრივი უბედურებაა, მეოცე საუკუნის პირველცოდვა. მაგრამ სად არის უბედურების ადგილი? როგორი იყო დაცემის ბუნება? უბედურება ბობ სლოკუმს შეემთხვა თუ საზოგადოებას, სადაც ცხოვრობს? ან ეგებ ორივეს?

მაგალითები მრავლად შეიძლება მოვიტანოთ პროზიდან. მართლაც, მეოცე საუკუნის რომანს შეუძლია მოგვანოდოს რომელი ასპექტიც გნებავთ იმედგაცრუებისა; მარკუანდის გმირის მსუბუქი ილუზიების გაფანტვა, ბობ სლოკუმის დამცინავი, ყოვლისმცოდნე ზიზი, ჰემინგუეის ექსპატრიანტების დაუოკებელი სიფიცხე, ევროპელ ეგზისტენციალისტთა მეტაფიზიკური მღელვარება, კამიუს მერსოს აპათია და პორტნოს* მოთარეშე, სახრჩობელის იუმორი.

ვგონებ, ვილაცამ პოეზიისა და პროზის დიადი ორგანიზმის მიმართულების შეცვლა ბოლო ასი წლის მანძილზე დაახასიათა, როგორც დიადი ლიტერატურული განდგომა, რაც იმას ნიშნავდა, რომ პოეტებმა და რომანისტებმა, მნიშვნელობა არ გააჩნია, რა მიზეზის გამო, ერთობლივად აღნიშნეს, რომ არ ეთანხმებიან თანამედროვე შეხედულებას, მეცნიერების, ტექნოლოგიისა და განათლების წინსვლასთან ერთად ცხოვრებაც უმჯობესდებაო.

ამგვარ ვითარებას, ჩემი აზრით, ადრე თუ გვიან, ვინმე დაუპირისპირდება, მეცნიერი, ხელოვანი ან დილტანტი, და შეეცდება გაარკვიოს, თუ რა ხდება და როგორ უნდა გახადოს ცხოვრება უფრო ასატანი, თავისთვისაც და სხვა ადამიანებისთვისაც. და მართლაც, განა ყოველდღიურად არ შევიგრძნობთ, რომ ეს საკითხავი ყოველდღიურად უფრო და უფრო საჭირობოროტო ხდება? განა არ გვიგრძნობდა კრიზისის განცდა, რაც სულ უფრო ცოტა დროს გვიტოვებს დაყოვნებისათვის? ცხადია, რალაც მოხდა, მაგრამ, ალბათ, რალაც უარესიც შეიძლება მოხდეს.

ალბათ შეიძლება ვითარებას ნათელი მოვფინოთ, როგორც დაკონკრეტებით, ასევე გაპიპოტეტიურებით. ჩვენს

*ფილიპ როთის რომანის პერსონაჟი

წინაშეა ბოზ სლოკუმის უბედურება; მოდი გავიაზროთ დამატებითი გარემოება – თუმცა, უნდა ვაღიაროთ, შეუფერებელი ამ შემთხვევისათვის – რომ ბოზ სლოკუმმა მეცნიერებას მიმართა დიაგნოზისათვის და სწეულებისაგან განსაკურნავად. რაკი უბედურია – ყველა ამერიკელივით – უბედურების ექსპერტთან მიდის, რათა გაიგოს, თუ რა სჭირს. ფსიქიატრთან მიდის. და რანაირი, მისთვის შესაფერისი, თერაპიული მკურნალობა შეიძლება წარმოვიდგინოთ? რა მხრივ შეცვლილი გვსურს რომ ვიხილოთ? ან გვსურს კი, რომ შეიცვალოს? მოდი წარმოვიდგინოთ მისი მომავალი ჩვეულებრივი აბსტრაქციების მიხედვით, სახელდობრ, მიზნად დავისახოთ, რომ იგი გახდებოდა უფრო შემოქმედებითი, დამოუკიდებელი, ნაყოფიერი და ასე შემდეგ; რომ იგი გახდებოდა თემის ცხოვრების მონაწილე. ამგვარი მიზნები ღირებულია და გამონაკლისიც არ გახლავთ, მაგრამ განა გული ცუდს არ გვიგრძნობს? როცა ასეთ ბოზ სლოკუმს წარმოვიდგენთ მომავალში, ვინც აღარც უბედურია და აღარც სასაცილო, არამედ, როგორც დღეს იტყვიან, „ჩართულია“ მოღვაწეობაში, ან თიხაზე მუშაობს, ან ხალხური ცეკვების გუნდშია, ან რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ეხმარება თავისი არჩევანის მიხედვით? და თუკი გულში მოგვწონს მისი ასეთი გაუმჯობესება, როგორ უნდა გამოვთქვათ და დავასაბუთოთ ეს უკეთესობა მის უბედურებასთან შედარებით?

შესაძლებლობანი, რომანისტიც თვალთახედვით რომ მსურს ყურადღების გამახვილება, ის გახლავთ, რომ, სულ ცოტად, ორგვარი დეპრესია გვხვდება, რისი მსხვერპლნიც ადამიანები ხდებიან.

ერთ დეპრესიას, ისევე პირდაპირ ვხვდებით, როგორც ქირურგი ხვდება მუცლის ტკივილის შემთხვევებს. ესეც უბრალო და უშუალო ტკივილია: ეს გახლავთ დაავადება, რასაც არც წანამძღვრები აქვს და არც გამოსავალი, როგორცაა ტანჯვა, სევდა, კონფლიქტი, შიში, რომ შემოგეპარება და ძალას გაცლის. ადამიანებს სტკივათ და მიდიან მეგობრებთან ან ექსპერტებთან, ვინც ამგვარ ტკივილებზე სპეციალდებიან და მეგობრები და ექსპერტები ცდილობენ დაეხმარონ.

მოკლედ, ამგვარი დეპრესია შეიძლება გავიაზროთ, როგორც ფსიქიკის მოშლა, რასაც მედიცინის მეცნიერების ტრადიციული შემთხვევებიდან ვიცნობთ, დამკვირვებელი გამოიცნობს, თუ რა სახის მოშლასთან გვაქვს საქმე და შესაბამის ტექნიკას გამოიყენებს.

ხოლო მეორენაირი დეპრესია კი ჩვენ – ანუ რომანისტებს – მოგვიხელთებს.

ეს გახლავთ ბოზ სლოკუმის ირონიული უკმაყოფილება „რალაც მოხდაში“, ქვენტინ კომპსონის თვითმკვლევლობა ფოლკნერის „ხმაურსა და მძვინვარებაში“, ივან კარამაზოვის მარტოობა, როკენტინის მღელვარება სარტრის რომანში, ერთფეროვნება და ბანალობა, განცდილი ჯ. ალფრედ პრუფროკის მიერ, ჯოან დიდიონის მარტოხელა პერსონაჟი ქალის ხეტიალი ლოს ანჯელესის გზებზე.

და თუმცა ეს მხატვრული მოშლილობანი განსხვავებულია, საერთო თვისებანი მაინც დაეძებნება. ეს თვისებები ნაჩვენებია პერსონაჟთა მიერ, ვინც არამცთუ არ არიან დახატულნი ავადმყოფებად, არამედ შემოქმედთა – რომანისტთა და პოეტთა – მიერ სწორედ იმიტომ არიან დახა-

ტულნი, რომ აქვთ განსაკუთრებული უნარი ჩანვდნენ მოვლენათა არსს, უნარი, რაც არ გააჩნია ან ძალზე ბუნდოვნად შეიგრძნობს უმრავლესობა გარშემომყოფთაგან დასავლურ სამყაროში. და მაინც, სწორედ ისინი, ვისაც საკუთარი ღირსებანი იცავს სიმპტომებისაგან, თითქოსდა, გონებრივი მოშლილობის ტრადიციული საზომებით უნდა განვსაჯოთ, რათა გამოვანმრთელდნენ, უფრო ბედნიერი და გამძლენი გახდნენ, ვიდრე განზე მდგარი მხატვრული პერსონაჟია.

როგორც ჩანს, ხელოვნებასა და მეცნიერებას მართლაც საპირისპირო თვალსაზრისები აქვს; რაც მეცნიერებას ნორმად მიაჩნია, ხელოვნება მარცხადა და პიროვნულის კლებადა თვლის, და რასაც ხელოვნება შესაფერის პასუხად მიიჩნევს ჩვენი ეპოქის ცხოვრებისათვის, მეცნიერება ანტისოციალურად და არანორმალურ ქცევად თვლის.

ჩემი აზრით, რომანისტებს განზრახული აქვთ ის, რასაც წვდომას ვუნოდებთ, განზრახული აქვთ ჩანვდნენ იმას, თუ როგორია საგნები სინამდვილეში. მაგრამ რომელი საგნები? ან სად? რა თქმა უნდა, პათოლოგიაზე ვსაუბრობთ. კარგი, რალაც მოხდა, რალაც გაუფუჭდა, მაგრამ რა? განა ეს ფსიქიკური მოშლაა, რასაც მეცნიერმა უნდა დაუსვას თერაპიული დიაგნოზი? თუ რალაც სხვაა? რწმენის ეპოქის დასასრული ხომ არ არის? პოსტ-ქრისტიანულ სწეულებაზე ხომ არ ვსაუბრობთ, გზადაკარგულობის განცდაზე, რაც უპირატესად მაშინ ჩნდება, როცა ახალი ეპოქის ადამიანები სერიოზულად აღარ მიიჩნევენ ძველი ეპოქის სიმბოლოებს?

უფრო ზუსტად გაუცხოების სახეობებზე ვსაუბრობთ, ფსიქიატრთათვის ამ ორიგინალური გამაუცხოებლების ტრადიციულ სიუჟეტებზე. მაგრამ ყურადღება მიაქციეთ, რომ რომანისტი წამოჭრის კოპერნიკულ თემას და თავიდანვე სვამს შეკითხვას: ვინ არის გაუცხოებული? რისგან? და დღესდღეობით გაუცხოებული უკეთესადაა თუ არგაუცხოებული?

იმის განსასაზღვრად, თუ რას შესდგომია რომანისტი, უფრო ღრმად უნდა ჩავიხედო ლიტერატურული გაუცხოების ყოფაში, უფრო ღრმად, ვიდრე ჰელერის პერსონაჟია, ბოზ სლოკუმი, ვინც, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება სხვაგვარადაც განიხილოს სხვა რომანისტმა. ამერიკელ რომანისტებს – მათი მონოდებისა და თავისებური ადგილის ქონისა თუ არქონის გამო კულტურაში – გადაგვარებული და განყენებული ადგილი შეხვდათ. ბოზ სლოკუმი, ალექსანდრე პორტნოისა არ იყოს, შეიძლება აღვიქვათ მოხერხებულ სატირულ საშუალებად, რითაც რომანისტი ორმაგი სახის თერაპიას მიმართავს; ერთი მხრივ, ხელის აქნევით მოიშორებს ყოველ იმ მხარეს ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებისა, რაც არ მოსწონს, ხოლო მეორე მხრივ, წარმოაჩენს და, ვიმედოვნებ, განდევნის თავის პიროვნულ დემონებს. და ორივე ქმედებისას კარგად შეიქცევს თავს. ორივე რომანი თავშესაქცევია, საკმაოდ თავშესაქცევი, რათა მკითხველი სერიოზულად არ შეძრას და შეანუხოს.

სხვა რომანებს ასე იოლად ვერ მოვიცილებთ თავიდან. ერთ-ერთს გამოვარჩევ, კლასიკური ტიპისას, თუმცა არ უცილობლად საუკეთესოს, მანამდე, სანამ ბოლომდე მი-

ვიდოდე და ოდნავ ნათელს მოვფენდე იმას, რაც თავისებურ დიაგნოსტიკურ როლს ასრულებს რომანისათვის ამ საუკუნეში.

სარტრის „გულზიდვას“ ვგულისხმობ. ვფიქრობ, შესაფერისია ჩვენი მიზნისათვის, არა იმიტომ, რომ რალაც თვითცნობიერად მიგვმართავს სარტრი ფილოსოფიური ნაშრომისაკენ, რაც ამ შემთხვევაში არა გვჭირდება, არამედ როგორც თავდასხმა „ნორმალურზე“, ან იმაზე, რაც, ჩვეულებრივ, ნორმადაა მიჩნეული. განსხვავებით სარტრის გვიანდელი პოლიტიკური რომანებისაგან, „გულზიდვა“ იმითაა საინტერესო, რომ თავდასხმა ფენომენოლოგიურია და არა პოლიტიკური, ანუ განისჯება, თუ სინამდვილეში როგორია მოვლენები.

„გულზიდვის“ პერსონაჟ როკენტიში გვანტერესებს ცნობიერება თანამედროვე კონტექსტით, და ნებაყოფილობითი გაუცხოება ფრანგული კულტურის ასპექტებისაგან, რაც, ჩვეულებრივი სტანდარტებით, სწორედ რომ ნორმალურია; მაგალითად, პროვინციული ბურჟუაზიის აშკარად კმაყოფილი ცხოვრება და სწავლულთა წარმატებული კარიერა მეცნიერებათა აკადემიაში.

როკენტინი ისტორიკოსია. იგი უხმაუროდ ცხოვრობს პროვინციულ ქალაქ ბოვილში, მისი არსებობა ერთფეროვანია, წერს გამოკვლევას ადგილობრივ ბიბლიოთეკაში, მარტოდმარტო სეირნობს, ყურს უგდებს უცხოთა საუბარს, მექანიკურ სქესობრივ ურთიერთობას აბამს კაფეს მეპატრონესთან.

„მარტო ვცხოვრობ, მარტოდმარტო“, გვეუბნება როკენტინი, „არასოდეს არავის ვესაუბრები. არაფერს ვიღებ, არაფერს ვიძლევი.“

და მაინც, იგი აღიქვამს საგნებისა და ადამიანთა უმცირეს დეტალებს, გაზეთის ნაგლეჯს გიტარაში, კაფეში მსხდომ ადამიანებს, ქუჩაში მოხეტიალე ხალხს, ვინც, როგორც ჩანს, შეენყო ამ ქვეყანას, საუბრობენ, უსმენენ ერთმანეთს და ყველაფრით ამჟღავნებენ, რომ მათ ქვეყნისა და ქვეყანას მათი ყველაფერი ესმით.

როკენტინისათვის საუკეთესო თავშესაქცევია კვირადილით ქალაქის ცენტრში გავლა და საკვირაო ტანსაცმელში გამოწყობილ ოჯახთა თვალყურის დევნება, ერთმანეთს რომ ესალმებიან წირვის შემდეგ.

„... ბატონმა, ხელკავით რომ მოაცილებდა თავის მეუღლეს, ის-ის იყო ორიოდ სიტყვა უჩურჩულა ყურში და გაიღიმა. ქალმა მაშინვე ჩამოირეცხა ყოველგვარი გამომეტყველება გადატკეცილი, ნაღებისფერი სახიდან და ბრმად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. ამ ნიშნებს შეუმცდარად იცნობდი: ვიღაცას უნდა მისალმებოდნენ. მართლაც, წუთის შემდეგ, ბატონი ხელს აწევს, თითებს ფეტრის ქუდთან მიიტანს, წამით შეაჩერებს, ვიდრე დამიზნებით დაუშვებდეს ქუდის წვერზე. და ვიდრე ნელა აწევს ქუდს, თავს ოდნავ დახრის, რათა ქუდის აწევას შეაშველოს, მისი მეუღლე ოდნავ დაწინაურდება, მერე ღიმილს გამოისახავს სახეზე. თავდაკრით ჩაივლის ვიღაცის ჩრდილი, მაგრამ წყვილი ღიმილი მაშინვე არ ქრება, რალაც მაგნეტიზმით ერთხანს ტუჩებზე რჩება. ვიდრე გამცდებოდნენ, ქალბატონმა და ბატონმა მიუკერძოებელი გამომეტყველება აღიდგინეს, მაგრამ ერთგვარი მხიარულება ჯერ კიდევ შერჩენოდათ პირზე.“

სარტრის მიერ წამოჭრილი თემა პარადოქსული ჩანს, რადგან, თუმცა ბურჟუაზია თითქოს ბედნიერი და ერთიანია, რალაც მაინც მოშლილა მასში. ბურჟუაზიის ცხოვრება ერთგვარი მასკარადია, პიროვნულისაგან დაცლა; მისი მეობა გამქრალია. სარტრი ამას უბედურებას უწოდებს. როკენტინი – განდგომილობის მიუხედავად – ხვდება იმას, რაც მათ არ იციან – და მაინც, თითქოს უარესად ხდება შეცნობის გამო; თავიდან თითქოს შორს არის ყველაფრისაგან, განმარტოებულია, მერე და მერე კი მღელვარებისა და გულზიდვის შეტევები ემართება, რასაც საგანთა ჭეშმარიტი ბუნების გაცხადებდა, თვით ყოფიერების ძალზე უსიამოვნო გამოწვევად მიიჩნევს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „გულზიდვა“ არ არის უბრალო ნიმუში თავისუფლად მოაზროვნე რაციონალურ-სექსუალური შეტევისა კათოლიკური ბურჟუაზიის წინააღმდეგ. რადგან როკენტინი (და სარტრი) არაფრად არგია ოპოზიციასაც, ფრანგული საზოგადოების მეორე ტრიუმფალურ სექტორს, აკადემიის ანტიკლერიკალურ ნევრებს, ცნობილ დოქტორებს, გენერლებსა და პოლიტიკოსებს. როკენტინი ერთგვარად უკუგდებულა, როგორც რაციონალ-მორწმუნეთა, ასევე რაციონალ-ურწმუნოთა მიერ.

როკენტინი ბუვილის მუზეუმში მიდის, სადაც ცნობილ ადამიანთა ასორმოცდაათი პორტრეტია გამოფენილი და მეცნიერებათა აკადემიის ნევრის, დრ. პაროტინის პორტრეტის წინ ჩერდება.

„ვიდექი მის წინ და იგი მიღიმოდა. რაოდენი ცოდნა და კეთილგანწყობილებაა მის ღიმილში! მისი ფაშფაშა სხეული განცხრომით ჩაფლულა დიდ ტყავის სავარძლის ღრმულში. ეს უპრეტენზიო ბრძენკაცი დაუხანებლად შევლოდა ადამიანებს. . .“

დიდი დრო არ დამჭირებია, რომ მისი პრესტიჟის მიზეზს ჩავენვდომოდი: იმიტომ უყვარდათ, რომ ყველაფერს ხვდებოდა; შეგეძლო ყველაფერი გეთქვა. ცოტათი რენანს ჰგავდა, თუმცა მთლიანობაში განსხვავება მეტი იყო.“

ახლა რა ვქნათ, რა ვუყოთ სარტრისა და რენანის გაუცხოებას? ხომ არ დავუტოვოთ ფრანგ ინტელექტუალებსა და ლიტერატურულ აკრობატებს, ვინც – დეკარტის დროიდან მოყოლებული – ცნობილი არიან უნარით, ჩაეჭიდონ რომელიმე ფილოსოფიურ თეზისს და მთელი მსოფლიოს არშინად გამოიყენონ? ან საფრანგეთის სოციალურ სიდუხჭირეს ხომ არ ჩავეძიოთ, ორი ომის შუა ხანაში?

ან ნუთუ სარტრი რაიმე ღირებულს ამბობს ადამიანის ყოფის შესახებ დასავლეთში, ან თუნდაც კაცობრიობის მდგომარეობის შესახებ მეოცე საუკუნეში?

ანდა, სარტრის ეგზისტენციალიზმი ხომ არ უნდა აღვიქვათ გარდამავალ სადგურად ბურჟუა ინტელექტუალიდან მარქსისტ იდეოლოგიისაკენ მიმავალ გზაზე?

თუ სარტრი მართალია, მას საგნები მართლაც თავდაყირა დამდგარა, რადგან მის რომანში კარგა გვარიანი სწეულებია დახატული და ეს გვარიანი სწეულები მართლები არიან. მაგრამ განა სიმართლე უსიამოვნო საქმეა, რასაც, კარგს ვიზამდით, თუ ავერიდებოდით? როკენტინი ფიქრობს, რომ რალაც იცის, რაც სხვებმა არ უწყიან, რომ მან აღმოაჩინა უსიამოვნო რამ, რაც ძნელად თუ მოუტანს

ბედნიერებას, მაგრამ შეაძლებინებს იცხოვროს ჭეშმარი-
ტი ცხოვრებით, რასაც ბედნიერი ბურჟუები და წარმატე-
ბული მეცნიერები ვერ მიაღწევენ. მღელვარება, არარეა-
ლურობის შეგრძნება, მარტოობა, აზრის დაკარგვა სწო-
რედ ის მახასიათებლებია, რაც ჩვეულებრივ მავანისა და
მავანის მოშლილობის სიმპტომებადაა მიჩნეული და აქ წინ
წამოწეულია, როგორც შესატყვისი პასუხი გამოცხადებასა
და იმაზე, თუ რა ხდება და რა სჭირს ხალხს.

თუკი საქმე ასეა და საგნები თავდაყირა დგას, მაშინ
ფსიქიატრი აქ ვერაფერს გააწყობს და არც მოინდომებს.
თერაპევტი ძნელად თუ მოახერხებს უმკურნალოს ხალხს,
ვინც ფიქრობს, ავად არა ვარო, ბედნიერი ბურჟუა იქნება
თუ უბედური ეგზისტენციალისტი.

მე მაინც გარდამავალ შემთხვევაზე ვფიქრობ, მავან-
ზე, ვინც, ალბათ, როგორც უმრავლესობა ჩვენთაგან, ერ-
თი მხრივ შეუღწეველ ბურჟუათა და წარმატებულ მეცნი-
ერთა და, მეორე მხრივ, რომანის გაუცხოებულ გმირს შო-
რის, ასე ვთქვათ, სადღაც როკენტიწისა და მის ეგზისტენ-
ციალურ სასწრაფოებსა და ბობ სლოკუმსა და მის კომი-
კურ ზიზლს შორის გაჩხერილა.

მოკლედ, რა შეგვიძლია მოვუხერხოთ მღელვარების
ფართოდ გავრცელებულ გრძობას, უამრავ ადამიანს
რომ დაუფლებია ჩვენს დროში და ამ მღელვარების გამო
არსებულ – მეცნიერთა და ხელოვანთა – დაამეტრულად
განსხვავებულ თვალსაზრისებს?

ვმიშობ, ცხადად გამოკვეთილი პასუხი არ გამაჩნია
კითხვაზე, თუ ვინ არის შემოღობი, რომანისტი თუ მეცნი-
ერი? სჯობს უფრო მოკრძალებულ, მაგრამ, ვფიქრობ,
მნიშვნელოვან მიზანს დაჯერდე. სანყის ვარაუდს და-
ვუბრუნდე, რომ ხელოვნება შემეცნებითია; ისეთივე შე-
მეცნებითი და კვლევითი თავის გზაზე, როგორც მეცნი-
ერებაა; და თანამედროვე რომანის შემთხვევაში ხელო-
ვნება შეიმეცნებს, არკვევს, იცის და საუბრობს უნიკალუ-
რი წესრიგის შესახებ, რასაც სამეცნიერო მეთოდი ვერ
მისწვდება. ელემენტური აქსიომაა, რომ სიმართლე, რა-
საც მეცნიერება ამბობს საგანთა და მოვლენების შესახებ,
ზოგადი სიმართლეა. მეცნიერს აინტერესებს სოლიუმ
ქლორიდის მოლეკულა ან ვარსკვლავის ამოფრქვევა, ან
ამება, ან თუნდაც პაციენტი, რამდენადაც ის სხვა მოლე-
კულებს ჰგავს, სხვა ვარსკვლავის ამოფრქვევას ან სხვა
ამებას და თუნდაც სხვა პაციენტებს, იგივე მოშლილობა
რომ ანუხებთ. ადამიანის თავისებური ბედისწერა კი ის
გახლავთ, რომ იგი განმსჭვალულია თავისი პიროვნული
ცნობიერებით, როგორც ინდივიდი, ან, ბოლოს და ბო-
ლოს, პიროვნებად ქცევის შესაძლებლობით. მეცნიერები-
სა და ტექნოლოგიის პარადოქსი ისაა, რომ პიროვნება
გარკვეულად თავს წარმოიდგენს ნიმუშად ან სახეობად,
ამა თუ იმ ტიპის სოციალურ ქმნილებად თუ ბიოლოგიურ
გენოტიპად და სწორედ აქ კარგავს საკუთარ თავს. დიდი
ნაპრაღი ადამიანურ ცოდნაში, რაზეც მეცნიერება პა-
სუხს ვერ პოულობს, თვით სამეცნიერო მეთოდის ბუნე-
ბის გამო, კიერკეგორისა არ იყოს, სხვა არაფერია, თუ
არა, იყო ინდივიდი, დაიბადო, იცხოვრო და მოკვდა მეოცე
საუკუნეში. თუკი ცნობიერად ან არაცნობიერად ვივარა-
უდებთ, რომ მეცნიერებას შეუძლია უპასუხოს ასეთ შე-
კითხვებს, მაშინ ველარასოდეს შევძლებთ შეკითხვის

დასმას, ხელთ პასუხებილა შეგვრება. მამ ვის შეუძლია
კითხვა დაუსვას საკუთარ თავს? რა თქმა უნდა, პიროვნე-
ბა, ვინც აღიარებს მეცნიერების სიმართლესა და მშვენი-
ერებას, მაგრამ თავისთავადობას ინარჩუნებს. მაგრამ კი-
დევე ვილაცა ეხმაურება იგივე საკითხს: ეს, რა თქმა უნდა,
ხელოვანია, ვინც შეკავშირებულია პიროვნებასთან, რად-
გან თავისი მე სჭირდება გაჭირვებაში გასამაგრებლად.
ხელოვანია, ვისაც აქვს უნარი, შემოაბრუნოს გაუცხოე-
ბის პროცესი იმით, რომ ნათლად აღიქვამს, თუ რასთან
აქვს საქმე, და სახელსაც დაარქმევს, და ამით ერთგვარ
საზოგადოებასაც შექმნის, პარადოქსულ საზოგადოებას,
ვისი წევრებიც მარტონიც არიან და არც არიან მარტონი,
ვინც ესწრაფიან მიაღწიონ საკუთარ მეობას და აღმოაჩი-
ნონ, რომ არიან სხვებიც, ვინც მანამდე როგორღაც ძიე-
ბის იგივე გზა გაიარეს.

ჩემი აზრით, ეგრეთწოდებული გაუცხოების რომანი
მრავალი ამერიკელისათვისაა თავსატეხი. გამოცდილე-
ბით ვიცი, რომ მრავალი ახალგაზრდა მკითხველი შემოაბ-
რუნა, ალბათ, უკეთესობისაკენ, ევროპელ და ამერიკელ
რომანისტთა პირქუშმა შეხედულებამ ცხოვრებაზე და
არც არასოდეს ვეკამათები, ვინც მეუბნება, ბედნიერი ვარ
და, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი არც ისე ცუდადააო.
მაგრამ თუ რომანისტი მართალია, როცა ამკარად ემიჯნე-
ბა ტრადიციულ ამერიკულ შეხედულებას, და თუ სიმარ-
თლეა, როგორც აღვნიშნე, რომ საუკეთესო თანამედროვე
რომანი შემეცნებითი და ახსნა-განმარტებითია და, ერ-
თგვარად, ისევე მეცნიერული, როგორც ბირთვული ფიზი-
კა, მაშინ რალაც ნათელი შეიძლება მოეფინოს ჩვენს დაბ-
ნეულობას იმით, რომ შევნიშნოთ იმავე სახის პრობლემე-
ბი მეცნიერებაში ზოგადად და ფსიქიატრიაში კერძოდ.
ვფიქრობ, ყველანი ვაცნობიერებთ ტექნოლოგიის მიერ
გაჩენილ პასიური მომხმარებლობის საშიშროებას, რად-
გან თვალისმომჭრელი მეცნიერული კვალიფიკაცია გვი-
პირისპირდება. პიროვნული თავისთავადობა, გარკვეულ-
ნილად, მაშინ იკარგება, როცა პიროვნება იჯერებს, რომ
მისი ბედნიერება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარ-
მოაჩენს საკუთარ თავს გარკვეულ ფსიქოლოგიასა და რო-
მელიმე შემხვედრ ჯგუფსა თუ ტექნოლოგიაში.

ამგვარი საშიშროება ახლავს ლიტერატურასა და ხე-
ლოვნებას – რასაც კიერკეგორი ესთეტიური სფეროს სა-
შიშროებას უწოდებდა. მართალია, რომ პოეტი და რომა-
ნისტი ავანგარდში დგანან თავისი წინათგრძნობით, რომ
რალაც ცუდი ხდება, და იმით, რომ აღწერენ პათოლოგის
ბუნებას და მკითხველს შეაძლებინებენ გაიხაროს და გაფ-
რთხილდეს კიდეც; გაიხაროს იმით, რომ კარგ რომანისტს
აღმოაჩნდა უნარი შუქ-ჩრდილების გამორჩევისა, რასაც
მკითხველი მხოლოდ ბუნდოვნად აღიქვამდა, მაგრამ ამა-
ვე დროს გაფრთხილდეს და ოდნავი თავისთავადობაც არ
დათმოს. თუ კაცი მწერალია ან მეცნიერი, იღბალი გაუჭ-
რის და შემთხვევით სიმართლესაც მიაგნებს; თუ კაცი
მკითხველია ან მომხმარებელი და, იღბლად, დიდი სამედი-
ცინო აღმოჩენით ისარგებლებს ან რომანისტის წიაღსვლა
ალაფრთოვანებს – კეთილი და პატიოსანი, იმდენად, რამ-
დენადაც კაცი არასოდეს დაივინყებს, რომ მისი ცხოვრე-
ბის მსგავსი წიგნებში არ დაიძებნება, არც კითხვისას და
არც წერისას.

გრიგოლ აბაშიძე

ანი, ბანი, ბანი...

გიორგი გამხარაშვილი

გიორგი გამხარაშვილი საინგილოდან იყო და ინგილოთა პატრიოტულ მოძრაობას მეთაურობდა. მან დაწერა ნიგნი საინგილოს წარსულსა და აწმყოზე, რომელიც ჯერ ქართულად დაიბეჭდა და მალე რუსულადაც გამოიცა.

რუსული გამოცემის რედაქტორობა მე მომანდეს. ნიგნიში საინტერესოდ იყო მოთხრობილი საქართველოს ამ განუყოფელი ნაწილის წარსულზე, მის დღევანდელ უნუგეშო მდგომარეობაზე, მხარის ეთნოგრაფიაზე, ინგილოთა ურთიერთობაზე აზერბაიჯანელ და დაღესტნელ მუსლიმანებთან.

ნიგნის რედაქტორობისას ხშირად ვხვდებოდი მის ავტორს – ფართოდ განათლებულსა და სიმპათიურ მოხუცს. ამ შეხვედრებმა ჩვენ ერთმანეთს დაგვაახლოვა.

გიორგი ტკბილად მოუბარი ინტელიგენტი, ინგილოთა უფლებების თავგამოდებული მოსარჩლე იყო და საინტერესო ამბებს მომიტხრობდა.

აი, ზოგი რამ მისი ნაამბობიდან:

ჩვენი დიდი მეცადინეობის შედეგად, საინგილოს საქართველოსთან შემოერთების საკითხი ბოლოს და ბოლოს მომწიფდა. ამ საქმეზე სტალინმა მიმიღო მოსკოვში, კრემლში.

სტალინი ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამომართვა და თვითონ რაკი არ დაჯდა, მეც ფეხზე მდგარი შევუდექი ინგილოთა კანონიერი მოთხოვნების მოკლედ ჩამოყალიბებას.

– კადრები გყავთ იმისათვის, რომ ავტონომიური საინგილო შეიქმნას? – მკითხა სტალინმა.

შავბედობამ ინგილოები ჩამოარჩინა, განათლებული, საამისოდ მომზადებული კადრები არ გვყავდა და აბა ტყუილს როგორ ვეტყვოდი!

– არა, კადრები არა გვყავს ჯერჯერობით-მეთქი, – მივუგე.

– მაშ, ჯერ ქართული სკოლები გაეხსნათ, სათანადოდ მომზადებული კადრი აღვზარდოთ და ავტონომიის საკითხი შემდეგ დავსვათო. – გადანყვეტილად თქვა, მაშინვე, გამოსამშვიდობებლად ხელი გამომინოდა და ამით მიმახვედრა, რომ აუდიენცია დამთავრდა.¹

მეორე ამბავი, რომელიც ბატონმა გიორგიმ მიაშობ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს ეხებოდა:

1920 წლიდან ართვინის მხარის მთავარ აგრონომად ვმუშაობდი. ბათუმში მივლინებული, დილით სანაპიროზე გამოვედი სასეირნოდ და უცებ ჩემს ახლოს ეტლი შეჩერდა. ეტლიდან ევგენი გეგეჭკორი გადმოხდა, გადაამხვია და გადამკოცნა. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ჩემი სკოლის ამხანაგი იყო, ერთ მერხზე ვიჯექით და ერთიმეორე გვიყვარდა.

ეს წუთია ინგლისიდან გემით ჩამოვედი, ალბათ შენც არ იქნები ნასაუზმევი და აგერ, რესტორანში შევიდეთ, დავნაყრდეთო, მითხრა, მხარზე ხელი მომხვია და წამიყვანა. სუფრა გაანყობინა და ნაირ-ნაირი საქმელ-სასმელი მოატანინა.

– ცუდ გუნებაზე დავბრუნდი. ლუკმა ყელში არ გადამდის, – თქვა და ხელიდან ჩანგალი გააგდო.

– ისეთი რა მოხდამეთქი, – შევეკითხე და მეც ჭამა შევწყვეტიე.

– ქართულმა მეტიჩრობამ, ამპარტავნობამ და ტრაბახმა დამღუპაო, – თქვა შენუხებულმა და მოჰყვა:

ინგლისში ჩავედი, თან ექსპერტები ჩავიყვანე, ხელშეკრულება უნდა დაგვედო და დიდი ბრიტანეთის მთავრობისაგან სესხი უნდა აგველო. სანამ ექსპერტები ეკონომიკური ხელშეკრულების პუნ-

ქტებს სწავლობდნენ და აზუსტებდნენ, მე დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ლოიდ ჯორჯმა მიმიღო წინასწარ სასაუბროდ, ერთი მეორის გასაცნობად. მეორედ მოლაპარაკების დამთავრებისა და ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ უნდა მიველე.

საუბარი იმედის მომცემად წარიმართა. უცებ ლოიდ ჯორჯმა თვალი თვალში გამიყარა და შემპარავად მკითხა:

– ჩვენ რომ რუსეთთან ომი მოგვიხდეს, თქვენ, როგორც ჩვენი მოკავშირე, რამდენი ჯარისკაცის გამოყვანას შეძლებთ?

– ასორმოცდაათათას თავით ფეხამდე შეიარაღებულ ჯარისკაცს გამოვიყვანთ! – დავახეთქე ჩვენებურად და მაშინვე მივხვდი, რომ საქმე გვაფუჭე.

ლოიდ ჯორჯს სახეზე ჯერ გაოცება გამოეხატა, მერე დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა, ფეხზე წამოდგა და ისევ დაჯდა.



გრიგოლ აბაშიძე „ჩვენთაობელთა“ შორის

– თქვენ დიდი ხალხი ყოფილხართ, რომ ამოდენა არმიის გამოყვანა შეგძლებათ. მე, დიდი ბრიტანეთის პრემიერს, ოცი ათასი კაცის მობილიზაცია არ შემიძლია და ამის მისაღწევად პარლამენტის ნებართვა რომ მივიღო, დიდი ბრძოლა მჭირდება!

ესა თქვა და შეეტყო, საუბრის გაგრძელების ინტერესი დაჰკარგა.

რაკი ენას დროზე არ დაეაჭირე კბილი და დაუფიქრებელი ტრაბახით ჩვენი არასერიოზულობა დავანახვე, რაღა გაეწყობოდა. საუბარი აღარ გაგრძელდა, ლოიდ ჯორჯი საერთო არასაქმიან კითხვა-პასუხზე გადავიდა და აუდიენცია ცივად დაამთავრა.

ეს იყო და ეს, ამის შემდეგ აღარც ხელშეკრულება გაფორმდა და სესხის მიღებაზეც უარი გვითხრეს! – ნალვლიანად დაამთავრა გულწრფელი აღსარება ჩემმა მეგობარმა მინისტრმა.²

აქიმ ნიკოლოზ ყიფშიძის ნაამბობი

1948 წლის ზაფხულში სიმონ ჩიქოვანთან ერთად ლიკანში ვისვენებდი. დამსვენებელთა შორის იყო ცნობილი თერაპევტი, პროფესორი ნიკოლოზ ყიფშიძე, რომელმაც სხვათა შორის გვიამბო:

1946 წელს სტალინი გაგრაში ისვენებდა. ავად გამხდარიყო და კანდიდ ჩარკვიანმა მის სამკურნალოდ გამომიძახა. სტალინის აგარაკზე რომ მივედი, პირველი, რაც თვალში მეცა ის იყო, რომ ყველა კარი და სარკმელი ჩაკეტილი იყო და ოთახები არ ნიავდებოდა. კართან შემოგებულ პოსკრებიშევს (სტალინის თანამემწეს) ვთხოვე ფანჯრები გაეღო.

მაგის უფლება მე არა მაქვს და თქვენ თვითონ სთხოვეთ ნებართვაო, მითხრა და ავადმყოფთან შემიძღვა.

ახლა ნუ მკითხავთ, რით იყო ავად სტალინი, საიტყვა მაქვს მიცემული, რომ ამის შესახებ არსად არაფერი ვთქვა.

შეიძლება საუკეთესო მკურნალი იყო, მაგრამ დიაგნოზმა არ გაგიმართლოს. მე ბედმა გამიღიმა, ჩემს მიერ დასმული დიაგნოზი სწორი აღმოჩნდა, ავადმყოფს ვუმკურნალე და მალე ფეხზე წამოვაყენე.

ამასობაში ისე დაუუახლოვდი, რომ უჩემოდ პურს აღარ სჭამდა.

ერთხელ სადილობის დროს სტალინიმა გვითხრა:

მე ჩვეულებრივ ხუთ გრძნობასთან ერთად მეექვსე გრძნობაც მაქვს, რომელიც მოსალოდნელი ხიფათისაგან მაფრთხილებსო და ნათქვამის საილუსტრაციოდ ორი მაგალითი მოიყვანა: 1935 წელს თბილისს ჩამოვედი დედის სანახავად; განზრახული მქონდა, ერთ კვირას მაინც დავრჩენილიყავი. საქართველოს მაშინდელმა ხელმძღვანელებმა მთხოვეს მათთან ერთად სურათი გადაემეღო. დავეთანხმე და დღეც დავთქვი.

არსაიდან არავითარი სიგნალი და გაფრთხილება არ ყოფილა. იმ მეექვსე გრძნობამ განმანყო იმისათვის, რომ არ დამეცადნა, ყველას გასაოცრად მატარებელში ჩავვუქი და უეცრად მოსკოვისკენ გავემართე.

1937 წელს დაპატიმრებულმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებმა აჩვენეს, რომ ფოტოგრაფს, რომელიც მათთან ერთად სურათს გადამიღებდა, ფოტო აპარატში საგანგებოდ ჩადგმული იარაღით უნდა მოვეკალი.

იმ ერთხელ ასე გადამარჩინა მეექვსე გრძნობამ. მეორე შემთხვევა ასეთი იყო: ერთ მშვენიერ დღეს, ჩემთან მოვიდა კრემლის ექიმი ლევინი, სერგო ორჯონიკიძემ მთხოვა გაგსინჯოთო. მე გამიკვირდა, არაფერი მანუხებდა და არც დამიჩვივლია სერგოსთან რაიმე ავადმყოფობის გამო. იმ მეექვსე გრძნობამ უეცრად გამაფრთხილა. ლევინის მადლობა გადაუხადე და ვთხოვე სერგოსთვისაც გადაეცა მადლობა ჩემს ჯანმრთელობაზე ზრუნვისათვის. ამჟამად თავს კარგად ვგრძნობ და თუ საჭირო იქნება, მე თვითონ მოგიხმობ მეთქი, ვუთხარი და გავისტუმრე. შემდეგ, 1937 წელს, ექიმმა ლევინმა აღიარა, რომ დავალეული ჰქონდა ჩემთვის ყალბი მეთოდებით ემკურნალა და გორკის მსგავსად მეც მოვეკალი.³

ერთხელ სტალინიმა სადილად დაგვტოვა მე და კანდიდ ჩარკვიანი. სუფრაზე ლვინოც იყო და პატარა ჭიქებით შევექცეოდით. პატარა ლვინის ჭიქებით სმა მომეწონა და სტალინის ასეთი თხოვნა შევბედე: ჩვენში წესად აქვთ თქვენი სადღეგრძელოს შესმა ჩაის ჭიქებით. მე მსმელი კაცი არა ვარ და ძალიან მიჭირს დიდი სასმისების დაცლა. არადა, თქვენს სადღეგრძელოზე უარის თქმას საქართველოში სწორად ვერავინ გაიგებს. ნება მომეცით, პატარა ჭიქით შევსვა ხოლმე თქვენი სადღეგრძელო და თანამესუფრეებს განვუცხადო, რომ ამის ნებართვა თქვენგან მაქვს აღებული. სტალინი წამით დაფიქრდა, მერე ხელი ჩაიქნია და გალიმებულმა მითხრა: დალიე როგორც ყველა სვამსო.

ერთ საღამოს სტალინიმა მითხრა: აქ სოჭში ჟდანოვი ისვენებს, ერთი კარგად გასინჯე, ოღონდ, თუ მძიმე მდგომარეობაშია, მას ნუ ეტყვი, როცა წავა, მე მითხარიო. სტალინი ტელეფონით გაესაუბრა ჟდანოვს და თავისთან მოიპატიჟა, ყურმილი დადო და ხმადაბლა თქვა, ახლავ აქ გაჩნდებო.

სოჭი სტალინის აგარაკიდან არც ისე ახლო იყო და მე გაკვირვება გამოვთქვი, ასე ჩქარა როგორ მოვა-მეთქი.

– კი არ მაირბენსო, – ღიმილით ჩაილაპარაკა სტალინიმა და ფეხზე წამოდგა.

ჟდანოვი მართლაც მალე მოვიდა, ცოტა ხანს ისიც სუფრას მოუჯდა და ურთიერთმოკითხვის შემდეგ სტალინიმა უთხრა:

– ამხანაგი ყიფშიძე ქართველი ექიმი, მე ჩემს თავზე გამოვცადე და დავრწმუნდი, რომ კრემლის სპეციალისტებს არ ჩამოუვარდება, მოდი გაასინჯვინე თავი, ეგებ შენც გააკურნოსო.

ჟდანოვი მაშინვე დამორჩილდა, მეორე ოთახში გამომყვა და დიდი პასუხისმგებლობით დაუწყე გასინჯვა. გული, რომ იტყვიან, ძაფზე ეკიდა, შევწუხდი, მაგრამ მას როგორ შევამჩნევინებდი. საგანგამო არაფერია, თუ რეჟიმს დაიცავთ და მკურნალობის კურსს დაიცავთ, უკეთ გახდებით-მეთქი, გავამხნევე და სტალინის თანდასწრებით იგივე გავუმეორე.

ჟდანოვი რომ წავიდა, სტალინს გულახდილად ვუთხარი, ის რაც ავადმყოფს დაუშალე. სტალინი გულწრფელად შეწუხდა, წარბი შეიკრა და ბოლთის ცემას მოჰყვა.

– ნუთუ ვერ ვუშველითო, – რამდენჯერმე გაიმეორა და თვალი თვალში გამიყარა.

სანუგემო, რაკი არაფერი მეთქმოდა, თავი დავხარე და რალაც გაურკვეველად წავილულლულე.⁴

ერთხელ კიდევ სტალინთან საუბრისას გავბედე და მოსახლეობის ჰიგიენაზე ჩამოვადე სიტყვა: სოფლად აბანოები არ არის და გლახობას ამ მხრივ უჭირს-თქო.

ჩარკვიანს არ ესიამოვნა ჩემი ნათქვამი.

– რათა, ხომ ავაშენეთ რამდენიმე აბანო, – ნაწყენმა თქვა.

– კი აშენდა, მაგრამ აბანოები ცოტაა და ძალიან შორს უხდება გლახობას დასაბანად სიარული-მეთქი, – შევნიშნე.

– მაინც რამოდენა მანძილის გავლა უხდებათო, – იკითხა სტალინმა.

– დაახლოებით მეჯვრისხევიდან გორამდე-მეთქი, – მივუგე.

სტალინმა გულიანად იცინა.

– ჩვენი გლეხი დასაბანად არათუ მეჯვრისხევიდან გორს წავა, იქვე მეჯვრისხევიც რომ ჰქონდეს აბანო, იქ სიარულითაც არ შეინუხებს თავს.

რაც არ გერბება

დიდუბის პანთეონში ბევრი ღირსეული მოღვაწე განისვენებს. მე როცა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ვიყავი, მწერალთა ორგანიზაციას ჯერ კიდევ ეკითხებოდა, თუ ვინ შეიძლება იქ დასაფლავებულიყო. ქალაქის ხელმძღვანელობა, ისე ვერ გასცემდა ნებართვას, თუ მწერალთა კავშირის შუამდგომლობა ან დასტური არ იქნებოდა.

ერთხელ 1968 თუ 69 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამი წარმომადგენელი მოვიდა ჩემთან: პროფესორი დომენტი მშვენიერაძე გარდაიცვალა და ნებართვა გვინდა თქვენგან დიდუბეში დასაფლავებაზეო.

მე ვიცოდი ამ „პროფესორის“ დამსახურება. იგი 1924 წელს ჭიათურაში აჯანყების ჩახშობასა და ზესტაფონის სადგურზე აჯანყების მონაწილეთა ვაგონებში დახვრეტას ხელმძღვანელობდა.

„დამკრძალავ კომისიას“ პირდაპირ უარი ვერ დავატაკე, იმ დღეს პრეზიდიუმის სხდომა იყო მოწვეული და განვუცხადე, რომ ამ საკითხს პრეზიდიუმზე განვიხილავდი.

პრეზიდიუმმა ერთსულოვნად უარი თქვა ინსტიტუტის შუამდგომლობაზე, ის კი არაო, განაცხადეს კ. გამსახურდიამ, ლ. ქიაჩელმა, დ. შენგელაიამ, ეგ კაცი საერთოდ არ არის ღირსი ქართული მიწისო.

პრეზიდიუმის დადგენილება შუამდგომლებს გავაცანინე. კარგი, ჩვენ მაინც ვეცდებითო, მითხრეს და წავიდნენ.

ერთ საათში დამირეკა ცკ-ს მდივანმა იდეოლოგიის დარგში და მკითხა, რა მოხდა პრეზიდიუმზეო. როცა მე გავაცანი პრეზიდიუმის წევრთა აზრი, მან უკმაყოფილოდ მითხრა, თუ კონტრრევოლუციონერები დახვრიტა, კაი კაცი ყოფილა და მე ვიძლევი დიდუბეში დასაფლავების ნებართვასო.

ასე მიუჩინეს ღირსეულ მამულიშვილთა გვერდით საუკუნო განსასვენებელი დ. მშვენიერაძეს, მაგრამ როგორც იტყვიან, რაც არ გერგება, არ შეგერგება: დასაფლავების მეორე დღესვე მისი საფლავი ნაბილწული აღმოჩნდა.⁵

თბილისის უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე 1931 წელს შევედი. ჩემზე ადრე ჩემი ძმები გახდნენ სტუდენტები. გიორგი – სამედიცინო ინსტიტუტისა და იოსები უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის. მეორე თუ მესამე კურსზე სწავლობდნენ, როცა „წმენდამ“ მოუსწროთ და გარიცხეს, როგორც „შავსიელის“ შვილები.

მე პატარა ეშმაკობამ გადამარჩინა: მამაჩემს ჯიბოს სახელით იცნობდნენ ჭიათურაში, თუმცა საბუთებში მეორე სახელითაც (გრიგოლი) იხსენიებოდა. უნივერსიტეტში საბუთები რომ შევიტანე, მამის ეს მეორე სახელი დავწერე წინ. ჩარიცხულთა სიაში მამის ამ მეორე სახელით ვიყავი გამოცხადებული და იმ დამბეზლებლებმა, რომელთაც ჩემი ძმები „ამხილეს“, მე ვერ გამომიცნეს და ვერ „გამომამაშკარავეს“.

ჩემმა ძმებმა „განსანმენდელი“ გაიარეს, ჭიათურაში ორი წელი ფიზიკურად მუშაობით შრომის სტაჟი დააგროვეს და, რის ვაი-ვაგლახით სტუდენტობა აღიდგინეს. შემდგომში გიორგი ცნობილი დოსტაქარი გახდა, ჯერ საკანდიდატო, შემდეგ სადოქტორო დისერტაციები დაწერა და წარმატებით დაიცვა, ყველა ომებში (ხალხინგოლის, ფინეთის, გერმანიის) მიიღო მონაწილეობა და დიდხანს ემსახურა ჩვენი ხალხის ჯანმრთელობას, როგორც სახელოვანი ქირურგი.

ჩემი მეორე ძმა, იოსები, სკოლაში მოღვაწეობდა – ფიზიკასა და მათემატიკას ასწავლიდა, თბილისში ერთ-ერთ ცნობილ პედაგოგად ითვლებოდა და როგორც აღმზრდელებში, ისე აღსაზრდელებში კარგი ავტორიტეტი ჰქონდა.

უნივერსიტეტის პროფესურა ეროვნული მოღვაწეებისაგან შედგებოდა, ისინი მონოდების სიმალლეზე იდგნენ, როგორც სწავლულები და თავდადებით ემსახურებოდნენ ახალი თაობის აღზრდას. ზოგმა მათგანმა (პროფ. გრ. ნერეთელი) უარი თქვა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრობის უახლოეს პერსპექტივაზე, დიდ სახელსა და პატივზე და ივანე ჯავახიშვილის მამულიშვილურ მონოდებას გულმხურვალედ გამოეხმაურა, რუსეთის აკადემიკოსის პატივს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორობა არჩია. სამწუხაროდ, მისი ცხოვრებაც ტრაგიკულად დასრულდა, როცა თვით ივანე ჯავახიშვილი აღმოჩნდა უნივერსიტეტს გარეთ, დევნილი, და ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი 1937 წლის რეპრესიებს ვერ გადაურჩა (მათ შორის ჩემი პროფესორებიც – შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი, მ. ზანდუკელი და პაპატიმრეს, ხოლო ვ. კოტეტიშვილი დახვრიტეს).

უნივერსიტეტში რომ შევედი, ივანე ჯავახიშვილის ამ პირმშოს ყველაზე ცუდი დრო ედგა. იგი პედაგოგიურ ინ-

სტიტუტად იყო გადაკეთებული და დიდი ივანეს სავარ-
ძელში ვინმე ვაშაყმაძე იჯდა – „წითელი პროფესორი“
და როგორც თვითონ იკეთებდა რეკლამას – „ფილოსო-
ფოსი“.

ჩემს დროს კიდევ იყვნენ შემორჩენილი ჩვენი მეცნი-
ერების სახელოვანი თაობის წარმომადგენლები: კორნე-
ლი კეკელიძე (ძველი ქართული ლიტერატურის ისტო-
რია), აკაკი შანიძე (ქართული ენა), შალვა ნუცუბიძე (ფი-
ლოსოფიის ისტორია და დასავლეთის ლიტერატურის ის-
ტორიის კურსი), არნოლდ ჩიქობავა (ენათმეცნიერების
შესავალი), სერგი დანელია (რუსული ლიტერატურა), ვახ-
ტანგ კოტეტიშვილი (ფოლკლორი), მიხ. ზანდუკელი (ახა-
ლი ქართული ლიტერატურა), სიმ. ყაუხჩიშვილი (ბერძნუ-
ლი ენა და ლიტერატურა) და სხვ.

კ. კეკელიძეზე, ვ. კოტეტიშვილზე, აკ. შანიძეზე მე
არაერთხელ დამინერია და ნათქვამის განმეორებით თავს
ალარ შეგანყენთ.

შალვა ნუცუბიძე პოპულარული მოღვაწე იყო, იგი
ქართველთა შორის უპირველეს ორატორად ითვლებოდა
და მისი გამოსვლები მაღალ ტრიბუნებზე მართლაც საინ-
ტერესო იყო, რადგან კარგი პოლემისტი გახლდათ და
ოპონენტის დანდობა არ იცოდა (მახსოვს „წითელი პრო-
ფესორის, ფილოსოფოსისა“ და ერთ დროს მაღალი პარ-
ტიული ფუნქციონერის პ. შარიას მისამართით კამათში
გაკეთებული მისი განცხადება: „მე რომ მარქსი ვიცოდი,
შენ პროტოპლაზმაც არ იყავი“).

შ. ნუცუბიძის ლექციები ფილოსოფიის ისტორიაში გა-
ცილებით საინტერესო იყო, ვიდრე დასავლეთის ლიტერა-
ტურის ისტორიაში. ეტყობოდა ამ ლექციებისთვის დიდად
თავს არ იწუხებდა, საგანგებოდ არ ემზადებოდა. დასავ-
ლეთის ლიტერატურის ისტორიის ვრცელი კურსისათვის
განკუთვნილი საათები ცოტა იყო და ბ-ნი შალვა ძალიან
კონსპექტურ მასალას გვანვდიდა. იგი რუსი ავტორის –
სტოროჟენკოს „დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ის-
ტორიით“ ხელმძღვანელობდა და ჩვენც გვიჩვენებდა გვე-
სარგებლა ამ წიგნით, რადგან „ამ ავტორს არა მარტო
მოკლე მხატვრული ანალიზი აქვს მოცემული, არამედ თა-
ვად განსახილველი ნაწარმოების მოკლე შინაარსიც აქვს
მოთხრობილი“.

მე ბ-ნ შალვას ორივე კურსი ფრიადზე ჩავაბარე და
მასთან შემდგომშიც კარგი ურთიერთობა მქონდა. მის
მოღვაწეობაში მეორე პერიოდი უფრო ნაყოფიერი იყო,
როცა მან ძველი ქართული ფილოსოფიის კვლევას მოჰკი-
და ხელი და ქართული რენესანსისა და რუსთაველის შეს-
წავლის პრობლემებს მიუძღვნა თავისი შრომის ბოლო
წლები.

ამავე პერიოდს ეკუთვნის მის მიერ შესრულებული
„ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი. ეს თარგმანი ქარ-
თველებმა უმაღლეს მიღწევად გამოაცხადეს, მაგრამ რუ-
სი პოეტები საპირისპირო აზრისა იყვნენ.

ცნობილი გახდა, რომ ერთი სტროფი ამ თარგმანში
სტალინს ეკუთვნოდა.

კარლო კალაძე ამის გამო ხუმრობდა: ნუცუბიძემ ხმა
დაჰყარა, ჩემს თარგმანში ერთი სტროფი სტალინს ეკუთ-
ვნისო, მაგრამ ის კი არ თქვა, რომელია ეს სტროფი. ამის
გამო რეცენზენტები ვერ ბედავდნენ თარგმანის რომელი-
მე სტროფის დაწინებას, ვაითუ სწორედ ის სტროფი აღ-

მოჩნდეს დაწინებული, რომელიც სტალინის მიერ არის
თარგმნილი.

ჩემს მასწავლებელთაგან უნივერსიტეტში განსაკუთ-
რებული პატივისცემით ვიყავი განწყობილი არნოლდ ჩი-
ქობავასადმი. როგორც ლექტორი, იგი უბადლო იყო,
ფართო ლინგვისტური განათლება ჰქონდა და მსმენელს
მასალას ზედმინევით გასაგებად და საინტერესოდ აწ-
ვდიდა. იგი თავის ლექციებში აშკარად, გაბედულად აკრი-
ტიკებდა ნიკო მარს. ეს მაშინ დიდი გმირობა იყო, რადგან
ენათმეცნიერებაში მარის თეორიები ისეთივე შეუვალო-
ბით ბატონობდა, როგორც ცხოვრებასა და იდეოლოგიაში
მარქსიზმ-ლენინიზმი. ა. ჩიქობავას ფანატიკური შეური-
გებლობა მარიზმთან იმ დროისათვის თავზეხელაღებუ-
ლობას და დონკიხოტობას უდრიდა. მარიზმის უარყოფა
და მისი ანტიმეცნიერული არსის გამომჟღავნება გაცი-
ლებით გვიან მოხდა და მოხდა სწორედ ა. ჩიქობავას აქ-
ტიური მონაწილეობით.

უნივერსიტეტის სტუდენტთაგან ძალიან დაუფახლოვ-
დი ნიკო ტატიშვილსა და სიმონ სხირტლადეს, აგრეთვე
მიშა კვესელავს, გივი გაჩეჩილაძეს და ოთარ ჯინორიას.
ესენი ყველანი ლიტერატორები იყვნენ (უკანასკნელი სა-
მი – დასავლეთის ლიტერატურის სპეციალობაში).

1. 1941 წლის აგვისტოს დამლევს ირანი საბჭოთა კავშირისა
და ინგლისის ჯარებმა დაიკავეს. საბჭოთა აზერბაიჯან-
თან ირანის აზერბაიჯანის შემდგომი შეერთების მიზნით
სტალინმა შესაბამისი „გარდაქმნები“ ჩაატარა ჩრდილო
სპარსეთში. სსრკ-ის შემადგენლობაში დიდი აზერბაიჯან-
ის შექმნის შემთხვევაში საინგოლო საქართველოს უნდა
დაბრუნებოდა, მაგრამ 1946 წელს აშშ-ს ძლიერი ზეგავლენ-
ის შედეგად სტალინი იძულებული გახდა ჯარები გაეყვან-
ა ირანიდან. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1954
წელს საბჭოთა კავშირმა ოფიციალურად განაცხადა უარი
ირანის მიმართ რაიმე ტერიტორიულ პრეტენზიებზე. ამის
შემდეგ, განსაკუთრებით კი 1956 წელს სტალინის პიროვ-
ნების კულტის დაგმობის შედეგად ინგილოთა შევიწროება
ახალი ძალით დაიწყო, მათ „ბრალდებებს“ გამოაშკარავე-
ბული „ხალხის მტრების“ სტალინ-ბერიას მიმდევრობა
დაემატა.
2. 1920 წლის ივლისში ბათუმის დატოვების შემდეგ ინგლისმა
ფაქტობრივად უარი თქვა თავის კავკასიურ პოლიტიკაზე.
როგორც კი ლენინისათვის ცნობილი გახდა, რომ საქარ-
თველოს გასაბჭოება არ იმოქმედებდა უარყოფითად ინ-
გლისსა და საბჭოთა რუსეთს შორის სავაჭრო ხელშეკრუ-
ლების დადებაზე, საქართველოზე თავდასხმას წინ აღარა-
ფერი ედგა. 1921 წლის თებერვალში საქართველოს ბედი
გაცილებით უფრო სერიოზულმა ფაქტორებმა გადაწყვი-
ტეს, ვიდრე ახალგაზრდა რესპუბლიკის, დიდ პოლიტიკაში
გამოუცდელი მთავრობის, საგარეო საქმეთა მინისტრის
გულუბრყვილობამ.
3. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ორჯონიკიძის
„ბოლშევიკური“ სახელი არასოდეს შებღალულა, როგორც
ჩანს, არაოფიციალურად სტალინი მას თავის მოწინააღ-
მდეგედ და მტრადაც თვლიდა.
4. ძნელია თქმა, რა უფრო აინტერესებდა სტალინს, კიდევ
რამდენ ხანს შესძლებდა მის სამსახურში ყოფნას ჟდანო-
ვი, თუ საჭირო დროს სამედიცინო წესით როგორ გაესტუმ-
რებინა იგი საიქიოში. ალბათ ორივე ერთდროულად.
5. ამჟამად მშვენიერაძე გადასვენებულია დიდუბიდან.

უცნაური დინებები, მთავარი გეზი და... გაცურე, საითაც გინდა

*

**ეკა ბუჯიაშვილს
ესაუბრა
ლელა ოჩიაური**

მის შესახებ ამბობენ:

ამ ჟურნალისტიკის წერილები თანამედროვე ქართულ კულტურაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ღრმა, ანალიტიკური და მეტად შთამბეჭდავია;

ამბობენ იმასაც, რომ არანაკლებ საინტერესოა ლექციები, რომელსაც თეატრის და კინოს ინსტიტუტში კითხულობს.

მას იცნობენ სხვადასხვა სფეროში, თუმცა, პროფესიით არც ჟურნალისტიკა და არც პედაგოგი, ის ხელოვნებათმცოდნეა...

და მაინც, ვინ არის ქალბატონი ლელა ოჩიაური, რას ფიქრობს ის თავის საქმიანობაზე, თანამედროვე ქართულ კულტურაზე და კიდევ ბევრ სხვა საინტერესო საკითხზე, ყოველივე ამას ახლა მასთან დიალოგით შეიტყობთ:

– მთელი ცხოვრება ვამბობდი, რომ არ მინდოდა ვყოფილიყავი პედაგოგი (ეს ძალზე რთული და საპასუხისმგებლო შრომაა), მაგრამ ისე მოხდა, რომ მთელი ცხოვრება ვასწავლი სტუდენტებს, თეატრისა და კინოს ინსტიტუტში; სულ ვიმეორებ, რომ ჟურნალისტი არ ვარ, მაგრამ ყველაფერი ისე აენყო, რომ ბოლო ათი წელია ვწერ. საერთოდ, ხელოვნებათმცოდნე ვარ, სამხატვრო აკადემია დავამთავრე, სახვითი ხელოვნების განხრით, მაგრამ ამ თვალსაზრისით არაფერს ვაკეთებ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ხშირად მნახავთ გამოფენებზე. ერთი სიტყვით, ჩემი პროფესიით არ ვმუშაობ. ვარ ყველგან, მაგრამ კონკრეტულად სად, ვერ გეტყვით.

– **ყოველივე ამას, ალბათ, თავისი მიზეზი აქვს...**

– კი, აქვს. შესაძლოა, ჩემი არჩევანი ახალგაზრდული შეცდომა იყო. იცით, გარკვეულ ეტაპზე ვიფიქრე, რომ ჩემს პროფესიაში იმაზე მეტს ვერაფერს შევძლებდი, რაც უკვე გაეკეთებინათ ხელოვნებათმცოდნეობის კორიფეებს ამ განხრით. გადავწყვიტე, რომ ყველაზე ცოცხალი ამ მხრივ იქნებოდა კინო. ეს ჯერ კიდევ სსრკ-ს ეპოქაში ხდებოდა, ამიტომ წავედი მოსკოვში და შევიცვალე კვალიფიკაცია კინომცოდნეობის განხრით, თუმცა, მალე ყველაფერი აირია, მერე ეკონომიკური კრიზისიც დაიწყო, სირ-

თულეები გადასალახავი იყო. ასე აღმოვჩნდი ჟურნალისტიკაში. ვწერდი გაზეთ „რეზონანსში“, პარალელურად ვაგრძელებდი ინსტიტუტში მუშაობასაც. დღეს კი ვერცერთს ვერ ვეღვი. თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, რომ რამეს ვნანობ. კინომცოდნეობა, როგორც პროფესია, არ მიმიტოვებია – სტუდენტებს ვასწავლი, ვმუშაობ პრესაში...

– **და რაც მთავარია, ორივე საქმეს კარგად ართმევთ თავს. ჟურნალისტიკაზე მინდოდა მეკითხა: თქვენი საგაზეთო წერილებიდან ჩანს, რომ ბევრს გასცემთ ამ საქმისათვის, თავად ჟურნალისტიკამ თუ მოგცათ რამე?**

– ბევრი რამ. თავის დროზე გაზეთმა „რეზონანსმა“ უმძიმესი წლები გადაიტანინა. იმ ურთულეს პერიოდში ეს გაზეთი ჩემთვის თავმესაფარი აღმოჩნდა. გავიდა წლები და ჟურნალისტიკა ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა. ყოველი ჩემი დღე ამ საქმეს უკავშირდება. ამიტომ ჩემთვის მეტად ძვირფასია. ამას გარდა, მასმედიაში მუშაობამ მასწავლა ურთიერთობები. ამ მხრივ ჟურნალისტიკა კარგი ფსიქოლოგიური სკოლაა. მომცა ისიც, რომ მინდა თუ არა, ყველაფერს ვეცნობი, რაც თანამედროვე ქართულ კულტურაში ხდება. ეს ცოტას არ ნიშნავს, რადგან ბევრი ჩვენგანი ამ ფუფუნებას მოკლებულია, თუნდაც მატერიალური პრობლემების გამო... ასე რომ, ჟურნალისტიკა ჩემთვის ძვირფასია.

– **სამწუხაროდ, არაერთგვაროვანია საზოგადოების დამოკიდებულება მასმედიის მიმართ...**

– ძნელია კოლეგებზე უარყოფითის თქმა, მაგრამ ვერც რეალობას გავეცქევით... თუმცა, პროფესიონალიზმის ნაკლებობა მხოლოდ ჟურნალისტიკის კი არა, მეტ-ნაკლებად ყველა სფეროს პრობლემაა, უბრალოდ, მედია ჩანს, რადგან ჟურნალისტები მუდმივად საზოგადოებრიობის თვალსაწიერში არიან...

– **ხელოვნებათმცოდნეობაში სრულყოფილი რეალიზაცია რომ ვერ შესძელით, ამის მიზეზი, შინაგანიჭიდილის გარდა, ალბათ, ამ სფეროში დანყებული კრიზისიც იყო...**

– კრიზისი? არა!.. კრიზისი უფრო ჩემში იყო. ყოველი შემთხვევისათვის, მაშინ, როცა ამ მხრივ მუშაობა უნდა დამწყობო, ქართული კინო ზენიტში იყო; არც სახვით ხელოვნებაში იყო საქმე ცუდად, უბრალოდ ის, რითაც ვამაყობთ და თავი მოგვაქვს, იმდენად კარგად იყო შესწავლილი და ისეთი მეტრების მიერ, რომ ვიფიქრე, ახალს ველარაფერს ვიტყოდი. ეს უფრო შინაგანი ორჭოფობა იყო. გიორგი ჩუბინაშვილზე, ვახტანგ ბერიძეზე, ლეო რჩეულიშვილზე უკეთ გამეკეთებინა ჩემი საქმე? ეს ამბიცია არასოდეს მქონია და ახლა მით უფრო ვერ მექნება...

– **თუმცა, ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ თაობებს ცვლა სჭირდება და კარგი ხელოვნებათმცოდნე ყველა ეტაპზე საჭიროა... აი, მაგალითად, დღეს რა**



ხდება ქართულ ხელოვნებაში, ამას ხომ შემფასებელი სჭირდება?

– უთუოდ, თუმცა, ჩემს შემთხვევაში ყველაფერი ასე მოხდა. რაც შეეხება თანამედროვე ქართულ ხელოვნებას, ერთხანს, 90-იანი წლების შემდეგ, როცა ქვეყანა კრიზისიდან გამოდიოდა, გარკვეული ძვრები ხელოვნებაშიც შეინიშნებოდა, თითქოს ახალი ძიებებიც იწყებოდა, მაგრამ... გავიდა წლები და შედეგები არ ჩანს. ვერ გეტყვით რა მოხდა. საქმე არც ისეა, რომ დღეს ცუდი სპექტაკლები იდგმება, ან ცუდი ფილმებს იღებენ... არა, უფრო დიდი პრობლემა საზოგადოების ინტერესის განავლებაა. მაგალითად, ჩემთვის სრული შოკი იყო ის, რომ როცა ვნახე გელა ბაბლუაშვილის „ცამეტი“ – კინემატოგრაფიის არაჩვეულებრივი ნიმუში, ლამის დავავადდი სურვილით, კიდევ ერთხელ მენახა ფილმი, და ამ დროს დარბაზში სულ ხუთიოდე მაყურებელი იჯდა (მართალია დღის სეანსი იყო, მაგრამ მაინც ძალიან გამიკვირდა). ჩანს, რაღაც შეიცვალა საზოგადოების ცნობიერებაში. ინტერესი გაქრა. ცხადია, პრობლემა ცალმხრივი არ არის, რაღაც თვითონ ხელოვნებაშიც მოხდა, თუმცა... კინოში შექმნილი კრიზისის მიზეზად ვასახელებთ იმას, რომ ვიღაც, უსახსრობის გამო კარგ ფილმს ვერ იღებს, მაგრამ რა ხდება ლიტერატურაში, სახვით ხელოვნებაში? ნუთუ აღარაფერი იქმნება ლირებულში? რატომ დაკარგა თეატრმა მაყურებელი? სად არის მკითხველი, რომელზეც ვამბობთ, რომ ნიგნს უბრუნდება? ან სად გაქრა ეს ფასეულობანი?

– **იქნებ კი არ გაქრა, უბრალოდ შეიცვალა, გადაფასდა... იგივე კინოდარბაზები როგორც ლამის, ასევე დღის სეანსებზეც ხომ სავსეა მაყურებლით, როცა უცხოური ფილმები გადის, არადა, მათ მხატვრული ღირებულება თითქმის არ გააჩნიათ, უბრალოდ თანამედროვე ტექნიკის შესაძლებლობებს წარმოგვიდგენენ. ეს არის და ეს...**

– უცნაურიც ეგ არის – თუ შენს ხელოვნებაში ღირებული არაფერი იქმნება, სხვა გზა არ არის, უნდა დაკმაყოფილებ იმ სუროგატით, რომელსაც განვდიან, მაგრამ ხომ არსებობს, ხომ იქმნება ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშებიც?! თუნდაც ფილმი „ცამეტი“, ლევან თუთბერიძის კინონამუშევრები, თემურ ჩხეიძის სპექტაკლები... ახალგაზრდა მწერლებზე რომ არაფერი ვთქვა, ისინიც ხომ განაგრძობენ მუშაობას, კლასიკოსებზე რომ ითვლებიან?! ხომ არ გაჩერებულან ოთარ ჩხეიძე, გურამ დორჩანაშვილი, ოთარ ჭილაძე... მესმის მატერიალური პრობლემების გამო მკითხველი ვერ ყიდულობს ნიგნს, მაგრამ ხომ შეიძლება ითხოვონ? თუმცა, ახლა ერთი ამბავი გამახსენდა: დაახლოებით ერთი წლის წინათ როსტომ ჩხეიძემ მარტუა თავისი და ბატონ ოთარ ჩხეიძის ნიგნები. მოხდა ისე, რომ დამრჩა სამსახურში. რამდენიმე დღით ქალაქიდან გასვლა მომიწია და რომ დავბრუნდი, ნიგნები არ დამხვდა. სწორად გამიგეთ, საერთოდ, ჩვენთან, რედაქციაში, არაფერი იკარგება, მაგრამ აი, ნიგნები კი მომპარეს. გული დამწყდა, მაგრამ თან ისიც ვიფიქრე, დღეს რომ ვიღაც ნიგნს მოგპარავს, კარგი ტენდენციაა, ესე იგი მთლად წყალწაღებულები არ ვყოფილვართ-მეთქი... ეს, რა თქმა უნდა, იუმორით...

იმას ვამბობდი, რომ დღეს პრობლემა, საერთოდ, საზოგადოების ინტერესის განავლებაა. ერთ ცნობილ პი-

როვნებას უთქვამს: თუ ერში არის მოთხოვნა შოთა რუსთაველზე, ის აუცილებლად დაიბადებაო. ჩანს, ეს მოთხოვნა გაქრა საზოგადოებაში...

– **ხშირად მიფიქრია: კინოც, თეატრიც პირდაპირ კავშირშია იმ ლიტერატურასთან, რომელიც მოცემული ეტაპისათვის იქმნება. დღეს ბევრი წერს, მაგრამ რატომღაც არ ჩნდება გამოკვეთილ ლიტერატურულ გმირთა ისეთი სახეები, როგორც არის, ვთქვათ, ყვარყვარე, კვაჭი, ოთარანთ ქვრივი, ლუარსაბ თათქარიძე... დაბადებისთანავე რომ აიტაცა ხალხმა და კვლავაც არ კარგავენ აქტუალობას... ესეც იმ მოთხოვნის არ არსებობის ბრალი ხომ არ არის?**

– ალბათ ესეც არის მიზეზი. თავად ეპოქაც ისეთია, გამოკვეთილი გმირის სახე არ ჩანს, საერთოდაც, არ არის გმირების დრო. საზოგადოებაში ცუდიც ბევრი ხდება და კარგიც, მაგრამ ჩამოყალიბებული იდეოლოგია არ არსებობს. ერთ როგორღაც დაბნეულია, ორიენტირები დაკარგა და თავადაც თითქოს იკარგება ამოდენა სივრცეში. შესაძლოა ეს იმიტომ მოხდა, რომ რადიკალური გარდატეხები და ცვლილებები გადაიტანა; ან კიდევ იმიტომ, რომ რეალობა და შინაგანი პიროვნული მოთხოვნილებები აბსოლუტურად აცდა ერთმანეთს. უბრალო მაგალითს გეტყვით: სულ მიკვირდა, როცა ამბობდნენ, რომ უცხოეთში ადამიანები ერთმანეთისთვის ვერ იცლიდნენ. დღეს ეს პრობლემა სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციით განთქმულ საქართველოშიც გაჩნდა. დღეები ისე მიდის, უახლოეს მეგობრებს ვერ ვნახულობ. ჩვენი ცხოვრება, რაღაცნაირად, დაიქსაქსა და გზებიც დაშორდა ერთმანეთს... ერთი, თითქოს, თვითმყოფადობას კარგავს...

– **ალბათ იმიტომ, რომ თავისუფლების ცნებაც, ისევე როგორც სხვა ყველაფერი, წრეგადასულად გავიგეთ, მსოფლიო დინებებს გავყევით... უმისამართოდ...**

– ევროპის ბევრი ქვეყანა ამ ტენდენციას ებრძვის. არ უნდათ ეს შენი გლობალიზაცია. იცით რა, იმ არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ ჩვენ ევროპელები ახლა კი არ გავხდით, ზეზვა და მზიას ეპოქაშიც ვიყავით, უფრო ადრეც და იქიდან მოყოლებული ისე მოვდიოდით, თვითმყოფადობასაც კინარჩუნებდით, ინდივიდუალობასაც და თანაც, იქეთ გვექონდა გავლენა იმდროინდელ სამყაროზე. არ არსებობდა შიში, რომ სადმე დავიკარგებოდით. ამას სადღეგრძელოს პათოსით არ ვამბობ, რეალობა იყო ასეთი. დღეს კი... გმირის დაკარგვა, მასზე მოთხოვნის არარსებობა ერში, შესაძლოა, უფრო დიდი პრობლემის – იმ სახიფათო ტენდენციის მიმანიშნებელი იყოს, თვითმყოფადობის დაკარგვა რომ ჰქვია. ილიამ ლუარსაბის სახე რომ შექმნა, ის ჯერ ერში გაჩნდა და მერე – შემოქმედებაში...

– **მაშინ დროც სხვანაირი იყო. ის, რომ სათქმელი შეფარულად უნდა გეთქვა, გარკვეულწილად, ალბათ განაპირობებდა კარგი ლიტერატურის შექმნას – რაც მეტი იყო წნეხი, მით მეტი იყო წინააღმდეგობაც. დღეს კი ვისაც რა უნდა, იმას ამბობს და წერს. თავისუფლება სათქმელში თითქოს დამლუბველი აღმოჩნდა...**

– ასე გამოდის... თუმცა, იდეოლოგიური წნეხი ყოველთვის განმსაზღვრელი არ არის. ბევრ ქვეყანაში კრიზისის დროს იქმნებოდა ღირებული ხელოვნება. როცა საზოგადოებას უჭირდა, სულიერადაც და მატერიალურა-

დაც, მაშინ ჩნდებოდა ხელოვნებაში მიმდინარეობები, რომელიც დღეს ასე მნიშვნელოვანია. მაგალითად, არავითარი იდეოლოგიური წნეხი არ არსებობდა, არც საფრანგეთში, არც გერმანიაში ან იტალიაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ისინი, უბრალოდ, კრიზისიდან გამომავალი ქვეყნები იყვნენ, თუმცა კი სწორედ იმ პერიოდში ხელოვნების ისტორიას მეტად საინტერესო დინებები შეჰმატეს.

ისე... ისიც უნდა ითქვას, რომ საერთოდ, ხელოვნების ისტორიას ისეთი პერიოდებიც ახსოვს, აღორძინებას დიდი დაღმასვლა რომ მოჰყვება ხოლმე. ასეთი რამაც ახასიათებს კულტურას, საზოგადოებას, უბრალოდ, ჩემთვის უცნაურია ის, რომ ჩვენ საინტერესო პერიოდში მოგვიწია ცხოვრება, ცუდია თუ კარგი ჩვენი ყოფა, მდორე და ერთფეროვანი მაინც არ არის... და ამ ფონზე შესაბამისი რეაქცია რომ არ მოხდა ხელოვნებაში – ყველაზე მგრძობიარე ნაწილში საზოგადოებისა, რომ არ ეტყინა მას, არ გაუჩნდა სურვილი ამ თემებზე საუბრისა, აი, ეს არის უცნაური...

– სურვილი კი გაუჩნდა, მაგრამ ეს სურვილიც ისეთივე აბსტრაქტული აღმოჩნდა, როგორც თავად დინებები ხელოვნებაში. დღეს აბსტრაქცია ლამის მოდურ მიმდინარეობად იქცა ქართულ ხელოვნებაში. თითქოს ფორმა და შინაარსი დაშორდა ერთმანეთს. არადა, ხშირად უნდა იმისათვის, რომ რაღაც დაანგრიო, ის ჯერ უნდა ააშენოო... დღევანდელი თაობა კი პირდაპირ ნგრევით იწყებს...

– ამაზე მეც ხშირად მიფიქრია. თვითონაც აკადემიაში ვსწავლობდი და იმ ჩაკეტულ სივრცეში რომ ინტერესდებოდნენ იმით, რასაც დასავლური, ახლებური ერქვა, კიდევ მესმის რატომ ხდებოდა ასე – აკრძალული იყო და მოსწონდათ ცდილობდნენ მიებაძათ და ასე შეექმნათ რაღაც ორიგინალური, მაგრამ... დღეს რატომ არის ასეთი სწრაფვა ავანგარდისაკენ, არ მესმის. უბედურება ის არის, რომ უნიჭოდ აკეთებენ, თორემ ნიჭიერი კაცი ამა-საც შეძლებს. აბსტრაქტულმა ხელოვნებამ თავისი დრო მოჰჭამა. მახსოვს, მოსკოვში რომ ვცხოვრობდი, იქ იყვნენ ახალგაზრდები, რომლებიც თავს ჰიპარიკებს უწოდებდნენ – ჰიპური მოძრაობის ერთ-ერთი სახე იყო. ვინ იყვნენ ჰიპები? მათ ჰქონდათ თავიანთი ლიტერატურაც, მუსიკაც, მიზანიც, სათქმელიც და გარკვეული ფორმით გამოხატავდნენ ამ ყველაფერს. ეს იყო პროტესტის ფორმა იმ საზოგადოების, იმ ყოფის მიმართ, სადაც ცხოვრობდნენ. ავანგარდული ხელოვნებაც იმიტომ შეიქმნა, რომ რაღაცას დაუპირისპირდნენ, რაღაც დაანგრეეს, ოღონდ მათ ძალზე კარგად იცოდნენ რას ანგრევდნენ და ისიც იცოდნენ, როგორ გამოიყენებინათ თავიანთი იარაღი – იქნებოდა ეს მუსიკა, ლექსი, ფერი, ხაზი თუ სხვა რამ. დღეს კი, თუ ანგრევენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს გზა უფრო იოლი, ან ორიგინალური ეჩვენებათ. ასე ჭეშმარიტ ხელოვნებას ვერ შექმნი. იცით, როცა თემურ ჩხეიძე ამბობს: მე ავიღებ ორ სკამს და დავდგამ სპექტაკლსო, ის ამას შეძლებს, მაგრამ სხვა ვერ გააკეთებს, ვერც ორი სკამით და ვერც აშენებული დეკორაციებით, თუ არ აქვს თავისი ხედვა, სათქმელი და ნიჭი ამ ყველაფრის გამოსახატავად, ის ამოუწურავი, დროის შესატყვისი სათქმელი, იმავე ოთარ ჩხეიძეს, გურამ დოჩანაშვილს, ოთარ ჭილაძეს და სხვებს რომ აღმოაჩნდათ...

– რაგინდ სახიფათოც გინდა იყოს ეს ტენდენციები, რომელზეც ვსაუბრობდით, შიში მაინც არ მიპყრობს. ალბათ იმიტომ, რომ ჩვენს გვერდით ისევ არიან ადამიანები, რომლებიც ორიენტირებად რჩებიან საზოგადოებისთვის. აი, თუნდაც მამათქვენი, ბატონი ირაკლი ოჩიაური, საინტერესოა, როგორ უმკლავდება ის თანამედროვეობას? ან მის შემოქმედებაში რა ხდება?

– მინდა გითხრა, რომ ყველაფერს გადასარევედ უმკლავდება. ჩანს, ამ თაობას აქვს გარკვეული ჯავშანი თუ შინაგანი ძალა და ეს გარემო მათზე ზეგავლენას ვერ ახდენს. სამწუხაროდ, დღეს მათი გავლენაც გაუფერულდა საზოგადოებაზე, მაგრამ თვითონ თავიანთი მრწამსით აგრძელებენ მუშაობას. მამაჩემი 81 წლისაა, მაგრამ ვერ შეატყობ – ვერც პიროვნულად, ვერც მის ნამუშევრებს. ისინი, რალაცნაირად, გამობრძმედილნი არიან. ჩანს, ყოფიერება ყოველთვის არ განსაზღვრავს ცნობიერებას. ეს ადამიანები შეიძლება აწამო, მოკლა, ისევე, როგორც მოკლეს ევგენი მიქელაძე, სანდრო ახმეტელი, ტიცინა ტაბიძე... შესაძლოა თავი მოაკვლევინო, როგორც ცალაკტიონს, მაგრამ ვერაფერი დააკლო მათ მრწამსს. ისინი რომ არსებობენ, ამითაც ბედნიერებას გვანიჭებენ... აი, თუნდაც ბატონი კოტე ჩოლოყაშვილი გამახსენდა ახლა – ჩვენს შორის რომ დადის, ჩემთვის ესეც იმედია. ეს ადამიანები თითქოს წარსულთან დამაკავშირებელი ხიდეები არიან ჩვენთვის. იცით, ის, რომ მამაჩემი ასეთია, ბიძაჩემს, გოგი ოჩიაურს ასეთი მრწამსი აქვს, ბავშვობიდან დღემდე ერთადერთი ცნება – ქართველობა რომ მესმოდა, ამაში ჩემთვის უჩვეულო არაფერია. ეს ყველაფერი ჩვეულებრივი და ბუნებრივია. მე ამ ფასეულობებზე გავიზარდე და ამიტომაც მერე რაიმე განსაკუთრებული გეზი არავის მოუცია ჩემთვის, შემეძლო ნებისმიერი მიმართულებით გამეცურა...

– თქვენმა თაობამაც ბევრნაირი გარდატეხა გამოიარა, ბევრნაირი დინება გადალახა... როგორ ფიქრობთ, პირადად თქვენ იპოვეთ საკუთარი თავი?

– კი! ალბათ უფრო კი, რადგან მე არ მაქვს იმაზე მეტი ამბიციაც, რასაც დღეს მაძლევს ცხოვრება. ხანდახან ვამბობ, რომ აღარ შემიძლია პედაგოგობა, მაგრამ იქ ხომ არავინ მაკავებს ძალით, თუ არ გინდა წადი, უბრალოდ მე არ მეთმობა ეს ყველაფერი, არც „რეზონანსში“ ვარ დაბმული. კი ვწუნუნებ: დავილაღე-მეთქი, მაგრამ ესეც ჩემი ცხოვრებაა. ამიტომ ვთვლი, რომ ჩემი თავი ვიპოვე. ყოველ შემთხვევაში, რომ მკითხოთ რა მინდა, არაფერიც არ მინდა. რაც მინდა, მაქვს!

– გული არაფერზე გწყდებათ?

– გული ნამდვილად მწყდება იმაზე, რომ არ მინდოდა ჩვენს თაობას დაეკარგა ის ათი წელი ცხოვრებისა. მენანებიან ის ადამიანები. მე კიდევ შეეძელი რაღაც გზა მეპოვნა, ზოგიერთები საერთოდ დაიკარგნენ... გული მწყდება იმ დარდებზე, ჩემს თაობას რომ ჰქონდა და ზოგმა თან წაიღო. ბევრი ნიჭიერი ადამიანი დაიკარგა დროში. შესაძლოა დღევანდელი ვითარებაც ამის ბრალია – კავშირი განწყდა თაობებს შორის. ჩემი თაობა საერთოდაც ამოვარდა რეალობიდან – ჩვენ ვართ, მაგრამ თან არც ვართ... არცერთი ადამიანი არ არის ამის ლირსი, ჩვენს შემთხვევაში კი მთელ თაობას ერგო ასეთი ხვედრი.

დალილა ბედიანიძე

სიზმრიდან სიზმარში

*

ბასო სვედელიძის
„უზარმაზარი ბაზარი“

ჩვენი საუკუნის ახალგაზრდული მწერლობა წარმოუდგენელია ბესო ხვედელიძის პროზის გარეშე. მან გამოჩინისთანავე მიიპყრო ლიტერატურული წრეების ყურადღება. მისი რომანები და მოთხრობები მკითხველმა გულთბილად მიიღო და შეიყვარა. იგი აქტიურად მოღვაწეობს და თითქმის ყოველ წელიწადს გვთავაზობს ახალ რომანს. „უზარმაზარი ბაზარი“ მისი ახალი, ბოლო რომანია. ის წელს გამოსცა გამომცემლობა „პალიტრა L“-მა. ეს რომანი სავსებით შეესატყვისება თანამედროვე მკითხველის ლიტერატურულ გემოვნებასა და მოთხოვნილებას და ამით იყო გამოწვეული, რომ ამ წიგნის წარდგინებამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

„ნებისმიერ მხატვრულ ტექსტში მონათხრობ ამბავს შეიძლება შეხედო მკითხველმა, როგორც ფაქტს, ანდა როგორც დასაშვებ ფაქტს. „უზარმაზარი ბაზრის“ შემთხვევაში, „მოხდას“ სწორედ რომ „შეიძლებოდა მომხდარიყო“ ენაცვლება. თუკი ამ წიგნის მკითხველთაგან ერთი მანაც დაუშვებს, რომ ეს ისტორია შეიძლება მომხდარიყო, მაშინ ტექსტმა თავისი ფუნქცია და მისია წარმატებით შეასრულა. ისე კი – გიყვარს, მკითხველო, დეტექტივი, ფანტასტიკა, აბსურდი, მისტიკა, მელოდრამა, თრილერი ან სულაც შავი იუმორი?.. გადაშალე და შენ შენს სახლში აღმოჩნდები. ამ სახლს „უზარმაზარი ბაზარი“ ჰქვია“ – აი, ავტორის ასეთი წინასიტყვაობა უძღვის ამ რომანს.

„უზარმაზარი ბაზარი“ დაწერილია პირველ პირში. მისი მთავარი პერსონაჟი თანამედროვე ახალგაზრდა კაცია – კოკა ინაშვილი (იგი გვხვდება ბესო ხვედელიძის მ. მიქელაძესთან თანაავტორობით დაწერილ რომანშიც „იხვის ტოლმა“, სადაც ფსიქიურად დაავადებული კოკა ექიმ მარიშკა მიშველაძის ფავორიტია. უნდა ვთქვათ, რომ „უზარმაზარი ბაზრის“ პერსონაჟი კოკა ინაშვილი არავითარ საერთოს არ იჩენს „იხვის ტოლის“ პერსონაჟ კოკა ინაშვილთან, მისი ხასიათი ამ ორ რომანში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. ერთი კია, იგი ორივეგან წერს და ორივეგან არაორდინარული ადამიანია). რომანის სიუჟეტი მარტივია – კოკა ინაშვილის სამეგობროს გამოაკლდება უდროოდ გარდაცვლილი ახალგაზრდა კაცი, ვინმე კალე მართალია, რომელიც ქუჩაში ნახეს მკვდარი და რომლის მოულოდნელი გარდაცვალების მიზეზიც ყველასთვის უცნობია. კალე შორს არ არის ნარკოტიკებისა და შავი სამყაროსგან, ისევე, როგორც მისი მეგობრები. რომანში დაწვრილებით არის აღწერილი კალეს დაკრძალვის

ტრადიციული, ქართული სამზადისი და თვითონ დაკრძალვა. რომანი იწყება კალეს გარდაცვალებით და მთავრდება მისი დაკრძალვით. მოქმედება ხდება თბილისში. პერსონაჟები მხოლოდ თბილისელები არიან. ამ სიუჟეტიდან გადახვევა არსად არ გვხვდება. სიუჟეტი გამდიდრებულია ჩართული ეპიზოდებით, როგორცაა, მაგალითად, კოკა ინაშვილის ცოლის – ლოლას – წასვლა ქმრისგან მანცდამინც კალეს დაკრძალვის დღეებში, ხუტასთან – კარტზე მომკითხავე მეგობართან და მაკასთან – ასაკით უფროს ნარკომან ქალთან კოკას სტუმრობა.

გამოვინაშთა გვერდით რომანში გვხვდებიან ჩვენი გვერდით მცხოვრები და მოღვაწე მწერლები შოთა იათაშვილი, ზურა რთველიაშვილი და გიორგი ბუნდოვანი, რაც რეალურ პლასტს ქმნის ნაწარმოებში, მაგრამ ამ რეალური პლასტის გვერდით გვხვდება მისტიკაც – სიზმრებისა და ნარკოტიკით გაბრუნების ჟამს ნანახი ხილვების სახით.

სიზმარი, რომელიც ერთდროულად რამდენიმე ადამიანს ესიზმრება, ასეთია: კალე მართალია თავის მეგობრებს ფულის სესხებას სთხოვს, რათა ტოტალიზატორში დადოს ფეხბურთში მოგებაზე (თამაშობენ ჩვენები და რუსები). ფულს ვერაფერს აძლევს, არ გააჩნიათ და კალე ხან ლომბარდში როიალის დაგირავებას ითხოვს, ხან – კომპიუტერისას, ხან მანქანისას და ხან რისას და ხან – რისას, იმ იმედით, რომ აუცილებლად მოიგებს და დიდ ფულს იშოვის. მაგალითად, ოფიციალტ ნელსონის სიზმარში ისიც ხდება, ვითომ კალემ იარაღი იხმარა, სალაროს თავს დაესხა რესტორანში, ხუთასი ლარი აიღო და კლიენტები გაძარცვა – წაართვა ხალხს ოქროს ძეწკვები და საათები, ბეჭდები და საყურეები და გაიქცა. ამ სიზმარს უკავშირდება სხვა სიზმარიც, რომელიც ტაქსის მძღოლმა, სრულიად უცნობმა ნახა და შემთხვევით შეხვედრილ კოკასა და ანდროს უამბო – შავი ცელოფნით ხელში ვილაც ახალგაზრდა ჩაუჯდა ტაქსში, იარაღით აიძულა მძღოლი გაყოლოდა შავ ჯიპს, რომელშიც იჯდა ასაკოვანი, მაგრამ კარგად შენახული ქალი, და როცა ჯიპი ვიწრო ქუჩაზე გაჩერდა, ამ ახალგაზრდამ ქალს იარაღი დაადო და მანქანაში ტენიდა. დაინტერესებული მკითხველისათვის ცნობილია, რომ ეს ახალგაზრდა კალეა, ხოლო ასაკოვანი ქალი – მისი მეგობარი ნარკომანი მაკა. იმავე სიზმარს ნახულობს კალეს მეგობარი გიგი – „ვითომ კალეს ჰყავდა მაკა მოტაცებული მისივე ჯიპით... მაკა ხომ გახსოვთ? – გამოიხედა გიგიმ – აი, ის, დამა-ნაშა რო იყო... კაიფარიკი... დოგიანი... კალეს რომ უყვარდა, თუ რაღაცა...“ შემდეგ გიგიც იმავე სიზმარს ყვება, ოღონდ ახლა მაკას სთხოვს ფულს კალე. მან მაკა სარდაფში ბოძზე მიაბა, მობილური და საბუთები აართვა, პირი აუკრა და მანქანით გაიქცა. მაკას გათავისუფლებას მას შემდეგ აპირებდა, როცა მის მანქანას გაყიდდა, ფულს იშოვიდა ტოტალიზატორში ხვალინდელ ფეხბურთზე დასადებად და მოგებულ ფულს მაკას გაუყოფდა („ის თამაში უნდა ყოფილიყო – დენი რო წავიდა, ჩვენ და რუსეთი“). კალე ამ სიზმრებში ამბობდა, ვითომც სიზმარი ჰქონდა ნანახი, რომ დიდ თანხას იგებდა. ეს სიზმარი მისტიკურია, იმიტომ, რომ ერთიდაიგივე სიზმარი კალეს ყველა ახლობელს, ნაცნობსა თუ უცნობს ესიზმრება და იგი მართლაც ახდება, რასაც კოკა ინაშვილი გაიგებს კალე მართალია

მეორე ინტერნეტკაფედან მოწერილი წერილიდან, რომელსაც კოკა თავის კომპიუტერში ნახულობს კალეს დაკრძალვის შემდეგ. წერილი მოწერილია კალეს სიკვდილის დღეს:

„ზდაროვა, კოკ! გაგიკვირდა, არა? ინტერნეტკაფედანა გწერ... ალბათ ნელ-ნელა ყველაფერი გაირკვევა, მე კიდევ – მორჩა, მეტი აღარ შემიძლია, უნდა წავიდე და გავიპარო ბოლომდე... ისეთებში ავიბლანდე, ადრე თუ გვიან მაინც გამაქრობს ყველაზე მაღალი და ჯობს, მეც მივეხმარო აქედან. რა იყო, ისე, ჩემი ცხოვრება მაინც... ვიდრე ყელამდე არ ჩავიძირე ნუმპეში, ვერაფერს მივხვდი... ვიდრე არ დავლპი და სუნი არ ამივიდა, კოკ, ვერაფერი გავიგე... ძალიან მყრალია ყველაფერი. ყელში მაქვს ამოსული. თან ვერაფერს ვივინყებ – შენ ხომ მაინც იცი, რამდენი ვინმე გამოუბედურებია, ბედი შემიცვლია, თავგზა ამირევია... ამ ბოლო დროს სულ ეგეთები მახსენდება...“

გაგეცინება და ცოდვების გამოსყიდვაზე ვფიქრობ... მინდოდა, რამე ისეთი ჩამედიხა... განსაკუთრებული... და მგონი, მოვახერხებ.

ისე, რა ბაკურიანი და რომელი თოვლი... არაა აქ, ანა, ამ ცხოვრებაში ჩემნაირების ადგილი. ჰოდა, ყველას გეხვევით და გემშვიდობებით.

ჰო, კიდევ ერთი... მთავარი. რაღაც მაყუთი ვირგუნე. ჩვენს თამროსთან დავტოვე ჩუმად. იპოვის ალბათ და გიოს მოახმაროს. დაინახოს ერთხელ ეს ცხოვრება, მაღლია. ბევრი კი არააფერია, მაგრამ სიბნელეს ცოტათი ხომ მაინც ჯობს? ანდერძივითაა, არა? თუ ვერ იპოვა, შენ კი იცი უკვე და აუცილებლად უთხარი.

ვიცი, რომ გავჩერდე და ის არ ვქნა, რასაც ვაპირებ, მაინც ვერ გავქაჩავ ნესიერად ცხოვრებას... უარესებს ვიზამ. ძან გაფუჭებული ვარ. მეტი რომ არ შეიძლება... შენ ხომ კარგად მიცნობ მაინც...

მოკლედ, ეგრეა, ჩემო მგოსანო ძმაკუშ, ეშმაკი მიზის უზარმაზარ სულში და იმას ასე თუ მოვერევი, მსხვერპლშენივით, თორემ მატრიალებს, როგორც უნდა, თავის ნებაზე... ასე, რომ ერთი მუჭი „ნელსონ მანდელა“ შევბას მოიტანს, დიდ შევბას... ჩამტოვებს სიზმრად და გამომიართვს ხოლმე – იქ შეგხვდებით ყველას... აქ კი ყველა დამიკოცნე! გიყვარდეთ ერთმანეთი... მოუარეთ და აპატიეთ ერთმანეთს ყველაფერი.

აბა, კოკ, გავედი მარილზე! თუ რამე, კი იცი, სადაც ვარ...

სიზ-მარ-ში!!

კალე

P.S. ახალი ბაზარია, ხომ იცი, თან უზარმაზარი – არაფერია ეს ცხოვრება, სიკვდილის მერე რაც იქნება, იმასთან შედარებით!“

ეს წერილი ნათელს ჰფენს არა მხოლოდ კალეს შესახებ ნანახ სიზმრებს, არამედ – კალეს სიკვდილის მიზეზსაც. ის ერთი რიგითი ცოდვილის აღსარებაა დიდი კათარზისისას. საკუთარი ცოდვილობის შეგნების შემდეგ კალე ცდილობს მოინანიოს და კეთილ საქმეს მოახმაროს ნა-

შოვნი ფული. ეს ფული, რაც გიოს სჭირდებოდა საოპერაციოდ, თამრომ მართლაც ნახა თავის კარადაში და ამის შესახებ არც დაუმალავს, უამბო კოკას და ყველას – ასი ათასი დოლარი ზუსტად! დასტებად! ტომრით.

ნარკომანია ჩვენი დროის ერთ-ერთი საჭირობოროტო მოვლენაა. უმწვავესია და სასწრაფო, გადაუდებელ ყურადღებას მოითხოვს. ბესო ხვედელიძემ ამ სატკივარს ყურადღება მიაქცია და რომანი მიუძღვნა, დაგვიხატა თბილისელ ნარკომანთა წრე თავიანთი დადებითი და უარყოფითი თვისებებით. გვიჩვენა, რომ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან თავიანთი პრობლემებით, ლანძღვა-გინება და შეჩვენება კი არა სჭირდებათ, როგორც ამას გიგის დედა და კოკას ცოლი სჩადიან, არამედ – გაგება, მოფერება, დაყვავება, თანაგრძობა. ყველამ იცის, რომ ნარკოტიკი საბედისწერო შხამია, მის გამოყენებას ხშირად მსხვერპლიც მოსდევს, როგორც ეს კალეს მოუვიდა, მაგრამ იქამდე მიდის ბესო ხვედელიძის მიერ დახატულ ნარკომანთა წრის ერთგულს ნარკოტიკისადმი, რომ კალეს საფლავეშიც თან ჩააყოლებენ. სამწუხაროდ, რომანში კალეს გარდაცვალებით არაფერი იცვლება, ნარკომანთა სამეგობრო ძველებურად განაგრძობს დროსტარებას, მაგრამ ერთი კია – კალეს გარდაცვალებამ ისინი კიდევ უფრო დააახლოვა, სულიერად გაასპეციაკა და მორალურად აამაღლა.

რომანის ფინალში ცოლისაგან მიტოვებული, მარტო დარჩენილი კოკა ინაშვილი აბს – „ნელსონ მანდელას“ – დალევს და მოელანდება, რომ მისი მეგობრები ერთად შეკრებილან, მათ შორის – ახალდამარხული კალეც, რომელიც ამ ხილვაში მთავარი ფიგურაა, ცოცხალია და კოკას სიზმრის სოჭში ან დაგომისსა თუ სულაც ალპებში ეპატიჟება ნარკოტიკითურთ. ამ ხილვის შედეგად კოკა დაასკვნის, რომ სიზმრებია მთავარი, რომლებიც, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „ღამით მოდიან... და ასახდენ... მოგონებებად იქცევიან“. ამ ხილვის შემდეგ კოკა გონს მოდის და შენიშნავს, რომ მის მარცხენა მახჯაზე საათი ანიკნიკებულია. ეს კალესეული საათია, რომელიც კალემ „ზალოგში“ დაუტოვა მეგობარ ოფიციატს, ნარკოკამსაღლებელ ნელსონს, როცა ფული არ გააჩნდა, ხოლო კოკამ ის ნელსონისგან იყიდა, რათა მეგობრისგან სახსოვრად ჰქონოდა. საათი გაჩერებული იყო. მაშინაც გაჩერებული გახლდათ, როცა ნელსონმა დაიტოვა კალესაგან და ვერავინ აამუშავა. ახლა კი რომანის ფინალში მოულოდნელად ანიკნიკდა და ამუშავდა. ეს საათის სიმბოლიკა – გაჩერებული და მარადმედიანი დროის სიმბოლიკა – რომანის ფინალში სწორედ რომ მისწრებაა მხატვრული თვალსაზრისით ამბის დასასრულისათვის.

დრო მიდის. მას ვერაფერი შეაჩერებს. კალეს დრო გაჩერებული დროა. კალე უკვე დროის გარეშე მდგომი პიროვნებაა. ზოგადად დრო კი არ შეჩერდა, არამედ – კალეს დრო, რადგან იგი განწირული იყო ბედისწერისგან; რადგან თვითონვე ისურვა ასე; რადგან გაჩერებული საათის გაცემის შემდეგ მალევე გარდაიცვალა. და აი, საათი



კვლავ ამუშავდა. ამუშავდა იმიტომ, რომ ახლა ის კოკას კუთვნილებაა, იმ კოკასი, რომელიც სიზმარ-ცხადის იდუმალი კავშირით დაბნეულა და უკვე აღარაფერი უკვირს, რადგან კოკას სიცოცხლე გრძელდება და მისი ცხოვრების დრო ამიერიდან უკვე კალესეული საათით განიზომება.

რომანი დაწერილია თანამედროვე ქართული სალაპარაკო ენით, რომელიც შეიცავს ჟარგონს, გინებასაც (ორივე მათგანი სათანადოდაა გამოყენებული და ახასიათებს ბესო ხვედელიძის პერსონაჟთა მეტყველებას. მწერალს არ ღალატობს ზომიერების გრძნობა და ისინი რომანის მხატვრული ქსოვილის ორგანულ ნაწილად გვევლინებიან). ყურადღებას იქცევს სათაური „უზარმაზარი ბაზარი“ – აქ სიტყვა „ბაზარი“ შესაძლოა განიმარტოს ჟარგონის ენაზე და ნიშნავდეს „ლაპარაკს“. მთელი ეს რომანი მართლაც ხომ უზარმაზარი ლაპარაკია!

აღსანიშნავია იუმორის გრძნობაც, რაც ბესო ხვედელიძეს საერთოდ ახასიათებს – თვით ტრაგიკულ სიტუაციებშიც პერსონაჟებს მსუბუქი იუმორით ხატავს და ამით არბილებს ტრაგიზმის საშინელებას. მაგალითისათვის დავასახელებდით ეპიზოდებს: როდესაც კალესთვის წესის ასაგებად მღვდელი მიჰყავთ, ეს უკანასკნელი კუბოს სახურავზე ამოტვიფრულ ჯვარს დაინუნებს – რატომ აქვს კიდები მოღუნულიო. შემდეგ ყველანი თავზე ცხვირსახოცებგადაფარებულნი დგანან, ხოლო რეზოს თვალები ჭერში აღუპყრია და თავზე სამზარულოს ბინ-

ძური ჩვარი აფარია. ამ ყველაფრის მომსწრე ანდრო და კოკა სიცილს ვერ იკავებენ და უკანა სადარბაზოსკენ გარბიან გულის მოსაოხებლად. აქ იუმორი სიკვდილის ფონზე მაცოცხლებელ ძალად მოჩანს და პერსონაჟთა სიცოცხლისუნარიანობაზე, სიცოცხლის სიყვარულზე მეტყველებს, ისევე, როგორც ეპიზოდში, როდესაც კოკა ინაშვილი ასოცდათორმეტ ნომერ მიკროავტობუსს ამაოდ ელოდება. გაიხედავს და საათნახევრიანი ლოდინის შემდეგ ასოცდათორმეტი ნომერი მიკროავტობუსების მთელ არმიას დაინახავს, ქცეულს სამგლოვიარო პროცედივს, რადგან ასოცდათორმეტი ნომერი მიკროავტობუსის მძღოლს თურმე თავი მოუკლავს და მიასვენებენ. ყოველივე ამის დამნაშაველი კოკა ინაშვილი ძლივს იკავებს თავს, რომ არ იკივლოს და სიცილით არ გადაფიჩინდეს.

მოკლედ რომ ითქვას, ბესო ხვედელიძის პერსონაჟები იმდენად ძლიერები არიან, რომ სიკვდილს დასცილიან. მიუხედავად იმისა, რომ მათი მეგობარი კალე გარდაიცვალა, ისინი სიკვდილს დიდ საშინელებად კი არ აღიქვამენ, არამედ – სიცოცხლის ბუნებრივ გაგრძელებად. იუმორი სდევს თან ნარკოგამსალებელ ოფიცინანტ ნელსონის დახასიათებას, მაკასას, გიგისას, ოლონდ ეს იუმორი სარკაზმში არასოდეს გადადის, კეთილი, თბილი იუმორია, ავტორი თითქოს ასე ეალერსება თავის პერსონაჟებს.

წაიკითხეთ „უზარმაზარი ბაზარი“. ის უდავოდ საინტერესო წიგნია ყველა ასაკის მკითხველისათვის და მისი ავტორის – ბესო ხვედელიძის – ახალი გამარჯვება.

მარიამ ქსოვრელი-ხართიშვილი

ზოგი რამ დღევანდელი ლიტერატურის შესახებ

ამ წერილის დაწერის მიზეზი გახდა ის გამოქვეყნებული „ლიტერატურული წიგნები“, რომლებიც აღაშფოთებს მნახველს არჩეული თემატიკის დამახინჯებული გადმოცემის გამო, მეტადრე კი სახარების ტექსტის დამახინჯების გამო. თავს ვალდებულად ვთვლით ამის თაობაზე ჩვენი გულწრფელი დამოკიდებულება გამოვხატოთ. უგულისხმობისა და უცოდინარობის შედეგია გადაგვარებული და არაჯანსაღი მსოფლალქმა, რაც დღეს ჩვენს ხელოვნებასა და ლიტერატურაში უსახურობას ჰქმნის. იგი ვრცელდება: იკითხება, იდგმება, ისმინება, რაც ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ახალგაზრდა თაობას შინაგან სულიერ სამყაროს ურღვევს და ჩამოყალიბებულ ადამიანს აღიზიანებს და გულსა სტკენს.

თვალს ვადევნებთ ლიტერატურულ მოვლენებს, ისევე, როგორც ყველა სხვა საზოგადოებრივ მოვლენას და

ვფიქრობთ, რომ ის, რაც უმსგავსოა, დროებითი და წარმავალია, რადგან მარადიულ ღირებულებას არ ექვემდებარება; იგი არარაა, ბინიერია და ცხადია, კეთილ ნაყოფსაც ვერ გამოიღებს. ამ მოვლენათა ატანა არ შეიძლება, გადასაგდები და გვერდით ჩამოსატოვებელია; მართლაც და ყველაფერს ვერ აუმხედრდები, მაგრამ არის ის რაღაც სხვა, რაც ველარ გაგაჩუმებს, რაც შინაგანად შეგძრავს და დაცვისაკენ მოგიწოდებს, რადგან ის უმთავრესია, უზენაესია, წმიდათა წმიდაა და, ვფიქრობთ, აქ უკვე ხმა გვაქვს ამოსალები, უმოქმედობა უკვე მეტისმეტია. ვგულისხმობთ, თუ როგორ აგდებით ეკიდებიან და სახეს უცვლიან უფლის ცხოვრებას ზოგიერთები. „წმიდა იყუენით, რამეთუ მე წმიდა ვარ, უფალი ღმერთი თქვენი“, ვკითხულობთ ლევიტელთაში 19.2.

ვისაც სათქმელი აქვს დუმს და ვინც უნდა სირცხვილისგან გაჩუმდეს, ის მეტყველებს, მაგრამ ახლა ჩვენ უნდა ვთქვათ ჩვენი სათქმელი. ჩვენ არ მივუთითებთ შეგნებულად ავტორსა და მის ნაწერზე არ აღვნიშნავთ ამას, მთავარი ისაა, რომ იგი დაინერა. საქმე ეხება ქართველთ ქვეყანაში უფლის ცხოვრების გადმოცემის თავისებურ ვარიანტს და ისიც შერყვნილს, ამაზე დუმილი აღარ ეგების.

დიდი ხანია უკვე შეაჩვიეს ქართველი მკითხველი (ისევე, როგორც მაყურებელი და მსმენელი) მდარე ხარისხისა და ბილწისტიყვიერ ლიტერატურას. თანაც ეს ყველაფერი იმ დიდ სულიერ ტკივილებსა და დანაკარგებს მოჰყვება, რაც სულ რამდენიმე წლის წინათ ყველამ ერთად გადავიტანეთ. ნუთუ ამ ტალღაზე უნდა წასულიყო ჩვენი ცხოვ-

რება?! ცხადია, არ უნდა წასულიყო და სინამდვილეში მაინც არ წასულა ასე. ეს ხელოვნური და საძაგელი ტალღა აგორდა და რალაც ნაწილს მიაქანებს, მაგრამ ვინც ამ დინებაში მოჰყვა, უნდა ჩაფიქრდეს და სხვა კუთხითაც გაიხედოს, და თუ წუხს, საშვებელსაც ნახავს, და თუ არ წუხს, დროა შენუხდეს და გამოერკვეს. მათ სრულიად დაივიწყებიათ ჩვენი ქვეყნის დიდი სულიერი ტრადიციები. ცხადია, საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი ამას არასწორად თვლის და გარკვეული ნაწილი ამას კალმითვე ებრძვის კიდევ.

საზოგადოება იცდის, აკვირდება მოვლენებს, გაურკვეველ ლიტერატურულ მიმდინარეობებს ყურად არ იღებს იმიტომ, რომ ეს ყველაფერი თავშივე განწირულია თავისივე უსახურობით, დაშლილობით, უმნიშვნელობით და იგი მიჰყვება დროის მდინარეებს და განა იმიტომ, რომ მათ არ აინტერესებთ ლიტერატურა და ხელოვნება, პირიქით, აინტერესებთ, მაგრამ ეს მიმდინარე პროცესი დაშორებულია და არა მარტო დაშორებული, სრულიად მონყვეტილია სინამდვილეს. ჩვენ ამას მივეჩვიეთ არა კარგი გაგებით; დგება დრო, როცა ველარ მოითმენ და აღარც უნდა მოითმინო. სჯობს, მათ კეთილი სურვილით ვურჩიოთ, რომ აქ შეჩერდნენ და დაფიქრდნენ ამხელა სულიერი სიმდიდრის მქონე ერში გამოჩნდებიან მაინც მავანნი და ყველაზე დიდ სინამდვილეს ბინით ეხებიან. არ ჩამოვთვლით ჩვენს მოწამეებს, ჩვენს წმინდანებს, ჩვენს მეფეებსა და კათოლიკოსებს, უამრავ სინამდვილეთა მფლობელ ქვეყანას ამის შესხენება აღარ უნდა სჭირდებოდეს.

გაეცინებათ, დაგვცინებენ, მაგრამ ჩვენ მაინც ვთქვათ; მათ ეს იციან, მაგრამ არა აქვთ განცდილი. ისინი უარყოფაში გაიქცნენ და იქითკენ წასულნი ყველაფერზე ხელაღებით წერენ. მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ ასე წერის უფლება არა გვაქვს. ეს უნიჭობის ან ავზნეობის სენია. სენს კი განკურნება სჭირდება. „სამართალთა ჩემთა ჰყოფდეთ და ბრძანებათა ჩემთა იმარხევდით და ვიდოდეთ მათ შინა: მე ვარ უფალი ღმერთი თქვენი“, ისევ ვიმონებთ ლევიტელთას 18. 4.

ვის ვბაძავთ? რას ვბაძავთ? ისინი თავს აფარებენ ლიტერატურის განვითარების ისტორიულ პროცესს XX საუკუნეს – თანამედროვეობას. მაგრამ ვინც მართლაც და იცის XX საუკუნის ევროპული ლიტერატურა, იცის მისი ტკივილი და ის მწუხრი, მის სულში რომ არის ჩამონოლილი ღვთის დაკარგვის გამო (რაც პირველად გერმანელმა პოეტმა გოტფრიდ ბენმა ასე გამოხატა – „ღმერთი მოკვდა“), ხელს აიღებდა ასეთ იაფფასიან ნაწერზე. თვით მეოცე საუკუნე ველარ უძლებს ამ მძიმე ტრაგედიას (კაფკა, თომას მანი...) და ერთგვარად კვლავ პოულობს უფალთან მისვლის გზებს, ამისთვის მარტო რილკეს მაგალითიც კმარა. შეიგრძნო რა ადამიანის საოცარი სიმარტოვე – შემადრწუნებელი სიცარიელე, – იგი ღმერთისადმი სიყვარულის სითბოთი აივსება. აკლია რა ადამიანს სხვისგან სიკეთე და სინათლე, თვითონვე იქცევა აზრიან და შინაარსიან ადამიანად და სხვასაც გაუნანილებს ამ მოპოვებულ სიმდიდრეს.

ისინი არც მიმბაძველები არიან. უმართავი სულიერი სამყაროს იარაღნი ხდებიან და წერენ, მაგრამ რას და რისთვის? და რაც მთავარია, ვისთვის? აქვთ კი ამისი უფლება? ლიტერატურაში არსებობს ქრისტეს ცხოვრების

აღწერის მაგალითებიც, თუმცაღა სხვადასხვა მსოფლმეგნებით გადმოცემული, მაგრამ ამგვარი უარყოფითი კუთხით მაინც ვერავინ გაბედავდა კი არა, აზრალაც არ მოუვიდოდათ (ფრანსუა მორიაკი, მიხეილ ბულგაკოვი, ერნსტ რენანი).

მათ ეს თემა არც კი აინტერესებთ, მაგრამ უფალთან მისვლის გზები აქვე ჩვენს უბრალო ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ. საბედნიეროდ დღეს გვაქვს საამისო პირობები და, რაც მთავარია, გვაქვს წინაპართა ნავალი, ნაცადი გზა. სამარცხვინო და გაუგონარია ის, რაც ამ თემაზე შერყვნილი ინერება, მაგრამ რედაქტორი? გამომცემელი? ნუთუ არავის არ მოეთხოვება ამისი ცოდნა? ნუთუ არავის მოეთხოვება სინდისი? „ღმერთი რომელმან გშვა შენ, დაივიწყე და დაუტყვე ღმერთი, გამომზრდელი შენი“. V ნიგნი მოსესი, 32. 18.

თუ მაინცა და მაინც მწერალი გინდა გერქვას და სხვისი ცხოვრების აღწერა გასურს, შეისწავლე, განიცადე და გაგვიზიარე უამრავ წინაპართა და საინტერესო ადამიანთა ცხოვრება. ანდა შეიძლება ისე აღწერო და დაგვანახო ეს უსახურობა, რომ კაცმა სახიერებისაკენ ქნას პირი. და თუ შენი აღქმა, შენი ხმა გაგაჩნია, გადმოცი და გვიჩვენე შენი ნაგრძნობ-განცდილი და ნაფიქრალ-ნააზრევი. არავის არაფერს მოუტანს უაზრო კითხვების გროვა, უშინაარსობა, არეულ-დარეულობა და გზაბნეულობა. ამ საშინელ ლაბირინთიდან როცა თვითონ გამოიკვლევ გზას, სხვასაც შეგიძლია რაიმე უთხრა. „სისაძაგლითა მათითა განმამწარეს მე“, მოსე V 32. 16, ეცხადება რა მოსეს უფალი, ასე უზნობს მათზე, ვინც არ მიჰყვება მის (უფლის) ღარივებსა.

რაკილა სიტყვამ მოიტანა, იმ მწერლებზეც ვიტყვი (რა ვიცით, რა ვთქვათ, მწერლები კი ნამდვილად არა არიან), უმსგავსოება-უაზრობაზე რომ დიდი სიამაყით და თავგამოდებით წერენ. არც მათ ვასახელებთ და არც მათ ნაწერებს ჩამოვთვლით განგებ. თვითონაც და მათი მხარდამჭერებიც იცნობენ ალბათ თავს. ზოგიერთმა სკანდალური კრიტიკის ქარცეცხლი კიდევ გაიარა, მაგრამ ამგვარი ნაწერები სხვადასხვა სახითა და ფორმით უფრო გავრცელდა. ჩვენ მათ არც ვკითხულობთ, იმიტომ, რომ ვერ ნაიკითხავ, არცაა წასაკითხი; ნიგნში ჩაიხედავ თუ არა, მიხვდები, მაშინვე გაიგებ, რასთან გვაქვს საქმე. მათ ნამდვილი მკითხველი არასოდეს ეყოლება, რადგან არ ასახავენ სინამდვილეს. ნაგავი, ჭუჭყი, ბინი, გარყვნილება არ არის ხელოვნებისა და ლიტერატურის საგანი. ჩვენ ვართ ადამიანები და გვემართებს ამაღლება, უაზრობის, უზნეობის მოკვეთა. თანაც როგორ და რას გადმოსცემ, ყველაფერს თავისი ფორმა და შინაარსი აქვს. ის, რაც ადამიანს სახეს დააკარგვინებს და ცხოველსაც კი გადააჭარბებს, არ არის გადმოსაცემი, ეს დასაგმობია, გამოსასწორებელია. მიუღებელი მიღებული არ უნდა გახდეს. გვიმტკიცებენ, ეს სიტყვები სულხან-საბას ლექსიკონში ვნახეთო. ამ სიტყვებს თავისთავად თავისი მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს, მაგრამ არა მხატვრული ლიტერატურისთვის (გერმანულად მხატვრულ ლიტერატურას ჰქვია მშვენიერი ლიტერატურა – მონე ლიტერატურ – და თუ ჩამორჩენილად არ ჩავთვლიან, რუსთაველსაც მოვიხმობთ: „საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“). ისინი

მშენიერიების საპირისპირო მხარეს ასახავენ. მწერალს ევალეზა წესისამებრ (გავიხსენოთ ლესინგის “ლაოკონი ანუ მხატვრობისა და ლიტერატურის საზღვრების შესახებ”) თუნდაც სწორედ ამ საშინელების დაძლევა გვიჩვენოს, მისგან გამოსვლა და მასზე ამაღლება. სხვა მხრივ მას რა დანიშნულება აქვს?! ამ უზნეობას ხომ ისედაც ყველა ხედავს და ამჩნევს?! რა საჭიროა მისი ასახვა ასეთი სიშიშვლითა და უარესად შეთხზული ამბებით? რად არ გვიჩვენებს მასზე ამაღლებას? – იმიტომ, რომ თავს ნება მისცა ასე წეროს (აქ კი ნამდვილად გავგახსენდება დოსტოევსკის ქვაკუთხედი ფრაზა, “თუ ღმერთი არ არის, ყველაფერი ნებადართულია.”) განა ამაზე უნდა ვწერდეთ? მაგრამ ისინი თავს იმკვიდრებენ და ჯვანსად დამოკიდებულებაც კი თვლიან ამგვარ ხედვას. ჩვენდა საუბედუროდ, ეს ყველაფერი ძალზედ მოქმედებს ჩვენს ახალგაზრდებზე. რუს ბერდიაკონ აბელს (სემიონოვს) თავის წიგნში “როგორ გადავიტანოთ ღვთის რისხვა” (სარატოვი, 2002 წელი) მოჰყავს აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დამაარსებლისა და მისი პირველი დირექტორის ალენ დალესის სიტყვები: “ლიტერატურა, თეატრი, კინო – ყველაფერი გამოსახავს და განადიდებს ყველაზე უფრო მდაბალ ადამიანურ გრძობებს. ჩვენ ყველანაირად მხარს დაუჭერთ და წინ წამოვწევთ ე.წ. მხატვრებს, რომლებიც ადამიანთა შეგნებაში დანერგავენ და ჩაქედავენ სექსს, ძალადობას, საღიზმს, გამყიდველობის კულტს – ერთი სიტყვით, ყველანაირ უზნეობას...”

ჩვენი ბრალია, ჩვენ უნდა დავგვეცვა და დავიცვათ ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელობა და როლი, როგორც კიდევ სხვა მნიშვნელოვანი სფეროები. ისინი ხომ სინამდვილეში არც ლიტერატურები არიან და არც ხელოვანნი. ისინი ცდილობენ ეს სახელი დაირქვან. ისინი არარაობაში საშობარი მოხეტიალეები არიან. ისინი ნამდვილ ნიადაგზე არ დგანან, დროა გამოერკვნენ, ჩამოყალიბდნენ და მკითხველს თავი დაანებონ თავიანთი აფორიაქებული და უშინაარსოდ გაბუქებული ბუნებით, რადგან ახალგაზრდას ისედაც უჭირს სინამდვილის გარკვევა და იმის მაგიერ, რომ მას მივეხმაროთ, გზას ვუბნევთ. ნარკოტიკს – ამ უმსგავსო ლიტერატურას ვთავაზობთ, რათა შევჩეროთ მისი განვითარება, შევჩეროთ და ჩვეკლათ კარგი, მოვსპოთ სინედლე, დავამახინჯოთ, გავანამოთ, დავტანჯოთ. მაგრამ მკითხველმა უნდა იცოდეს: “ნუ შეუდგებით უნდოთა, რომელნი არა სარგებელ გეყუნენ თქვენ და არცა გიხსნეს თქუენ, რამეთუ იგინი უნდო არიან”, პირველი მეფეთა, 12. 21.

მაგრამ არა, ეს არ არის უმისამართო და უსამშობლო ქვეყანა. ანებეთ მათ თავი, თვითონ გაარკვიონ, რომ მშენიერი ქვეყნის შვილები არიან და ყველას სიცოცხლე ჰაერივითა აუცილებელი ოჯახში, ნათესავებში, მეგობრებში და ქვეყანაში, ოღონდაც ფხიზელი და ჭეშმარიტი ცხოვრებაა მათთვის აუცილებელი და არა ცოცხალ-მკვდარი და გადაგვარებული, არაჯანსაღი და დაავადებული. დაე, ვუთხრათ, რომ აქ ყველაფერი მოსაფრთხილებელია, საკუთარი თავი და ირგვლივ ყოველი ახლობელი და არა მარტო ახლობელი, და შემდეგ დასაცავია ჩვენი სულიერი სიმდიდრე, ახალი რომც არ აღმოვაცენოთ მასზე; მაგრამ აღმოსაცენებელი აღმოცენდე-

ბა, რადგან სიცოცხლეს თან ახლავს პოეზიაც – შემოქმედებაც.

ირონიით შეხედავენ ალბათ ასეთ შეგონებას და არათანამედროვეს დაგვიძახებენ. მაგრამ რა არის თანამედროვეობა? იგი ხომ წარსულიდან მოსვლა და მომავლისკენ ხედვის ხიდია. ჩვენ ვიბადებით და გარდავიცვლებით. თითოეული ადამიანის ცხოვრება თავის სიცოცხლეში თანამედროვე იქნება. წარსულში ყველა ადამიანის ცხოვრება თანამედროვე იყო და მომავალშიც ყველასი თანამედროვე იქნება. ამჟამად ჩვენ ვართ თანამედროვენი. რადგან მარადიული კანონები უცვლელია, მას გვერდს ვერ ავუვლით. თანამედროვენი ვერასოდეს ვერ აუვლიან გვერდს მას. თანამედროვემ ზუსტად უნდა გაიგოს, თუ ვინ არის იგი, ვისი შვილია, საიდან მოვიდა და საით წავა. მაღლობა ღმერთს, ჩვენ გვაქვს ჭეშმარიტი საცხოვრებელი გზის საშუალება. აქ ყველაფერი გამზადებულია სულიერი ცხოვრებისათვის, რისთვისაც ადამიანი შეიქმნა. ჩვენ საშინელი ძიება აღარ გვინდა. ჩვენ გვინდა მონდომება და დაფიქრება. ჩვენ გვინდა უბრალოება, თავმდაბლობა, რაც სიყვარულს წარმოშობს, რაც მოგვამორებს ზედაპირულობას, ფიტულობას, ხენეშობასა და საშინელ სისასტიკეს. ჩვენ თვითოეულმა უნდა ვეძიოთ ჩვენი თავი და ადგილი. ამჟამინდელი ჩვენი ლიტერატურა სავსეა არასერიოზულობით, დაცინვით, მასხრობით, უმსგავსოებითა და მხოლოდ უამრავი უარყოფითი თვისებების გადმოცემით, რაც კეთილისმყოფელს არაფერში არ სჭირდება, როგორი ფორმითაც გინდათ გადაპრანჭონ, ეს უარესია და მთლიანად უსარგებლო, და როგორ იქნება სარგებლიანი? – “უკეთუ დაუტეო იგი, დაგიტეოს შენცა მან სრულიად”, პირველი ნემტთა, 28. 9.

ცხადია, უამრავი საინტერესო ბელეტრისტი თუ პოეტი იქნება ჩვენში. ვის როგორ შეუძლია გადმოცემა, არც ესაა სასაცილო, თუკი ის სერიოზულია. ჩვენ მათ არ ვუხსნით გზას, რადგან მათ ადგილს თვითმარქვეები იკავებენ, ისინი წყნარად არიან. არენაზე გამოსულ მწერალთა შორის მათ არავითარი სურვილი არ ექნებათ გამოჩინისა. აქ ისე არ უნდა გავიგოთ, რომ დღეს ყველა, ვინც ჩანს, ის ფასეულს არ ქმნის; როგორ არა, ისინი ფასდებიან და დაფასდებიან კიდევ. მათ ძალით შეერივნენ ვითომ მწერლები და პოეტები, რომლებსაც უნიჭობის გამო არ შეუძლიათ წერა და მაინც წერენ.

ჩვენთან ბევრი წერს. გვყავს დიდი მწერლებიც. ჩვენ გვყავს მწერლები, ამიტომ უღვთონი, უნიჭონი, უაზრობის გამომგონებლები ჩვენ არ გვჭირდება. უაზრობა ისედაც უაზრობაა და წარმოიდგინეთ კიდევ მისი ბინძური და საშინელი კუთხით წარმოსახვა. ჩვენ ამ უკანასკნელის ამსახველნი და ამით მტკობნი არ გვინდა. ისინი არიან, მაგრამ ისინი ჩვენნი არ არიან, იმიტომ, რომ ჩვენს გულსა და სულს არ ეხებიან. ისინი თავინთ თავს კი არა მხოლოდ, ირგვლივ მყოფთაც რყვნიან. ამიტომ ფხიზელი სული მათ არ იკარებს და ვერც მიიკარებს. ისინი არაფრიდან მოვიდნენ და არაფერში არიან და არაფერსაც იმსახურებენ უარყოფის გარდა, რაც თავისთავადვე ხდება.

ჩვენ უაზრობაში აზრს ვერ ჩავდებთ. აზრიან და შინაარსიან ცხოვრებაში ჯერ არს გავერკვეთ და მას გავყვით, რისთვისაც ჩვენ თვითონ უნდა ვზრუნავდეთ, რომ არ

დავრჩეთ საშინელებაში და თანაც უნდა გვსურდეს გულში უფლის მიმართ ჩუმად წარმოთქმა: "ეს ცოდეთ ნინაშე შენსა, უფალო, რამეთუ დაგიტევეთ შენ, უფალო ჩვენო, და ვმონებდით ჩვენ ბალიმსა და სერტყთა მათ ასტაროთისათა. ან მისენ ჩვენ ხელთაგან მტერთა ჩვენთასა და გმონებდეთ შენ." პირველი მეფეთა, 12. 10.

მაშინ დაინწყება ჩვენს სულსა და გულში სიტყვების გამოცოცხლება და აზრიანად დაინწყებენ ფრენას და მკითხველის გულშიც დაიდებენ ბინას. მოკლედ რომ ვთქვათ, სიტყვებს დანიშნულება გაუჩნდებათ.

ამჟამინდელ ჩვენს ქვეყანაში ძალზედ ძნელია საარსებო პირობების მოპოვება. ინტელიგენციის დიდი ნაწილი ამ მინიმუმისთვის ზრუნავს და მისთვის უკვე ფუფუნებად ითვლება შემოქმედებითი შრომა.

ვისთვისაც ეს ნამდვილი და ბუნებრივი პროცესია, ძალზედ იჩაგრება და იტანჯება და მცირედს თუ ახერხებს, მაგრამ მეორე მხრივ უფრო მეტად იყვარებს დროს და აფასებს მას. ვის სცალია უმსგავსოებისათვის, თუ არა უსიყვარულო კაცს. ჩვენი ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა ისე ბევრს გვავალებს, რომ უარყოფითის უმსგავსოდ ასახვა არა გვჭირდება. XX საუკუნის დიდი მწერლები შინაგან სინათლეს რომ არიან მოკლებულნი და ამით შეძრულნი, სწორედ მათი სულიერი ჭიდილის გამო ვაფასებთ. ამგვარი ლიტერატურის შესწავლის დროს, ძირითადად სტუდენტობისა და მის შემდგომ მიმდინარე წლებში, ჩვენც სულიერი გაჭირვება გვეუფლებოდა, რაც უფლის გულში მოძიებამ მოგვაშორა.

ახალგაზრდა თაობას უნდა ჰქონდეს საშუალება ჩაიხედოს შემოქმედი ადამიანების ნაწერებში და იპოვოს სიძნელეთა დაძლევა-გადალახვის გზები. რამდენიმე წლის წინათ ჩვენმა პატრიარქმა მწერლებს კალამი უკუერთხა და მოგვინოდა მშვენიერების, სიმაღლის ასახვა და არა უმსგავსობათა შეთხზვა. ნუთუ არ არის სირცხვილი?! ნუთუ ეს შემადრწუნებელი არ არის და ცრემლთა ნაკადს არ მოგვგვრის, როცა პირისპირ დადგები სინამდვილესთან?

ჩვენი უფროსი თაობის მწერლები ნუ ჩათვლიან ყველას უძლებ შვილად. ჩვენც პატივს ვცემთ მათ ცხოვრებას. მაგრამ არა ბრმად, არამედ შეცდომების პატივით უამრავი მიზეზის გამო. დროებას გათვალისწინება უნდა. მათ ბევრი რამ გააკეთეს ჩვენი კულტურისთვის. ახალი

თაობის მაღლიერმა ნაწილმა გარკვეული ცხოვრების გზა გაიარა. ახლა იგია პატრონი მშობლებისა და შვილებისა. მას დაანვა ცხოვრება უკვე კარგა ხანია და არცთუ ისე მარტივი სახით. იგი აკვირდებოდა, იღვწოდა თავისი თავის დამკვიდრებისათვის, ზრუნავდა ოჯახისათვის, მეგობრებისათვის, რათა ფეხზე დგომა შეძლებოდათ, მძიმე ჯვარის ზიდავა, იესოს სიყვარულით რომ მსუბუქდებოდა. არ აღგვილა პირისაგან მინისა ფუძე. არ გამხმარა ვენახი, არ განწყვეტილა გენი, რადგან არ შეწყვეტილა გულის გულში ღალადისი უფლის მიმართ და მისივე წყალობით თანდათან სიხარული მოდიოდა; იხსნებოდა სწორად ქმედების ქვეყნები. ვფიქრობდით, ვაკვირდებოდით, ვიღვწოდით და ასე ვუახლოვდებოდით სულიერ სიმდიდრეებს, გვიყვარდებოდა, ვუფრთხილდებოდით და, ცხადია, დაცვისა და შენარჩუნების სურვილი გვიჩნდებოდა.

ბუნებრიობასთან დაახლოება აღგვაძლევს. უაზრო საქმეებს უაზრო შრომა მოჰყვება, ყოველგვარ საქმიანობას არ უნდა გავყვეთ. თავი უაზრობის სამყაროში არ უნდა ჩავიგდოთ. არ უნდა გავიმეტოთ ერთხელ მოცემული სიცოცხლე უშინაარსობისთვის. ჩვენი სიცოცხლე – გარკვეულ დროსა და სივრცეში გადასახედი – გადასავდებად არ უნდა გავწიროთ, პირიქით. გზადაგზა მივლბული

ცოდნით ღირსება შევინარჩუნოთ და გვერდში მდგომთ შევეწიოთ, ასე გადავტანინოთ სიმძიმე, როგორც ჩვენ სხვები გვეხმარებოდნენ განსაცდელის ჟამს.

ვითომ კითხულობენ მსოფლიო კორიფეებს და იგივენი რჩებიან. ყველა ჩვენს თავს უნდა ჩაუყვირდეთ და ჩვენი თავი მოვძებნოთ. დიდი მწერლები რელიგიის გზას ვერ სცდებიან. პირიქით, გზა იქით მიდის. თუნდაც ჰერმან ჰესეს შემოქმედების ძირითადი პრინციპები გავიხსენოთ და რილკეს მაგალითით კი ჩვენი თემა გავასრულოთ: რუსეთში მოგზაურობისას მასში გაოცებას იწვევს რუსული მართლმადიდებლური სამყარო. ხედავს რა ივერიის ღვთისმშობლის ხატთან მიმსწრაფ მომლოცველ ხალხს, აღფრთოვანებითა და მონატრებით წერს, ეს ჩემი სულიერი სამშობლოა.

უცხო, დიდი სულიერი სიმდიდრის ხალხი ელტვის ამგვარ სამშობლოს.

ჩვენ კი აქ გავჩნდით, აქ დავიბადეთ; ვისაც მეტი მოგვეცა, მეტიც მოგვეთხოვება.

ნაოჰნია შელის დაკარგული პოემა

ინგლისური ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული დაკარგული ნაწარმოები – შელის პოემა, „პოეტურ ესეიდ“ ცნობილი, ანტიკვარულ სავაჭრო სახლ „კუარჩის“ მიერ იქნა აღმოჩენილი.

შელიმ ის 1811 წელს შექმნა და ოქსფორდში გამოსცა პოლიტიკურ მოწოდებასთან ერთად. აღნიშნული პუბლიკაცია იქცა ოქსფორდის უნივერსიტეტიდან მისი გამოქვეყნების მთავარ მიზეზად. „პოლიტიკური ესეის“ გამოცემა და მისი შემდგომი ისტორია მრავალი საიდუმლოთა გარემოცული გაურკვეველია, რამდენი ეგზემპლარი დაიბეჭდა.

თითქმის 200 წლის მანძილზე შელის შემოქმედების დამფასებელი უშედეგოდ ცდილობდნენ ეპოვნათ პოემა. და ეს საოცრება მოხდა: ჯერ კიდევ უცნობ ვითარებაში „კუარჩის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა აღმოაჩინა გამოჩენილი ინგლისელი პოეტ-რომანტიკოსის ყველაზე იდუმალი ნაწარმოების უძვირფასესი ეგზემპლარი. როგორც გაირკვა, პოემა 172 სტრიქონს შეიცავს. მისი თემა ინდოეთში ბრიტანეთის იმპერიის კოლონიური ომების დაგმობაა.

ლევან ბრეგაძე

უბის წიგნაკიდან

ზმნა არის თუ არსებობის სახელი?

(ციკლიდან: მხიარული რითმები)

არსებობს ისეთი ომოფორმები (ერთნაირი ბგერითი შემადგენლობის, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვების – ომონიმების – ნაირსახეობა), რომელთაგან ერთი ზმნაა, მეორე – არსებითი სახელი – ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული მეტყველების ნაწილები. **მკლავს** (ის მე) და **მკლავს** (მკლავი მიცემით ბრუნვაში). მუცალს შეეძლო ეთქვა: *აღუდა ტყვიით მკლავს, მაგრამ არ მომკვდის მკლავს* (ეს სიტყვები პაატა შამუგიასაც აქვს გარითმული: „...გეტყვი, რომ ყოველდღე მკლავს / კალამი, რომელიც იმონებს მკლავს“). **გველის** (ის ჩვენ) და **გველის** (გველი ნათესაობით ბრუნვაში). დავით წერედინამა მითხრა, გიორგი ბაქანიძე აპირებდა თურმე რომანის დაწერას ორაზროვანი სათაურით – „გველის გასამართლება“. თუ მეტი ინფორმაცია არა გაქვს, ვერ იტყვი, რას იუნწყება ეს სინტაგმა – გასამართლება მოგველის თუ გველს ასამართლებენ (ეს სიტყვები ნიკა ჯორჯანელსაც აქვს გარითმული: „*ვფიქრობ, ყველას რაღაც ცუდი გველის. / ირგვლივ ყოველს კუნავს შენი გორდა – / მარტოობის, მოსისინე გველის, / სისათუთის და იმ სევდის გარდა*“).

ერთობ შენიღბულია, მოულოდნელია ზოგიერთი ამ ყაიდის ზმნა-სახელის ომონიმურობა. შეიძლება ასე წელი იცხოვრო და ვერ შენიშნო, რომ **ხმები, მადნები, ძვრები, დევს, დენი, ხეხს, მწერს, თვლის, კიკინებს, ხურდა, ჩაიცა, ჭამდე, იოსებს, თელავს, მადრიდი, ბანდა** ზმნებიც არის და არსებითი სახელებიც.

ფანტაზიის გასავარჯიშებლად კარგია აიღო ამგვარი ზმნა-სახელი და მისი გამოყენებით შეთხზა მეტ-ნაკლებად აზრიანი ომოფორმულრიითმიანი სტრიქონები, ვთქვათ, ასეთი:

აგარაკიდან მწერს:
„მუსრი გავავლეთ მწერს,
მოვსპეთ კოლო და მუმლი,
ველარ დაგვკბენენ წელს“.

ან კიდევ:

ცივი წყალი ახლო გედგას,
როცა პურსა ჭამდე:
ოცი მეტრი თუ იქნება
აქედან და ჭამდე.

ანდა:

ჩალიჩობ, ლამის ტყავიდან ძვრები,
გსურს მოახდინო მსოფლიო ძვრები.

ახლა ისეთები, სადაც არსებითი სახელი საკუთარი სახელია – ადამიანის ან გეოგრაფიული პუნქტისა. ძველ სტალინელზე შეიძლება ითქვას:

ხშირად იგონებს იოსებს
და თვალებს ცრემლით იოსებს.

ანდა ასეთი პასტორალი:

ზამთარია. ათოვს თელავს.
ცეცხლთან მწყემსი ნაბაღს თელავს.

ერთიც:

ანტიკურ გმირებს მადრიდი,
როცა ავიღე მადრიდი.

ასე შეეძლო ეთქვა მოხუცებულ გენერალისიმუს ფრანკოს თავისი რომელიმე ძველი თაყვანისმცემლის-თვის.

და ბოლოს ჩემი ქალიშვილის, რუსუდანის, მიერ შესრულებული სავარჯიშო თემაზე „ბანდა“:

დედას შვილისთვის წყალი **დაესხა –
თავს ბანდა,**
და სოფელს სწორედ ამ დროს **დაესხა
თავს ბანდა.**

თანხმოვანგაცვლითი რითმა

გერმანულ ლექსმცოდნეობაში არსებობს ცნება „შიუთთელრაიმ“ (Schüttltreim), რომელიც ზუსტად ძნელი გადმოსათარგმნია ქართულად, მისი არსი კი შეიძლება ამ სიტყვებით გადმოიცეს – „თანხმოვანგაცვლითი რითმა“. იგი გულისხმობს გარითმვის წესს, რომელიც სარიტმო სიტყვების ან მათი მარცვლების საწყის თანხმოვანთა ურთიერთჩანაცვლებას ემყარება. ამ წესით გარითმული სტრიქონების უმეტესობა იუმორისტული შინაარსისაა (მუქად მონიშნულია ის თანხმოვნები, რომლებიც ერთმანეთს ადგილებს უცვლიან):

Man diskutiert, ob **Schottenmützen**
die Haare vor den **Motten schützen**.

(შინაარსი: „კამათობენ, იცავს თუ არა შოტლანდიური ქუდეები თმებს ჩრჩილებისგან“).

ან კიდევ თითქმის ანდაზა:

Verrichte nie am Morgen Sachen,
die dir am Abend Sorgen machen.

(შინაარსი: „ნუ ჩაიდენ დილით ისეთ საქმეებს, რომლებიც საღამოს შეგანუხებენ“).

ჩვენს მდიდარ, მრავალსაუკუნოვან და მრავალფეროვან ლექსნაწარმოში მსგავსი არაფერი მეგულებოდა და ძალიან განვიცდიდი ამას. ვცადე თვითონ შემეთხზა, მაგრამ არ გამომივიდა – ძნელი გამოდგა!

რა უნდა ილონო ამ დროს?

რა და... მიშას უნდა მიმართო, ქურდიანს.

დაველაპარაკე: ასე და ასეა-მეთქი საქმე, ქართული ვერსიფიკაციის პრესტიჟის გადასარჩენად „შიუთთელრაიმის“ შექმნა-მეთქი საჭირო.

რამდენიმე დღის შემდეგ ეს მომანოდა:

ისე ირწევა ბალი ქარში,
როგორც ნასვამი ქალი ბარში.

ცოტა ხნის შემდეგ კი – ესეც:

სიკვდილს ასობით მოჯახედინის
მოთქმით დასტირის ხოჯა მედინის.

ლექსმცოდნეობის ისტორიკოსთა გასაგონად ვამბობ: პირველი ქართული „შიუთთელრაიმები“ (თანხმოვანგაცვლითი რითმებით შესრულებული სტრიქონები) მიხეილ ქურდიანმა შექმნა გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს!

მერე კი რუსუდანმაც შეთხზა:

ამ ქვეყნად უკვე ვადაგასული
იმ ქვეყანაში გადავა სული.

(ტერმინი თანხმოვანგაცვლითი რითმაც რუსუდანის მოფიქრებულია).

თანამედროვე ვერსიფიკაციის პარადოქსი

კლასიკურ ვერსიფიკაციაში თუ a ერთმებოდა b-ს, ხოლო b ერთმებოდა c-ს, a-ც აუცილებლად გაერთმებოდა c-ს.

თანამედროვე ვერსიფიკაციაში ეს ყოველთვის ასე არ არის. ანუ შესაძლოა a ერთმებოდეს b-ს, b ერთმებოდეს c-ს, მაგრამ არ არის სავალდებულო a-ც ერთმებოდეს c-ს:

ლაშქარი/შაშხანით – რითმაა;

შაშხანით/ შიშხინი – რითმაა;

მაგრამ ლაშქარი/შიშხინი – რითმა არ არის.

ამ პარადოქსზეა აგებული ვახტანგ ჯავახიძის „მხიარული ექსპერიმენტი: ბელურა – აქლემი“: ოცსტრიქონიანი ლექსის ყოველი ტაეპი გართმულია მომდევნო ტაეპ-

თან, მაგრამ პირველი და ბოლო სარიტმო სიტყვები – ბელურა და აქლემი – ერთმანეთის რითმები არ არიან.

ფსიქონალიზი ანდაზებში

ფროიდი თავისი მოძღვრების ლეგიტიმურობის, დამაჯერებლობის ხარისხის ამაღლების მიზნით ხშირად იმონებდა ხალხურ ანდაზებს. მაგალითად, ერთ ნაშრომში, რომელშიც იმაზე ლაპარაკობს, რომ მეტისმეტად ძლიერი გატაცებები დიდხანს არ გრძელდება ხოლმე, იმონებს ანდაზას: „მკაცრი ბატონების მმართველობა ხანმოკლეა“ („Strenge Herren regieren nicht lange“; რუსულ თარგმანშია: „Строгие господа недолго властвуют“).

ქვემოთ მოყვანილ ქართულ ანდაზებში ინტუიციურად არის ნაგრძნობი ფსიქონალიზი, ანუ სიღრმისეული ფსიქოლოგია:

ჩემი შენ გითხარო, გული მოგიკალიო.

ფსიქონალიზის ენაზე ამას პროექცია ჰქვია: საკუთარ ნაკლს სხვას მივანერთ და ასე „ვთავისუფლდებით“ მისგან.

**დამალულმა ჭირმა მოკლა კაციო;
ჭირის თქმა დამწვარ გულს ნახევრად ანელესო.**
აღსარების ფსიქოთერაპიული ფუნქცია.

**ქურდს რომ ყური უგდო, დღეში ასჯერ
გამოტყდებაო.**
ნამოცდენა (оговорка).

ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო.
ასეთი რამ ისე ხშირად ხდება, რომ არ შეიძლება შემთხვევითობას მივანეროთ (ანდაზაც ამიტომ გაჩნდა!). რამდენიც უნდა იმართლოს ცნობიერად თავი სხვისმა დამცინველმა, არაცნობიერად მას მაინც შეანუხებს თავისი საქციელი, ნევროზების წყაროდ გადაექცევა იგი. ამიტომ, თუ დაცინვა დროულად არ იქნა მონანიებული, დამცინველის არაცნობიერი ყველაფერს ილონებს, რომ თავის „პატრონს“ იგივე დამართოს, რის გამოც ის სხვას დასცინოდა; ამას იმიტომ სჩადის, რომ ანანებიზოს უზნეობა და ამით ნევროზებისაგან იხსნას იგი. სამწუხაროდ, ზოგჯერ ეს ხსნა სააქაოს ველარ ესწრება: მიაკოვსკიმ ლექსით დასცინა ესენინს თვითმკვლელობისთვის. ხუთი წლის შემდეგ თვითონაც თავი მოიკლა.

თუ კაცს არა სწადია, რიყზე ქვას ვერ დაინახავსო.
ეს უზნაძის განწყობის თეორიის ეპიგრაფად გამოდგება.

ქვანად როსტომ ჩხაიძეს – „ქება სიზარმაცისას“ ავტორს

ვინც ყველაფერს ასწრებს, ის ვერ ასწრებს უმთავრესს – სიცოცხლით ტკობას.

საბა სულხანიშვილი

„შედეგბული სისხლის“ პაროდული ეფექტი

„ლამის ბინდბუნდი ქალის ამაზრზენმა კვილიმა, მამაკაცის ამაჟრჟოლმა ბლავილმა და კატის შემზარავმა ჩხავილმა გაფხრინა. მესამე სართულზე მინა ზრიალით დაიფშვნა, ჩამსხვრეული ფანჯრიდან შურდულივით გამოვარდა ქალის ფეხსაცმელი და თავში მოხვდა დასამალავად გაქცეულ მეეზოვეს. მერე გაისმა სადარბაზო კარის მძლავრი მიჯახუნება და საიდუმლოებით მოცული მამაკაცის ჩრდილი ქუჩის კუთხეში გაუჩინარდა“.

თან აშკარად დეტექტიური სიუჟეტის დასაწყისია, თან პირველივე ფრაზების ჩაკითხვა ძალაუვნებურად ინვესტს ღიმილს და გრძნობ, ასეთი სიხალისე ბოლომდე გაჰყვება თხრობას.

დეტექტიურ-იუმორისტული ჟანრის ნიმუშია?

უფრო პაროდიაა დეტექტივებზე, იმ გონებამახვილობითა და იუმორისტული სვლებით ნარმართული, ნოდარ დუმბაძეს რომ სჩვეოდა.

რატომღაც მიკარგულია მისი „შედეგბული სისხლი“. გამეორებით ოთხტომეულშიც გამეორდა, მაგრამ სალიტერატურო მიმოქცევაში არა ტრიალებს და დასანანი კი იქნება მისი უყურადღებოდ მიტოვება, რადგანაც ასეთი რანგის პაროდული თხზულება ბევრი არ მოგვეპოვება ჩვენს ლიტერატურაში, დეტექტიური პაროდის ნიმუშად კი ის სულაც ერთადერთია.

ამ ყაიდის იუმორისტული ქმნილებანი არაერთია უცხოურ დეტექტიურ მიმდინარეობაში, მაინცდამაინც უხვად არც იქ, მაგრამ იმდენი კი შეგროვდება, ცალკე ნაკადს ქმნიდეს.

და ამ ნაკადს „შედეგბული სისხლიც“ ემატება.

ამ ბოლო ხანს საკმაოდ გაცხოველდა სჯა-ბაასი ამ ჟანრის ირგვლივ, ქართული დეტექტივის ისტორიის აღდგენაც ხდება, კრიტიკული შეფასება-დალაგებაც – „ჩვენი მწერლობის“ რედაქციამ ამ განზრახვის აღსრულებასაც მონდომებით მოჰკიდა ხელი და ასეთ დროს აუცილებელია ნოდარ დუმბაძის ამ მშვენიერი ნოველის გახსენებაც, რომელიც საგულისხმო შტრიხით ამიდრებს ჩვენს არცთუ მდიდარ დეტექტიურ ლიტერატურას.

შემთხვევის ადგილზე მ საათის შემდეგ სასწრაფოდ მისულ გამომძიებელსა და ოპერაგუფს დახვდება საწოლზე უიმედოდ მისვენებული „ასე 70-98 წლის ქერა ქალი“.

ეს თითქოსდა უმნიშვნელო დეტალებიც იუმორით არის საგვსე, რომელსაც მოსდევს დახვეწილი იუმორის ჩინებული ნიმუში, ფსიქოლოგიურად ასე მარჯვედ მიგნებული. ოპერაგუფი იმ განზრახვითაა მისული ბინაში, რომ ურჩევნიათ მკვლელობასთან ჰქონდეთ საქმე, რაც შეიძლება რთული კრიმინალისტური ამოცანების გადაჭრა ევალებოდეთ და მკვლელობის გახსნა უდიდეს ძალისხმევასა და განსაკუთ-

რებულ გამჭრიახობას მოითხოვდეს. ამიტომ კიდეც გაახარებთ, ქალი თვალების ახამხამებისა და ხელების ასავსავების შემდეგ ბალიშს რომ მიესვენება. მათი ფარული სიხარული კი ამ თითქოსდა ნეიტრალური ფრაზით გამოიხატება:

„მიცვალეული დროგამოშვებით სუნთქავდა“.

გამომძიებლის ოცნება და რეალობა ასე ლაკონურად და მოხდენილად გადაეჯაჭვება ერთმანეთს.

მისმა რენტგენისებურმა თვალმა იატაკზე ქალის ცალი ფეხსაცმელი და პაპიროსის ნაშენებიც უნდა შენიშნოს და, ცხადია, ხელიდან არ გაუშვას ეს უმნიშვნელოვანესი სამხილი, რომლის შემნეობითაც უამრავი დახლართული მკვლელობა გახსნილა და შერლოკ ჰოლმსი თუ მისი მრავალრიცხოვანი მემკვიდრენი უასეთსამხილებოდ ველარც ნარმოგიდგენია.

დეტექტიურ მოთხრობებსა თუ რომანებში დიდი სერიოზულობით აღწერილი სცენები ნოდარ დუმბაძის ნოველაში პაროდიად უნდა გარდაისახოს:

„გამომძიებელმა ფრთხილად აიღო ერთ-ერთი ნაშენავი, ხელისგულზე დაიდო, დიდხანს უყურა ყბის ნერვიული მოძრაობით დაღეჭილი პაპიროსის ჰილზს, შემდეგ მრავალმნიშვნელოვნად გაახვია ქალაღღში და უბის ჯიბეში ჩაიღო“.

მაგიდაზე ბინის გადაუხდელი ქვითარი და ძხვვის ნაჭერი აწყვია, მაგიდის ქვეშ კი „ვეფხისტყაოსანი“ აგდია იმ ადგილას გადაშლილი, სადაც ძველქართულად წერია: მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები.

სამივე ეს „ნივთმტკიცება“ მალე საბედისწეროდ უნდა გაუხდეს სამ ადამიანს, ოღონდ მანამდე კიდეც ერთი პასაჟია, ამ პაროდული ქმნილების მთავარი ძარღვი:

„ბოროტმოქმედს ოთახში ქუდის, მაკინტოშის, პასპორტის, პირადობის მოწმობისა და კალოშების გარდა არაფერი დარჩენოდა. საქმე რთულ ხასიათს იღებდა“.

დეტექტიური ლიტერატურის კითხვას ისე გაუტაცია გამომძიებელი, რომ ქურდის გამოცდილებად და სიფრთხილედ მიიჩნევს: მან კარი გასაღებით კი არ გააღო, არამედ ნიხლებით შეამტვრია და შეიპარა ოთახში, რასაც კარზე ტალახიანი კალოშის კვალი ადასტურებს.

საერთოდ კი გამომძიებელს მთელი ღამე არ უნდა ეძინოს და მისი ოპერატიული გზინი ელვისებურად მუშაობდეს: სხვა რომც არაფერი, რას უნდა ნიშნავდეს მაგიდაზე დადებული ბინის ქირის გადაუხდელი ქვითარი?

და კიდეც ერთხელ რომ გადაიკითხავს ერთ-ერთი მეზობლის დაკითხვის ოქმს, რალაც ეჭვი გაუჩნდება: დაზარალებულის მოთხოვნაზე – ბინის ქირას მაშინ გადავიხდი, როდესაც რემონტს გამოკეთებთო, სახლმმართველი რომ უპასუხებდა – ფული გაქვს და შენ თვითონ გაიკეთე რემონტიო, განა ეს იდუმალი ფრაზა არ ნიშნავს, რომ სახლმმართველმა იცოდა, სადაც ინახავდა დაზარალებული ფულს?

და ეს ჩვენება და „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონი სავესებით საკმარისია, რათა სახლმმართველი სასწრაფოდ დააპატიმრონ.

კიდეც ერთი ხალისიანი სურათი, გამომძიებლისა და ოპერმუშაკის დიალოგის ერთი ფრაგმენტი:

„– მივყვეთ კალოშს კვალდაკვალ. კალოში შედის ოთახში, უახლოვდება საწოლს და... აქ ინყება მოვლენათა რთული განვითარება... საწოლთან დაგდებული ცალი ტუფლი ხომ გახსოვს, კუნდუხაშვილო?“

– მაგას რა დამავინყებს!

– ადვილი შესაძლებელია, მოხუცს ტუფლის მეორე ცალიც ჰქონდა...

კუნდუხაშვილმა უნდობლად შეხედა გამომძიებელს, მაგრამ მის თვალში ისეთი რკინისებური ლოგიკა და მოვლენათა გასაოცარი თანმიმდევრობა დაინახა, რომ ძალაუნებურად ირწმუნა მეორე ტუფლის არსებობა“.

გამომძიებლისათვის უკვე ნათელია, რომ ბანდაში ქალიცაა ჩარეული, წინააღმდეგ შემთხვევაში ქურდი ქალის ფეხსაცმელს ხომ არ წაიღებდა. მაგრამ ვინ შეიძლება იყოს ის ქალი?

ბოლოსდაბოლოს, შედეგებული სისხლი კვანარახის წვენი უნდა აღმოჩნდეს, მამაკაცის ამაჟროლი ბლავილი – მთვრალის სიმღერა, ქალის ამაზრზენი კივილი – ბებუის ხმა, მეზობლები ნუ გააღვიძო, და ფეხსაცმელიც მაშინ უსვრია შვილიშვილისათვის.

მაგრამ გამომძიებლას ასეთი დასასრული, საქმის ასეთი გახსნა ხელს არ აძლევს. ამიტომ პელაგია ბებია, ვინც მანამდე დაზარალებულად მიიჩნეოდა, უნდა დააპატიმრონ ბოროტმოქმედისათვის ხელის დაფარებისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

ხომ წამოცდა მოხუცს: გოგია იყო, ჩემი შვილიშვილი, არაფერი არ მოუპარია, რაცხა ბაღნობაში ჯანჯუხებს მპარავდა, ეს რა სახსენებელიაო.

გამომძიებლის გონებაში მაშინვე უნდა დაიბადოს ცნობილი ანდაზის ახალი ვერსია: ჯანჯუხების და აქლემის ქურდი ორივე ქურდიაო... და თუმცა ჯერ გოგია მიგნებული არ არის და ძებნა გრძელდება ამ ყალბი საბუთების მქონე ბანდიტისა (პასპორტის მიხედვით, იგი გიორგი საშას ძე

ასათიანია, პირადობის მოწმობა კი ირწმუნება, ჟორა ალექსანდროვიჩი ასატიანიო!), გამომძიებელი ვალმოხდელი სახით მიალაჯებს... მაინცდამაინც კამოს ქუჩაზე.

ეს გონებაბახვილური დეტალი ჰკრავს სიხალისით აღსავსე ნოველას, თუმცა... სიცილის მიღმა ხელშესახებად მოჩანს საბჭოთა მართლმსაჯულებისა და კრიმინალისტიკის დამთრგუნავი, შემზარავი სახე. ის, რაც ლიმილ-ლიმილითაა ნაამბობი და კომიზმის საბურველში ეხვევა, ის რეალობაა, პატიმრობის შეგრძნებას რომ უჩენდა ყოველ ადამიანს და ვედარ გაეგო, რომელიმე ქვეყნის სრულყოფილიანი მოქალაქე გახლდათ თუ სამხედრო ტყვე.

პაროდული ქარგა დიდ ტკივილს იფარავს და იუმორისტულ თხრობაში მოულოდნელად იჭრება ტრაგიზმის სუნთქვა.

... გამომძიებელი კი რენტგენისებური თვალთ აშიშვლებს ყოველ წვრილმანს ოთახში... მაგრამ რა გინდა ილონო, როდესაც ბოროტმოქმედი ქუდის, მაკინტოშის, პასპორტის, პირადობის მოწმობისა და კალოშების გარდა არაფერს ტოვებს.

ცოტა ეს პაპიროსის ნამწვავები გიღვივებს საქმის გახსნის იმედს.

ასანთის ღერიც რომ ეგდოს სადმე, ეს გარემოება კი ნამდვილად გააადვილებდა ბოროტმოქმედის დროულად აღმოჩენას, დროულად, თორემ გამოუძიებელი და დაუდგენელი რა დარჩება იმ ქვეყანაში, რომლის სამართალდამცველნიც – აბა, მიაღვენეთ თვალი ლოზუნგებს – ყველაზე ჭუმანური სამართალდამცველნიც არიან მთელს მსოფლიოში.

გამოსაუბრება

ნინო ვახანია

სიკეთე, რომელიც სულაც არაა ილუზია

შესაძლებელია, ამქვეყნად ბოროტება მოისპოს და საყოველთაო სიკეთემ იზეიმოს? ძალადობის კვალიც გაქრეს და მხოლოდ სიყვარულმა და ურთიერთგაგებამ დაისადგუროს? კაცობრიობის საუკუნოვანი ოცნებაა ადამიანის გაკეთილშობილება, ზნეობრივი სრულყოფა, სულიერი ამაღლება, ერთი სიტყვით, გაადამიანება. დადგება როდესმე დრო, როცა „ალარავინ იტანჯებოდეს და აღარცვისა ჰშიოდეს“, არც ყელამდე სისხლში ვიდგეთ და საერთოდ, სულ სხვის დაჩაგვრასა და ძლევაზე არ ვფიქრობდეთ და ვოცნებობდეთ. შესაძლებელია? კი არ „ვფილოსოფოსობ“, უბრალოდ, ესპანელი მწერლის ანა მარია მატუტეს „ბიჭებისგან“ მიღებული შთაბეჭდილება მინდა გაგიზიაროთ (დაიბეჭდა „ჩვენი მწერლობის“ მე-10 ნომერში, ქართულად თარგმნა ელენორა კუჭავამ).

ბიჭები, ჩვეულებრივი ბიჭები დგანან ერთმანეთის პირისპირ, ერთმანეთი რომ არაჩვეულებრივად ეჩვენებათ, ერთს მეორენი – ეშმაკეულებად, იმათ ესენი – ვინ იცის... ისინი, დაძინდინი და ბოროტნი, შავი ქინძისთავივით მუქი და ელვარე თვალებით პატიმართა შვილები არიან, ამიტომ – ყველასაგან ათვალწუნებულნი.

„ბრბო, ყაჩაღები, მკვლელები“, – ასე ეძახიან ადგილობრივები. მაგრამ ისინი ხომ მხოლოდ ბავშვები არიან. შვილი მამის დანაშაულისთვის პასუხს აგებს? არა, ოფიციალურად აღარ მოქმედებს ხამურაბის კანონი. ბავშვი დაბადებისთანავე დალდასმულია დანაშაულით? დამნაშავის შვილი აუცილებლად ყაჩაღი და მკვლელი იქნება? გახსოვთ, ჩეზარე ლომბროზო, იტალიელი ციხის ექიმი? მან წლების მანძილზე შეისწავლა დამნაშავეთა ფიზიოლოგია და დაასკვნა, რომ გარეგნული ნიშნებით შესაძლებელია პოტენციური დამნაშავის ამოცნობა. თუ მკვლელად, ქურდად, ყაჩაღად დაიბადა, რატომ ვაცალოთ სხვების გაუბედურება. ბარემ წინასწარვე ამოვიცნოთ და მოვუპოროთ საზოგადოებას. სცადეს კიდევ და კიდევ კარგი, რომ იმ ცდიდან არაფერი გამოვიდა. კაცობრიობის ოცნება კი ოცნებადვე დარჩა, სწრაფვა სწრაფვად, – საყოველთაო სიკეთე, საყოველთაო მშვიდობა, საყოველთაო კეთილდღეობა. „ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება“.

აქ კი, მატუტეს ნოველაში ყოფითი, ყოველდღიური ამბავია მოთხრობილი. თითქმის ერთმანეთის ტოლი ბიჭები

დგანან პირისპირ, ერთმანეთისთვის გაუგებარნი, მტრად აღქმულენი. ამათ იქით არ უშვებენ, ისინი თავს ვალდებულად თვლიან, საკუთარი ძალა აჩვენონ, ქვებიც უკეთ ისროლონ. სიტყვებიც მათრახივით მოიქნიონ, დააშინონ და დაჩაგრონ ესენი. საზოგადოება დაყოფილია, ბავშვებიც დაყოფილი არიან დამნაშავეთა და კანონმორჩილთა შვილებად, ლტოლვილებად და არალტოლვილებად, შავებად და თეთრებად, ცუდებად და კარგებად... ეს რეალობაა და ამას ვერსად დავემალებით. ეშინიათ ამათ, სოფლის ჩვეულებრივი ოჯახის შვილებს იმათი, ნახევრად ჭინკებად და ნახევრად მაიმუნებად რომ აღიქვამენ. რაღაც შინაგანი, დაუოკებელი სურვილი ერთმანეთის გაცნობისა იზიდავთ ერთმანეთისკენ და თავის დანებების საშუალებას არ აძლევენ.

ვინმე უნდა ამოიყაროს ჯავრი და ეს ვინმეც გამოჩნდა – ადგილობრივი მმართველის ცამეტი წლის ბიჭი, ეფრენი. მოერია, აჯობა, დაიჭირა, წამოათრია თავისზე გაცილებით უფრო პატივად და გამხდარი გამურული ჭინკა. უზარმაზარმა და სასტიკმა ძალამ თავისი გაიტანა, დაჩაგრა, ჩექმიანი ფეხიც ჩაცხო ზურგში და დასისხლიანებული გაუშვა. აღსრულდა. ყველას უნდა უხაროდეს, „მტერს მტრულად მოექცნენ“. ის კი, თითქოს მართლაც ზვიადაურია, უხმოდ,

უცრემლოდ, ვაჟკაცურად იტანს დამცირებას, ტკივილს, შეურაცხყოფას და იყურება ისეთი გამჭვირვალე თვალებით, „სადაც თითქოს მზე ჩაძირულიყო და ისინი ოქროსფერი გაეხადა“.

ეფრენი, სამართლის გამჩენი „ციციკორე“ ამას ვერ ხედავს, სავსებით დარწმუნებული თავის სამართლიანობაში, აუჩქარებლად, მძიმედ და ზანტად მოქმედებს. მაგრამ ერთი, თუნდაც ერთი ხომ ხედავს მზეს „მტრის“ თვალებზე და ხვდება, რომ „იგი ბავშვია. მხოლოდ ბავშვი, ისეთივე, როგორც სხვები“. დაინახავენ როდესმე სხვებიც?

ცნობილი მწერლის, სოლ ბელოუს სიტყვები გვამშვიდებს: „სიკეთე, რომლისკენაც ყველანი მივისწრაფით და რომელსაც ვებღაუჭებით ბოროტების წინააღმდეგ მდგარი, სულაც არაა ილუზია“.

საგანგებოდ მიხდა აღვნიშნო მთარგმნელის ოსტატობა. ნოველის კითხვისას სრულიად არ იგრძნობა უცხოობა. ესპანელი მწერლის ნაწერი ისე კარგად არის მოქცეული ქართულ ენობრივ სამოსში, რომ მკითხველი თავს შინ გრძნობს. ლაღი, ძალდაუტანებელი თხრობა, პერსონაჟთა მკაფიო, დასამახსოვრებელი სახეების შექმნა უდავოდ მთარგმნელის დამსახურებაა, რისთვისაც დიდი მადლობა მას.

ქრონიკა

საქმეს სჭირდება – ორი ეს სიტყვა სარედაქციო დავალებისას ისეა გასათვალისწინებელი, როგორც კანონმორჩილი რიგითისთვისაა აუცილებელი. მითუმეტეს, რა ელოდება, თუკი ზაფხულის ბულითა და გაურკვეველი იმედებით გათანაგულს, შუაგულ ქალაქში მიგიტოვებენ კერას, სადაც შესაძლებელია, მცირე ხნით მაინც, დაიმყუდროვო პოეტურ სავანეში. თანაც აქ, ეროვნული ბიბლიოთეკის საექტო დარბაზში, მასპინძლობა მართლაც გულითადი გამოხდით და ცალკეულ მინვეულს, ტკბილ სიტყვას თუ ვერა, ღია კარსა და თბილ მზერას მაინც შეაგებებენ.

აუდიტორიაში ყვითელი სავარძლები ისეა განლაგებული, ლაინერის სალონი მოგაგონდებათ. პა და პა, მგ ზაგრითონ რომ უნდა შეივსოს და უცნაურ და მოულოდნელ სივრცეში აფრთხილდეს.

იმ დღეს, 18 ივლისს დარეჯან სუმბაძის პოეზიის საღამო მონაწევრს.

მაინცდამაინც იმ დღეს, დათქმულ დროს, კარები ჩვეულებრივ კი არ მოეღიავენინათ, მოეხურათ. შესასვლელად აჩქარებულს შეგაყოვნებდნენ თავაზიანი და გასაკვირველი მოულოდნელობით – მზადებაათ.

მალე გამომზებურდა ყოველივე. მინვეულთათვის ფერად-ფერადი ფურცლები, უფრო ნარინჯისფერი რომ სჭარბობდა, პოეტი ქალის ლექსებით შეემკოთ და სათითაოდ მოეფრიალებინათ სავარძლებსა თუ მაგიდაზე. ასე რომ, ღონისძიების დაწყებამდე შეგეძლოთ განმარტოვებოდით ფურცელ-ფურცელ უნაზესს სტრიქონებს, და რახან ამკრძალავიც არავინ ჩანდა, ფაქიზად გადაკეცილი ჩანთაში ჩაგვცურებინათ სამახსოვროდ...

საღამო გახსნა და წარმართა მეცნიერების, კულტურის და სა-მოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ გიორგი კილაძემ. ოღონდ მან აუდიტორიას პოეტი ანასტასია წარუდგინა. ცხადია, ვინც ვირტუალურ პოეტურ სივრცეებში ვერ ერკვევა, ანდა ამ საქმეში სულაც ბეცია, დაიზნეოდა. მაგრამ მალე ამ ნატიფ ბუნდოვანებას თვითონ ავტორმა მოჰფინა სხივი. თურმე ლექსებს თხოუმეტი წელია წერს და მოსალოდნელმა და შესაფერისმა პოპულარობამ რახან დაავიანა, მეგობრის, რეზო გეთიამ-ვილის რჩევით, ლიტერატურულ ვებგვერდზე საკუთარი ნაღვანი ფსევდონიმით – ანასტასია – განათავსა. და შედეგმაც რომ არ დააყოვნა – აშკარაა. ანასტასია – დარეჯან სუმბაძე პუბლიკას უყ-

ვარს და ეს იმდღევანდელმა ღონისძიებამაც დაადასტურა. მართალია მისი ლექსები პროფესიულ ჟრილში არავის განუხილავს, სამაგიეროდ, პათეტიკური ემოციები, რაც ამ ნიჭიერი ქალის ლექსებს ესადაგებოდა, არ მოჰკლებია დარბაზიდან თუ ნამყვანის მხრიდან.

ითქვა ანასტასია – დარეჯან სუმბაძის ლექსების სინატიფეზე, განუმეორებლობაზე, ღრმა ფილოსოფიურ ნიაღვრებზე: ცალკეული სტრიქონები კი არა, ყოველი ბგერა სულით პოეტის ნიშნითაა აღბეჭდილი. იმდენად მოზღვავედა შთაბეჭდილებები, დარბაზში მსხდომთა შორის მგზნებარე დიალოგები გაიმართა. ცოტა არ იყოს ხელისშემშლელად, რადგან იქაური ღონისძიებები იშორებდა, რედაქტირდება და ინტერნეტში ლიტერატურულ ვებგვერდზე განსათავსებლად მზადდება.

ანასტასია-დარეჯან სუმბაძე დროდადრო საკუთარი ლექსების კითხვას თავს ანებებდა, რათა ცნობისმოყვარე აუდიტორიისათვის ეპასუხა. ნამოჭრილ კითხვას – რად უნოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარესო – საინტერესო და დამაჯერებელი განმარტება შეაგება. ხოლო როცა მისი ლექსების იმ თავისებურებას შეეხნენ, სადაც ლირიკას პოლიტიკური კრიტიკა და ფილოსოფიური განხვანი ენაცვლება, დაბეჯითებით აღნიშნა თავისი დიდი მოქალაქეობრივი თანაგრძნობა ყველა უსამართლოდ ჩაგრული-სა და დევნილისადმი.

ვიდრე პოეტსა და აუდიტორიას შორის შეხვედრა გულწრფელი სიყვარულით დასრულდებოდა, ნელი კაციტაძემ ნაიკითხა მისი ლექსის – „სახლი VII სართულზე“ საკუთარი თარგმანი ფრანგულად. ხოლო ხალისიანი მოგონებები ანასტასია-დარეჯან სუმბაძის ბავშვობის მეგობარმა თამუნა მარუაშვილმა გაახმაურა, რითაც გაქარწყლდა ის უკმარისობა, აუდიტორიას რომ შეჰყროდა ამას წინათ, ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული ლექსების წინასიტყვაობის ნაკითხვისას – „ბიოგრაფია თითქმის არ გამაჩნიაო“ – დარეჯან სუმბაძე იქ რომ აღნიშნავდა, ყოფილი მხოლოდ მოკრძალების გამოხატვა.

პოეტი დიდხანს, ძალიან დიდხანს ატკბობდა აუდიტორიის ლექსებით, და თუ არ ვიგულისხმებთ დარბაზიდან თითო-ოროდ გაკრეფილ მსმენელს, დასწრება იყო ბოლომდე მოუწყინარი და მშვენიერმა ანასტასიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა – პოეტები შეუდარებელი დეკლამატორები არიან.

ვუყურებ სენატს და ვლოცულობ ხალხისათვის

*

„ათი ამერიკელის“ განხილვა

„ათი ამერიკელის“ გამოჩენა ქართულ ლიტერატურულ-კულტურულ სივრცეში ისეთ გამოცოცხლებას იწვევს მკითხველთა წრეებში, ისეთი მოლოდინი ჩნდება ამ ყაიდის გამოცემების გაგრძელებისა, როგორ გინდა ეს მოლოდინი გაანბნო და უკვე არ ჩაუჯდეს, ვთქვათ, „თორმეტი ამერიკელის“ მომზადებას, კრებულისა, რომელიც თვითონვე მოიყოლებს „ათ ინგლისელს“, ის ათი ინგლისელი მწერალი მერე თორმეტი გახდება, თხუთმეტი, ოცი... ამა-სობაში „ათი ფრანგი“ შემოაღებს ქართული ლიტერატურის კარს, „ათი გერმანელიც“, „ათი ესპანელიც“ „ათი იტალიელიც“... ათმა სპარსელმა ან არაბმა მწერალმა რაღა დააშავა...

„ათი ამერიკელის“ განხილვას **როსტომ ჩხეიძე** ამ თემაზე საუბრით გახსნის, პირველ ყოვლისა, გამომცემელთა ჩანაფიქრს აცნობს აუდიტორიას, ვიდრე ორიოდ სიტყვით ჩამოჰყვებოდეს იმ ათი ამერიკელი მწერლის ზოგად პორტრეტებს, ქართველ მკითხველს ამხელა სიხარული რომ აჩუქეს.

ორიოდ სიტყვას მსმენელი, ცხადია, არ კმარობს და მიტომაცაა მომზადებული **ინგა მილორაჯას** ვრცელი და უაღრესად ფასეული მოხსენება ორი ლიტერატურის შეხვედრაზე და თარგმანის ხელოვნებაზეც:

„ამ წიგნის საშუალებით ჩვენ შევავიწყეთ სამყაროში, რომელიც თავისი სატკივართა და სათქმელით ჩვენიცაა, ჩვენთვის გასაგები და მნიშვნელოვანი. ეს წიგნი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ შინაგან ერთიანობას, რომელიც ტრადიციულად არსებობს დასავლური თუ ამერიკული ლიტერატურის სამყაროსთან.“

ჩემი სუბიექტური განცდა ამგვარი იყო, როცა ეს წიგნი გადავშალე. თითქოს გოთური სტილის სასახლეში მოვხვდი და ნახევრად განათებულ ინტერიერში კიბეს აუყუყვი. კედელზე კიდია ათი პორტრეტი – ათი წინაპრისა. განათებულ ცეცხლის მკრთალი სინათლით – თავთავისი განსაკუთრებული ადგილი აქვს სასახლეში. მკრთალი ცეცხლის ალი ის ტკივილია, რომელიც ყოველი ადამიანის გულში ანთია და ის განცდაა, რაც ამ მწერლებს აცოცხლებს ჩვენს წარმოსახვაში...

ეს ასოციაცია შეიძლება იმიტომაც გამიჩნდა, რომ პირველი ნოველა ედგარ პოს „შავი კატა“, პოს სამყარო კი სწორედ გოთური სტილის სამყაროა.

„შავი კატა“ განსაკუთრებული ნაწარმოებია, ძალზე ნიშნული პოს სტილისათვის, მისი მხატვრული აზროვნე-

ბისთვის. მისი სიმბოლოები, მისტიკურობა, იდუმალება, აბსტრაქტულობა და იმავდროულად კონკრეტულობა ძალზე ხელშესახებია ამ ნოველაში.

მიუხედავად იმისა, რომ პო სიმბოლური ხატებით აზროვნებს, ის მსჯელობს კიდევაც და ახსნას აძლევს ყოველივეს, თუნდაც ერთი ფრაზით. ამ ნოველაში არის წინააღმდეგობის სული, რომელიც ხსნის ამ ნოველის შიდა შრეებს. აქ მწერალი ამბობს ასეთ ფრაზას: ადამიანის მერყევი და წარმავალი მეგობრობა შედარებით ცხოველის მეგობრობასთან...

ადამიანის მერყევი და წარმავალი მეგობრობა ანგრევს ამ ადამიანის სულს და იგი სასტიკი ხდება ცხოველის, ცოლისა და საკუთარი თავის მიმართაც. ამ ერთ ფრაზაშიც ჩანს ის ტრაგედია, რასაც ადამიანის სული მიჰყავს მკვლელობამდე...

ზუსტი და სახიერია ამ ნოველის განწყობილება და არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ ამ განწყობილებით იწყება ჩვენი სვლა „გოთური სასახლის“ კიბეზე...

ელუარდ ჰეილის „უსამშობლო კაცი“ ასევე მოგვითხრობს იმ უმთავრეს ადამიანურ ტკივილზე, რაც დღეს განსაკუთრებულ მძაფრ ყურადღობას იძენს... ყოველი ადამიანი ადრე თუ გვიან უნდა დაფიქრდეს და მიხვდეს, განიცადოს, თუ რას ნიშნავს „უსამშობლოდ დარჩენა... განსაკუთრებით მაშინ, როცა ადამიანი თვითონ ამბობს უარს სამშობლოზე.“

ეს შეიძლება ამერიკულ სინამდვილეში ერთი კაცის ბედად არის გააზრებული, მაგრამ ჩვენ შეიძლება მთელი ერის ტრაგედიადაც გავიაზროთ.

ელუარდ ჰეილი უსამართლოდ მივიწყებული მწერალია. ვინც ამ მოთხრობას ნაიკითხავს, არ შეიძლება დარჩეს გულგრილი, რომელი ერის წარმომადგენელიც უნდა იყოს. ზღვებზე მოხეტილ ნოლანისათვის სამშობლო ბოლოს აღარ არის მხოლოდ ფიზიკური ცნება, ის სულიერი ცნებაა და სწორედ სულიერი სამშობლოს დაკარგვა ყველაზე დიდი ტრაგედია და ეს განცდა თითქმის რელიგიურ სიმაღლეს იძენს გმირის არსებობაში.

სტივენ კრეინის მოთხრობა „პატარძალი ჩავიდა იელოუ-სკაიში“ ერთი შეხედვით არ წარმოგვიდგენს მასშტაბურ პრობლემებს. ამ ნოველაში ჩვენ შევესწრებით მარად-კაცობრიულ, ზოგადად ადამიანურ სცენარს, რადგან თითქოს ჩვენც ჩავდივართ იმ პატარძალთან და ჯექ პოტერთან ერთად იელოუ-სკაიში... ერთი შეხედვით ადამიანურ სახედაკარგულ კაცში იღვიძებს რაინდული სული, კეთილშობილება... ის მიდის და ქვიშაზე მხოლოდ ნაკვალავი რჩება.

შერუდ ანდერსონის „ნეტა მაცოდინა“ – რთულია ჩვენდეთ აქ წამოჭრილ კითხვას. ამ მოთხრობაში კარგად არის ნაჩვენები ბიჭი, რომელიც კარგავს სინძინდის, სისუფთავის შეგრძნებას, ველარ ალიქვამს სურნელს, ხალი-სიან ფერებს, ხმებს და ის სვამს კითხვას: ნეტა მაცოდინა, რატომ გადადგა ჩემთვის ძვირფასმა ადამიანმა ისეთი ნაბიჯი, რომ მე ეს სამყარო დამაკარგვინა.

ამ კრებულში საერთოდ ბევრი კითხვებია. არის ნაწარმოებები, რომლებშიც პასუხი გაეცემა ზოგ კითხვას. მაგალითად, ჰეილიმა უპასუხა ერთ მთავარ კითხვას, მაგრამ ისე უპასუხა, რომ ახალი კითხვა გაჩნდა. „ნეტა მაცოდინა“ მთელი კრებულის ქვესათაურადაც შეიძლება ვიგულისხმოთ... ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი, უილიამ ფოლკნე-

რი, ერნესტ ჰემინგუეი, ტომას ვულფი, ჯერომ სელინჯერი...

დაკარგული სამშობლო, დაკარგული დრო, გარესამყაროში დაფანტული ადამიანები... ამ მწერლების სამყარო, ყოველი სურათი, ფრაზა შეიძლება იქცეს მსჯელობის საგნად...

გვი ალხაზიშვილი:

„როსტომ ჩხეიძეს კარგად აქვს ჩამოყალიბებული წინათქმასი ის მთავარი კონცეპტუალური მხარე, რაზეც აიგო „ათი ამერიკელი“. ამ კონცეპტუალური, მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულების გარეშე ამ წიგნს უთუოდ რაღაც მოაკლდებოდა. იმის თქმა მინდა, რომ მექანიკურად არ არის თავმოყრილი ეს ათი მოთხრობა.

60-იან წლებში გამოიცა ამერიკული ნოველის ორტომეული, შესანიშნავად შედგენილი ცილა თოფურიძის მიერ. დღემდე არ გამწვანებია ის მძაფრი შთაბეჭდილება და სიხარული, რომელიც იმ წიგნმა მომანიჭა და სწორედ იმ გარემოში და იმ ფონზე, როდესაც თითქოს ხრუშჩოვისეული დათბობის ხანა იყო და გარკვეული უფლებამოსილება – მოჩვენებითი, ცხადია, – მინიჭებულიც ჰქონდათ მწერლებს, რომ ცენზურას დასხლტომოდნენ. იმ წიგნის გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო ჩემზე, არამედ მაშინდელ მკითხველ საზოგადოებაზე და, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ იმ გამოცემის დაზოგადად ამ კრებულში – „ათი ამერიკელი“ – შეტანილი ნოველების მთარგმნელთა დიდი ღვაწლიცაა, რომ ქართული პროზა ცოტა სხვაგვარი გახდა.

ეს შეხება ერთი ლიტერატურისა მეორე ლიტერატურასთან, ურთიერთგამდიდრების პროცესი, რაც კულტურტრეგული მოღვაწეობის შედეგია, ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ცალკეული ნოველების განხილვას არ დავიწყებ, მხოლოდ ჩემი პირადი დამოკიდებულება მინდა გამოვხატო. 1891 წელს დაბადებულმა მილერმა იცხოვრა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებამდე. ღრმა მოხუცებული გარდაიცვალა, თუმცა 30 წლამდე არაფერი გაუკეთებია.

აქვე შეტანილია ტომას ვულფის საუკეთესო ნოველა „დაკარგული ბიჭი“, მწერლისა, რომელმაც 26 წლისამ დაწერა გენიალური რომანი „მოხედე შენს სახლს, ანგელოზო“.

იხილავთ 1896 წელს დაბადებული სკოტ ფიცჯერალდის ერთ მოთხრობასაც, შემდეგ მას ქრონოლოგიურად მოსდევს ერთი წლით უმცროსი ფოლკნერი და ფოლკნერზე ერთი წლით უმცროსი ჰემინგუეი და 1900 წელს დაბა-

დებული ტომას ვულფი – ეს რაღაც უცნაური კოჰორტაა მწერლებისა, რომლებიც სტილური თვალსაზრისითა და მსოფლმხედველობით, ესთეტიკით უაღრესად განსხვავებულინი არიან ერთმანეთისგან.

ამ ათ ამერიკელს შორის, როგორც აღინიშნა, ცოცხალია მხოლოდ ჯერომ სელინჯერი და ისიც განდევნილი ბერივით ცხოვრობს და გარეყულია.

მინდა ვკითხო როსტომს, რამ გადაწყვეტინა, რომ ჰენრი მილერი, რომელიც უფროსია ჩემს მიერ ჩამოვლილ მწერლებზე, ქრონოლოგიურად შეტანილია კრებულის ბოლოს, როგორც ყველაზე გვიან გარდაცვლილი?“

როსტომ ჩხეიძე:

„ტექნიკური მიზეზით, სხვა არაფერი. ყველა ნოველაა, ხოლო მილერის ნაწარმოები არის ფრაგმენტი რომანიდან, რომელსაც ნოველის სახე აქვს, ამიტომ გამოვაცალკევეთ, თუმცა კრებულის მთლიან ჩარჩოს არ არღვევს“.

ქეთევან ტომარაძე:

„გასული საუკუნის 60-იანი წლების მკითხველს კარგად ემახსოვრება „ცივი ომის“ ეპოქაში ამერიკული მწერლობის ნიმუშების რუსულ თარგმანებთან ზიარების ნეტარი წუთები. პირველი წარმატებული ცდები, თითქმის ამავედროულად, ქართულ ენაზეც გამოჩნდა. მახვილ თვალს არ გამოპარვია უმთავრესად ცენზურაგამოვლილ ნაწარმოებებთან რომ ჰქონდა საქმე – ვრცელი კუბიურები ხომ აშკარად ელფერს უკარგავდა ავტორისეულ ჩანაფიქრსა და იდეურ მიზანდასახულობას. მიუხედავად ამისა, მაინც ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მკითხველი საზოგადოება მომსწრე გახდა და გაითავისა მანამდე უცნობი, სრულიად განსხვავებული მწერლური ექსპერიმენტი, სუბიექტური ხედვის, გარესამყაროსთან, საზოგადოებასთან პიროვნული იდენტიფიცირების საინტერესო მწერლური მიგნებები.

დღეს ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე გადასვლამ და „აკრძალული ხილის სინდრომისაგან“ გათავისუფლებამ, სხვაგვარად წარმოაჩინა მშვენიერი კრებული – „ათი ამერიკელი“, რომლის გამოჩენაც წიგნის ბაზარზე ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების მოვლენად იქცა.

როსტომ ჩხეიძის შესავალი წერილი, „ბილიკები ჯადოსნურ ტყეში“, ამერიკულ მწერლობაზე დამოუკიდებელ ნაშრომად რომ მოიაზრება და ნებისმიერ სამეცნიერო გამოცემას დაამშვენებდა, ორგანულად შეერწყა კრებულს.

იგი აღიქმება როგორც საუცხოო გზამკვლევი გასული საუკუნის დასავლური აზროვნების, სხვადასხვა დროს მოღვაწე ავტორთა შემოქმედებითი თავისებურებების, მწერლური ოსტატობის, ადამიანისა და ყოფიერების ხედვის –



ილუსტრაცია სტივენ კრეინის ნოველისა „პატარძალი ჩავიდა იელოუ-სკაიში“

ყველა იმ ნიუანსზე დაკვირვებისა და შესწავლისათვის, რამაც თავის დროზე საბჭოთა მენტალიტეტი საფუძვლიანად შეცვალა და, ფაქტობრივად, სათავე დაუდო ლირებულებათა გადაფასებას.

„რომაელები თავიანთ დროშებს ეთაყვანებოდნენ; ხოლო დროშებზე არნივი ჰქონდათ გამოსახული. ჩვენს დროშას არნივის მხოლოდ ერთი მეთაფი – დოლარი წარმოადგენს, მაგრამ ამ ნაკლს გაათმაგებული ლოცვით ვივსებთ“, ირონიულად შენიშნავდა ედგარ პო ერთ-ერთ ნერილში 1849 წელს.

ევროპა მუდამ შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს, აკვირდებოდა და სწავლობდა იმ ადამიანთა ყოფასა და ფსიქიკურ წყობას, რომელთა კერპად ქცეულ სიმბოლოს – დოლარს, ედგარ პო, ამერიკის ერთი ლირსეული შვილი, ასე ზუსტად და სახიერად განსაზღვრავს. ნიშანდობლივია, რომ დოლარის დიადი ძალმოსილება, გარდა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა, არც თუ ვიწრო, ასპარეზისა, ამერიკულ კულტუროლოგიურ სივრცესაც მთელი სიგრძე-სიგანით განმსჭვალავს.

„ათ ამერიკელში“ თავმოყრილ მოთხრობებს იმგვარ გარემოში შეჰყავს მკითხველი, რომ თითოეული ნაწარმოები უადვილებს მას ამერიკულ ფასეულობებში გარკვევას, ეხმარება, უკეთ „ჩანვდეს ამერიკის სულს“, იმავდროულად, საკუთარ თავში ხელოვნური, ყალბი დანაშრეები აღმოაჩინოს და ზნეობრიობის შკალაზე მათ სათანადო ადგილი მიუჩინოს.

კრებულიდან კარგად გამოჩნდა ამერიკული პროზის ქართულად თარგმნის დინამიკა და ტრადიცია, ის გარემოება, თუ დროთა ვითარებაში, როგორ იხვეწება ქართული მთარგმნელობითი სკოლა, რა სიკეთე მოაქვს ადამიანის პიროვნული სრულყოფის, უკეთეს მერმისზე ოცნებასა და მასზე ზრუნვისათვის კულტურათა ინტეგრაციის პროცესს.

წლობით დაგროვილ გამოცდილებას უკვალოდ არ ჩაუვლია. ძველი და ახალი პლუადის მთარგმნელთა – ერეკლე ტატიშვილის, ციალა თოფურიძის, ვახტანგ ჭელიძის, პაატა და როსტომ ჩხეიძეების და სხვათა და მსახურებაა, რომ დღეს, ისევე როგორც მრავალი წლის წინათ, ქართველი მკითხველი ინტერესით ეცნობა ამერიკელ მწერალთა ნაწარმოებებს, ითავისებს ათი ამერიკელის ძლიერ და ფაქიზ გულისფეთქვას და საკუთარ გულის-თქმას სიყვარულითა და მოწინებთ მიუსადაგებს“.

რუსუდან ნიშნინიძე:

„სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ხელთ გვაქვს მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანი კრებული.

სულაც არა მგონია, რომ „ათი ამერიკელი“ გახლავთ ეგ ზოტიზაცია უცხო ლიტერატურის. ეს არის ის ათი კაცი, რომელიც საქვეყნოდ ფიქრობს და მათი ნაფიქრი ყველასათვის ანგარიშგასაწევია და ძალიან საყურადღებო.

ეს წიგნი გახლავთ ნიმუში თარგმანის ხელოვნებისა. ამავე დროს ერთ საინტერესო აქცენტს გვთავაზობს. თარგმანი ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და როცა მთარგმნელები ამა თუ იმ ავტორს, მოვლენას, ნიმუშს მიმართავენ, სწორედ იმ კულტურული სივრცის გათვალისწინებით, – რა სჭირდება მათ ლიტერატურას, იმ გარემოს, რომელშიც მათი მკითხველები მოიაზრებიან.

ეს კულტურათა გზაჯვარედინი ძალიან მნიშვნელოვანია ორივე მიმართულებით – ქართულიდან ითარგმნება თუ უცხოური ლიტერატურიდან – ეს ისე ფაქიზად და დიდი სიზუსტითაა გათვალისწინებული ამ კრებულში.

ერეკლე ტატიშვილის დიდებული სახელით იწყება ეს თარგმანები... ციალა თოფურიძე, ვახტანგ ჭელიძე, პაატა და როსტომ ჩხეიძეები, ვალენტინა ტატიშვილი. ეს ის გვარებია, ის პიროვნებები არიან, რომლებმაც შექმნეს ქართული თარგმანის ისტორია. ასევე თამაზ ნატროშვილი, რომელზეც ცალკე მინდა ვისაუბრო...

თარგმანის ხელოვნება გულისხმობს არამარტო რას, არამედ როგორ...

როგორი სიმარჯვით არის შენარჩუნებული ის მხატვრულ-ჟანრული პრინციპი... რადგან ნოველის თარგმნა გულისხმობს მოულოდნელობის წარმოჩენას არა მარტო აზრობრივ სიბრტყეზე, არამედ ემოციური თვალსაზრისითაც. და სწორედ აქ ჩანს მთარგმნელის ოსტატობა.

ყველა ამ კომპონენტის მიხედვით ეს მართლაც გამორჩეული კრებულია.

როცა სასულიერო პირსა და მწერალს ჰვიღს ჰკითხეს: „მისტერ ედვარდ, თქვენ ლოცულობთ ამერიკული სენატისათვის?“ მან უპასუხა: „მე ვუყურებ სენატს და ვლოცულობ ხალხისათვის“. – გენიალური პასუხია, და არა მხოლოდ დიდი სასულიერო მამისა, არამედ დიდი მწერლისა, რომელიც იმდენად ზოგადი და მრავლისმომცველია, როგორც მისივე მოთხრობა „უსამშობლო კაცი“ – ასე არაჩვეულებრივად ნათარგმნი თამაზ ნატროშვილის მიერ. მან საოცრად ზუსტი დრო შეარჩია ნაწარმოების გამოსაქვეყნებლად, რადგან ყველა თემას, ყველა პრობლემას თავისი დრო აქვს... და როდესაც ჰვიღის ეს მოთხრობა ნავიკითხე „ჩვენს მწერლობაში“, შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, დავავალე ჩემს სტუდენტებს დაენერათ მცირეფორმიანი რეცენზიები... გახსოვთ ალბათ, ეს რეცენზიებიც დაიბეჭდა გაგრძელებით „ჩვენს მწერლობაში“. მთელი თვის მანძილზე გაზეთი ხელიდან ხელში გადადიოდა და დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია უნივერსიტეტში. აქვე მინდა აღვნიშნო ირაკლი ბლუნიშვილის ხელოვნებაც, რომლის მიერ გადაღებული ფოტოპორტრეტები ძალიან ამშვენებდა სტუდენტურ რეცენზიებს და თითოეული სტუდენტი გარკვეული ფსიქოლოგიური რაკურსით იყო აღბეჭდილი, რაც პუბლიკაციას თავისებურ ხიბლს სძენდა.

თაობა, რომელიც ამგვარ ლიტერატურას თარგმნის, ბეჭდავს და კითხულობს, ასე მგონია, სრულიად სხვაგვარად მოუფრთხილდება თავის სამშობლოს“.

როსტომ ჩხეიძე:

„სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში კლიპური აზროვნება სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრება. ჩვენი დღევანდელი, თუნდაც ჩვენი დღევანდელი სხდომა აირეკლავს ამ კლიპურობას – ხანგრძლივი ეჩვენებათ ის დრო, რაც ეთმობა ლიტერატურაზე საუბარს...“

რაც აქ ითქვა, ძალზე საგულისხმოა და დამაფიქრებელი... რაც უფრო მალე გამოვერკვევით კლიპურობის მავნე ზეგავლენისაგან, მით უკეთესი.

ბატონო თამაზ, დღევანდელი დღის გმირი ბრძანდებით და თქვენც ხომ არ გვეტყოდით რამეს?“

თამაზ ნატროშვილი:

„იმდენად საინტერესო გამოსვლები იყო, რაღა უნდა ვთქვა...“

ვიტყვი, რომ ამ წიგნის პრეზენტაცია დროული იყო, სწორედ დღეს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ამქვეყნად არსებობს მეორე ამერიკაც – ამერიკა ვულფისა, ფიცჯერალდისა, სელინჯერისა... და მათი პერსონაჟებისა...

ისინი ძალზე ახლობლები არიან ჩვენთვის. მე, მაგალითად, როცა ვკითხულობ ტომას ვულფის „დაკარგულ ბიჭს“, უცნაური გრძნობა მიპყრობს... იქ სიტყვაც რომ არ შეცვალო და მხოლოდ სახელი გადაარქვა ბიჭს, თუნდაც ქართული უნოდო – არაფერი შეიცვლება...“

ბუნებით სექსპტიკოსი ვარ, მაგრამ ქ-ნ რუსუდანის სტუდენტების ნაწერებმა ჩემში ოპტიმიზმი გააღვიძა. ოც-მა სრულიად სხვადასხვა სტუდენტმა შეძლო თავისი ორიგინალური ხედვა წარმოეჩინა.

ეს მშვენიერი წამოწყება კვლავაც გაგრძელდება, კიდევ მზადდება ასეთივე კრებული. ამჯერად თორმეტიო, ასე მომესმა...“

როსტომ ჩხეიძე:

„შეიძლება თხუთმეტიც გახდეს... ვნახოთ...“

თამაზ ნატროშვილი:

„ერთხანს ძალიან გამიტაცა შალამოვის – XX ს-ის რუსული პროზის ამ საუკეთესო ოსტატის – თარგმნამ და თავიც მოვაბეზრე როსტომს, მან კი ულტიმატუმი წამომიყენა – სამი ამერიკელის თარგმნა ერთი რუსის სანაცვლოდ. ეს ძალიან მკაცრი ულტიმატუმი, პირდაპირ არტახებია...“

ამერიკელები ასე ქუჩაში კი არ ყრია... ფიცჯერალდები და სელინჯერები... ეს ხუმრობით... და ალბათ გაგრძელდება ამერიკული ლიტერატურის თარგმნის სერია, ინგლისური პროზაცაა ჩაფიქრებული. ჯერჯერობით კი ეს თორმეტი თუ თხუთმეტი ამერიკელიც. ისე რუსული ლიტერატურის თარგმნაც არ იქნებოდა ურიგო, ამ კრებულის ანალოგიით შეიძლება ასე დასათაურებულიყო: „შვიდნი ჩრდილოეთიდან“ – შევიდოდნენ იქ შალამოვი, ასტაფიევი, ლიმონოვი, კაზაკოვი... მაგალითად, შალამოვს აქვს ასეთი მოთხრობა, რომელსაც ჰქვია „ალექსანდრე ლოლობერიძე“ და არის გულაგში გატყვევებული ქართველი კაცის ქება-დიდება. ნოდარ ებრაღიმე თარგმნა თავის დროზე აქსიონოვის „ადგილობრივი ხულიგანი – აბრამაშვილი“... ძალიან კარგი წამოწყებაა და ვისურვებდი გაგრძელდეს“.

როსტომ ჩხეიძე:

„სამი ამერიკული კრებული რომ გამოვა, მერე ერთი რუსულიც იყოს“.

პაატა ჩხეიძე:

„ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა ქალბატონ ციალა თოფურიძეზე, რომელიც გახლდათ ერთ-ერთი პირველი შემომტანი ამერიკული ნოველისა. მისი სტუდენტი ვიყავი, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიას გვიკითხავდა და მან გვაზიარა ამ უჩვეულო სამყაროს.“

რამდენიმე შესანიშნავ პიროვნებას, მთარგმნელს კიდევ ერთხელ შეგვახვედრა ამ კრებულმა.

ბატონ თამაზის აზრს გავაგრძელებ. 70-იან წლებში ამერიკელები რომ ჩამოდიოდნენ, მათთან მიკარების უფ-

ლება არ გვქონდა და ისინიც, როგორც ზოოპარკის ბინადართ, ისე გვათვალისწინებდნენ.

დღეს ამერიკელები ჩვენი ყოველდღიურობის აუცილებელი ატრიბუტი გახდა, მაგრამ ეს ამერიკელები არაფრით გვანან იმ მწერლებს და მათ ამერიკას.

პირიქით, ამათგან უმრავლესობას თვითონაც არა აქვთ ნაკითხული ეს მწერლები და არც ის მოსწონთ, რომ ჩვენა გვაქვს ნაკითხული და მათზე უკეთესად ჩვენ ვიცნობთ ამერიკულ ლიტერატურას.

ორი ამერიკა ნამდვილად არსებობს. დღევანდელი ამერიკელები იმ რუსი ოფიცრის მსგავსად „მგზავრის წერილები“ რომ გვაცნობს, „იზლერის ბალს“ ნატრობენ საქართველოში, და არის ამერიკა, რომელიც ჩვენში არც გეოპოლიტიკას ეძიებს, არც დერეფანს, არც ხიდს, არც არაფრით გვანუხებენ. ეს ამერიკელები უფრო ახლობლები არიან ჩვენთვის. ეს არის სულიერი ამერიკა, რომელიც ამ ქვეყნის ნამდვილ ფასეულობას დაგვანახებს“.

ლევან ქურციკაშვილი:

„გამასწრო ზურაბ კანდელაკმა... მაგრამ მაინც ვიტყვი, ხომ არ შეიძლება, სანამ რადიოც სულ არ გადაშენებულია, შეიქმნას რადიო-მუსიკალური დადგმა ედუარდ ჰეილის „უსამშობლო კაცისა“. ეს ისეთი მასალაა, რომ არაჩვეულებრივი სცენარი მომზადდება.“

ქ-ნმა რუსუდანმაც აღნიშნა, დროული იყო ამ მოთხრობის გამოქვეყნება, მე პირადად გავაკეთე ქსეროასლები გაზეთიდან და ყველას დავურიგე, ვისთანაც ხელი მიმინვდა – სტუდენტებსა თუ კოლეგებს...“

და, სამწუხაროდ, ის განწყობა, სიღრმისეული ნაკითხვა, აღქმა, რაზეც ქ-ნი რუსუდანი საუბრობდა, რასაც აქ ვხედავ, ამ დარბაზში, ვეღარ დავინახე... გული მტკიავა, რომ ფართო საზოგადოებას ეს ტკივილი აღარც ესმის და აღარც აინტერესებს.

ედუარდ ჰეილის ეს მოთხრობა სასწავლო სახელმძღვანელოებშიც უნდა შეიტანონ. უბადლო თარგმანია და, ვიმედოვნებ, მომავალში მაინც ექნება საკადრისი რეზონანსი საზოგადოების მხრიდან“.

როსტომ ჩხეიძე:

„ამ გამოცემაში თითო ნოველას ერთვის თითო ილუსტრაცია, არაჩვეულებრივად გაფორმებულია კარლო ფაჩულიას მიერ. ამ მხრივაც მნიშვნელოვანია ეს გამოცემა. კარლოს უამრავი ქართული მოთხრობა აქვს ილუსტრაციით შემკული, მათგან ათ-ათი ნამუშევარი გვინდა შევარჩიოთ და გამოვფინოთ. გამოფენას ერქმევა: „ათი ქართველი და ათი ამერიკელი“. მეც მჯერა, რომ მოვა დრო და ეს კრებული მოიპოვებს იმ მნიშვნელობას ქვეყნისთვის, რაც მას ჯერ მხოლოდ ვინრო, ლიტერატორთა წრეში აქვს“.

საგულისხმო იყო გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების **ბექა ლუდუშაურისა** და **ნანა ალექსიძის** გამოსვლები. ბექამ გამოარჩია სამი ნოველა – ედგარ პოს „შავი კატა“, შერვუდ ანდერსონის „ნეტა მაცოდინა“ და ჯერომ სელინჯერის „ბანანათევზის ამინდი“, ხოლო ნანამ ისეთი პროფესიული ანალიზი წარმოადგინა „ათი ამერიკელისა“, რომელიც შინაგანი აღნაგობით, ერთი მთლიანობის მრავალფერად გამოსხივებად გაიზარა, რომ მისი გამოსვლის ტექსტი უცვლელად გამოქვეყნდა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ პირველივე ნომერში.

ვოლფ ბირმანი

შტაზი!

ბალადა

1

შტაზის საცოდავ ძაღლების მიმართ დავალებულად ვგრძნობ თავს ძალიან მე უნდა მზევერონ გულდასმით იმათ მუდამ – თოვს წვიმს თუ ქარიშხალია მიკროფონიც კი ჩამიდგეს სახლში რომ არ გამოჩრეთ არცერთი ბგერა ჩემს ოთახებში თუ ფეხსალაგში წყევლა, ხუმრობა ანდა სიმღერა – შტაზელო ძმანო გაქვთ ძმობის ნიჭი მხოლოდ თქვენ იცით რაც კი რამ მიჭირს

მხოლოდ თქვენ ძაღვით დადასტურება თუ ძალისხმევა ჩემი მგზნებარე დიდ საქმეს როგორ ემსახურება თან ერთ რამეშიც კი დამეხმარეთ სიტყვა ხომ ქრება ისე ადვილად თქვენ კი აცოცხლებთ ფირზე ჩანერით ზოგ-ზოგჯერ დიას! ვიცო ნამდვილად თქვენ ჩემ სიმღერებს სანოლში მღერით – დამსახურებად გითვლით ღმერთმანი: რომ შტაზი არის რომ შტაზი არის ჩემი მდივანი ეკ... ეკერმანი?

2

ვთქვათ ერთხელ გვიან დავბრუნდე ღამით კარგა მოღლილი ჩემ კარ-კუთხეში ვიყო მარტოკა თან ლუდნასვამი და მუტრუკები დამხვდნენ უხეში სულ უმიზეზოდ ხელი დამტაცონ და ზედ კარის წინ მომკლან გამძარცვონ – ეს არ მოხდება არა მიხვდებით – მათგან მიხსნიან ეს რუხი ძმები აღიკვეთება განზრახვა ავი გადამარჩინენ – გინდათ ნიძლავი?!

თან დასავლური პრესა ამ ამბავს ხომ უსიკვდილოდ უღბრიხტს შეაბამს გაღმა ეს უყვართ და ეხერხებათ ეს რომ ასეა – ნიძლავი გნებავთ?! ამავე დროს ხომ ვართ კომუნისტები ნამდვილად არა ანარქისტები კერძო ტერორი მარქსის თუ გვესმის შეცდომა არის უუდიდესი სხვა რაღა მრჩება მე სანატრელი თუ შტაზი არის თუ შტაზი არის ჩემი ერთგული პირადი მცველი



3

ან – მაგალითი მომყავს ნამდვილი – აღვირახსნილი ეს ჩემი სტილი ეს მაგნე ჩვევა სექსუალური ცოლისთვის ტანჯვა და ფატალური სულ ეს სურვილი განზე გახვევის სხვა საძოვრებზე ნაბალახების – ან გადაეცვა ყველაფერს ხაზი რადგანაც ფხიზლად მდარაჯობს შტაზი გამოირიცხა ამიერიდან ქლიავის კრეფა სხვადასხვა ხიდან

ძველ ეშმაკობას ველარ ვბედავდი სარისკო გახდა ყველგან მხედავდით დათვლილი იყო ნაბიჯი ყველა ცოლს მიართმევდით ცხელ ამბავს ხელად ამრიგად გვერდზე ველარ ვსტებოდი ჩემს დროს და ნერვებს ვუფრთხილდებოდი ეს დაზოგილი ძალა და გზნება შემოქმედებას ერთობ ერგება – მოკლედ: შტაზი ნანატრია შტაზი არის ჩემი მარად... შტაზი არის ჩემი მარად... უკვდავების გარანტია

4

ოხ გული რარიგ დამძიმდებოდა
თუ თქვენი ხროვა დამატყდებოდა
როგორც გჩვევიათ მზაკვრულად მგლურად
მოურიდებლად ელვისებურად
რომ ეს საბრალო ჩემი სხეული
სწორედ ის იყო ცოლს ჩახვეული
თევზივით ბადის ხლართებში მოხვდეს
და ეს სასტიკი ამბავი მოხდეს
ანდა თუ სადმე ოდესმე მნახეთ
დოსტ ჰავემანის³ მე შეინახეთ
როცა ჭიქები უნდა დავცვალოთ
აფსუსი არი რომ არ გვაცალოთ
თუმც ხომ ისედაც ვარ პატიმარი
ჩემთვის გზა ხსნილი არსაით არი
არ მაქვს ყვირილის არც მღერის ნება
რაც ვარ არც იმად ყოფნის უფლება
ხო-და თუ მაინც ჩამიგდებთ ხელში
ერთ თარს დღეს უცებ თავს მიკრავთ ხვრელში
ჩემთვის ამით რა შეიცვლებოდა –
ეს პატიმრობა
ეს პატიმრობა
გამკაცრებულად გაგრძელდებოდა

**დართული შენიშვნა
და გადათქმა**

მაინც არ მინდა სულ ვიოღრაშო
მწარე ხუმრობა გადავამლაშო
ღმერთმა ხომ იცის რა უფრო ვარგა
ვიდრე ეგ თქვენი მყრალი დინგია
ამ ბაუცენის დილეგზე კარგი
ნანატრი ხვრელი სხვაც გამიგია.

მონმარტრის სასაფლაოზე

ტირის მონმარტრის სასაფლაოზე
ზამთრის ცა ცრემლით იოსებს თვალებს
მე ჩემი თხელი ფეხსაცმელებით
ვახტები ვუვლი გუბეებს მყრალებს,
შიგ ნამწვავები ცურავს დაშლილი
პარიზელ ძაღლთა სკორე ნაგავი
ჰო-და ფეხები მთლად სველი მქონდა
როცა ჰაინეს ვპოვე საფლავი.

თეთრ მარმარილოს ქვეშ მისი ძვლები
უცხო მინაში იქცა ყინულად
თუმც გვერდში ეწვა ცოლი მათილდე
ასე რომ მარტო არ გაყინულა
ქალს აღარ ჰქვია უკვე მათილდე
ქვაში მკაფიოდ ამოკვეთილა
დიდი პოეტის დიდი სახელი
მის ქვეშ კი ფრაუ ჰაინე წვრილად

ომის დროს როცა არილებმა
პარიზი სვასტის ჯვარზე გააქრეს
მათ ხელს უშლიდა ანრი ჰაინე!
და ეს სახელი ვიცი გააქრეს
მაგრამ არ ვიცი ეს როგორ მოხდა
არც ის ზოგ ღამეს როგორ ხდებოდა
რომ აღდგენილი ფრანგების ხელით
სახელი ქვაზე ისევ ჩნდებოდა

ტირის მონმარტრის სასაფლაოზე
ზამთრის ცა ცრემლით იოსებს თვალებს
მე ჩემი თხელი ფეხსაცმელებით
ვახტები ვუვლი გუბეებს მყრალებს,
შიგ ნამწვავები ცურავს დაშლილი
პარიზელ ძაღლთა სკორე ნაგავი
ჰო-და ფეხები მთლად სველი მქონდა
როცა ჰაინეს ვპოვე საფლავი.

რეალიზმი პრინციპთან

ბრეხტი. დამსხვრეულ სამყაროს
გვიჩვენებდა თავის თლილ
სარკეში. ჩვენ კი, ახლებმა
გავტეხეთ ეს სარკე
და ნამსხვრევებში ვუჩვენებთ სამყაროს მთლიანს.

ბალადა მარჩინალზე

ბერლინის კედლის გამოღმა მხარეს
ცხოვრობდა ერთი ცოლი და ქმარი.
კაცს დასავლეთზე ეჭირა თვალი,
ჯერ ყოყმანობდა რატომღაც ქალი.
ერთხელაც ასე მიმართა კაცმა:
„წავიდეთ, ელზე, აღარ ღირს დაცდა“.
არაყი, ლუდი შესვეს სამ-სამი
და გაემართნენ კედლისკენ ღამით.

კედელი რკინის სავარცხელია,
ხალხს მით რომ ვარცხნის – ბებრის⁴ ხელია.
ანწილ თმების დახუჭუჭება
მოუნევს რამდენს!
თავებს სისხლს ადენს,
დაუვარცხნელი არავინ რჩება.

ქალმა დაიწყო მაინც ვიშვიში:
„იქნება ჯობდეს აქვე დარჩენა...“
ქმარმა შეკითხვით მოუგო ნიშნი:
„შენ ხომ დაკარგავ ამით მარჩინალს?“
„რადგანაც გსურს და მარჩინლად მრჩები,
მეც გამოგყვები, მეც გადავხტები!“
მართლაც ისკუპა, კიდეც იმარჯვა,
ჩია კაცი კი კედელთან დარჩა

კედელი რკინის სავარცხელია,
ხალხს მით რომ ვარცხნის – ბებრის ხელია,

ანენილ თმების დახუჭუჭება
მოუნევეს რამდენს!
ვარცხნით სისხლს ადენს,
დაუვარცხნელი არავინ რჩება.

მესაზღვრემ თოფი ჩრდილს დაუმიზნა,
ტყვია გაფრინდა და მოხვდა მიზანს.
უმარჩენალოდ დარჩა ეს ქალი
და ეს ამბავიც ასე დამთავრდა.
ამ ქვეყანაში არის მრავალი,
მარჩენალი რომ ოდესღაც ჰყავდა.

კედელი რკინის სავარცხელია,
მაგრად რომ ვარცხნის – ბებრის ხელია.

თმას გერმანელ ხალხს ულაგებს მარჯვედ,
მუშაობს ამდენს,
ვარცხნით სისხლს ადენს,
რომ უვარცხნელი არავინ დარჩეს.

**გერმანულიდან თარგმანა
ნათელა სუციშვილია**

- 1 აბრევიატურა, გერმ. Staatssicherheit – გდრ-ის სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო.
- 2 გოეთეს მდივანი
- 3 რობერტ ჰავემანი – ვოლფ ბირმანის მეგობარი და თანამებრძოლი
- 4 ბებერი – ვალტერ ულბრიხტია ალბათ

გერმანელი ბარდის (პოეტისა და მომღერლის) ვოლფ ბირმანის ბიოგრაფია, შეიძლება ითქვას, გერმანიის უახლესი წარსულის მატრიანეს წარმოადგენს. მისი შემოქმედება გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების კრიტიკულ კომენტარად გვევლინება. დაიბადა 1936 წელს ჰამბურგში, ნავსაშენის ზეინკლის ოჯახში; დედაც, ასევე მუშა-მქსოველი და მამაც, კომუნისტები იყვნენ და ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ. მამა დახვრიტეს საკონცენტრაციო ბანაკ ოსვენციმში 1942 წელს. ბავშვობის მოგონებები ომს უკავშირდება. ომის საშინელებათა გამოძახილი მის მრავალ სიმღერაში გაისმის, განსაკუთრებით მკვეთრად და მწვავედ ბალადაში „ელბა ჰამბურგთან“ (1993). 16 წლისა მშობლიურ ჰამბურგს ტოვებს და უკეთესის მოლოდინში ნებაყოფლობით არჩეულ ახალ სამშობლოში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადადის (ეს იმ დროს, როცა ათასობით მისი თანამემამულე საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობდა იქიდან თავის დასაღწევად). 1957-59 წლებში განათლების ხარვეზებს ივსებს ბერლინში, სწავლობს პოლიტეკონომიას, ხოლო შემდეგ ფილოსოფიასა და მათემატიკას ბერლინის ვ. ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში. იმავდროულად მუშაობს რეჟისორის ასისტენტად ბ. ბრეხტის თეატრში „ბერლინერ ანსამბლ“, რაც მისი შემოქმედებითი პრინციპების ჩამოყალიბების მნიშვნელოვან სკოლად იქცა. თავადაც დააარსა მუშათა და სტუდენტთა თეატრი, რომელსაც მის აკრძალვამდე (1963) ხელმძღვანელობდა. ამავე პერიოდიდან იწყება ვოლფ ბირმანის ინტენსიური შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ახლა უკვე როგორც დისიდენტისა. მისი სიმღერების ტექსტები და მუსიკა ფარულად ვრცელდება, მათი ავტორი სულ უფრო და უფრო მიუღებელი ხდება გდრ-ის პარტოკრატიული სისტემის მესვეურთათვის, თან „შტაზი“-ს გაძლიერებული ინტერესის ველში ექცევა. 1965 წელს კი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცკ-ის XI პლენუმზე ვოლფ ბირმანი რეაქციის მსახურად („რეაქციის ჯაჭვზე დაბმულ ძაღლად“) და „საკუთარი მამის მკვლელთა მოკავშირედ“ გამოაცხადეს, მას აეკრძალა როგორც წაწარმოებების გამოქვეყნება, ისე საჯარო გამოსვლები. ამ თორმეტწლიან პერიოდს ვოლფ ბირმანი უწოდებს „ტოტალიტარული

მთარგმნელისაგან

ქვესკნელის აჩრდილთა საუფლოს“, თავის თავს კი „გდრ-ის ორფეუსს“. 1976 წელს მისმა სოციალისტურ-მა სამშობლომ, ვერაგულად ისარგებლა რა ბირმანის საგასტროლო-საკონცერტო მოგზაურობით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ჩამოართვა მას გდრ-ის მოქალაქეობა, ასე რომ ბირმანი გერმანიიდან გერმანიაში გაასახლეს, რასაც დიდი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა გდრ-ის მწერლების და მოწინავე ინტელიგენციის მხრიდან. „ასე გავხდი, – აღნიშნავს ბირმანი, – ჰაინრიჰ ბიოლის მოსწრებული სიტყვით რომ ვთქვა, სამშობლოში განდევნილი“ („ein In-die Heimat-Vertriebener“). ვერც აყვავებული კაპიტალიზმის მერკანტილურ ატმოსფეროში გრძნობს თავს კომფორტულად, გაერთიანებული გერმანიის მწვავე პრობლემებსაც მიხეობრად – შეუპოვრად ეხმაურება თავისი მძაფრი სატირული, კარგად დამიზნებული სიმღერებით (მაგ. „ნუ გაგვიყიდით!“ 1989), „ბერლინული მოკლე სიმღერა (1989); „ჩემი სტომაქი ცარიელია“ (1990); „მოთქმა“ (Lamento, 1991) და სხვ.). ვოლფ ბირმანის აქ წარმოდგენილი მონაცემები ძირითადად 1996 წლის მასალებს ეყრდნობა, ნაწილობრივ კი 1991 წელს კიოლნში გამომცემული წიგნის – „ვოლფ ბირმანი – ყველა სიმღერა“ – ავტორისეულ წინათქმასა და ბოლოსიტყვაობას, გამომცემლობა კიპენჰაიერ-ვიჩი (Wolf Biermann, Alle Fieder. Kiepenheuer-Witsch, Köln, 1991). სამწუხაროდ, ვერ მოვიძიეთ უახლესი მონაცემები (ან ბოლოდროინდელი ლექსები). ერთადერთი სარწმუნო ცნობა მოგვაწოდა გივი მარგველაშვილმა, ახლახან გოეთეს ოქროს მედლით დაჯილდოებულმა სახელოვანმა მწერალმა, რომელიც ა.წ. მარტის ბოლოს საქართველოში იმყოფებოდა: ვოლფ ბირმანის შემოქმედებითი მოღვაწეობა კვლავაც გრძელდება. აღსანიშნავია, რომ 1996 წლის აპრილში ვოლფ ბირმანი საქართველოს ეწვია. რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გამართულმა მისმა კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა (სხვათა შორის, კონცერტის თარიღი პროგრამაში შეცდომით არის მითითებული – 1969 წ.). მეტად საინტერესო შეხვედრა ვოლფ ბირმანთან მოაწყო „კავკასიურმა სახლმა“. აქ ბირმანის რამდენიმე ლექსის პირველი ქართული თარგმანები წაიკითხეს ნაირა გელაშვილმა და ვახუშტი კოტეტიშვილმა.

მარიო ბენედეტი

მჭვირვალება

დიანას და ხუანის ბენდიერი
ცხოვრების მცირე მონაკვეთს ეძღვნება

ხორხეს სიკვდილის შემდეგ კლაუდია ყოველ საღამოს ისევ და ისევ იმ კიბის ბაქანზე იდგა, სადაც ყოველთვის ელოდებოდა ხოლმე. ქალს უსაზღვრო სიამოვნებას ჰგვრიდა ზღვა ხალხის ყურება. ხედავდა ხანდაზმულ მამაკაცებს, ხელში ოთხკუთხა ჩემოდნები რომ ეჭირათ, ხელჯობიან მოხუცებს, ნელ-ნელა რომ მიიკვლევდნენ გზას; მშვენიერ, დაუდეგარ გოგონებს, აქეთ-იქით რომ მიმოდიოდნენ, სენიორებს ძალღებით, მუშებს, პოლიციელებსა და გიჟებს. რამდენჯერ დალოდებია აქ კლაუდია ხორხეს; ახლაც ქალმა არათუ იცოდა, სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ხორხე ნებისმიერ წამს სხვებთან ერთად გამოვიდოდა იქიდან, ყველასაგან გამორჩეული, სიმპათიური და წარმოსადევნი. გამჭვირვალე კი გახლდათ, მაგრამ მთლიანობაში მაინც რეალურ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ყველაფერი (კოსტუმი, ხელები, ფეხები, ფეხსაცმელებიც კი) გამჭვირვალე ჰქონდა, ყველაფერი, მზერის გარდა. ალბათ იმიტომ, რომ ერთადერთი, რაც კლაუდიას ნათლად ახსოვდა, ხორხეს თვალები იყო. ან შეიძლება იმიტომაც, რომ ყოველთვის საოცრად თბილი გამოხედვა და დროდადრო გამჭოლი მზერაც კი ჰქონდა. თუმცა კლაუდია თავის წარმოსახვაში ამ მჭვირვალეებს ვერ ხედავდა და, როცა ეს კარგად ნაცნობი თვალები უმზერდნენ, ქალი წარმოსახვის ძალით კი არ შეიგრძნობდა, მართლაც ასე იყო.

ხორხეს იმდენად გამჭვირვალე სხეული ჰქონდა, რომ კლაუდია მის მიღმა დანარჩენ ადამიანებს ხედავდა და ეს ყველაფერი თითქოს შუშაში დანახული ფერადი სიმჭვირვალე იყო. ხორხეს ცისფერი კოსტუმის სახელოებში გამჭვირვალე ხელები მოუჩანდა, ამ ხელებს მიღმა კი – ქუჩის პატარა მონაკვეთი და მასზე მიმავალი ხალხი ირეკლებოდა. კლაუდია ამ დროს მღელვარებას არ განიცდიდა და ამ ხილვებს რაიმე მაგიურ ძალას არ უკავშირებდა.

ერთ საღამოს ქალმა ყველაფერი ხერმანს უამბო. ხერმანმა მხოლოდ გაიღიმა, შუბლზე თითი მიადო და უთხრა: „ეს იმის ბრალია, რაც, აი, აქ ხდება“. ქალმა მისი თითი გულთან მიიტანა და დასძინა: „იმისიც, რაც აქ მაქვსო“. ამ დროს კი ორივემ კარგად იცოდა, რომ ამგვარად დანახულ სახეში უფრო მეტი რამ იმალებოდა.

იმ საბედისწერო დღეს კლაუდიამ ბევრი იტირა. დიახ, იტირა და საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ აღიარა საყვარელი კაცის სიკვდილი. მიუხედავად ამისა, ყოველ საღამოს ხორხეს მოლოდინში გახლდათ. ისიც მოდი-

დიოდა და კლაუდია ამას ვერ ეწინააღმდეგებოდა.

„მიუხედავად ყველაფრისა, ეს მაინც ალბათ ძალზე უცნაური გამოვლინებაა“. ასეთი დიაგნოზი დაუსვა კლაუდიას საქციელს ლიდიამ, რომელიც ანალიტიკოსის რძალი იყო და ახლა განათლებული პროფესიონალის ენთუზიაზმით მსჯელობდა. კლაუდიამ თავი დაუქნია, მაგრამ სულის სიღრმეში იცოდა, რომ ეს ასე არ იყო. საკუთარი მწუხარება მთელი სიცხადით მაშინ შეიგრძნო, როდესაც სარკეში ჩაიხედა და გადატანილი ტკივილის კვალი ამოშავებულ თვალებში (რომელიც ამის კლასიკური ნიშნულია) კი არა, თმაში, კეფაზე და ტურნებშიც დაინახა. ყველაზე მეტად ქალს იმის აღიარება უჭირდა, რომ ხორხე სწორედ იმ დროს გარდაიცვალა, როცა ორივენი ბენდიერი ცხოვრების ზღურბლზე იდგნენ. ეს ამ წყვილისათვის საუკეთესო ხანა უნდა ყოფილიყო. იმ დანყველილ დღეს რომ განიცადა, ხორხეს მიმართ ისეთი სიხალსოვე არასოდეს უგრძნია. ეს ის წუთი იყო, როცა იგი მოულოდნელად დადუმდა და გაქვავდა და წინადადება კი არა, სიტყვა გაუწყდა პირში. კლაუდიას ახლაც ცხადად ჩაესმოდა ყურში იმჯერად ცოცხალი ბგერის ჟღერადობა, მაგრამ გამბედაობა არ ყოფნიდა, ჩურჩულით მაინც გაემეორებინა ეს ძნელად წარმოსათქმელი, მკვდარი ბგერა. რა თქმა უნდა, ეს აღსასრული იყო. ამ შუაზე განყვეტილმა სიტყვამ ყველაფერს წერტილი დაუსვა. მერე ხორხეს სულმა ნელ-ნელა იწყო დაბრუნება. „თავს ნუ იტანჯავ და ხელოვნურად ნუ ცდილობ მის გაცოცხლებას სულის ხსნის ნიშანი „SOS“-ი ჩვეულებრივი ცხოვრებისეული მოდელია, მაგრამ დროს თუ დააცდი, რომ გავიდეს, ის უბრალოდ გავა და დაინახავ, კვლავ დაგიბრუნდება სიცოცხლის ხალისი“ – ეუბნებოდა ხერმანი. ეს მკაცრი და უტყუარი რეკლამა იყო. დრო მართლაც გავიდა, უბრალოდ გავიდა, და ერთ დილას, კლაუდიამ სარკეში რომ ჩაიხედა, საკუთარი თავი ისევ მოეწონა. მართალია, ამის გამო ცოტა შეცბა, მაგრამ იცოდა, რომ ეს ნამდვილად ასე იყო. რამდენიმე დღის შემდეგ ისიც შეამჩნია, რომ ქუჩაში გამვლელები ყურადღებას აქცევდნენ და ვილაც ახალგაზრდა ყმაწვილმა დაჟინებული მზერაც გააყოლა. მწვანეთვალეებიან ყმაწვილს კლაუდიამ გვერდით ჩაუარა და იგრძნო, რომ ამდენი ხნის შემდეგ ამან პირველად ააღელვა. ორ კვირაში კი ქალს სინდისის ქენჯნაც გაუქრა. დიახ, სინდისის ქენჯნა იმის გამო, რომ დღითიდღე თავს სულ უკეთ და უკეთ გრძნობდა. მიუხედავად ამისა, ყოველ საღამოს, ერთი და იმავე დროს, კიბის ბაქანზე მაინც მიდიოდა. იქ, მოაჯირზე დაყრდნობილი, ისევ ელოდებოდა ხორხეს. ისიც მოდი-



ოდა და დიდხანს უყურებდა კლაუდიას ნაცნობი, ჩაფიქრებული მზერით. ქალის ამ საიდუმლო შეხვედრების შესახებ მხოლოდ ხერმანმა, ლიდიამ და ჰექტორმა იცოდნენ და, როცა კლაუდია ხორხეს სიმჭვირვალეზე იწყებდა ლაპარაკს, ლიდია და ჰექტორი აღელვებისაგან იზნეოდნენ. რა თქმა უნდა, კლაუდიას ნაამბობს ისინი სერიოზულად არ აღიქვამდნენ, მაგრამ ამით მისი შეურაცხყოფა სულაც არ უნდოდათ. ხშირად ცდილობდნენ საუბრის შეცვლას, რადგან ქალის მდგომარეობით შემოფოთებული იყვნენ და შიშობდნენ, დროთა განმავლობაში ეს ყველაფერი მას ან ნერვიულ შეტევაში გადაეზრდებოდა, ანდა სრულ შეშლილობამდე მიიყვანდა. ხერმანი კლა-

უდიას აუღელვებლად უსმენდა, და როცა ეკითხებოდა, დღე როგორ გაატარეო, ქალი დარწმუნებული იყო, რომ მის ამ შეკითხვაში იოტისოდენა არც დაცინვა იყო და არც ირონია. უბრალოდ ხერმანსაც უნდოდა ხორხეს სახე, უფრო სწორად, მისი გამჭვირვალე გამოსახულება წარმოედგინა და ეს ლოგიკური იყო, რადგან ხორხეს სიკვდილი მისთვის ძმის დაკარგვის ტოლფასი იყო. ხერმანს ძალიან უყვარდა ხორხე. სწორედ ამიტომ გრძნობდა კლაუდია მასთან თავს ასე კარგად. ხორხე ორივესათვის ახლობელი ადამიანი იყო და ერთად ბევრი საჩოთირო თუ სასაცილო თავგადასავალიც გადახდომოდათ თავს. ხილვების შემდეგ კლაუდია ხანდახან ხერმანს ხვდებოდა და კინოში მიდიოდნენ. მათ დროდადრო ლიდია და ჰექტორიც შეუერთდებოდნენ ხოლმე. ერთი კია, ბაქანზე ხორხესთან შეხვედრის შემდეგ კლაუდია არასოდეს არ ხვდებოდა მათ. ქალს ამ დროს რაღაც უჩვეულო განცდა ეუფლებოდა, რომელიც არც სევდას, არც ნოსტალგიასა და არც ეიფორიას არა ჰგავდა, ამას მხოლოდ ხერმანი გრძნობდა. მან მშვენივრად იცოდა, რომ ბაქანზე ხორხესთან შეხვედრის შემდეგ კლაუდიას ნახევარი საათი მაინც არ უნდა დალაპარაკებოდა და მუდამ პატივს სცემდა ამ უსიტყვო შეთანხმებას. იყო ისეთი დღეებიც, როცა კლაუდია დროზე ადრე არღვევდა დუმის და ხერმანიც, რა თქმა უნდა, მხარს უბამდა.

ერთ საღამოს, კინოსეანის დამთავრების შემდეგ კლაუდიამ ხერმანი შინ მიიპატიჟა. ხერმანი ბევრჯერ იყო ნამყოფი ამ სახლში ხორხეს სიცოცხლეშიც და მი-

სი სიკვდილის შემდეგაც, მაგრამ ამ საღამოს მისი აქ მოსვლის მიზეზი რაღაც უჩვეულო გრძნობა იყო. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ კლაუდიამ ხერმანს სასმელი შესთავაზა და ჰკითხა, რას დალევდა – ვისკის, არაყს თუ რომს. ხერმანმა არაყი აირჩია, მაგრამ მალევე ინანა. ამას კლაუდიაც მიხვდა და როცა მიზეზი ჰკითხა, ხერმანმა მიუგო: „უბრალოდ გავიფიქრე, კარგი იქნებოდა არაყი ცივი რომ ყოფილიყო, ყინულიანი კი არა, უბრალოდ ჩაციებული“. „კი ბატონო, არაყი უკვე საყინულეშია“ – უთხრა ქალმა, რის შემდეგაც ხერმანი კარგა ხანი ხოტბას ასხამდა ალკოჰოლიან სასმელებს. საუბარი ოთხ საათს გაუგრძელდათ. ხერ-

მანმა ხორხე და პოლიტიკისადმი მისი დამოკიდებულება გაიხსენა, რამაც საუბარს ახალი შინაარსი შესძინა. „სწორედ ეს მომწონდა მასში“, – თქვა ხერმანმა. „მკაფიოდ და კონკრეტულად აზროვნებდა, საკუთარ მოსაზრებებს სხვებს არასოდეს ახვევდა თავს. ვერ ვიტან, როცა ვიღაცა ტვინის ბურღვას მიწყებს მარქსით, ლენინითა და მისთანებით. ამ დროს თავს რაღაც კაცუნად თუ ჯუჯად ვგრძნობ ხოლმე.“



მხატვარი გიგა ზაალიშვილი

ხორხე კი თავისი აზროვნების წესით არასოდეს გორგუნავდა, ასე ვთქვათ, არ განვებოდა. თუ ისეთ აქტუალურ თემაზე ლაპარაკობდა, როგორც ყაბების გაფიცვა, უეცრად ხვდებოდი, რომ შენი მდგომა წარმოების სოციალური ურთიერთობებისადმი ერთობ პიროვნული ხასიათისა იყო. ხორხე კი საუბრის დროს გამოცდას არ გინყობდა და უბრალოდ ისეთ რამეებზე ლაპარაკობდა, რასაც არ სჭირდებოდა რაიმე შემაჯამებელი დასკვნების გამოტანა“. კლაუდია ერთხანს ჩაფიქრდა. მასაც ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი, შექმლო მოგონებებს მისცემოდა და იმ ბედნიერ დღეებზე ელაპარაკა, როდესაც ის და ხორხე ცხარედ კამათობდნენ ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე (ამ დროს ხორხე მხარეთქოზე წამოწოლილი სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, კლაუდია კი მუხლმორთხმული მიყრდნობოდა კედელს). რაღაზე არ ლაპარაკობდნენ! აინტერესებდათ თეორიასა და პრაქტიკას შორის არსებული წინააღმდეგობა, მსჯელობდნენ, თუ როგორ შეიძლება კაცს თავიდან აეცილებინა ელიტარული ავანგარდის გავლენა, ან რატომ არ არსებობდა ოქროს კვეთი მუშათა კლასსა და ინტელიგენციას შო-

რის, მაგრამ კლაუდიას განსაკუთრებით იმ საკითხზე მსჯელობა ხიბლავდა, თუ როგორ უნდა განგესხვავებინა უბრალო ხალხის გემოვნება იმ გემოვნებისაგან, რომელიც ესოდენ პოპულარულია, მაგრამ დეფორმირებულია და გახრწნილი. ის ნაძირლებისა და ინტერნაციონალური კლანის სპეციალისტების მიერ საგანგებოდ არის დამკვიდრებული და გაუცხოებული უგემოვნებობის ნიმუშს წარმოადგენს. ასე ლაპარაკში ხანდახან თავზეც დასთენებიათ, დილით კი ხორხე მალვიძარას ათი წუთით ადრე გამორთავდა ხოლმე (რომ მის „გნიასს“ არ აეფორიაქებინა).

მეორე დღეს კი სამსახურში მთვარეულებივით დაბორიანობდნენ, მაგრამ მათი საუბრები ღირდა ამაღლსნორედ ამ მოგონებებს მისცემოდა ახლა კლაუდია; ჩაფიქრებული იყო და ხერმანის დაჟინებულ მზერას ვერ ამჩნევდა. „იცი შენში ყველაზე მეტად რა მომწონს?“ უეცრად ჰკითხა ხერმანმა. კლაუდია ფიქრებით სხვად იყო და შეცბა, რადგან არ ეგონა, რომ ხერმანი სწორედ ახლა შეეცდებოდა მისთვის ქათინაურის თქმას. ხერმანმა კი სწრაფად დაასრულა სათქმელი: „ყველაზე მეტად შენში ის მომწონს, არაყს საყინულეში რომ დგამ“. კლაუდიას გაეცინა და გულზე მოეშვა. იგრძნო, რომ ამ წუთიდან მათი ურთიერთობა უფრო მნიშვნელოვანი გახდა.

მეორე დღეს გამჭვირვალე ხორხემ გამოჩენა დააყოვნა, მაგრამ კიბის ბაქნის მოაჯირზე დაყრდნობილი კლაუდია მაინც მოთმინებით ელოდა. დარწმუნებული იყო, ხორხე მოვიდოდა და, აი, ისიც გამოჩნდა. ვილაც ნაცრისფერლაბადიანი და პრიალა ფეხსაცმელებიანი კაცის უკან კლაუდიამ მისი გამჭვირვალე გამოსახულება შენიშნა. ხორხე ქალს უყურებდა და თითქოს უღიმოდა კიდევ. მაგრამ ამჯერად იგი ჩვეულებრივზე მალე გაუჩინარდა.

მოგვიანებით კლაუდია ხერმანს შეხვდა და კინოში წავიდნენ. ფილმი საკმაოდ სევდიანი იყო და ქალმა ხერმანს ნაზად დაადო ხელზე ხელი. სეანსის შემდეგ სევდა გაქრა, მაგრამ მათ ხელებს მდგომარეობა არ შეცვლიათ. კლაუდიას არ ეგონა, რომ ასეთი მგრძობიარე კანი ჰქონდა. ხერმანის ბავშვური და გულუბრყვილო ხელის შეხება მას რწმენას მატებდა. მერე ქალაქის უბნები შემოიარეს ფეხით. ორივე დუმდა. ქალს კი არა და არ უნდოდა ამ მდგომარეობასთან შეჩვევა და საკუთარი გრძნობებისადმი დამორჩილება.

ბენედეტი – თანამედროვე ურუგვაელი მწერალი, ჟურნალისტი, დრამატურგი, ლიტერატურის კრიტიკოსი, პოეტი.

წერს სიმღერებს, ესეებს, თეატრალურ პიესებს. იგი დაიბადა ურუგვაელში 1920 წელს. გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი წიგნი, რომლებიც თარგმნილია თვრამეტ ენაზე. ბენედეტის ნოველები სავსეა ირონიით, სისადავით, სიზუსტით, რითაც ავტორი უჩვეულო სახით წარმოგვიჩენს თავის პერსონაჟთა უბრალოებას, რომლებიც ჩაფლულნი არიან უფერულ და მუდმივად დრამატულ არსებობაში, მკითხველს კი თანამედროვე ყო-

მთარგმნელი სებასტიანო

დილით სარკეში რომ ჩაიხედა, შეამჩნია, რომ ისევ და ისევ კარგად გამოიყურებოდა, როგორც ხორხეს სიცოცხლეში, მაგრამ ახლა უკვე აღარ შემცბარა და ჩვეულებისამებრ დამნაშავედ აღარ უგრძვნია თავი. ბაქანს მიაშურა. ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა. ყველანი ჩქარობდნენ, ნერვიულად და დაძაბულად მიმოდიოდნენ აქეთ-იქით. სხვადასხვა მხრიდან სასწრაფოს, პოლიციის ან სახანძრო მანქანების სირენების გამკივანი ხმები ისმოდა. ადამიანებს დაზაფრული სახეები ჰქონდათ. არავინ იცოდა, რა ხდებოდა. რამდენიმე გოგონა სირბილით გაეცალა იქაურობას. ხალხი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს შორიდან რაღაცას. ყაყანებდა და გაურკვეველ ამბებზე ლაპარაკობდა.

უცებ ხალხის მასას ვილაც კაცი გამოეყო და კლაუდიასაკენ წამოვიდა. ქალმა იგი ხერმანს მიაგაგავსა; ამის დაჯერება არ უნდოდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ნამდვილად ის იყო. ხერმანი ბაქნისაკენ იყურებოდა და კლაუდიამ ხელი დაუქნია. ქალი კმაყოფილი ჩანდა. ხერმანმა გაბედა და მისი პოვნა სწორედ აქ გადაწყვიტა. კაცმა ორივე ხელი შორიდანვე მალა ასწია და ამით კლაუდიას თითქოს დაანახა, შენი ნახვა გამეხარდაო. ქუჩაში ხალხისა და მანქანების ტევა აღარ იყო. პარასკევ დღეს ხომ ქალაქებში მთელ დედამიწაზე უამრავი ადამიანი ეფინება ქუჩებს. ხერმანს ცოცხალი იყოს გაუჭირდა ბაქნამდე მისვლა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხალხის რიგი გაარღვია და კიბის საფეხურებს აუყვავა; მერე კლაუდიას, როგორც ყოველთვის, ახლაც ლოყაზე აკოცა, მაგრამ ამჯერად ხელიც გადახვია. ნელ-ნელა მიდიოდნენ. „რა მალაღია“, – გაიფიქრა კლაუდიამ. მათ დანახვაზე ყველა იფიქრებდა, შეყვარებული წყვილიაო. ქალაქის ორი კვარტალი გაიარეს და კლაუდიამ მხოლოდ მაშინლა გააცნობიერა, რომ ხორხე დღევანდელ შეხვედრაზე არ მოვიდა. მიხვდა, რომ არც დღეს და არც აღარასოდეს აღარ მოვიდოდა, თუნდაც მას ბაქანზე ისევ და ისევ დალოდებოდა. ქალი უკვე დარწმუნებული იყო. დიას, ხორხეს დაკისრებული მისია უკვე შეესრულებინა და აღარასოდეს აღარ დაბრუნდებოდა. და ახლა კლაუდიამ ეს ყველაზე უკეთ იცოდა.

ესპანურიდან თარგმნა მასკა გომოლაპვილია

ფის რეალისტურ სურათს მხატვრულად გარდასახულ სახეებში წარმოუდგენენ.

- 1999 წელს – დედოფალი სოფიას სახელობის იბერო-ამერიკული პოეზიის პრემია;
- 2000 წელს – ხორხე მარტის სახელობის იბერო-ამერიკული პრემია;
- 2004 წელს – სამხრეთ ამერიკის ქვეყნების მწერლებისათვის განკუთვნილი ლიტერატურული პრემია.
- 2005 წელს – მენენდეს პელაიოს სახელობის საერთაშორისო პრემია.

* * *

ლევან ჩხეიძე სულ იმას ჩივის, ათასგვარი ახალი პროგრამა შეიქმნა და ვერ ვახერხებ ყველაფერს თვალი მივადევნო, წუთით აღარ მაქვს მოცლა, მხატვრულ ლიტერატურას საერთოდ ვეღარ ვკითხულობო.

შეეგუებოდა ასეთ ხვედრს.

თუ ვინმეს გაეგება კომპიუტერისა, თუ ვინმე იცნობს ნიუანსობრივად და ლამის ცოცხალ არსებადაც

შეიგრძნობს თანამედროვეობის ამ ერთ-ერთ უპირველეს ნიშანს, მათ შორის ლევანიც. და ის ჩივილიც მისი პროფესიონალიზმითაა გამოწვეული – ვერ კმარობს მიღწეულს და სულ ახლისა და ახლის შეტყობა სურს, რათა კომპიუტერის განვითარების მაჯისცემამაზე ედოს ხელი.

წლებია უკვე, თამაზ ნატროშვილის გვერდით მუშაობს და... მგონი კარგად ვერც ერკვევა, რომელ ჟანრში მოღვაწეობს მისი თანამშრომელი. არადა, რაც მისი ნაწერები დაუკაბადონებია – ეს ისტორიული ესეებიო, ეს თარგმანებიო, ეს სამოზაიკო ჩანახატებიო. იმას ნამდვილად ხვდება, რომ პოეტი არ უნდა იყოს.

სარედაქციო ცხოვრება გრძელდება.

მიეძინება მათი ყოფაც ერთმანეთის გვერდით.

რედაქციაში გადანყდება, რომ „ჩვენი მწერლობის“ ახალ ნომერში ჩანართად თამაზ ნატროშვილზეც მომზადდეს სანიშნი – ფოტო, ბიოგრაფია, მისი ნაწერების შეფასებანი, რამდენიმე წიგნის გარეკანის ფოტო.

თამაზს მასალები მოაქვს და ლევან ჩხეიძე თავის საქმეს შეუდგება – ჯერ ფოტოსურათს მიხედავს, ახლა წიგნებს აიღებს – მოთხრობების კრებულს „გამოღვიძება“, მონოგრაფიას პიეტრო დელა ვალეზე – „მოყვასი შორეული რომიდან“, ისტორიული ესეების კრებულს...

და წამოიჭრება:

– ბატონო თამაზ... როგორ, ბატონო თამაზ... „მამრიყით მალრიბამდე“ თქვენი დაწერილია?

და ისეთი ალტაცებული თვალებით შესცქერის, თითქოს ახლა აღმოჩინოს მისი არსებობა.

ეს მორიდებით:

– რა მოხდა ამისთანა?

– საქართველოს ისტორიას ამ წიგნით გვასწავლიდნენ სკოლაში, ჰუმანიტარულ კლასში ვსწავლობდი. დაკონსპექტებული მაქვს თავიდან ბოლომდე. ისე მიყვარდა, მთელი ადგილები ზეპირად ვიცი. ავტორი ვინ იყო, არც დავინტერესებულვარ.

სწორედ ეს გამოცემაა – ყდა მეცნო. მულიდებიო და რინდებიო, ლაშა-გიორგი და შალვა ახალციხელიო, დემეტრე თბილელი და მარიუჩაო, უნდილაძეები და ამბროზიოო, ხოსრო ბატონიშვილი და თეიმურაზ პირველიო, გიორგი მეთერთმეტე და იოსებ ქართველიო...

მოდის და მოდის სახელები, ბოლომდე ჩაჰყვება წიგნის შინაარსს, მერე ისევ თავიდან დაიწყებს, დეტალებს დეტალებზე ახვავებს – მეხსიერებას ამონმებს. და თამაზ ნატროშვილი მის თვალში ერთბაშად დიდდება, გოლიათდება, ლამის ჭერს შეწვდეს.

თურმე ვინ ყოფილა.

ვის გვერდით ეწეოდა სარედაქციო ჭაპანს.

„მამრიყით მალრიბამდეს“ ავტორი გარდასული

ჟამის მემატინე კი არა, რეალური პიროვნება გამოდგა, ლევანდიდან ასე უბრალოდ შემოაბიჯა რედაქციის ზღურბლს და ამ ოთახშიც რამდენჯერ შემოსულა.

ამის შემდეგ ალბათ ვეღარც შემოეტევა.

ლევანი წიგნს ფურცლავს, ათასჯერ გადაკითხულს ათასმეერთედ ჩაავლებს თვალს.

რამდენი აღმოჩენითაა სავსე ეს ფურცლები.

თვითონ ავტორიც, აგერ, აღმოჩენა გამხდარა – ასე უბრალოდ, ასე ძალდაუტანებლად, სამუშაო დღის მიწურულს, როდესაც ჩვენი რედაქციის წევრებისთვისაც მოვიცლით.



მხატვარი ვანო თალაკვაძე

* * *

ვახტანგ ვახანია ვიდრე ლიტერატურისმცოდნეობას აირჩევდა თავის პროფესიად, ლექსის წერაში მოსინჯავდა კალამს.

თუ ყველა ქართველი პოეტია, მასაც ეპოეტა.

„სამამულო ომად“ სახელდებული მეხთატეხის წლებია და, რა გასაკვირია, მასაც რომ შეექმნა ლექსი ამ თემატიკაზე. განსაკუთრებით პარტიზან ქალიშვილთა ბედი აღლვებდა და მათ დრამატულ ბედისწერას მიუძღვნიდა ერთ ასეთ ნიმუშს, რომელსაც გაზეთი „კომუნისტი“ გამოუქვეყნებდა.

გაზეთის ფურცლებზე მისი „პარტიზანი ქალიშვილი“ რომ გამოჩნდება, ვახტანგ ვახანიას ცა ქუდად აღარ მიაჩნია და დედამინა ქალამნად.

ცოტა ხანში ინტერვიუ დაიბეჭდება გალაკტიონ ტაბიძესთან ამავე გაზეთში და საუბრისას ამ ლექსსაც ახსენებს „ლურჯა ცხენების“ შემოქმედი... ოღონდ ახსენებს მწარე და გამკილავი ეპითეტებით, ნიმუშად იმისა, თუ როგორი ლექსი არ უნდა იწერებოდეს ასეთ სულისშემძვრელ თემებზე.

მაინცდამაინც არა სჩვეოდა გალაკტიონს ჟურნალისტებთან საუბრისას კრიტიკული პათოსი და, ეტყობა, ახალი შთაბეჭდილების ქვეშ გახლდათ, თავი რომ ვერ შეიკავა.

ვახტანგ ვახანია... აღფრთოვანდებოდა.

თვით გალაკტიონი მოიხსენიებდა, თვით გალაკტიონს მიექცია ყურადღება მისი სტრიქონებისათვის და რა მნიშვნელობა ჰქონდა, იწონებდა თუ იწუნებდა!.. ხომ არ გამოჩნდა, ხომ დაამახსოვრებინა თავი.

აგერ დოკუმენტი.

მისდგომია და ნაცარტუტად აქცევს?

მაგრამ დოკუმენტი არსებობს.

და დააფრიალებს მეგობარ-ახლობლებში „კომუნისტის“ იმ ნომერს: გალაკტიონმა მომაქცია ყურადღებაო.

მერე შეიქმნება მისი გამოკვლევები XIX საუკუნის ქართულ მწერლობაზე, სრულიად დაცილებული მიღებულ ნორმებს – ლიტერატურის მარქსისტულ გაგებას – და იმ მთავარი ძარღვის წარმომჩენი, რაც ჩვენს მწერლობას მნიშვნელობას ანიჭებდა და საკაცობრიო კულტურის ნაწილად გვხდოდა. ვთქვათ, „ანტონ ფურ-

ცელაძის მსოფლმხედველობა“, „რეალიზმის საკითხები ქართველ სამოციანელთა ესთეტიკაში“, „შეუფერავი რეალიზმის“ გაგებისათვის“...

მერე მოჰყვებოდა ერთიერთმანეთს მისი ლექციები – გონების გამსხნელი ახალგაზრდობისათვის და მეტად მიმზიდველი და სულისმოსათქმელი იმ ჩახუთულ გარემოში.

ძალიან უყვარდათ სტუდენტებს.

წინა კურსები ახალბედებს ურჩევდნენ: ერთი ლექცია არ გაუცდინოთ, ნახავთ, რამდენ რამეს გაიგებთ, ასეთი ლექტორი სოხუმში კი არა, თბილისშიც სანთლით საძებარიაო. და შთამაგონებლად დასძენდნენ: ისე, რომ იცოდეთ, მაგის ლექსს გალაკტიონმა მიაქცია ყურადღებაო.

სუფრებზე ისე როგორ იქნებოდა, გალაკტიონისეული ყურადღება არ ესხენებინათ. სადღეგრძელოში აუცილებლად გამოურევდნენ, ისეც შენატრებდნენ: შენ რა გიჭირს, შენს ლექსს თვით გალაკტიონმა მიაქცია ყურადღებაო.

თვითონაც სულ ესახელებოდა.

დროდადრო გადმოიღებდა „კომუნისტის“ იმ გაყვითლებულ, გაცრეცილ ნომერს და მერამდენედ გადაავლებდა თვალს უძვირფასეს პასუსს.

იმ ტექსტში რალა შეიცვლებოდა.

მაინც ისეთი გულისფანცქალით გადაფურცლავდა, თითქოს ეეჭვება, ისეც დამხვდება თუ არაო.

და სოხუმიდან აყრილი და გამორიდებული რუსეთთან ომის ქარცეცხლს, გზაშიც და თბილისშიც სულს კვლავ იმით იბრუნებდა: მე ხომ გალაკტიონმა მომაქცია ყურადღებაო.

დევნილებაში ყოფნა გამოუხრავდა გულს და დაუჩქარებდა აღსასრულს.

მის სამარესთანაც მოიყრიდნენ თავს დედაქალაქში მიმოფანტული ლტოლვილები და ვახტანგ ვახანიას გლოვასთან ერთად დაიტირებდნენ თავიანთ მწარე ხვედრს.

ქელებში თამადა ამ სიტყვებით ასწევდა პირველ ჭიქას:

– დავკარგეთ კაცი, ვისაც გალაკტიონმა მიაქცია ყურადღებაო.

და მოადევნებდა და მოადევნებდა.



**ჰარიმანს მილიონები
გადავურჩინეო**

მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ პარადოქსად უნდა ჩაითვალოს, რომ კომუნისტურ რეჟიმს ხოტბას ასხამდნენ არა მარტო საბჭოთა კულტურის მოღვაწენი, არამედ დასავლეთის ინტელექტუალთა გარკვეული, ანგარიშგასანევი ნაწილიც. მაგრამ კიდევ უფრო საოცარი ისაა, რომ დასავლეთის კაპიტალისტებიც, არცთუ იშვიათად, საბჭოთა წისქვილზე ასხამდნენ წყალს.

როგორც ამტკიცებენ, მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთის შემწეობამ გამოიწვია საბჭოთა ეკონომიკის მოღონიერება გასული საუკუნის ოციან წლებში.

ამერიკელმა ისტორიკოსმა სეთონმა, გერმანული და ამერიკული არქივების შესწავლის შედეგად, დაადგინა, რომ საბჭოთა სანარმოთა 95 პროცენტი იღებდა დასავლეთის დახმარებას მანქანების, ტექნოლოგიისა და უშუალო ტექნიკური კონსულტაციების სახით.

კაპიტალისტური ფირმები სასტიკ კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს და ჩქარობდნენ კონცესიების ხელში ჩაგდებას.

დასავლეთის კონცესიონერთა რიგში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ამერიკელ ავერელ ჰარიმანს, რომელმაც შემდგომში სახელი გაითქვა პოლიტიკურ ასპარეზზე და, სხვათა შორის, შეერთებული შტატების ელჩად იმყოფებოდა მოსკოვში (1943-46 წლებში).

უნდა აღინიშნოს, რომ ჰარიმანის ინტერესი რუსეთისადმი თავდაპირველად სწორედ პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი. ჯერ კიდევ სიყმაწვილეში გაეცნო ამერიკელი ავტორის ნიგენს მეფის რუსეთის სატუსალოოებზე და შქმრწუმული დარჩა. მოუთმენლად მიისწრაფოდა, რომ თავისი თვალთ ენახა ბოლშევიკური რუსეთი. პოლიტიკოსის ალლოთი დაჯილდოებული უკვე ხვდებოდა, რომ რუსეთის რევოლუცია გარდუვალად მოახდენდა ზემოქმედებას მთელი მსოფლიოს ბედ-ილაზზე.

1924 წელს ჰარიმანის ფირმამ განიზრახა, რომ საბჭოთა მთავრობისაგან მიეღო კონცესია ჭიათურის მანგანუმის საბადოთა დასამუშავებლად („კავკასიაში, თბილისის მახლობლად“). მიიღო კიდევ და მოკლე ხნის მანძილზე საკმაო მოგება ნახა. სანარმოს პერსპექტივის გარკვეული გართულების გამო ჰარიმანმა გადაწყვიტა ჩასვლა საბჭოთა კავშირში. გზად მოინახულა ამერიკელთა საელჩოები ევროპაში და, უმეტესწილად, მოისმინა საყოველთაოდ გავრცელებული წინასწარმეტყველებანი იმის თაობაზე, რომ კომუნისტური რეჟიმის დღეები დათვლილი იყო. მაგრამ 1926 წლის დამლევს მოსკოვში ჩასული ჰარიმანი მალე მიხვდა, რომ ბოლშევიკებს მტკიცედ ეპყრათ ხელისუფლება და არაფერი მოწმობდა იმას, რომ დაკარგავდნენ.

ჰარიმანს ოთხსაათიანი შეხვედრა ჰქონდა ლევ ტროცკისთან და დაინახა, რომ ოპოზიციის აღიარებულ წინამძღოლს თავგზა აზნოდა. იმხანად სწორედ ტროცკი იყო საკონცესიო კომიტეტის თავმჯდომარე. იგი თავაზიანად უსმენდა ჰარიმანის წინადადებებს საკონცესიო ხელშეკრულებაში შესატან ცვლილებათა შესახებ, მაგრამ პასუხად კრინტსაც არ ძრავდა. როდესაც ჰარიმანმა დაასრულა ლაპარაკი, ტროცკი წამოგდა, სტუმარს თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა. ჰარიმანმა დაასკვნა, რომ „ამგვარი გულგრილობა, ალბათ, გამოწვეული იყო მისი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობით. ისე იქცეოდა, თითქოს ჩვენს საუბარს ისმენდნენ და ამიტომაც ვერ გარისკა, რომ თავისი გასაჭირისათვის ახალი დავიდარაბა მიემატებინა“.

საბჭოთა კავშირში ხანმოკლე ვიზიტის მანძილზე ჰარიმანი დარწმუნდა, რომ „ნეპი“ (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა) და უცხოური კონცესიები სულს ლაფავდნენ და რაც უფრო

მალე მიატოვებდა ჭიათურას, მით უკეთესი იქნებოდა მისთვის.

ჰარიმანი თავის მემუარეში წერს, რომ 1926 წელს მოსკოვისა და ლენინგრადის ცხოვრება უფრო ლალი ეჩვენა, ვიდრე ეს შემდგომში შეინიშნებოდაო. მისი სიტყვით, განსაკუთრებით გამოცოცხლებულიყო ხელოვნება და ახალი თეატრი აყვავების გზაზე იდგა. ამერიკელი კაპიტალისტი დაუბრკოლებლად ხვდებოდა საბჭოთა მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, რეჟისორებსა და მსახიობებს.

ჰარიმანი თვალნათლივ ხედავდა, რომ ხალხის მასებისათვის საბჭოთა კავშირში ცხოვრების პირობები საკმაოდ მძიმე იყო და კიდევ უფრო მძიმდებოდა. მას სამუდამოდ დაამახსოვრდა უსახლკარო ყმაწვილები, სამოქალაქო ომს რომ დეატრელებინა. დაძონძილნი, დაუბანელნი და მშვიერი მოსკოვის გათოშილ ქუჩებში დანანალებდნენ, მათხოვრობდნენ ანდა ქურდობდნენ.

ჰარიმანმა დაიქირავა მატარებლის ერთი ვაგონი და მოსკოვიდან სამხრეთისაკენ გაემგზავრა. მეფისდროინდელი ვაგონი ძალზე მდიდრულად გამოიყურებოდა, მისი მსგავსი ამერიკელ კაპიტალისტს არსად ენახა. თბილისამდე მგზავრობას ოთხი დღე დასჭირდა. რკინიგზის ყოველ სადგურზე ჰარიმანი ხედავდა უამრავ ადამიანს. ისინი ფლეგმატურად ელოდნენ მატარებლებს ზამთრის სუხშიო. ჰარიმანი შეჩერდა ბაქოში, ნავთობსარეწების დასათვალეირებლად.

თბილისში ჰარიმანმა ერთი დღე გაატარა. ქართველმა ხელისუფლებმა წაიყვანეს იგი ე.წ. ღვინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში (ანუ – ენოთეკაში), რომელიც მოთავსებული იყო ყოფილი დიდი მთავრის ნიკოლოზის კუთვნილ სარდაფებში. ღვინო საკმაოდ ძველი და დავარგებული ჩანდა. ჰარიმანმა დააქაშნია რჩეული ფრანგული თუ გერმანული ღვინოები, აგრეთვე იგემა ნამდვილი „ნაპოლეონის“ მარკის კონიაკი.

ვიზიტი ენოთეკაში რამდენიმე საათს გრძელდებოდა და ქართველ მასპინძლებს, ჩვეულებისამებრ, გვარიანად დაუთვრიათ ამერიკელი სტუმარი. საღამოს კი ჰარიმანი ოპერის თეატრში დაესწრო სპექტაკლს.

ჭიათურაში ჰარიმანმა დაათვალეირა მანგანუმის მალარო და ახლად აგებული გამამდიდრებელი ფაბრიკა, ესაუბრა ამერიკელ ინჟინრებს და რამდენიმე დღის შემდეგ ფოთის ნავსადგურიდან გემით გაემგზავრა კონსტანტინოპოლს.

საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში ჰარიმანი შეხვდა უინსტონ ჩერჩილს, რომელიც მაშინ დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი იყო. ჰარიმანს აინტერესებდა ჩერჩილის შეხედულება საბჭოთა რუსეთზე და ჭიათურის მანგანუმის კონცესიის შეწყვეტის შესახებ.

მოგვიანებით ჩერჩილი ამტკიცებდა, ჰარიმანს მილიონები გადავურჩინე, როდესაც ვურჩიე, რუსეთში ბიზნესს მოეშვიო. ფინანსური მოლაპარაკება საბჭოთა საკონცესიო კომიტეტთან მთელ წელიწადს გრძელდებოდა. ამერიკულმა კომპანიამ დაბანდებული კაპიტალი დაიბრუნა და გარკვეული მოგებაც ნახა.

„ჩემმა იმდროინდელმა დაკვირვებებმა, – იხსენებდა ჰარიმანი, – მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ბოლშევიკური რევოლუცია იყო ქვეყნის რეაქციული განვითარება. პროლეტარიატის დიქტატურა ნიშნავდა უმცირესობის გაბატონებას უმრავლესობაზე, ინდივიდის გადაქცევას ხელისუფლების მსახურად. ეს მეჩვენებოდა არსებით უთანხმოებად კაცობრიობის კანონიერ მისწრაფებებთან. ასეთი იყო ჩემი თვალსაზრისი 1926 წელს. მას შემდეგ მისი შეცვლის საფუძველი არასოდეს გამჩენია“.

გმირები და ჟურნალისტები

არის ჟურნალისტ რუჟმონის სტატია, გამოქვეყნებული 1815 წლის 19 ივნისს, ე.ი. ვატერლოოს ბრძოლის მეორე დღეს. ვარაუდობენ, რომ სწორედ ეს ჟურნალისტი არის ქემ-მარიტი ავტორი ამ ისტორიული ფრაზისა.

„დიდია რუსეთი, მაგრამ უკანდასახევი გზა აღარა გვაქვს, ჩვენს უკან მოსკოვია“, – 1941 წლის 16 ნოემბერს ამ მოწოდებით მიმართა მეზრძოლთა ჯგუფს 316-ე მსროლელთა დივიზიის უმცროსმა პოლიტბელმა ვ. კლოჩკოვმა.

დუბოხეკოვოს ასახვევთან გამართული ბრძოლისა და გენერალ პანფილოვის დივიზიის მეზრძოლთა გმირობის შესახებ გაზეთ „კრასნაია ზეზდაში“ დაიბეჭდა ჟურნალისტი ა. კრივიციკის ნარკვევი, საიდანაც მთელმა მსოფლიომ შეიტყო კლოჩკოვის ფრთოსანი სიტყვები.

ასეთი იყო საბჭოეთში გავრცელებული ვერსია და საბჭოთა სკოლებში ბეჯითად იზეპირებდნენ 28 გმირი პანფილოვის ამბავსა და ზემოთქმულ სიტყვებსაც. იმდენად პოპულარული გახდა კლოჩკოვის ნათქვამი, რომ მისი პერიფრაზი იხმარებოდა სხვადასხვა ცხოვრებისეულ კოლიზიებთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირიდან ემიგრაციაში წასულმა ისტორიკოსმა ალექსანდრ ნეკრიჩმა თავს ნება მისცა, რომ კრიტიკულად შეეხედა ამ ამბის მიმართ. იგი აღნიშნავდა, რომ ომზე მითებისა და ლეგენდების გაჩენა გარდუვალა მოვლენაა, რომ მეომართ აჯილდოებდნენ სასწაულებრივი ძალით და მიაწოდნენ გამოთქმებს, რომლებიც განუყოფელი ნაწილი ხდებოდა ომის ისტორიისა.

სანიშნოდ იმონმებს კლოჩკოვის სიტყვებს, ყველა ნიგნში რომ გვხვდებაო.

ნეკრიჩი წერს: ვინ მოიტანდა ამ სიტყვებს, თუკი ამ ბრძოლაში თითქმის ყველა დაიღუპა. ერთადერთი მეზრძოლი გადარჩა, მძიმედ იყო დაჭრილი და უგონოდ მყოფი მალე გარდაიცვალაო.

ნეკრიჩის სიტყვით, ჟურნალისტმა კრივიციკიმ თავის თავზე აიღო ეს მისია და პირველმა გამოაქვეყნა სტატია 28 გმირ პანფილოველზე. შემონმებს და დაეჭვებს ვინ გაზედავდაო?

მაგრამ, როგორც ირკვევა, ნითელი არმიის მთავარი პოლიტსამმართველოს უფროსმა ა. შჩერბაკოვმა გაზედა და კრივიციკის ჰკითხა, პოლიტბელმა კლოჩკოვმა მართლაც ასე თქვაო?

კრივიციკის პასუხი ასეთი ყოფილა: „იგი ასე იტყოდა“. ჟურნალისტმა გულახდილად აღიარა, რომ ფრთოსანი სიტყვები მის კალამს ეკუთვნოდა. მაგრამ ეს ფაქტი, ცხადია, არ გაუხმაურებიათ.

როდესაც გმირები საგმირო საქმეებს სწადიან, მათ იმისათვის არა სცხელათ, რომ გულში ჩამწვდომი აფორიზმები წარმოთქვან და მომავალ თაობებს დაუტოვონ თავიანთი გმირობის სიტყვიერი ასლი.

მაგრამ, მაღლობა ღმერთს, ამქვეყნად არსებობენ ჟურნალისტები, წინათ მემატიანები რომ ერქვათ, და ისინი ცხელ კვალზე აღნუსხავენ დიდთა თუ მცირეთა საგმირო საქმეებს და იმ გამონათქვამებსაც, რომლებიც ამშვენებენ ხოლმე ღირსშესანიშნავ მოვლენას.

საყოველთაოდ არის ცნობილი XIX საუკუნეში ნათქვამი უკვდავი სიტყვები: „გვარდია კვდება, მაგრამ არ ნებდება“.

ამ ფრაზას მიაკუთვნებენ გენერალ კამბრონს, რომელიც მეთაურობდა ნაპოლეონის „ძველი გვარდიის“ დივიზიას ვატერლოოს ბრძოლაში 1815 წლის 18 ივნისს. ეს იყო ფრანგი გენერლის უკომპრომისო პასუხი ინგლისელთა წინადადებაზე, დაგვენბდითო.

სინამდვილეში გენერალი კამბრონი არ დაღუპულა და მძიმედ დაჭრილი ტყვედ ჩავარდა.

ოცი წლის შემდეგ კამბრონმა საჯაროდ განაცხადა: ეს ისტორიული ფრაზა მე არ მითქვამსო.

მიუხედავად ამისა, 1845 წელს ქალაქ ნანტში ძეგლი რომ დაუდგეს კამბრონს, ეს გამონათქვამიც აღბეჭდეს ზედ.

ამასობაში ვატერლოოს ბრძოლაში დაღუპული პოლკოვნიკ მიშელის ვაჟიშვილებმა პროტესტი გამოთქვეს. ისინი ამტკიცებდნენ, ეს სიტყვები სიკვდილის წინ მამარჩვენმა წარმოთქვაო. მონმეთა ჩვენებანი მხარს უჭერდა მათ პროტესტს.

ფრანგმა ისტორიკოსებმა ვერ გადაჭრეს ეს საკითხი. ტიერი წერდა, კამბრონსაც მიენერება და მიშელსაცო.

ჰიუგომ თავის რომანში „განკიცხულნი“ გენერალ კამბრონს ათქმევინა უწმანური სიტყვა, რომლითაც მან ინგლისელებს გასცა პასუხი.

ჰიუგოს რომანის გამოცემის შემდეგ ერთი ჟურნალის რედაქტორმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შეეკრიბათ თვითმხილველთა ჩვენებანი ამ საკითხის ირგვლივ.

ამ წინადადებას გამოეხმაურა ქ. ლილის გაზეთი, სადაც აუნყეს მკითხველს, რომ ლილის მახლობლად ცხოვრობს ჯარისკაცი კამბრონის დივიზიიდან. იგი დაჰკითხეს ქალაქის პრეფექტურაში. ჯარისკაცის სიტყვით, ეს ფრაზა ორჯერ წარმოთქვა კამბრონმა და მერე გრენადერებმა აიტაცესო. დაკითხვის ოქმი გამოქვეყნდა გაზეთ „მონიტორის“ ფურცლებზე.

პოლკოვნიკ მიშელის შვილებმა კვლავ გამოთქვეს პროტესტი.

როგორც აღნიშნავენ, ყველაზე ადრეული დოკუმენტი, რომელშიც აღბეჭდილია თითქოსდა კამბრონის ნათქვამი,

ლელა სამნიაშვილის ლექსების ახალ კრებულს სანამ გამომცემლობა „სიესტა“ მკითხველს შესთავაზებდეს და სანამ თვითონ პოეტი ამერიკაში გაემგზავრებოდეს, ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში სასამოვნო მოვალეობად მიიჩნიეს შეხვედრის გამართვა პოეტთან.

აქ ამგვარი ღონისძიებები მომხიბლავად დაანესეს და გასაკვირი არ დარჩება თუ ეს პოეტური საღამოც, 26 ივლისსა, თბილად დაამახსოვრდება პუბლიკას. შეხვედრას უძღვებოდა მეცნიერების, კულტურის და საოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გიორგი კილაძე.

ლელა სამნიაშვილმა ჭაშნიკად შესთავაზა აუდიტორიას ახლთახალი, ჯერაც გამოუქვეყნებელი ლექსები, ნაიკითხა საკუთარი თარგმანები ინგლისურენოვანი ლიტერატურიდან, კერძოდ, სილვია პლათისა და ემილი დიკინსონის ლექსები, და აღარც იმ ლირიკული ნიმუშების გახსენება დაიწყინა, რითაც შედგა მისი დებიუტი.

ღონისძიებისას, დროდადრო, არც ის გაძნელება, ნატიფ პოეზიას ნაზიარებ ალელვებულ და ცნობისმოყვარე აუდიტორიისათვის ნათლად და წრფელად ეპასუხა მრავალფეროვან შეკითხვებზე..